


ბიზნის განაცხადი



აკად. სიმონ ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით
მეორე გამოცემა



„საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985

84 Gr 7
85N

ШАРВАШИДЗЕ ГЕОРГИИ МИХАЙЛОВИЧ

Лирика, эпос, драма,

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1985

გიორგი შარვაშიძე

კულტურულ-ისტორიული ნარკვევი

გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძე იყო და მისი ბიოგრაფია მჭიდროდ გადასკვნლია აფხაზეთის პოლიტიკურ ისტორიასთან წარსულ საუკუნეში. სამთავროს გაუქმებასა და იმ მომდევნო ამბებს, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო გიორგიმ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ მისი პირადი ცხოვრებისათვის. ამიტომ აქ უნებლიეთ უნდა შევეხეთ, მოკლედ მაინც, მეფის რუსეთის მფლობელობის დამყარების ისტორიას აფხაზეთის სამთავროში.

ჯერ კიდევ გიორგის პაპის მამამ, ქელაიშ-აჰმედ-ბეგმა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, იმ პოლიტიკური პირობების გამო, რომლებშიაც მას უხდებოდა მოქმედება, გამოიჩინა მიდრეკილება, მოეპოვებინა თავისი სამთავროსათვის რუსეთის მფარველობა. ეს პოლიტიკური კომბინაცია ეთანხმებოდა რუსეთის ზრახვებსაც. რუსეთს ამ დროს უკვე სამეგრელოშიაც ჰქონდა ფეხი ჩადგმული და მეზობელი მხარის შექმნისათვის იმპერატორის მთავრობა მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ეძიებდა. ამ ტენდენციებმა ბოლოს იურიდიკული გამოხატულება ჰპოვეს საინვესტიტურო სიგელში, რომელიც ალექსანდრე I-მა დაამტკიცა 1810 წ. თებერვლის 17-ს აფხაზეთის მთავრის, ქელაიშ-ბეგის შვილის, საფარ-ალი-ბეგის (ქრისტიანობაში — გიორგი) სახელზე. ამიერიდან აფხაზეთი აღიარებდა რუსეთის უზენაეს ხელმწიფებას, ხოლო ქვეყნის შინაური მმართველობა რჩებოდა მთავრის ხელში. საფარ-ბეგის შემკვიდრენი იყვნენ: ჯერ მისი უფროსი ვაჟი დიმიტრი, ხოლო შემდეგ 1823 წლიდან, დიმიტრის ძმა მიხეილი (ჰამუთ-ბეგი).

მიხეილსა და რუსის მთავრობას შორის თანხმობა დიდხანს არ დარღვეულა. აფხაზეთში ჩაყენებული იყო რუსის გარნიზონები, რომელთა საშუალებითაც კავკასიის მთავარმმართველობა ერთგვარ კონტროლს უწევდა მთავარს. ამავე დროს აფხაზეთი გადაქცეულ იქნა ერთ-ერთ ბაზად დასავლეთ კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლი ტომების წინააღმდეგ სამოქმედოდ. მაგრამ თავდაპირველი თანხმობა მთავრობასა და მიხეილს შორის გარეგნული იყო. რუსული სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმი ეძებდა მხოლოდ შესაფერ პირობებსა და კეთილსახიერ საბაზს აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებისათვის. ასეთი აქტი ლოგიკურად უნდა გამოსულიყო ამ იმპერიალიზმის საერთო პოლიტიკიდან. აფხაზეთის მიმართ კიდევ მეფის რუსეთის მთავრობას ჰქონდა სპეციალური გეგმები, რომელთა განხორციელებისათვის აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების არსებობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა. ასე, მაგალითად, განზრახული იყო შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსული მოსახლეობის გაჩენა. 1864 წ., როცა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, მეფისნაცვალმა კავკასიაში, აღძრა საკითხი აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ, იგი სწერდა პეტერბურგს, რომ ასეთი ღონისძიების მიღება საჭიროა იმისათვის, რათა შესრულებულ იქნას უმაღლესი მთავრობის მიერ მოწონებული განზრახვა ყაზახთა სტანიცების მოწყობის თაობაზე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ყუბანის შესართავიდან მდ. ბზიფამდე.

მეფისნაცვლის მიერ ამასთანავე წარდგენილი პრაქტიკული გეგმის მეოთხე მუხლში ვკითხულობთ: „თუ თავისუფალი მიწების რაოდენობა ამის საშუალებას მოგვცემს, — დასახლებულ იქნან ყაზახ-რუსები ნაპირის გასწვრივ ინგურის შესართავამდე; ბზიფის ხეობის (ყაზახებისავე) მოსახლეობასთან ერთად მათ შეიძლება აფხაზეთის ყაზახთა „ვოისკო“ შეადგინონ“...¹ მაგრამ თუ თა-

¹ «Ввиду близкого осуществления высочайше одобренных предположений о заселении казачьими станицами Восточного берега Черного моря от устья Кубани до р. Бзыби, представляется необходимость решить вопрос о будущем подожении Владетеля Абхазского (იმგვარად, რომ გაუქმებულ იქნას მთავრის უფლებები)». «Если количество свободных земель позволит — то водворить вдоль берега до устья Ингура казацья поселения, которые, вместе с поселениями по р. Бзыби, могли бы составить

ვისუფალი მიწები არ არსებობდა, შეიძლებოდა დასახლებული ადგილების გათავისუფლება მათი ნამდვილი პატრონებისაგან. ამისათვის რეალური წინადადებები მზად ჰქონდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს თავად სვიატოპოლკ-მირსკის, რომელიც. როგორც ჩანს, ადრევე ზიარებული ყოფილა «Абхазское казачье войско»-ს პროექტს. იგი ამის შესახებ მთავარ შტაბს სწერდა: „თუ აფხაზებს ნაწილი (სამთავროს გაუქმების შემდეგ) მოსურვებს ისმალეთში გადასახლებას, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამას ხელი არ უნდა შეეშალოთ“¹. ამას გარდა, „თუ შევიძენდით ცაიერის კერძო მამულებს, რომლებიც მეტად ვრცელია და მნიშვნელოვანი, ჩვენ ესლავე - შეგვეძლო შევდგომოდით აფხაზეთის კოლონიზაციას ყაზახ-რუსების საშუალებით“². ყუბანის ოლქსა და ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორს შორის საზღვრად უნდა მიჩნეულ იქნას გაგრის ქედი: „ერთი მთავარ საფუძველთაგანი ამისათვის ის არის, რომ თუ ჩვენ ხელთ ჩქნება ცარიელი ადგილები ბზიფის ორსავე მხარეს, ჩვენ შევძლებთ იქ საძირკველი ჩაუყაროთ რუსულ მოსახლეობას აფხაზეთში“³. ცნობილია, რომ ამ გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იმპერიალისტებმა განახორციელეს კიდევაც: შავი ზღვის სანაპირო ხაზზე აფხაზური მოსახლეობა განადგურებულ იქნა, მისი მამაბაპეული მიწა-წყალი დაურიგდა ცარიზმის მსხვილსა და წერილ მოხე-

Абхазское казачье войско под управлением Начальника Абхазского Военного отдела». საქ. ცენტრარქივი: განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № 48 (ქვემოთ ყველგან საქმე № 48), ფფ. 41—47; შტრ. Семен Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I, Тфл. 1907 (ქვემოთ ყველგან—ესაქმე), გვ. 220.

¹ «Если часть абхазцев возымеет намерение удалиться в Турцию, то полагаю, что этому препятствовать не следует». მირსკის წერილი გენ. კარცოვს, 27 ივნ. 1864 წ. საქმე № 48. ფ. 96 ბ. დედანი. მეიოზველისთვის გასაგებია, თუ რა უნდა უდრიდეს ს-ნამდვილეში იმპერიალისტებს ამ ეზოპერ ენას. „ხელის არ შეშლა“ ხელის შეწყობას გულისხმობდა.

² «Приобрет частные имения владельца, весьма обширные и значительные, мы бы могли сейчас приступить к колонизации предполагаемого Абхазского казачьего Войска». იქვე, ფ. 100.

³ «...Владея пустыми пространствами по обоим берегам Бзыбн, можно будет положить там начало русского народонаселения в Абхазии», გენ. მირსკის წერილი გენ. კარცოვს, 6 ივნ. 1864 წ., საქმე № 48, ფფ. 72—77. (დედანი). ამ საზღვრის შესახებ მსგავსი აზრისა იყო მეიოზველიც, საქმე № 48, «Записка ... о положении Абхазии», ფფ. 41—47.

ლებს და ქვეყნის შუაგულ თემებშიც კი შეიქნა მნიშვნელოვანი კომპაქტური მოსახლეობა უცხოელი კოლონისტებისა¹.

მეორე მხრით, მიხეილიც გრძნობდა, რომ მისი მომავალი ბეწვზე ეკიდა და ნერვიულობდა. გარდა ამისა, მთავრის უკმაყოფილების განსაკუთრებულ წყაროს წარმოადგენდა სამურზაყანოს საკითხი. კავკასიის უმაღლესმა ხელისუფლებამ ეს მხარე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე დადიანთა სამფლობელოს მიათვალა, მაშინ როცა შარვაშიძეები სამურზაყანოს უყურებდნენ, როგორც აფხაზეთის ნაწილსა და თავის კუთვნილებას. ამან ჩამოაგდო შეუწელებელი მტრობა ორსავე სამთავრო სახლს შორის. სწორედ ამავე გარემოების წყალობით ხშირად იბადებოდა გაუგებრობა მიხეილსა და მეფის მთავრობას შორისაც. ასე, მაგალითად, თუმცა 1840 წ. სამურზაყანო ჩამოართვეს დადიანებსაც და იქ უშუალო რუსული მმართველობა დამყარდა, მიხეილი მაინც დაუკმაყოფილებელი დარჩა. პირიქით, დადიანის მიერ მთავრობისგან სამურზაყანოსთვის საზღაურის მიღებამ იმდენად შეურაცხყო აფხაზეთის მთავარი, რომ მან, ზოგიერთ სხვა ფაქტის ზეგავლენითაც, თავისი პროტესტი სამთავრო უფლებებზე უარისთქმით გამოხატა. სიტყვიერი განცხადებების შემდეგ ამის თაობაზე², მან 1847 წ. ნოემბრის 10-ს წერილობით მოახსენა თავისი სურვილი მეფისნაცვალს: მიხეილი ითხოვდა, გაეთავისუფლებინათ იგი აფხაზეთის

¹ ეს ამბავი უკვე იმ დროს აღვლევდა ქართველ საზოგადოებას. გრიგოლ ორბელიანი სწერდა, მაგ. ლევან მელიქოვს 1878 წ. 5 სექტ.: „ლიდად მეშინიან, რომ აქარაში არ დააფუძნონ ჩვენი ნიროვოს სულები და არ აღჩნდეს ახალს შეუჩვეველს ხალხში მეუფება ჩინონიკობისა, როგორც აფხაზეთში, სადაც დაამტკიცეს, რომ მიწა ეკუთვნის გუშინდელს იქ შესულს ხაზინას და არა იმ ხალხსა, რომელიცა იქა მკვიდრობს ნოეს დაბადებიდამ“; ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა, ქურონ. „მოამბე“. 1904 წ. VII, გვ. 47. 1880 წ. ნოემბერში პოეტი ისევ უბრუნდება ამ საგანს: „...ჩვენი მმართველობისაგან გარბიან ყველა ერები: დიდი ხანია რაც ყირიმი დაცარიელდა, აფხაზეთი აგრეთვე; დაიცალა ყარსის ოლქი; ეხლა ჯერი მიღვა აქარაზე“ (წერილი ბარბ. ორბელიანს). იბ. გვ. 48. 1881 წელსაც თბილისში გავრცელებულ სმას, რომ რუსის მთავრობას განზრახვა აქვს ასი ათასი ყუზახი დაასახლოს აფხაზეთში, შემოფოთება გამოუწვევია საზოგადოებაში. ილია ყუზონია, „ჩემი დღე და სოფელი“, ქურონ. „მნათობი“, 1928, № 8—9, გვ. 223.

² ეს აძე, გვ. 134.

მმართველობისაგან და სამაგიეროდ მიეცათ მისთვის მამული იმერეთში¹.

ამ ამბავმა კავკასიის უმაღლესი ხელისუფლება ძალიან შეაშფოთა, ვინაიდან მას იმჟამად სრულებით არ შეეძლო საკუთარი საშუალებით მოეწყო აფხაზეთისათვის. მეფისნაცვალმა, თავადმა ვორონცოვმა, მაშინვე პასუხი აფრინა, რომელშიაც მთელი ენერგიით არწმუნებდა მიხეილს, ხელი აეღო თავის განზრახვაზე. „თქვენ გინდათ უარი სთქვათ ისეთ უფლებასა, ხელისუფლებასა და მოვალეობებზე, რომელნიც ღმერთმა დაგაკისრათ და რომელნიც ნაკურთხი არიან ჟამთა სიგრძისა, სახელგანთქმული გვარიშვილობისა, წინაპართა სიქველისა, საკუთარი დამსახურებისა და ერის მადლიერების ძალით... იფიქრეთ, რომ თქვენი შთამომავლობა თქვენს აზრს არ გაიზიარებს, მისთვის სამძიმო არ იქნება ეს მაღალი წოდება და თქვენს სახსენებელსაც კი შეიძლებს, რადგანაც თქვენ მემკვიდრეებს უსაფუძვლოდ წაართვით მთელი მათი საცხოვრებელი“-ო, სწერდა ვორონცოვი შარვაშიძეს. თანაც ამინებდა, საზღაურის იმედი ნუ გექნებაო². მართლაც, ეს საქმე მიუყრდა.

მაგრამ დიდი დრო არ იყო საჭირო იმისათვის, რომ რუსის მთავრობას დავიწყებოდა აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების არსებობის ყველა ეს საპატიო მოტივი, მქვერმეტყველებით აღწერილი თავად ვორონცოვის მიერ. სამთავროს ავტონომიის ბედი დამოკიდებული იყო რუსეთის საქმეების საერთო მდგომარეობაზე კავკასიაში.

პირველად საკითხი აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების შესახებ აღძრა მთავარმმართველმა გენ. შურავიოვმა 1856 წელს. მისი აზრით, მიხეილი გადაყენებული უნდა ყოფილიყო მმართველობიდან და გაგზავნილი რომელსამე შორეულ გუბერნიაში³. საბაბად წარმოდგენილი იყო მიხეილის „ლალატი“ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს 1853—1856 წწ. ოფიციალური დოკუმენტები-

¹ საქ. ცენტრარქივი, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № 38: «Докладная записка владетеля Абхазии»... ფფ. 1—2 (დედანი). ესაძე, გვ. 135.

² საქმე № 38, ფფ. 5—9; ესაძე, გვ. 135—137.

³ Отношение ген. Муравьева к ген. Сухозанету, от 12 июня 1856 г. АКАК (Акты собранные кавказской археографической комиссией), XI, 54.

დანაც კი ჩანს, რომ ეს „ლალატი“ შეთხზული ამბავია. პირიქით, ამ ომის დროს მიხეილმა დიდი დახმარება გაუწია რუსის სარდლობას: ღიმ. ყიფიანის აზრით, რუსის ჯარები ვერ გამოვიდოდნენ აფხაზეთიდან (როცა მათ ომის დაწყებისას სამეგრელოში დაიხიეს), მიხეილს რომ არ გამოეყვანა ისინი¹. იმავე ყიფიანის ცნობით, მიხეილმა რუსის მხედრობის სასარგებლოდ შესწირა ყოველწლიურად 20 000 მანეთი ომის მთელი დროის განმავლობაში² (სხვა ოფიციალური წყაროები უჩვენებენ 12 000 მან. საბაჟოს შემოსავალს, კონკრეტულად დაუსახელებელს „სხვა თანხებთან ერთად“³): იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ აჩუქა მიხეილს ე. წ. „არენდა“ 10 000 მან. რაოდენობით წლიურად, 24 წლის განმავლობაში, იმიტომ რომ მიხეილმა უარყო უმაღლესი პორტის მნიშვნელოვანი წინადადება, რომელიც მან მიიღო ამ ომის დროს და რომლის მიხედვითაც იგი ინიშნებოდა ოსმალეთის ჯარის ყველა კორპუსის მთავარსარდლად აზიასა და კავკასიაში, მისი შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთ სანაპიროს მფლობელად აღიარებით ნიკოლაევსკიდან (ნატანების შესართავთან) ანაფამდე. მიხეილმა ელჩებისა და დაახლოებულ პირთა თანდასწრებით ფეხქვეშ გასთელა სულთნის ფირმანი, რომელშიაც გამოცხადებული იყო ეს წინადადება⁴. რუსის ჯარებთან ერთად მიხეილმა სამეგრელოში გადმოიყვანა საკუთარი ოჯახიც, რომელმაც ეს მგზავრობა საშინელ პირობებში შეასრულა. შემდეგ, თუმცა მიხეილი იძულებული იყო აფხაზეთში დაბრუნებულიყო (1855 წლის თიბათვეში), იმიტომ რომ თავისი მტრების ინტრიგების წყალობით თავს დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა, მაგრამ მას არაფერი ჩაუდენია, რაც რუსებისადმი თუნდ მცირედი მტრობის მაჩვენებელი ყოფილიყო. ეს დაუმოწმებია შავი ზღვის სანაპიროზე მოქმედი რუსის ჯარის

¹ ღ. ყიფიანს (ცნობილ მოღვაწეს) მინდობილი ჰქონდა უმაღლესი მთავრობის მიერ მიხ. შარვაშიძის „ლალატის“ გამოძიება, რაიცა მან შეასრულა 1855 წ. სექტემბერში. იხ. მისი მოხსენება: საქ. ცენტრარქივი, განსაკ. საქმ. ფ., საქმე № 42. ფფ. 103 — 140. შღრ. ეს ა ძ ე, გვ. 147 შემდ.

² საქმე № 42, ფ. 105.

³ АКАК, XI, 949.

⁴ Записка стат-секретаря В. Буткова (შედგენილი 1864 წ. მეფის ბრძანებით), საქმე № 48, ფფ. 52—68.

სარდალს გენ. მუხრანსკის¹. პირიქით, მიხეილი ამის შემდეგაც განაგრძობდა რუსის მხედრობის სასარგებლო საქმიანობას.

არსებითად, მთავრის ერთგულება-ორგულობას, რა თქმა უნდა, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა სამთავროს არსებობის საკითხისათვის. დადიანებმა, თუმცა მათ, ყველა ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, არასოდეს არავითარი არალოიალური აქტი რუსეთის მიმართ არ ჩაუდენიათ, თავისი უფლებები ფაქტიურად შარვაშიძეებზე შვიდი წლით აღრე დაკარგეს.

მურავიოვის წადილი უეჭველია განხორციელდებოდა, რომ დასავლეთი კავკასია იმ დროს სავსებით დამორჩილებული ყოფილიყო. მაგრამ ვინაიდან ამ ფრონტზე ბრძოლა ჯერ კიდევ წარმოებდა, მურავიოვის წინადადება და შუამდგომლობა უადგილოდ იქნა მიჩნეული: მეფემ არ სცნო აფხაზეთის მთავრის ლალატი დამტკიცებულად და საქმე უშედეგოდ დარჩა. სამაგიეროდ, საქმარისა იყო რუსეთის იმპერიალისტებს თავისუფლებისათვის მებრძოლა კავკასიელი ტომების წინააღმდეგობა საბოლოოდ დაეთრგუნათ, რომ აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების საკითხი უკვე გადაუდებლად დასმულიყო. ეს მოხდა 1864 წელს, იმ წელიწადს, რომელიც ცარისტულ ოფიციალურ ისტორიაში კავკასიის სრული დამონების თარიღად ითვლება. სურდათ, რომ მიხეილს ეტვირთა რუსის მთავრობისათვის უხერხულობის თავიდან აცდენა და თვითონ ეთხოვა თავისი უფლებებისაგან „განთავისუფლება“. მიხეილმა სცადა ბოძოლა და რაკი დარწმუნდა მეფის მთავრობის გადაწყვეტილების უცვლელობაში, კატეგორიულად განაცხადა, რომ მისი სურვილია სიკვდილამდე მართოს აფხაზეთი, მაგრამ ეხლა ურჩობას არ აპირებს და მოითხოვს მხოლოდ სათანადო საზღაურს და აგრეთვე აფხაზეთში ცხოვრების ნებართვას².

განსაკუთრებით აშინებდა მიხეილს რუსეთში გადასახლება (განზრახული იყო ყოფილ მთავარს ან პეტერბურგს ეცხოვრა, ან

¹ დ. ყოფიანის მოხსენება, საქმე №42, ფ. 109 ბ. იხ: აგრეთვე იქვე, ფ. 122 (მიხეილს მოეწერია აფხაზეთიდან სამეგრელოში თავის ცოლისთვის საიდუმლოდ და ეს ქართველი წერილი რუსებს ჩავარდნით ხელში: „აქ ომერ-ფაშას ელიან, მაგრამ იმედი მაქვს, რომ აქ ჯარი ვერ შეკრიბოს“), ფფ. 173-178. შდრ. აგრეთვე იმავე ფონდის საქმე №36, ფ. 6 ბ და სხვ.

² «Записка по делам Абхазии» Кут. ген.-губ. кн. Святополк-Мирского 14 июня. 1864 г. საქმე № 48, ფფ. 78-82, ე ს ა ძ ე, გვ. 223.

მოსკოვში)¹. მიხეილის მდგომარეობას ის გარემოება ამძიმებდა, რომ 1857 წლიდან ის განუწყვეტლივ ავადმყოფობდა² (ამ ხნის განმავლობაში ის მუდმივ ექიმობდა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის კურორტებზე, 1860 წელს კი საზღვარგარეთაც იყო სამკურნალოდ)³, ხოლო იმეამად მწოლიარე იყო.

რაკი მთავრობამ არაოფიციალური მოლაპარაკების გზით ვერ დაიყოლია მიხეილი თავის სურვილზე სავსებით, მას განსაკუთრებული რესკრიპტით გამოუცხადეს, რომ იმპერატორმა ინება აფხაზეთის მთავრის მის მოვალეობათაგან განთავისუფლება, და რომ მიხეილმა უთუოდ უნდა დატოვოს აფხაზეთის ტერიტორია. უკანასკნელი მოთხოვნილება, მეტად სამძიმო ლოგინად მდებარე მოხუცისათვის, უცვლელი დარჩა მაშინაც კი, როცა მიხეილმა, რუსის მთავრობისათვის სრულიად მოულოდნელად, თვითონ გამოუცხადა, თავისი ადმინისტრაციის საშუალებით, აფხაზეთის მოსახლეობას რუსული მმართველობის დამყარება სამთავროში და ამრიგად სავსებით უინციდენტოდ ჩაატარა აქტი, რომლის განხორციელება დიდ სიძნელესთან, თუ ამბოხებასთან არა, დაკავშირებულად მიიჩნდათ კავკასიის მთავრობის უმაღლეს წრეებში.

ამ სისასტიკემ უკიდურესად შეურაცხყო და აღაშფოთა მიხეილი, რომელსაც თავისი გრძნობები არ დაუმალავს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მირსკისათვის, როცა ამ უკანასკნელმა ინახულა ტკვარჩელის სამკურნალო წყლებზე მყოფი ავადმყოფი მთავარი. მიხეილმა კიდევ ერთხელ გამოუცხადა მას თავისი სურვილი: ნება მიეცათ მისთვის, დარჩენილიყო აფხაზეთში, ან არადა ეცხოვრა ზამთრობით ქუთაისში, ზაფხულობით კი — რაჭაში; თუ ესეც შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ მიეცათ მისთვის პასპორ-

¹ «Записка (вел. кн. Кавк.) по вопросу об удалении кн. М. Ш.-дзе с потомством, от владения Абхазнею», საქმე № 48, ფფ. 138—155, 1864 წ. ნომბ. განსაკუთრებით ეშინია მიხეილს ...«быть сосланным на жительство вне Кавказа на север, что в самом деле было бы для него пагубно». (ფ. 152 ბ).

² საქმე № 48 ფ. 21; იქვე, ფ. 195—196. ერთი ცნობით მიხეილს „ქვის ავადმყოფობა“ სჭირდა, П., Из записок Кавк. туриста, газ. «Кавказ», 1867, № 45.

³ მიხ. შარვაშიძის წერილი კარცოვს, 1864 წ. მაისის 31, საქმე № 48, ფფ. 70 — 71.

ტი იერუსალიმში წასასვლელად, რომ იქ დაეღრა თავისი დღენი. „წინააღმდეგ შემთხვევაში, შეგიძლიათ წამართოთ აქიდან ძალით, და დაე, მთელმა ქვეყანამ ნახოს თქვენი უსამართლობა და სისასტიკე“-ო¹.

ამავე ხანებში უნდა მიემართა მიხეილს ოსმალეთის მთავრობისათვის, რომ გამოეგზავნათ მისთვის გემი, რომელიც მას კონსტანტინოპოლში წაიყვანდა. როცა ეს ამბავი გამოაშკარავდა და გზადაგზა ხელოვნურად გაზვიადდა, მიხეილს ახალი სახელმწიფოებრივი ღალატი დაბრალდა და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მიერ ბრძანება იქნა გაცემული, ძალით გაეყვანათ აფხაზეთიდან მთავარი. ნოემბრის 5-ს (1864 წ.) მოხუცებული და ავადმყოფი მთავარი აფხაზეთისა დაპატიმრებულ იქნა². ნოემბრის 7-ს იგი ჩასვეს სამხედრო გემში და ერთი ოფიცრის თანხლებით გაგზავნეს ნოვოროსიისკში³.

ყველაფერი მოახდინეს ისე სასწრაფოდ, რომ მიხეილს არ მისცეს საშუალება მოეწესრიგებინა თავისი ქონებრივი საქმეები და გამოსთხოვებოდა შინაურებს. მიხეილი ჩაიყვანეს იმავე თვის 26-ს ქ. სტავროპოლში⁴, ხოლო იქიდან 1865 წ. ივნისის 25-ს ის გადაუყვანიათ ქ. ვორონეჟში⁵. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის იმდენად ცუდად იყო, რომ ოთახშიაც არ შეეძლო სიარული⁶. მიუხედავად ამისა, ის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა⁷. იმავე წელს, დიდი ტანჯვის შემდეგ, მიხეილი გარდაიცვალა. მისი გვამი ჩამოასვენეს აფხაზეთში და დაასაფლავეს შოქვის ტაძარში. გიორგი ამ ამბებში იღებდა ერთგვარ მონაწილეობას, თუმცა

¹ დიდი მთავრის ზემოთმოსხენებული „Записка“. საქმე № 48, ფ.ვ. 148b—149b. ეს აძე. გვ. 229—231.

² Копия с рапорта командующего войсками в Абхазии Кут. ген. губернатору от 5 ноября 1864 г. საქმე № 48, ფ.ვ. 129—132; ეს აძე. გვ. 235. შემდ. ახალი „ღალატი“ შესახებ მიწერ-მოწერა: საქმე № 48, ფ.ვ. 192—194, 164b—165. 167—172. 188 და სხვ. მიხეილს განმარტება ამ საქმის გამო იხ. ფ. 133.

³ Копия с рапорта ком. войсками в Абхазии Кут. ген. губ.-ру от 7 ноября 1864 г. ფ.ვ. 134—135; ეს აძე. გვ. 236—238.

⁴ საქმე № 48, ფ. 156.

⁵ იქვე, 226.

⁶ იქვე, 195—196.

⁷ იქვე, 159—160.

ჯერ კიდევ პირშიშველი ჰაბუჯი იყო (გიორგი უნდა დაბადებულიყო 1846 წლის მახლობლად, იმიტომ რომ დიმიტრი ყიფიანს 1855 წლის შემოდგომით იგი დაახლოებით 9 წლისა სჩვენებია¹; ასე რომ, 1864 წ. იგი 17 — 18 წლისა იქნებოდა). ხანგრძლივმა ავადმყოფობამ და აგრეთვე, საგულეებელია, სამთავროს პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებამ კავკასიის დაპყრობის დასასრულის მოახლოებასთან დაკავშირებით, აფიქრებინეს მიხეილს თავის სიცოცხლეშივე გადაეცა ხელისუფლება გიორგისათვის, რომელიც ამ დროს თბილისში იმყოფებოდა მეფისნაცვლის, დიდი მთავრის, ადიუტანტად. 1863 წ. ოქტომბრის 27-ის წერილით მიხეილმა მიმართა მთავარი შტაბის უფროსს, რათა გიორგი სამსახურიდან დაეთხოვათ მისთვის აფხაზეთის გამგებლობის გადასაცემად. მოტივად მიხეილი თავის მძიმე ავადმყოფობას ასახელეზდა, რომელიც მას საშუალებას ართმევდა საქმეებს სათანადოდ გასძღოლიდა².

მიხეილის ეს წერილი თბილისში გამოიყენეს იმისათვის, რომ სამთავროს გაუქმების საკითხი აღეძრათ. თხოვნაზე მიხეილს ზრდილობიანი უარი უთხრეს: ქვეყნის მმართველობის გიორგისთვის გადაცემა მეფის ნებაყოფლობაზე ჰკიდია, ამას გარდა, გიორგი, თავისი ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო, ამ საქმისთვის უთუოდ ვერ გამოდგებაო³. ამ პასუხის ნამდვილი აზრი მიხეილისათვის გაუგებარი არ დარჩენილა და პროტესტის ნიშნად მან ითხოვა თავისი განთავისუფლება ნამდვილი სამსახურისაგან⁴; მიხეილი გულისხმობდა გენერალ-ადიუტანტის წოდებასა და გენერალ-ლეიტენანტის ხარისხს, რომელნიც მას რუსის მთავრობისაგან ჰქონდა მინიჭებული⁵. ეს მიმართვა გახდა უშუალო საბაბი მოვილის მთავრობისაგან გადაყენებისათვის; მეფისნაცვალმა მიხეილის სურვილი და თავისი მოსაზრებები აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების საჭიროების თაობაზე აცნობა პეტერბურგს, რასაც შემოთალწერილი ამბები მოჰყვა.

¹ საქმე №42. ფ. 127.

² საქმე. № 48, ფფ. 27-28.

³ Письмо ген.-лейт. Карцова кн. Мих. Шервашидзе от 10 дек. 1863 г. საქმე №48. ფფ. 29—30.

⁴ მის. შარვაშიძის წერილი ქუთ. გენ-გუბ. მირსკის, 26 თებ. 1864 წ. საქმე № 48, ფ. 33.

⁵ ასე ესმის მიხეილის წერილი მირსკისაც, საქმე № 48. ფფ. 31-32.

უფრო თვალსაჩინო იყო გიორგის როლი მერმინდელ ამბებში. რუსული მმართველობის დამყარება აფხაზეთში უსისხლოდ მიიწეოდა არ გათავებულა. წელიწად-ნახევარიც არ გასულიყო მიხეილის გაძევებიდან, რომ აფხაზეთში აჯანყებამ იფეთქა. უახლოესი ბიძგი ამ მოძრაობისათვის იყო იმ კომისიის მუშაობა, რომელსაც დავალებული ჰქონდა აფხაზეთის წოდებათა უფლება-მოვალეობის გამოკვლევა. ადმინისტრაციის განცხადება, რომ განზრახულია აფხაზეთშიაც ჩატარებულ იქნას დაქვემდებარებული წოდებების განთავისუფლების რეფორმა და ამ რეფორმის პირობები უკმაყოფილებას იწვევდა ყველა წრეში. კერძოდ, გლეხობა (ანხავე, მოსახლეობის ძირითადი ფენა), აღეშინებოდა იყო იმ ცნობით, რომ მას თავი უნდა დაეხსნა ყოფილი მებატონეებისაგან. ხალხის წარმომადგენლები აცხადებდნენ სრულიად კატეგორიულად, რომ ისინი არაფერს არ გადაიხდიან¹. უკმაყოფილო იყო თავდაზნაურობაც: ოფიციალური ცნობით, აჯანყების მიზეზს სწორედ უმადლესი წოდების უმრავლესობის უკმაყოფილება წარმოადგენდა მტკიცე მმართველობის დამყარების გამო². ყოველ შემთხვევაში, სოციალურ მოტივებს გარდა მოძრაობა ეყრდნობოდა პოლიტიკურსაც.

ადმინისტრაციის მოციქულს შეამბოხებებმა დაავალეს გადაეცა პოლკოვნიკი კონიარისათვის, რომელიც მაშინ აფხაზეთის ადმინისტრაციის სათავეში იდგა, შემდეგი: აფხაზები უკმაყოფილო არიან, რომ მთდა დაუკითხავად გადააყენეს აფხაზეთის მთავარი; რატომ არ ეკითხებიან ხალხს, სურს თუ არა მას, რომ ყოფილი მთავრის მემკვიდრეები დარჩნენ აფხაზეთში, როგორც მემამულეები? ამას გარდა, გამოთქმული ყოფილა მოთხოვნილება მმართველობის ძველი წესის აღდგენისა და მთავრად გიორგი შარვაშიძის დამტკიცების შესახებ³.

¹ ე ს ა ძ ე, გვ. 254, 255.

² «Восстание в Абхазии», газ. «Кавказ», 1866 г. № 68.

³ ე ს ა ძ ე, გვ. 255 — 256. ოფიციალურ ცნობაში აჯანყების აღმოცენებისათვის ერთ-ერთ ხელისშემწყობ გარემოებად დასახელებულია მიხეილის დასაფლავება, რომელზედაც ყველა უკმაყოფილო მოიყარა თავი და რომელმაც ააღელვა ხალხი და აღძრა სინანული წარსულის შესახებო. ვაზ. «Кавказ», 1866, №68.

მოძრაობა დაიწყო სოფ. ბიჭვინტაში, 1866 წ. ივლისის 17-ს და სწრაფად მოედო მთელს ბზიფის ოლქს. ადმინისტრაციის ცდებმა, დაემშვიდებინათ მოსახლეობა, ნაყოფი არ გამოიღო. ვინაიდან იმავე თვის 25-ს დანიშნული იყო მემამბოხეთა ყრილობა, პოლკოვნიკმა კონიარმა გადასწყვიტა განსაკუთრებულ ღონისძიებათა გამოყენება. მთავრის მემკვიდრის გიორგისა და მთავრის ძმის ალექსანდრეს თანხლებით ის ჩავიდა გუდაუთაში და დაიბარა მცხოვრებლები სოფ. ლუხუნში (ლიხნი, მთავრის ყოფილი რეზიდენცია). აფხაზებმა, რომელნიც სრული სალაშქრო წესით გაწყობილნი მოსულიყვნენ, წარუდგინეს კონიარს¹ თავისი მოთხოვნებიანი, — სხვათა შორის ნებართვის მიცემის შესახებ თბილისში დეპუტაციის გასაგზავნად. კონიარმა გადაჭრით უარყო ეს მოთხოვნებიანი და თან გამოაცხადა, რომ საჭიროა ამ ურჩობის მეთაურთა გადასახლება¹. ეს მუქარა იყო ნაპერწკალი, რომელმაც ააფეთქა აღელვებული ხალხის ენერჯია. ოფიციალური ცნობების მიხედვით, შემდეგ მოხდა ასეთი ამბები.

კონიარის განცხადების საპასუხოდ დაიძახეს: „ვისაც ფიცი აქვს დადებული, მოგროვდით“—ო. ატყდა ჩოჩქოლი და ყვირილი. კონიარმა უმჯობესად მიიჩნია მთავრის სასახლეში დამალულიყო, სადაც სხვა რუსის ოფიცრებთან ერთად გადაიკვა იქვე მყოფი აფხაზების ჩოხა. ხალხმა თოფები დაუშინა სასახლეს და ბრძოლა გააჩაღა აგრეთვე ყაზახების ასეულთან, რომელსაც უკანასკნელად ეკლესიისთვის შეეფარებინა თავი. გიორგის, რომელიც სასახლის ფანჯრიდან ცდილობდა ხალხის დაშვიდებას, უყვიროდნენ: „გწყინს განა რომ მამიშენის ქელეხს ვმართავთ!“ შემდეგ სასახლეში მყოფმა სხვა აფხაზებმა სცადეს ასეთი ხერხი: მათ აივნიდან თავში ცემით გამოაცხადეს, გიორგი მოკლულიაო. „რა ვუყოთ, მაგის მამაც ხომ მოკლულია“—ო, იყო პასუხი. მაინც ამ ცნობამ ერთხანს მიაყუჩა ხალხი.

ახალი აღტინება გამოიწვიეს რუსების მიერ მოკლული აფხაზის ნათესავებმა. მემამბოხენი მიყენენ მათ მოწოდებას, აცვივდნენ აივანზე და ყვიროდნენ: „გიორგი, გამოდი, თორემ შენც მოგკლავთ“—ო. გიორგის და ალექსანდრეს გამოსვლამ ხალხს გზა გა-

¹ Дьячков-Тарасов, Абхазия и Сухум в XIX ст., Изв. КОРГО, (Известия кавказского отделения российского географического общества), XX, зр. 186—187,

უხსნა. მოკლულ იქნენ ჩერეპოვი (მოხელე, რომლის უდიერი და შეურაცხყოფელი მოქმედება უმეშვეო საბაბი იყო შეიარაღებული გამოსვლისა), ბზიფის ოლქის უფროსის მოვალეობის აღმასრულებელი იზმაილოვი, სხვა მოხელეები და ყაზახები და დასასრულ, ბუხარში შემძვრალი კონიარიც.

აჯანყებულებმა მიხეილის ქაბუჯი ძე მთავრად გამოაცხადეს: „ეხლა შენ ჩვენი მთავარი ხარ, საითაც წახვალ, წამოგყვებით; საცა შენ, ჩვენც იქ უნდა დავიღუპოთ“-ო, შეპტიცა ხალხმა გიორგის. გააკეთეს სამთავრო დროშა¹. ლაშქარს დაუძახეს ყველა თემიდან: სოხუმის ალება იყო გადაწყვეტილი. აჯანყებულთა მოძრაობა სოხუმისაკენ შეაჩერა ადიდებულმა მღ. გუმსამ. ისინი იძულებული შეიქნენ შორიდან, სოფ. გუმზე, მოევლოთ². ამან საშუალება მისცა ადმინისტრაციას თადარიგი დაეჭირა და სოხუმში დამხმარე ჯარები გამოეწვია. 27-ს ღამით მემამბოხეებმა (რიცხვით 4-დან 5 ათას კაცამდე)³ დაიჭირეს სოხუმის განაპირა ნაწილი და ცეცხლი გააჩინეს ქალაქში. 28-ს მათ ზღვით მოსულმა ჯარმა უკან დაახევინა. 29-ს ბრძოლის ველზე მოვიდნენ გიორგი და მისი ბიძა ალექსანდრე. გიორგის შეხვდნენ როგორც მთავარს; მას ახლდნენ საპატიო თავკაცები და ხალხის მიერ არჩეული, 4 პირისაგან შემდგარი, საბჭო. ჯარი ახალგაზრდა მთავარს უმღეროდა სიმღერას, რომელშიაც შექებული იყო ლუხუნის გმირობა და გიორგის შურისძიება რუსების მიერ მოკლული მამისათვის. 30-ს, გარიჟრაჟზე, აჯანყებულებმა მწყობრად, გაშლილი დროშით და სამხედრო სიმღერით, იერიში მიიტანეს სოხუმის სიმაგრეზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. 5 აგვისტომდე მათი ჯგუფები კიდევ ჩანდა სოხუმს გარშემო. ღამით ისინი უახლოვდებოდნენ პიკეტებსა და სროლას აწარმოებდნენ. თანამედროვე კორესპონდენტი ამბობს, რომ სოხუმში დანგრევას სამხედრო და საკომერციო გემებმა გადაარჩინესო⁴. ახალი ჯარების მოსვლის შემდეგ სოხუმში მემამბოხეები დაი-

¹ წითელი ყუმაშისგან გაკეთებული ნიშანი, ზედ ამოქარგული ხმლით; შემდეგში მეფის ჯარს ჩაუვარდა ხელში. „Сухум-Кале“, газ. „Кавказ“, 1866, №70.

² Дьячков-Тарасов, დასახ. ნაშ., გვ. 188.

³ „Восстание в Абхазии“, газ. «Кавказ», 1866, № 68. Г. М. Шерваშიдзе. Так пишется история, газ. «Завказье», 1910, № 125. უკანასკნელ წერილზე მივვითთვა განსვენებულმა პაულე საყვარელიძემ.

⁴ «Сухум-Кале», газ. «Кавказ», 1866, № 70.

შალენს. ჩაქრობილ იქნა აჯანყება წებელდაშობაც, რომელმაც იფეთქა ლუხუნის ამბებთან ერთად¹. მოსახლეობას იარაღი აპყარეს და რანდენიმე მეთაური აჯანყებისა ხალხის თვალწინ დახვრიტეს². გიორგის პატივი ახადეს და რუსეთში გადაასახლეს³.

* * *

გიორგის ცხოვრების ამ ხანის შესახებ, სამწუხაროდ, შეუძლებელი გახდა დოკუმენტური ცნობების მოპოვება. მისი პირადი არქივი, თუ დაღუპული არ არის, ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა. ილ. ჭყონიას ცნობით, შემდეგში გიორგი მთავრობას შეუწყნარებია. იგი პეტერბურგს დასახლებულა, სადაც მას დიდად დამეგობრებია მეფის ძე, შემდეგ თვით გამეფებული ალექსანდრე (მესამე). ახალგაზრდა, ლამაზ, ჭკვიან გიორგის აქ ბრწყინვალე კარიერა ელოდა. ასეთი წარჩინებისათვის თავს დასდებდა მისი წრის უდიდესი ნაწილი⁴. გიორგი მაინც სტოვებს სამეფო კარს და საქართველოში ბრუნდება. ეს იმ დროს ხდება, როცა გიორგი უკვე მომწიფებულია სულიერად. ჩვეულებრივად ის ქუთაისში ცხოვრობს. ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ერთი ფაქტი მას გარეგნულადაც აწყვეტილებს კავშირს უმაღლესს ოფიციალურ წრეებთან: იმპერატორ ალექსანდრე მესამის ქუთაისში ჩამოსვლის დღისათვის გუბერნატორმა წინადადება მისცა გიორგის, ნიკო ნიკოლაძესა და სხვა არაკეთილსაიმედო პირებთან ერთად, გასცლო-

¹ Газ. «Кавказ», 1868, № 68.

² Дьячков-Тарасов, დასახ. ნაშ., გვ. 190.

³ აჯანყების მსვლელობის საყურადღებო დეტალები, ზეპირგადმოცემით შენახული, იხ. თედო სახოკიას წერილებში: „აფხაზეთი“ (მგზავრის შენიშვნები). „სოხუმიდან გაგრამდე“, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, 18. XI. აგრეთვე ილ. ჭყონია, აფხაზეთის მთავრის მემკვიდრის გ. შარვაშიძის გარდაცვალების გამო. ეს წერილი დაბეჭდილი იყო ერთ-ერთ ქართულ გაზეთში, რომელიც ამჟამად ხელთ არა გვაქვს. ჩვენ ვსარგებლობდით ამ წერილის ნაკლებული შავით, რომელიც გადმოგვცა ავტორის ქვრივმა ან. ჭყონიამ.

⁴ გიორგის ნათესავი, სამთავრო სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენელი, გ. დ. შარვაშიძე, მაგალითად, იყო პოფმაისტერი და ყველაზე დაახლოებული პირი ალექსანდრე მესამის ქვრივის, იმპერატრიცა მარიამისა.

და ამ ქალაქს. საპასუხოდ, გიორგიმ დემონსტრაციულად უარი განაცხადა ფლიგელ-ადიუტანტობაზე, უმაღლეს საკარისკაცო ტიტულზე, რომელიც მას მეფისგან ჰქონდა მინიჭებული. ეს მთავრობისათვის ომის გამოცხადებას უდრიდა, რაც რუსეთის ოლიგარქიასთან გიორგის ურთიერთობის სრული გაწყვეტით დამთავრდა.

გიორგის უმცროსი თანამედროვე და პირადად მცნობი ერთი პირი ამბობს: „გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ერთადერთი გამონაკლისი მაგალითი იყო მთელ ჩვენ საკმაოდ მრავალრიცხოვან მთავრების მემკვიდრეთა და უმაღლეს არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელმაც ქედი არ მოიხარა, მცირედნადაც არ დაიმცირა ღირსება თავის ერის მჩაგვრელ, თავის ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე; დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა მისი დროის და მისი წრის ოჯახობა დიდ ბედნიერებად და საოცნებო ნეტარებად სთვლიდა იმ ჯილდო-წარჩინებას, რომელსაც გიორგი ზიზლით უარყოფდა. ვინ არ იცის, თუ რამდენი მსხვერპლით და ტანჯვა-წვალებით მიისწრაფოდნენ ყველა ჩვენი არისტოკრატიის წევრნი სასახლის ყურადღება-წყალობის დამსახურებისაკენ, გიორგის კი ყმაწვილობიდან ეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა“¹... სამაგიეროდ, გიორგი შესაბამისად შევიწროებულია. იმავე ცნობით, გიორგის „ორი ქცევა მიწა ენატრებოდა თავის ქვეყანაში“ (მიხეილის მემკვიდრეებს მთელი მამული ჰქონდათ ჩამორთმეული მთავრობისაგან), მაშინ როცა მოხსენებული პოფმაისტერი გ. დ. შარვაშიძე უშველებელი მაიორატის მფლობელი იყო აფხაზეთში. გიორგის აგრეთვე „აღკრძალული ჰქონდა თავის სამშობლოში — აფხაზეთში ხანგრძლივი ცხოვრება, მხოლოდ 1905 წლის შეკვეცილ უფლებათა მოპოვების შემდეგ შესძლო დაუბრკოლებლად აქ ცხოვრება“². მიუხედავად ამისა, იგი სამარის კარამდე შერჩა თავის კეთილშობილსა და ამაყ პოზიციას.

¹ სიტყვა წარმოთქმული გ. შარვაშიძის დასაფლავებაზე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, № 10.

² იქვე, გ. შარვაშიძე თვითონ ამბობს, რომ რუსის მთავრობამ „მორალურად და მატერიალურად გაანიავა“ მისი ოჯახი: «Так пишется история», газ. «Закавказье», 1910, № 125.

თვალსაჩინოა, რომ გიორგი შარვაშიძე მთელი თავისი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროს უკავშირდება. სანიმუშოდ მოვიტანთ ნაწყვეტს ერთი მისი წერილიდან: „მართალია, ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს უკმს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიად, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბალის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუქებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარებით, მივიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა! შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსება. შემოსეული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა. ენა გაუარებდა, ზნეობა წაგვიხდა, ქონება — შეძლება დაკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვალწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობასა ვპოვნიდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში!“... „ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუწულ ხალხისა, ხელთგულდაკრეფილი, იდგა საფლავებზე თავის დავიწყებული, დამარხული დიდებისა, დღეს, უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა! დაჰკრა საქართველომ ნალარა, დაჰკივლა ვაშა, ვაშა!“ შემდეგ ავტორი ეკამათება იმათ, ვინც ეწინააღმდეგება საქართველოს ავტონომიის იდეას „ბრწყინვალე მზეს ერის განთავისუფლებისა, გამოცოცხლებისა“-ს! ეს შეგნება არის გიორგის მოქალაქეობრივი პიროვნების საძირკველი.

ამავე მოვლენის მეორე მხარეა ის ფაქტი, რომ გიორგი ქართული სიტყვის კულტურას ემსახურება.

ქართული ენა გიორგისათვის არის არა მარტო კულტურის

¹ გაზ. „საქართველო“, 1917, № 137, 140.

მთავარი იარაღი, არამედ სიყვარულის განსაკუთრებული საგანც. ის მტკივნეულად განიცდის ქართული ენის ინტერესებს და მძაფრი მოშურნეობით ზრუნავს მისი სიწმინდის დაცვისათვის. ამასთანავე გიორგი ამჟღავნებს თავის კუთვნილებას გარკვეული ქართული სამწიგნობრო სკოლისადმი, რომლის პრინციპების შეგნებულ დამცველად გამოდის. ამ მხრით საინტერესოა გიორგის ერთი წერილი: „ქართული ენის გარშემო“, რომელიც გამოწვეული ყოფილა „ქართული მართლმწერლობის კომისიის“ შედგენით. ავტორს „გული არ უთმენს“ ამ საკითხების გამო საზოგადოებას არ მიმართოს. მოციტანთ ნაწყვეტებს:

...„პირველადვე, ეს სახელი „მართლმწერლობა“ (правописание) ქართულს დაჩვეულ სმენას ეჩოთირება. ამ ორთა შეერთებულ სიტყვაში 14 ასო შედის, რომელთა შორის უხმონი არიან ცხრა და ამა უხმოთა ერთმანეთთან გადაბმა შეჰქმნის რაღაცა ბრგუ გამოთქმას, რომელიც ეწინააღმდეგება ქართულს მუსიკალურ ენას. მე ვფიქრობ, რომ კი მოიძებნებოდა უკეთ მოხდენილი სიტყვა, და სანამ ახალს მოიგონებდენ საჭირო იყო დიდი ძიება, ვინაიდან საეჭვოა, რომ აქამომდე ქართველ ერსა და მწიგნობართა არ ჰქონოდათ ტერმინი დამახასიათებელი უმცდარი წერისა. კიდევ მეორე ამგვარივე სიტყვაა შენოლებული ჩვენ მწერლობაში; ეს სიტყვა არის „სოფლმხედველობა“. ესეც ხომ, როგორც პირველი, პირდაპირ რუსულიდან არის ნათარგმნი, „мировоззрение“. აქვე, არა თუ შეიძლებოდა უკეთესი თარგმნა, სრულიადაც არ სჭიროდა ქართულს ამ ტერმინის ხმარება; სულ სხვანაირად შეიძლებოდა გამოყენებულ მოფიქრებათა გადმთცემა. მაგალითად, ფრანგულ ენაში არ არსებობს [ეს] ტერმინი... და იტყვიან მხოლოდ: „la contemplation du monde“ ანუ „l'idée universelle“ — სახელდობრ, ამა და ამ კაცისაო... ყოველს ენას მიჰნიჭებია თავისი, ასე ვთქვათ, ჯიშური თვისება. თუმცადა შეიძლება, მიუხედავად ამისა, უფრო-რე განვითარება ენისა, შესაბამად დროთა პროგრესისა, მაგრამ ამას დიდის ზოწიწებით, ცოდნით და სიფაქიზით სჭირია ზოპყრობა, რათა¹ არ გაირყვნას ჯიშური თვისება ენისა. ხოლო სხვათა ენიდან უხეშად თარგმნა სიტყვისა და მიბაძვით გადმოლაგება.

¹ ტექსტში შეცდომით: „ვინაიდან“.

სხვათა გონებრივი ვინაობისა, — შეადგენს სამშობლო ენას გადავარებისადმი მისწრაფებას. გარდა ამისა, ბევრი საბუთებია ენის გარყენისა. ჩვენს მწერლობაში გაუქმებული ქართული ასოები: *ც*, *ჟ*, *ჰ*, *ჭ*. *ც* საჭიროა ზოგან სიტყვების წესიერ გამოთქმისათვის, მაგ.: თქუნ, ჩუნ, ქუჭყანა... და სხვ. ამის მაგიერ ახლა ვწერთ ვენ-ს. გამოთქმაში ქართული ნაზი კილო იკარგება და გამოდის *тквен*, *чвен* და სხვა... მეორე ასო *ჟ* შესცვალეს ვი-ზე. წინეთ სწერდენ: შენთჟ, ჩემთჟ, ტჟრთი, ზჟრთი და სხვ. ახლანდელ გამოთქმაში კი ისმის: *шентвис*, *твирти* და სხ. ასე *ჟ* ქართულში ფრანგულ *u*-ს მაგიერობას ეწევა. ვთქვათ სიტყვა „კჟრა“. ეს დაიწერება ფრანგულად მშვენიერი ქართული გამოთქმით — *кѳра*, ხოლო რუსულად კი დაიწერება *квирა*, ე. ი. იმ გამოთქმით, როგორაც ახლა ჩვენც ვხმარობთ. რუსულს ენაზე გამოზრდილი ყურისთვის ამნაირი გამოთქმის შეცვლა დიდს განსხვავებას არ შეადგენს, მაგრამ ნება გვაქვს ვიკითხოთ, რა გაჭირვებამ აიძულა ის პირები, რომლებმაც შესცვალეს და გადაჰყარეს ქართული ასოები? ალბად იმისთვის, რომ მოზარდ ყრმათა გაუადვილდეს ორთოგრაფიის შესწავლა! მაგრამ ეს მოსაზრება ყოვლად შეუწყნარებელია, ყრმათა ცოდნის გასაადვილებლად მცოდნენიც უვიცობაზედ დავაყენოთ! რაც უნდა მიზეზი ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, ერთობ დიდი თავხედობაა ვინმემ, ან რამდენიმე პირმა, — აიღონ და გააუქმონ ათასი წლის წეს-კანონი მწერლობისა... ამ ასოებს გარდა ავტორს საჭიროდ მიაჩნია *ძ*-ც, საბასულხანსაც აქვს ის ნახმარი და ამას გარდა საჭიროა უცხო სიტყვების დასაწერადო. „ამას უნდა დაუმატოთ, რომ ახალ მწერლობაში ხმარობენ ყოვლად უსაჭიროდ გამოგონილს და, ნურას უკაცრავად, — სმენისათვის უშვერ სიტყვებს, მაშინ, როდესაც ეს სიტყვები ძლიერ საღად არსებობენ ქართულში. რას ნიშნავს ამნაირი მოვლენა? უმეცრებაა, თუ ფუტურისმი?... (უცხო სიტყვებს და ტერმინებსაც) უნდა მივმართოთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ როცა დასტურ ქართულად არ ითქმება აზრისა შინაარსი, ახლა კი წამდაუწუმ ხმარობენ უცხო სიტყვებს, თითქოს ამით მკვეხრობენ „დახე რა ნასწავლი ვარო!“ ქართული გაზეთები გაუღენთილია კუბატსავით უცხო სიტყვებით. ხშირად შეხვდებით ისეთს სიტყვათმეწყობას, რომელშიაც შვიდს სიტყვაში ოთხი არ არის ქართული! აბა რა უნდა გაიგოს სოფლის კაცმა, ვისაც გარე-

შე ენები არ უსწავლია? ამასთან კიდეც, რასაცა წმინდა ქართულად იტყვიან, ამათშიაც აუარებელი შეცდომებია ზოგი ღრამატიკული და ზოგიც ორთოგრაფიული... ენის გარდაკეთებას თავი უნდა დავანებოთ! დიად, საჭიროა ვეცადოთ ჩვენს ენას შევსძინოთ, გავამდიდროთ და არა გარდავაშენოთ, გარდავაგვაროთ. სამწუხაროდ, ერთი რამ თვისება ჩვენი უნდა აღვიაროთ: ყოველ დროსა ჩანს ყოფილან ისეთი ვინმეები, რომელნიც ჰვიქრობდენ „ჩემი სჯობსო“ და „უცილობლობდენ ვითა ჯორი“. მაგალ.: „გეფხისტყაოსანი“ ოლიერ გარყვნილია უცნობი ვინმეების ჩამატებული ლექსებით და დიდი შრომა დასჭირდათ შემდეგ, რომ ეს უკვდავი თხზულება ყალბისაგან განეწმინდათ. დღესაც, შეგვიძლიან კი დასაბუთებით დავრწმუნდეთ, რომ უმცდარადაა იგი ახალს გამოცემებში? შემდეგ, ჩვენ დროშიც, ამ დიდებული მწერალის სურათიც კი გამოიგონეს, მაგრამ ეს კი არაა საკვირველი, რომ უმეცარს ვინმეს განუზრახავს რუსთველი წარმოედგინა ჩვენი დროის სამოსელით და მის ყიზილბაშურ ქუდში კალამი გარკობილი. საკვირველი ის არის, რომ ქართველ საზოგადოებამ მიიღო ის როგორც ნამდვილი სურათი და გაავრცელეს კიდეც! ამგვარი მოვლენა სამწუხარო ნიშნებია და თუ ქართველი ერი მთლად არ გარდაშენდა, — შთამოება და მომავალი ჩასთვლის ჩვენს დროს გონების უმწიფარ ხანად!... თქმა არ უნდა, ბევრი რამ ამ მსჯელობაში შემეცდარია და მიუღებელი ჩვენთვის. ყოველივე ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორის განწყობილებასა და ლიტერატურულ აღზრდას ახასიათებს.

ამ დამოკიდებულებას ქართული ენისადმი კვებავდა ის ღრმა ცოდნაც ძველი და ახალი ქართული მწერლობისა, რომელიც გიორგის ჰქონდა. ერთი ჩვენებით, რომელიც პირადი ურთიერთობიდან მიღებულ შთაბეჭდილებას ემყარება, გიორგი ზედმიწევნით იცნობდა რუსთაველს¹.

ეს კულტურული ორიენტაცია სრულიად არ ნიშნავდა მშობლიურ ბუდეზე, მოწყვეტას. „ქვეყანა მისი მშობელი“ თავისი ადგილობრივი სპეციფიკურობით გიორგი შარვაშიძეს მართლაც ღრმა სიყვარულით უყვარდა. განსვენებულმა კონსტანტინე ერისთავმა,

¹ გაზ. „საქართველო“, 1915, № 169.

² „გიორგი შარვაშიძე“, გაზ. „საქართველო“, 1918, № 45.

გიორგის მეგობარმა, გვიამბო, რომ როცა გიორგი ქუთაისში ცხოვრობდა, ზაფხულობით ის ხშირად მიდიოდა აფხაზეთში. გამოეწყობოდა ჩოხით და მთელ აფხაზეთს მოივლიდა ისე, რომ კუნტულს არ დატოვებდა დაუთვალეირებელს, მთაში და ბარში, გზაზე თუ გზის გადაღმა. ასეთი ხეტიალისაგან სამოსშემოდრცენილი ბრუნდებოდა უკანაო. ცნობილია მისი პუბლიცისტური გამოსვლები აფხაზეთის ისტორიისა და მიმდინარე ცხოვრების საკითხების გარშემო ადგილობრივსა და საზღვარგარეთულ პრესაში¹. გიორგი შესანიშნავი მცოდნე იყო არა მარტო აფხაზეთის წარსულისა და აწმყოსი, არამედ თვით აფხაზური ენისაც. ასე ეხლა არავინ ლაპარაკობს აფხაზურსო, ამბობენ მის შესახებ აფხაზეთში². მშობლიური თავისებურების დიდი გრძნობის წიაღში შეიძლებოდა მხოლოდ დაბადებულიყო ისეთი შედეგრი, როგორიცაა მისი „აფხაზური სიმღერა“ — უშინაგანესი ლირიკული მღელვარების პოეტური შენივთება:

განგებავ! ამას ნუ მიწყენ
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავილულუნო
მამაპაპური ვარადა.

იგი ღულუნი — სიმღერა
არ არის გასახარადა,
ის არის მძიმე მოთხრობა
გულისა სატკივარადა.

ისა ჰგავს დედის საფლავზედ
ობლისა მოთქმას მწარადა,
კენესის და კენესის, ქვითინებს
მტირალის ჩვილის გვარადა.

¹ იხ. მაგ. გ. შარვაშიძის ზემოთდასახელებული წერილი, აგრეთვე, შ. დ. ა. დ. ა. ი. გ. შარვაშიძე, ვაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 47.

² ასეთი აზრი ავტორის გაუგონია თავის მამისა, კიკინ და მიხეილ მარლან-ებისა, ა. ჭოქუასა, ბესლან ხვარცკიასა და სხვა აფხაზეთისაგან, რომელნიც პირადად იცნობდნენ გ. შ-ძეს.

³ „ვარადა“ ჩერქეზული სიტყვაა, სადაც „სიმღერა“-ს ნიშნავს. როგორც თვით ჩერქეზულში, ისე აფხაზურში, მეგრულში და ზოგიერთ სხვა კავკასიურ ენაში „ვარადა“ (ჩერქ. უარად) არის ყველაზე გავრცელებული სასიმღერო რეფრენი. ზოგჯერ კიდევ იგი სიმღერის სიტყვიერი ტექსტის ერთადერთ მასალას წარმოადგენს.

უბნობს თუ ვითა ცხოვრება
ითასის წლისა წყნარადა
ერთბაშად, ერთის მობერკით
სულ წარხვეტილა ქარადა!

ზოგჯერ გიჟურად შეჰკივლენს
ბედისა სამუქარადა.
ეტყვის: მარტოკა დამაგდე
ნაწყვეტად, ნაოხარადა;

მიკვირს საწუთროს ვნებანი
ვის ჰფხვრიან, ვის სახმარადა
და მსგავსსა ზოროტებასა
ყურსა არ უგდებს ცა რადა!

განგებაჲ! გვედრებ ნუ მიჰყენ,
თუ რომ შეგჩივი მარადა,
ხანდისხან დავილუღუნო
ვაი და ვაი ვარადა!

თავის კუთხესა და ტომთან კავშირი გადასკვნილი იყო გ. შარვაშიძეში ხალხთან სიახლოესა და დემოკრატიულობაზე. მის სადარბაზო ბარათზე მარტივად არის ქართულად აღნიშნული: „გიორგი შარვაშიძე“, — არც ტიტულები, არც გვირგვინები — ჩვეულებრივი ბუტაფორია. ის იყო რაინდი, რომელიც ებრძოდა არა მარტო ეროვნულსა და პოლიტიკურს, არამედ სოციალურ უსამართლობასაც, ელინისა და ბარბაროსის განურჩევლად. სომხური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „პაქარი“ თავის დროზე მაღლიერებით აღნიშნავდა, რომ 1904 წელს გ. შარვაშიძე გამოვიდა აფხაზეთში მცხოვრებ სომეხ კოლონისტთა დამცველად აღვირახსნილი რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ. წერილის ავტორი, გაზეთის კორესპონდენტი აფხაზეთიდან, ამ ფაქტს ასახელებდა როგორც ნიშანს აფხაზი ხალხის კეთილგანწყობილებისას სომეხ მეზობლებისადმი¹.

გიორგის პოლიტიკური განწყობილება კარგად ჰქვივის ერთს მის კერძო წერილში, რომელიც გაგზავნილია სოხუმიდან ოდესაში 1913 წლის 9 ნოემბერს გიორგის ცოლის ნათესავისადმი. აქ, სხვათა

¹ გაზ. „პათარი“, 1916, № 6, 8; გაზ. „საქართველო“, 1916, № 43.

შორის, ვკითხულობთ: „Прочитал в газетах, что жалоба Кости оставлена Сенатом без последствий. Это, вероятно, очень его огорчает! А по мне, на такое необдуманное постановление совершенно следует начихать! Впрочем ты, как ярая монархистка, вероятно относишься также и к решениям Сената почтительно!.. Интересно знать, каких взглядов будет Ваша Варя; нынче у детей весьма разнообразные взгляды“... ხოლო გიორგის დამოკიდებულება რელიგიისადმი ჩანს იმავე კორესპონდენტისადმი და დაახლოებით იმავე ხანებში მიწერილი მეორე წერილის სიტყვებიდან: „Воскрес Христос или нет (წერილი აღდგომის დღეებშია დაწერილი, ს. ჯ.), мне это совершенно все равно! О, если бы я верил в это воскресение, я бы так молился, что бог подарил бы мне её жизнь“ (საუბარია გიორგის ახლად გარდაცვლილ ცოლზე)¹.

• •

ეხლა შეგვიძლია დავსვათ საკითხიც გიორგი შარვაშიძის თვით-ცნობიერებისა, მისი მოქალაქეობრივი მრწამსისა და კულტურულ-პოლიტიკურ შეხედულებათა წარმოშობის შესახებ. ზემოთაღნიშნული ფაქტები უკვე მიუთითებს ნაწილობრივ ამ ელემენტების სათავეებისაკენ, რომელთაც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს ისტორიული და თანამედროვე პირობებისა და კულტურული წრის შემდგომი შესწავლა.

თავის დროისა და წრისათვის გიორგი დიდად განათლებულ კაცად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ არ ვიცით, რომელი ოფიციალური სკოლა განვლო გიორგიმ. შემდეგში ის რამდენიმეგზის ევროპაშიც ყოფილა. ამის შედეგი, სხვათა შორის, დასავლურ-ევროპული ენების საუცხოო ცოდნა იყო. რუსულის გარდა, ზემოთგამოყენებული ცნობით, მან იცოდა ფრანგული (განსაკუთრებით), ინგლისური, გერმანული და უყვარდა ალფრედ დემიუსესა და ვიქტორ ჰიუგოს ლექსების ზეპირად წარმოთქმა (ფრანგულად)². ქართულ-

¹ წერილები დატულია საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის წიგნთ-საცავში.

² დასახელ. წერილი, გაზ. „საქართველო“, 1918, № 45.

თან ერთად მან მშვენივრად იცოდა მეგრულიც¹, და როგორც გიორგისავე წერილებიდან ჩანს, ლათინურიც. თუ აფხაზურ ენასაც მოვიგონებთ, იგი ნამდვილ პოლიგლოტად წარმოგვიდგება.

მისივე ნაწერებიდან დიდი ნაკითხობა და საერთო ცოდნაც ჩანს. ერთი სიტყვით, გიორგი დასრულებული ევროპული განათლებით არის აღჭურვილი, მაგრამ ამ განათლების საფუძველი შინაური ქართული მწიგნობრული აღზრდაა. ამ მხრით ის იმ ქართულ თაობას ეკუთვნის, რომლისთვისაც ჯერ კიდევ ოჯახია პირველდაწყებითი სასწავლებელი, ხოლო მასწავლებელი — დედა, ან სხვა ახლობელი ქალი. ამ თაობის კაცი შინაური მომზადებით შემდეგ რუსულ სკოლაში მიდის, მაგრამ მას თან მიაქვს გარკვეული ჩვევები, სიმპათიები, ცოდნა, თავისებური შეხედულებანი, რომელნიც მსოფლმხედველობის წარმოქმნისას თავის საპატიო როლს ითამაშებენ და დასასრულ, ყველაზე ტკბილი და ყველაზე დაუვიწყარი, დედის დარიგება, რომელიც, გიორგისავე სწორის, გ. ჭაღალიძის, სიტყვით რომ ვთქვათ, ჩვეულებრივად შემდეგში მდგომარეობდა: „მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო, არ დაივიწყო სამშობლო ენა... თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“... ენასთან ერთად მშობლიური მიწის სიყვარულსაც აბარებდნენ: „შენს მოძმეთ შორის და შენს მიწაზე გერჩიოს იყო შენ დამარხული: ტანი უსულო და უგრძნობარე თუგინდ შინ იყოს და თუნდა გარე, მაგრამ როგორღაც, დედაშვილობამ, სანატრელია სამშობლო მხარე“...

როცა დიმიტრი ყიფიანს პირველად უნახავს პატარა გიორგი, უკანასკნელის დედას, ალექსანდრას, მისთვის უთქვამს: გიორგი ქართულად უკვე თავისუფლად კითხულობს და წერს, რუსულ წერაკითხვას კი ჯერჯერობით ერთი აქაური კაცი ასწავლისო². საფიქრებელია, გიორგის ქართული ენის მასწავლებლები დედამისი და მისივე პაპიდა, ალიბეგ შარვაშიძის ცოლი, კესარია უნდა ყოფილიყვნენ. მათგან უნდა შეეთვისებინა გიორგის არა მარტო

¹ დასახელ. წერილი, ვახ. „საქართველო“, 1918, № 45.

² დ. ყიფიანის დასახელ. მოხსენება, ფფ. 38-39. ამ დროს გიორგი, ყიფიანის სიტყვით, 9 წლისა უნდა ყოფილიყო. როცა 10 წლის გამხდარა, ის მამას ქუთ. გენ.-გუბ. გაგარინის ოჯახში მიუცია, სადაც მისთვის კერძო მასწავლებლები მიუჩენიათ. К. А. Б о р о з д и и, Закавказские воспоминания, გვ. 250—251.

წერა-კითხვა, არამედ ქართული მწერლობის ცოდნა და ლიტერატურული ნორმების განსაზღვრული სისტემაც. ეს ქალები გიორგის აკავშირებდნენ მეტად კულტურულ ოჯახთან, რომლის შესახებაც ჭკემოთ ვისაუბრებთ. ამ მხრიდან მომავალი გავლენა მით უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, რომ ის ერწყმოდა თანაგვარს კულტურულ ტრადიციებს, რომელნიც დროთა შორეთიდან მამის ოჯახში იყრიდნენ თავს.

საერთოდ, ტრადიციული მომენტი მეტად თვალსაჩინოა გიორგის არსებაში, როგორც ამას მისი დამკვირვებელნი (ილ. ჭყონია, შალვა დადიანი და სხვანი) აღნიშნავენ. უკანასკნელთა ყურადღებას იპყრობს, მაგ., ფაქტი, რომ თავის თანამედროვეთათვის გიორგი იყო *elegantiae arbiter*, რომლის მოქცევისა და ზრდილობის ძველებურ წესებს სავალდებულო ნიმუშად სთვლიდნენ. ფიზიკურადაც ის საუკეთესო ტიპი იყო თავისი რასის საყოველთაოდ განთქმულ სილამაზისა. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი, ცნობილი მხატვარი ზ ი ჩ ი გიორგის თურმე ულამაზეს კაცად სთვლიდა და ტარიელის ხორციელი განპიროვნებისათვის უფრო შესაფერ ობიექტს ვერ პოულობდა (ილ. ჭყონია, შ. დადიანი).

მივყვეთ ამ ტრადიციების სადინარს და გავითვალისწინოთ მათი სათავეები ისტორიულ გარემოსთან ერთად.

* * *

აფხაზთა ტომი ისტორიულ სარბიელზე ქრისტიანული წელთაღრიცხვის დამდეგს გამოდის, მაგრამ განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს მერვე საუკუნიდან, როცა აფხაზთა სამეფო არსდება. ეს სამეფო შეუჩერებლად ვითარდება და მეთათე საუკუნის შუაწლებისათვის მას უჭირავს არა მარტო მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილიც. შემდეგში ის დანარჩენ ქართულ სამთავროებთან ერთად შეადგენს საქართველოს ფეოდალურ მონარქიას და მთლიანად არის მოქცეული ქართული კულტურის წრეში. მაგრამ ამას გარდა ირკვევა, რომ უკვე აფხაზთა სამეფოშიც, ყოველ შემთხვევაში მეცხრე საუ-

კუნის მეორე ნახევრიდან, სახელმწიფოს, მწიგნობრობისა და ეკლესიის ენა არის ქართული¹.

ქართულ ენას ეს როლი არ დაუკარგავს მაშინაც, როდესაც, საქართველოს სამეფოს დარღვევის შემდეგ, წარმოიშვა აფხაზეთის სამთავრო, განკერძოებული პოლიტიკური ცხოვრების მატარებელი. ეკლესიურად აფხაზეთი უკანასკნელ ხანამდე იმერეთ-სამეგრელო-გურიასთან ერთად ერთ მთლიანობას შეადგენდა, ერთი საეკლესიო (ქართული) ენით. ქართულივე არის სამთავრო დაწესებულებათა და, საზოგადოდ, მწიგნობრობის ენა. სამწუხაროდ, სათანადო მასალები თითქმის სავსებით განადგურებულია. მოღწეული ნაწყვეტები ამ დასკვნას, რომელიც ისტორიული პირობების გათვალისწინების ნიადაგზე თავისთავად სავალდებულო ხდება, სავსებით ითანხმება². თვით მეცხრამეტე საუკუნეში, როგორც ეს ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი, აფხაზეთის მთავრის კანცელარია ქართულად მუშაობს, რუსული ოფიციალური ცნობებითაც, უკანასკნელი მთავარი მიხეილი კავკასიის მმართველობასა და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ქართულად მიმართავს. დაცულია მიხეილის ამ ქართული საბუთების რამდენიმე. დედანიც³.

ქართული ენის ცოდნა, ჩანს, საერთოდ გავრცელებული ყოფილა აფხაზეთში: 1714 წ. სულხან-საბა ორბელიანმა კუნძ. მალთაზე (ხმელთაშუა ზღვაში) საქართველოდან დიდი ხნის წინათ გატაცებულ სხვა ტყვეთა შორის, აფხაზიც ნახა და გაკვირვებით აღნიშნა: „აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული“-ო⁴, საზოგა-

¹ ავტორს ამ საკითხისათვის სპეციალური გამოკვლევა აქვს მიძღვნილი. იხ. საქ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ბის 1928 წ. 28 დეკ. კრების ოქმი № 272.

² იხ., მაგალითად, ყვაპუ შარვაშიძისა და მისი ძმის ქერეჯიმის დოკუმენტი XVII ს. მეორე ნახევრისა. საბუთი ნაწილობრივ თვით ყვაპუს ხელით არის დაწერილი; სოლომონ, არზაყან, საუსტან შარვაშიძეების მინაწერები ბიჭვინტის ერთ ხელნაწერზე. Brosset, Voyage arch., VIII rapp., p. 132—133, და სხვა. აგრეთვე ლუხენის (ლიხნის) წარწერა მხედრელი, ვერცხლის ფეშხუშზე, რომელიც იხსენიებს სოლომონ შარვაშიძესა და მის შვილს არზაყანს. იხ. თ. სახოკიას ზემოდასახელებული წერილი. „ცნობის ფურცელი“, 1903, 11-XII.

³ AKAK, XI, გვ. 46; საქ. ცენტრარქივი, განსაკ. მნიშვნ. საქმ. ფ. №41, ფ. 3, ფფ. 128—129; № 42, ფფ. 45—50; ფფ. 148—149; ფ. 175; ფფ. 188—193 b; № 48. ფ. 133.

⁴ საბას ევროპაში მოგზაურობის აღწერილობა, უურნ. „ცისკარი“, 1852, № 4, გვ. 61.

დოდ, შესამჩნევია, რომ პერიფერიის კულტურულ კავშირს ცენტრთან იმ ხანებში თვით ცენტრში ნაკლებ გრძნობდნენ, ვიდრე ამ განაპირა კუთხეებში.

ქართულის ცოდნა, რა თქმა უნდა, უმთავრესად თავად-აზნაურობას ახასიათებდა, იმიტომ რომ ქართული იყო კულტურის ენა, კულტურა კიდევ ფეოდალური საზოგადოების პირობებში უპირატესად უმაღლესი წრეებისათვის არის მისაწვდომი. ბატონიშვილი ვახუშტი იმავე საუკუნის შუაწლებში წერდა აფხაზების შესახებ: „ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“-ო¹. რუსი მკვლევარი ს ე ლ ე ზ ნ ე ვ ი, რომელიც 1841 წ. იყო აფხაზეთში, წერს, რომ ამ წრის წარმომადგენელმა ბევრმა იცის ქართული და ოსმალური წერა-კითხვა² (ოსმალურმა მოიპოვა ერთგვარი გავლენა აფხაზეთში მაჰმადიანობის გავრცელებასთან ერთად მეთვრამეტე საუკუნეში). ამავე კატეგორიას ეკუთვნის ის ფაქტი, რომ ჩვენს საუკუნეშიაც აქაურ თავადაზნაურთა ოჯახებში ბავშვი დედას ქართულად მიმართავდა („დედა!“).

ეს ტრადიციები, ცხადია, თვით შარვაშიძეების სამთავრო სახელში უნდა ყოფილიყო ყველაზე უკეთ დაცული. შარვაშიძეების გვარი ძალიან ძველია. მის წარმოშობასა და თვით გვარისსახელს თქმულება შარვანშაჰებს უკავშირებს³. როგორც არ უნდა იყოს, უკვე თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი იხსენიებს აფხაზეთის ერისთავს დოთალო შარვაშისძეს. რუმის სულტნის ყიასდინის ჯარების მთავარსარდლადაც მონღოლთა წინააღმდეგ დასახელებულია „შარვაშისძე აფხაზი დარდინ“. შემდეგ საუკუნეებშიაც აფხაზეთის მთავრებად შარვაშიძეები ჩანან.

მაგრამ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მერმინდელი შარვაშიძეები გენეალოგიურად არ იყვნენ დაკავშირებულნი ამ გვარისსახელის

¹ საქ. გეოგრაფია. მ. ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 314.

² М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, кн. II, стр. 206, СПб., 1847.

³ ისტორიული მოსაზრებებით უნდა უარყოფთ აკად. ნ. მარის ქუაშაზვილი მტკიცება (Житие св. Григория Хандзтийского, LVII), რომ ვ. მერჩულის თხზულებით ცნობილის, მეცხრე ს-ის პირის, ბაგრატ შაროელი ხელმწიფის, სადაურობის სახელი (მაროელი) შეიძლება უდრიდეს შარვაშისძეს. თვით ფორმა გვარისა (მეგრულად-შარაშია) გარკვეულ კულტურულ გავლენას უჩვენებს, ისე როგორც სხვა აფხაზური საგვარეულოს სახელები (ანჩაბაძე, მარშანია და სხვ.).

უძველეს მატარებლებთან. ფეოდალური ძალმომრეობის ხანაში ზაგსაკვირი იქნებოდა, რომ მთავრის უფლება ერთი საგვარეულოდან მეორეში გადასულიყო თვით „შარვაშიძის“ გვარისსახელთან ერთად, რომელსაც ამ შემთხვევაში სამთავრო ტიტულის მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ მოვლენას მეზობელ სამეგრელოშიაც ვხვდებით, სადაც გვარისსახელი „დადიანი“ ოდიშის მფლობელის წოდებად იქცა და სადაც დადიანობას სხვადასხვა გვარი ითვისებდა სხვადასხვა დროს (უკანასკნელი დადიანები ჩიქვანთა საგვარეულოდან არიან).

თვით აფხაზებში ფორმა „შარვაშიძე“ სრულიად უხმარებელია: ადგილობრივ ეს საგვარეულო ჩ ა ჩ ის (||ჩაჩბა) სახელით არის ცნობილი. და თუმცა აფხაზურს ძირების უაღრესი გაცვეთა სჩვევია, მაინც აფხაზური ფორმა ქართულს იმდენად არის დაშორებული, რომ შესაძლებელია ეს სახელები სხვადასხვა წარმოშობისაც იყოს. აფხაზეთის უკანასკნელ მფლობელთა ნამდვილი საგვარეულო სახელწოდების შესახებ ხსოვნის შენარჩუნება ადგილობრივ იმიტომაც უნდა ყოფილიყო ადვილი, რომ მთავრის უფლების აღსანიშნავად აფხაზურში არსებობდა და იხმარებოდა სპეციალური ტერმინი (აპ-მთავარი, აპრა-მთავრობა). თან ისიც საგულგებელი ხდება, რომ ჩაჩბებზე აღრე „შარვაშიძეობა“ ანჩაბაძეთა საგვარეულოს ხელში უნდა ყოფილიყო; ამაზე მიუთითებს აფხაზური თქმულება, რომ წინათ აფხაზეთში ანჩაბაძეთა (აჩბების) საგვარეულო პირველობდა¹ და ისეთი ანდაზებიც, როგორც მაგ. „აჩბა უმპოაკუა, ჩაჩბა უზპიომ“², ე. ი. ჯერ აჩბა სთქვი, და შემდეგ ჩაჩბაო. ბუნდოვანი გადმოცემა აჩბებსა და ჩაჩბებს შორის მომხდარი ბრძოლის შესახებ დაცული ყოფილა კავკასიონს ჩრდილოეთითაც: 1929 წ. გაზაფხულზე სოფ. ულაფში (ადილეს ავტონომ. ოლქი) მცხოვრები აბაზებისგან (პირიქითელი აფხაზები; მე-19 ს-ის შუაწლებამდის კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე ცხოვრობდნენ) ჩვენ ჩავიწერეთ თქმულება, უკვე საკმაოდ დამახინჯებული, რომლის აზრი მიახლოებით ასეთია: „აჩბები წაიკიდნენ და ჩაჩბები

¹ Д. Гулия, История Абхазии, I, 208; С. Эсадзе, Истор. записка об управлении Кавказом, I, 99—100.

² გაგონილია მის. მარღანიასაგან. ანალოგიური აზრია გატარებული ზოგიერთი ხალხური სალოცავის ტექსტშიაც. იხ. Д. Гулия, დას: ნაშრ., გვ. 226, შენ. 2.

აიშალნენ“. ერთი რუსი გენერლის ცნობითაც, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთში ბევრი თავადის სახლი იჩემებდა შარვაშიძეებზე უფრო დიდ გვარიშვილობას¹. ამ დეტალს იმ მხრით აქვს მნიშვნელობა, რომ გვიჩვენებს კულტურული ტრადიციების სიძლიერეს, რომელთაც, მიუხედავად აღნიშნული დინასტიური ცვლილებებისა, თავი შეინახეს სამთავრო სახლში და მეცხრამეტე საუკუნეში უკანასკნელ მთავარშიაც მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს.

მიხეილ შარვაშიძემ საინტერესო აღზრდა მიიღო. ჩვეულების თანახმად, ბავშვობაში ის გასაზრდელად გაუბარებიათ. მისი მამამძუძე (აფხაზურად „აბაძძეა“) იყო განთქმული ჰაჯი დაგუმოყვა ბარზეგი, უბიხების უპირველესი საგვარეულოს, ბარზეგების, თავიკაცი და თვით უბიხების მეთაური². უბიხების ტომი მესამე დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეული იყო დასავლეთ კავკასიაში და აფხაზ-ჩერქეზთა შემაერთებელი რგოლი. ამ შედარებით პატარა თემმა (მას ეჭირა დღევანდელი სოჭის რაიონი ადღერიდან, სადაც აფხაზეთის მეზობლად მდებარე ჯიქეთი ესაზღვრებოდა, მოყოლებული) ყველაზე მეტი თავდადება და შეურიგებლობა გამოიჩინა იმ გმირულ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდნენ თავისუფლების დასაცავად დასავლეთ კავკასიის მთიელი ტომები მეფის რუსეთის წინააღმდეგ. როცა ეს ბრძოლა საბოლოოდ დამარცხდა, უბიხთა ტომი მთლიანად გადასახლდა ოსმალეთში, ისე რომ მშობლიურ მიწა-წყალზე ეხლა არც ერთი უბიხი აღარ ცხოვრობს.

წარსული საუკუნის ოციანსა და ოცდაათიან წლებში მათი ყველაზე გამოჩენილი წინამძღოლი იყო მიხეილ შარვაშიძის გამზრდელი. მას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული არა მარტო თავისიანებში, არამედ ჩერქეზებშიაც. ეს ის ჰაჯი დაგუმოყვა ბარზეგია, რომელსაც ინგლისელი ბელლი ჩერქეზების ვაშინგტონს ეძახის (ბელლ³მა ამ მხარეში სამი წელი გაატარა და პირადად იცნობდა დაგუმოყვას) და რომლის თავი რუსის სარდლობას ათას ვერცხლად ჰქონდა შეფასებული³. ცარიზმის ოფიცია-

¹ Вспоминания Гр. Ив. Филиппсона, «Русский Архив», 1883, VI, 302.

² М. Селезнев, op. c. II, 200, Гр. Ив. Филиппсон, ib. 303.

³ J. St. Bell. Journale d'une résidence en Circassie pendant les années 1837, 1838 et 1839, Paris, 1841, t. II, p. 228.

ლური ისტორიკოსებიც იძულებულნი არიან აღიარონ, რომ „ეს ბარზეგი იყო მამაცი, თაოსანი, დიდი ჭკუის პატრონი კაცი და ჩვენი (ე. ი. იმპერიალისტების) დაუძინებელი მტერი“¹.

ჰაჭი დაგუმოყვას სკოლაში უნდა შეეთვისებინა მიხეილს ის თვისებები, რომლებიც იმდროინდელს უბიხსა და ჩერქეზ ვაჟკაცს ახასიათებდა: პოლიტიკური იდეოლოგია, განსაზღვრული უმაჯრესად ზემოთნახსენები დიადი ბრძოლის მიზნებითა და პირობებით; „ადილე-ხაბზ“ ანუ ადილეური რჯული, აფხაზურ-ჩერქეზული (ადილეური) ტომებისათვის საერთო მოქცევის წესების ურთულესი სისტემა; ცხენისა და იარაღის ხმარება და დასასრულ, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, უ ბ ი ხ უ რ ი დ ა ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი ე ნ ე ბ ი, უკანასკნელი იმიტომ, რომ დედაენასთან ერთად ჩერქეზულის ცოდნა საყოველთაოდ გავრცელებული იყო უბიხების მაღალ წოდებაში.

ყველა მგრმინდელი აღწერილობა ხაზგასმით აღნიშნავს მიხეილის ამ თვისებებს. ტორნაუ, რუსის ოფიცერი, რომელიც მთავრობის საიდუმლო დავალებით მუშაობდა დასავლეთ კავკასიის მთიელთა შორის და პირადად იცნობდა მიხეილს, წერს: „მიხ. შარვაშიძე... მაშინ (1835 წ.) იყო დაახლოებით ოცდაოთხი წლის ლამაზი ჰაბზეგი. მას ჰქონდა ყველა თვისება, რომელსაც დიდ ფასს აძლევენ ჩერქეზები, ე. ი. იყო ღონიერი, თოფს ისროდა საუცხოოდ, მარჯვე ცხენოსნობა იცოდა და საფრთხეს არ შეუშინდებოდა. როგორც მმართველი, მიუხედავად თავისი სიყმაწვილისა, ის არ ჩამოუვარდებოდა, თუ არ სჯობდა კიდევაც, ესოდენ ქებულთ დანარჩენ კავკასიელ მფლობელებს. ესმოდა თავისი ხალხის ყოველდღიური გასაჭირი და უნარი ჰქონდა მორჩილებაში ჰყოლოდა, ვინც სურდა. რუსების მიმართ თავი ეჭირა შესაფერისად, არც განსაკუთრებული ამპარტავნებითა და არც პირფერობით (без подострастия). მოქმედებდა აშკარად და დაუზარებლად ასრულებდა ჩვენს მოთხოვნალებს, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზეთის საშუალებებსა და სარგებლობას... როგორც ნამდვილი მთიელი თავადი, მიხეილი უდიდესი ხელგაშლით იცავდა სტუმარ-

¹ Гр. Ив. Филиппсон I, с. 303.

მასპინძლობის წესებს; არავინ წასულა მისი სახლიდან პატივუცემი და დაუსაჩუქრებელი“...¹

მიხეილის სიძულვილი დამპყრობლებისადმი აგრეთვე ერთხმად არის აღნიშნული: ოფიციალურ ცნობაში აფხაზეთის სამთავროს გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად გამოცხადებულია გარემოება რომ „აფხაზები, მთავრის ხელისუფლების არსებობის დროს, არამცთუ არ ცდილობდნენ რუსებთან დაახლოებას, არამედ გაუბრუნდნენ კიდევაც ამ დაახლოებას; ისინი არ შედიოდნენ რუსულ სამსახურში, არ აძლევდნენ თავიანთ ბავშვებს ამიერკავკასიის სასწავლო დაწესებულებებში“². ყველაფერი ეს, მეფისნაცვლის აზრით, მიხეილის შთაგონებინა და ზემოქმედების ნაყოფი იყო³.

მიხეილს თავისი აღზრდა დასარულებული არ ჰქონდა, როცა ის, თითქმის ბავშვი, მთავრად გამოაცხადეს. მაგრამ რადგანაც იმხანად მისი პოლიტიკური მდგომარეობა აფხაზეთში მტკიცე არ იყო, იგი იძულებული შეიქნა 1824 წლიდან 1827 წლამდე სამეგრელოსა და იმერეთში ეცხოვრა⁴. აქედან ის გადასულა თბილისში, სადაც მან, ერთი ცნობით, მთავარ შტაბთან⁵, მეორე ცნობით კიდევ რომელიღაც სასწავლებელში⁶ ისწავლა რუსული ენა და წერა-კითხვა.

ბოროზდინი, რუსი მოხელე და ლიტერატორი, შემდეგს გვიამბობს: „მიხეილს მე პირადად ვიცნობდი და მისი კეთილგანწყობილება მქონდა მოხვეჭილი. ის იყო შესამჩნევი პიროვნება (он был личностью крупною). თავისი ახალგაზრდობა, დავით დადიანის მსგავსად, მან თბილისში გაატარა და იმ დროის მიხედვით საკმაოდ კარგი განათლება მიიღო. რუსულს ლაპარაკობდა ყოველგვარი აქცენტის გარეშე... მას ჰქონდა დიდი გავლენა დასავლეთ კავკასიონის მთებში, ჩვენთვის ურჩ ჯიქებსა, შაფსულებსა, უბიხებსა და აბაძახებს შორის... ბოლო ხანებში, გენერალ-ადიუტანტად და ალექსანდრეს კავალერად ქცეული, ის თავის სურვი-

¹ Т[орнау], Воспоминания Кавказского офицера, Русский Вестник, 1864, № 9, 39—40.

² Газ. «Кавказ», 1866, № 68; «Абхазия» (გდმომეჭილია ოფიც. გაზ. „Русский Инвалид“-იდან).

³ Записка... вел. кн. Михаила Николаевича о положении Абхазии, საქ. ცენტრარქივი, საქმე № 48, ფფ. 41—47.

⁴ М. Селезнев, I, с.

⁵ Гр. Ив. Филиппсон, оп. с., გვ. 303.

⁶ П.; Из записок Кавказского туриста, газ. «Кавказ», 1867, № 45.

ლის წინააღმდეგ იცვამდა მუნდირსა და რეგალიებს ატარებდა მხოლოდ მაშინ, როცა სტოვებდა თავის რეზიდენციებს ხელისუფლებასთან შესახვედრად... მაღალი ტანის, წერწეტს, სახის სწორი ნაკვებით, არწივისებური პროფილით, შავი გამჭრიახი თვალებით, მას თავი ექირა არაჩვეულებრივი ღირსებით, და თვითელი მისი ქესტი ამჟღავნებდა, რომ ეს კაცი მბრძანებლობასაა მიჩვეული. მასთან ინტიმურ საუბარში ცხადი ხდებოდა მისი დიდი კეთილშობილება (რუსი მოხელე) სიტყვით, მიხეილისთვის სრულებითაც არ იყო უცხო მაღალი იდეალები... დავით დადიანში ის ხედავდა არა მარტო მოცილეს მფლობელობის სფეროში (იგულისხმება სამურხაყანო), არამედ მტერს, თუნდ იმიტომაც, რომ დავითი უსათუოდ ერთგული იყო რუსის მთავრობისა... მტრულად ეპყრობოდა ის ეკატერინესაც (ანეგრელოს მთავრის ცოლს), რომლის შესახებ მხოლოდ უღრმესი ათვალწუნებითა და ირონიით ლაპარაკობდა, უკვე იმიტომაც, რომ საზოგადოდ ქალებს არაფრად აგდებდა“¹.

საზოგადოდ, მიხეილი კულტურული და ცოდნისმოყვარე კაცი ჩანს. მისი კულტურული მოთხოვნილებებისა და ლიტერატურული ინტერესების შესახებ საყურადღებო ფაქტიურ ცნობებს გვაწვდის ერთი რუსი ჟურნალისტი, თავისებური „კომენტარებით“. ეს „ურიადნიკის“ მსოფლგაგებით აღჭურვილი მწერალი, რომელიც ამტკიცებს, „რომ სიბერეში მიხეილმა სავსებით იბრუნა პირი აზიისაკენ: ცივილიზაციურ სამყაროსთან ყოველგვარ ურთიერთობას მოწყვეტილმა, მან გარს შემოიხვია ტყისკაცების მონური ხროვა; თავი დაანება კოვზსა და ჩანგალს და ხელით დაიწყო საკმლის ჭამა; თან წიგნის კითხვისა ან რაიმე სამეურნეო საქმიანობის ნაცვლად² ხელი მიჰყო ჩხირების თლას“-ო. იმავე დროს გვიამბობს, რომ თამჩირეში, მთავრის მიტოვებულ სასახლეში, მიხეილის აფხაზეთიდან გადასახლების ორი წლის შემდგომ, ერთ

¹ К. А. Боровиц, Закавказские воспоминания. Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 г. СПб., 1885 г. გვ. 220—223. რომ მიხეილმა მშვენიერად იცოდა რუსული, ამას ადასტურებენ სელენგევი და ფილანტონიცი. დას. თხზ.,

² საინტერესოა, რომ 1841 წ. მიხეილი ცდილობდა ლიმონის ხეების გაშენებას თავის მამულში, ოსმალეთიდან გამოწერილი ნერგების საშუალებით. М. Селезнев, იქვე, III, გვ. 407, შენ. 7.

ოთახში მან იპოვა წიგნების დიდი გროვა, ნაშთი, როგორც ჩანს, მიხეილის წიგნთსაცავისა (სასახლე ამ დროისათვის უკვე გაძარცული უნდა ყოფილიყო): „რა არ იყო იქ? ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“-ც, რომელიღაც ალგებრა, ლათინური დისერტაციაც, იტალიანური თაქრების ლიბრეტოებიცა და ფრანგულ სამკურნალო წიგნებიც და რუსული ძველი რომანებისა, ქურნალებისა და სხვა გამოცემების ცალკე ტომთა აუარებელი რაოდენობა. ჩანდა, ამ წიგნების უმრავლესობა შემთხვევით იყო შეძენილი; უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრი მათგანი მთლად წმინდა გზით არ იყო იქ მოხვედრილი და მოტაცებული იყო სხვადასხვა პირთა დარბეული ქონებიდან [!]. სხვანაირად თითქმის შეუძლებელია ავსხნათ, რად უნდოდა უცხო ენების უცოდინარ მთავარს ფრანგული და იტალიანური წიგნები, ისიც სამკურნალო¹. მაგრამ შესამჩნევი იყო, რომ მათელს ამ ნაგავში ერთი რიგის თსზულებები მეტად იპყრობდა მთავრის ყურადღებას და უთუოდ თვით მის მიერ იყო შეძენილი. ეს იყო ნაპოლეონისა და სუეოროვის ისტორიები, 1812 წლის ლაშქრობათა და სხვა ომების აღწერილობანი, თსზულებები საველე წყობის შესახებ და ზოგი სხვაც. ყველა ეს წიგნი გულდაგულ იყო შეკინძული, სრულად დაცული და შექვევლია, ისინი ყველა დანარჩენზე მეტად აინტერესებდნენ მთავარს. ყოველ შემთხვევაში იმ დროს, როცა ის ჭერ კიდევ კითხულობდა წიგნებს“².

ყოველივე ამის შემდეგ კიდევ უფრო ნათელი ხდება მნიშვნელობა იმ ფაქტისა, რომ ამ პერიოდში იაცქარტული ენა კულტურის მთავარი ენაა როგორც სამთავროსათვის, ისე თვით მიხეილისათვის. ამას მოწმობს, მაგალითად, საკმაო რაოდენობით მოღწეული ქართული მემორიალური წარწერები³. შემდეგ, როგორც ვამბობდით, ოფი-

¹ შეძენილია, ალბათ, მიხეილის საზღვარგარეთ ყოფნის დროს, იხ. ზემოთ, გვ. 10.

² П., Из записок Кавказского туриста, газ. «Кавказ», 1867, № 45.

³ თ. სახოკიას დასახ. წერილში, „ცნ. ფ“. 1903, XI—XII, მოტანილია მიხეილისეული რამდენიმე წარწერა ლუხუნის ტაძარში დაცულ ნივთებზე. ერთი წარწერა დათარიღებულია 1829 წლის 1 აპრილით, მეორე — 1849 წლის 1 სექტემბრით და იუწყება, რომ ეს ხატი გააქედინა „მთავარმან სრულიად აფხაზეთისამან მიხაილ გიორგის ძემ შარვაშიძემან“ „საღლეგრძელოდ საყვარლისა მეუღლისა ჩემისა და მემკვიდრისა ჩვენისა გიორგისა“...

ციალური მიწერ-მოწერა რუსული ხელისუფლების ორგანოებთან და მის ცალკე წარმომადგენლებთან (მათ შორის ტომით რუსებთანაც, როგორც მაგ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სეი ტოპოლკ-მირსკისთან) ქართულად წარმოებდა. ამ საბუთთაგან ზოგი თვით მიხეილის ხელით არის დაწერილი, როგორც ამას დედნების შესწავლა ადასტურებს და ოფიციალური ცნობებიდანაც ჩანს. ყურადღებას იქცევს ის, რომ მთავრის სამდივანმწიგნობროს მიერ დამზადებული ქართული დოკუმენტები მართლწერის გარკვეულ სისტემას მისდევენ და ამით ემხრობიან ცნობილს ორთოგრაფიულ-გრამატიკულ სკოლას, რომლის შესახებ დაწერილებით ქვემოთ იქნება საუბარი. სანიმუშოდ აქვე მოგვყავს მიხეილის წერილი გენ. ბებუთოვისადმი (სასენი ნიშნები ჩვენ დავსხიოთ).

„თქუჭნო ბრწყინვალებავ, კნიაზო ვასილ იოსიფიჩი! ამას წინათ მოგართვით მოკლედ რაოდენნიმე ამბავნი; შემდგომ მისა, მესამეს დღეს, გეახელ ბზუფუს (sic), სადაცა ჯიქისა და ჩერგეზის (!) ჯარი, მომავალნი სოხუმს, შემხუდნენ, ზოგნი გზაზედ და ზოგნი ჩემსა (შინ გამომიარეს ჩემდა სანახავად). რაც შესაძლო იყო ჩემგან, ვიმეცადინე, რათა უთანხმოება შემომეტანა მუშირისა და მათ შორის, — ხსენებულნი ჯარებნი წავიდნენ სოხუმს მოსალოდებლად მუშირისა, რომელიც იყო წარსული ანაფამდის (sic), სადაც შეჰკრება პირუტყლ ჯიქეთი, უბიხი, შატსული და აბაზახლები (sic). გამოუცხადა რომა აბაზახლები წარსულიყუნენ ყარაჩისკენ და სხუტბრ ერთობით ჩუტყენ და მასთან დიდი პოლიტიკითა და საჩუქრით მიიღო ყუტყლანი — და ერთპირად გამოუცხადეს თანხმობა მისის ბრძანებისა. მოხარული მუშირი და მობრუნებული (sic) მოვიდა სოხუმს. მეორეს დღეს მიიღო თავ-თავი კაცები ხალისად, რადგან მისი ბრძანება მსწრაფლ აღასრულეს. შემდგომ მუხსაიფისა გავიდნენ და მოციქული გამოუგზავნეს, რომა ამ დროს ჯარიანობა არ შეუძლიანთ (sic): ერთი მიზეზი, რომ სიცხეებმა მოაწია და დახაშმავსთ (!), მეორე — მეტისმეტი შორეა თავიანთის სამშობლო ქუტყყნიდან, რომ მკუდარისა და დაკრილის წალება არ შეუძლიანთ (!). ამ მი-

¹ ასეთია მაგ. მიხეილის უკანასკნელი წერილი. აფხაზეთიდან მირსკისადმი, 1864 წლის 6 ნოემბრის თარიღით.

² უკანასკნელ წლებში გვხვდება რამდენიმე რუსულად დაწერილი მიმართვაც უმაღლესი მთავრობის მოხელეებისადმი.

³ იგულისხმება ოსმალეთის ჯარების მუშირი ომერ-ფაშა (რედ.).

ზეზებით ვერ წავალთო. გაიკვირა მუშირმან მათი ლაპარაკი და უთხ. რა რომ აგრე უცებ რამ გამოგცუალათ, გაურის (!) ფული თუ არ მიიღეთო, — ან თუ გაური (!) არა ხართ, უნდა წამოხვიდეთო. ეს სიტუქში იმჯავრეს და იმათი ბაირალები ააგლიჯეს და წავიდნენ: და სხვანი შორებულნი მცბოვრებნი მათნი, რომელიც მოდიოდენ, გზითგან დაბრუნდენ, რადგან. ესენი შაიყარნენ (!) გზაზედ. სარჯელი ჩემი უქმათ არ დარჩენილა. აწიც იმედი მაქუს აღვასრულო სურვილი ნამესტინკისა, რომელიც ამას წინეთ წაიყუანეს მილიციები, მობრუნდებიან: გავათავებ მოქმედებასა ჩემსა და მოგახსენებთ წერილით. იმედი მაქუს, რომა გურიის ოტრიადისაგან ფარულ იქმნება მოწერილობა ჩემი, სანამ გავათავებდე საქმესა. — ვგიებ მარად თქუქნი ბრწყინვალეების მორჩილი მოსამსახურე მიხაილ შარვაშიძე. 16 ივნისს 1855 წელსა, ს. სოუქსუ².

მოთავრის ოჯახის წევრების მიწერ მოწერის ენაც ქართულია. ასე მაგ., მიხეილი ცოლს ქართულად სწერს³, ცოლიც ქართულად მიმართავს მას⁴. მიხეილის საკუთარი სტილის დახასიათებისათვის შეიძლება აქ მოტანილ იქნას ერთი მისი პატარა ბარათი, ცოლთან მიწერილი მას შემდეგ, რაც მიხეილი სამეგრელოდან აფხაზეთში დაბრუნდა. ალექსანდრა კი, მიხეილის ცოლი, ამ დროს სოფ. ჭკადუაში, თავის მამის ოჯახში იმყოფებოდა. წერილი დაწერილია მიხეილის საკუთარი ხელით, როგორც შენიშნავს დ. ყიფიანი⁵.

„საყუარელო ალექსანდრა! გრიგოლ შარვაშიძე და ქირთ ტაგუ [ე. ი. ტაგუ ქართველი, ს. ჯ.] გამომიგზავნია ვითომც შენი და ბავშვების წამოსაყვანათ აქეთ, და არამც არ დაუჯერო იმათ და არ წამოხვიდე. ეს არავეინ გაიგოს. რამდონიც ხანს შეგეძლოს (!), შეიქციე, და მამა შენი როცა მოვა, თვითონ მიხვდება. ეს წიგნი უჩვენე და რავარც სჯობდეს, იქს. გიორგი შენთან მოაყვანიხე, ლეჩხუმს არ წაიყვანონ. ბაბუშია ჩკოტუებს გამოატანე, გულნაკლულათ არიან, გაზდილი წავგვართვიო. მე მალე ვერ მოვალ,

¹ დედანში შეცდომით: მილიციები.

² საქმე № 42, ფ. 45, 50.

³ საქმე № 42, ფ. 122 და სხვ. ამავე საქმეში დაცულია მიხეილის ქართული წერილები სიმამრთან.

⁴ AKAK, XI, 46.

⁵ საქმე № 42, ფ. 137 b

მაგრამე (!) ჩემთვის ნუ სწუხარ (!), პატარა გიორგი შეგიქცევს. შენი მიხაილ შარვაშიძე. 18 მაისს 1855 წელსა: ოჩამჩირით“. გარედან წერილს აწერია: „აფხაზეთის მთავრინა ალექსანდრა გიორგის ასულსა. ქკაღუაშს, საკუთარს ხელს“¹.

ქართული ენის ასეთი ფუნქცია აფხაზეთში ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული განვითარების ნაყოფი იყო, როგორც თავის ადგილას ვამბობდით. სათანადო ტრადიციები გადადიოდა თაობიდან თაობაში, ისტორიულ პირობებთან შეფარდებით, დაუბრკოლებლად ან მცირედი შეფერხებით, რაკი რეალური ინტერესების სფეროში აფხაზეთის მიზიდულობა საქართველოს დანარჩენი ნაწილებისადმი საბოლოოდ არასოდეს არ გაწყვეტილა. კერძოდ, მთავრისა და სხვათა დაწინაურებული ოჯახებისათვის ერთგვარი მნიშვნელობა უთუოდ ჰქონდა პირად ნათესაურ კავშირს ამ ნაწილებთან, პირველ რიგში, სამეგრელოსთან. ასე, მაგ., მიხეილის როგორც დედა, იაე ცოლი, დადიანის ქალები იყვნენ. უფრო ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სამეგრელო, როგორც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ისე ამ ორი ტომის ეთნოგრაფიული სიახლოვის წყალობით ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრების ნიადაგზე, წარმოადგენდა მთავარ არტერიას, რომლის საშუალებითაც ხდებოდა კულტურული ენერჯის მიმოქცევა აფხაზეთსა და საქართველოს ცენტრალურ პროვინციებს შორის. იბადება ამიტომ საჭიროება შევეხოთ სამეგრელოსაც აღძრული საკითხების თვალსაზრისით.

* * *

საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის ხანაზე რომ არ ვილაპარაკოთ, როცა კულტურული ცხოვრება განსაკუთრებით ინტენსიური და მთლიანი იყო, საყოველთაო დაქუცმაცების დროშიაც, მას შემდეგაც, რაც სამეგრელოს სამთავრო სეპარატულ პოლიტიკას შეუდგა საერთო ტენდენციის მიხედვით, სამეგრელო ქართული კულტურული სისტემის ორგანულ ელემენტს შეადგენს.

ყველაზე უფრო საინტერესო და დამახასიათებელი ამ მხრით არის ცნობები იმ ეპოქიდან, როცა განკერძოებული სამეგრელოს

¹ საქმე № 42, ფფ. 135—136 ბ.

სამთავრო აღწევს მანამდე არნახულსა და შემდეგში აღარ განმეორებულს ძლიერებას. ვგულისხმობთ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარს, ცნობილი ლევან დადიანის¹ მთავრობის დროს. მიუხედავად სასტიკი ფეოდალური გათიშვისა და მკაცრი პოლიტიკური ურთიერთობისა მეზობელ ქართულ სამეფო-სამთავროებთან, სამეგრელოშიაც იგივე კულტურული ძალები მოქმედებს, რაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. ეროვნული ცნობიერების მთლიანობის გამოცხადება აქ უფრო მკაფიოც არის: როცა ლევანმა, სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებით, კავშირის დაჭერა სცადა მოსკოვის მთავრობასთან, მოსკოვში საკითხი გაუჩნდათ (რაკი ეს სამეგრელოდან მომართვის პირველი შემთხვევა იყო): რა ხალხია ეს „დიდიანები“ (ასე დაარქვეს იქ მაშინ მეგრელებს), რა სარწმუნოება აქვთ, ან რა ენაა? ამის გამო დაკითხულმა თეიმურაზ კახთა მეფის ბერძენმა ელჩმა, იმხანად მოსკოვს მყოფმა, განაცხადა: ჩვენი თანამორწმუნენი არიან, ენა კი თავისი აქვთ². თვით ლევანის დესპანმა კი ასეთი განმარტება მისცა: სარწმუნოება იგივე გვაქვს, რაც ქართლ-კახეთის მცხოვრებთ; ჩვენი მწიგნობრობა ქართულია; მხოლოდ ენაცა გვაქვს შინაურობაში სასაუბრო³.

საჩუქიად ქართული ეროვნული ერთობის შეგნება კიდევ უფრო ნათლად თვით ლევანის დიპლომატიურ საბუთებშია გამოხატული. „იყო ივერიის ქვეყანაში ხუთი ხელმწიფე“, — მიმართავს რუსეთის მეფეს ლევანი „ყველა აქ ივერიის ქვეყანაში მცხოვრები მართლმადიდებლის“ სახელით, — „მათგან ორი (იგულისხმება ქართლისა და კახეთის მეფეები) დაიმორჩილა სპარსეთის შაჰმა; დანარჩენი სამი ხელმწიფის სამფლობელოს კი (იმერეთს, სამეგრელოს და გურიას) ჩვენა ვფლობთ“⁴... მეორე საბუთში ლევა-

¹ საეპარქო ლევან II დადიანზე, რომელიც მთავრობდა 1611—1657 წწ. (რედ.)

² Показание грузинского посла митрополита Никифора о Дидианской земле. сб. С. Белокуров, Материалы для русской истории, М., 1888, стр. 267.

³ „...З грузинскою де верою их вера одна и книги теж, что и грузинские; только де язык свой как меж собою говорят». Допрос в Посольском приказе посла священника Гавриила. ор. с. 270. Грузин-ს მაშინ მოსკოვში ქართლ-კახეთის ქართველს ეძახდნენ.

⁴ Грамата Дидианского царя Леонтия к царю Михаилу с послом священником Гавриилом, ibid. 272.

ნი მსგავსსავე ცნობას იმეორებს და თავის წოდებულებას ასე გამოსთქვამს: „ივერიის ქვეყნის მეგრულ მხარეში მცხოვრები ლევან დადიანი“¹. ივერია ამ შემთხვევაში საქართველოს აღნიშნავს, როგორც ეს ჩანს ცაიშის (სამეგრელოშია) გულანის მინაწერიდან, სადაც იგივე პოლიტიკური ტენდენციაა გატარებული და ლევანი წოდებულია „ყოვლისა საქართველოთა პატრონად“².

სამწერლო ქართულისა და მეგრულის დამოკიდებულების აღნიშნული შეგნება დადასტურებულია სულ სხვა წარმოშობის წყაროს მიერაც. დაახლოებით იმავე ხანებში სამეგრელოში ნამყოფი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, არა მარტო საკუთარ დაკვირვებას, არამედ ადგილობრივ შეხედულებასაც გადმოგვცემს, გვიამბობს: „...მეგრელები იმდენად უმეცარნი არიან, რომ მათ შორის თითქმის არავის არ ესმის ის ქართული წიგნები, რომელიც დაწერილა მათი ნამდვილი ძველებური და წმინდა ენით. ამ ენისგან მათი მდაბიური ენა ისე განირჩევა, როგორც ჩვენი მდაბიური განირჩევა ლათინურისგან. აქ არ თავდება მათი უმეცრება: ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეეძინახათ იგი. ისე რომ თუ ვისმე უნდაკითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიეზაროს სასწავლებლად“³.

მეგრელების უმეცრება ავტორის მიერ, რა თქმა უნდა, დიდად არის გაზვიადებული⁴; კათოლიკე მისიონერებს საზოგადოდ სჩვევიათ, გასაგები მიზეზით, აქაური სინამდვილის ქარბი მუქი წამლებით წარმოდგენა. უფრო საყურადღებოა ლამბერტის ცნობა

¹ Грамата Диднанского царя Леонтыя к царю Михаилу, *ibid.* 300.

² ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, „ძველი საქართველო“, ტ. III, განყ. 1, 191.

³ არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურით ნათარგმნი ალექს. ჰუონიასი. ტფ., 1901, გვ. 174.

⁴ თვით ლამბერტი, სხვათა შორის, წერს, რომ ლევან დადიანი „კითხულობს სხვადასხვა საეკიმო წიგნებს, რომელიც გადმოთარგმნილია მათებურ ენაზე“ (ე. ი. ქართულად), *ib.* გვ. 29. ძველი საეკლესიო წიგნების ენის ცოდნა შესაძლოა მართლაც დაქვეითებული ყოფილიყო.

მეგრელი ქალების კულტურული როლის შესახებ. ცნობილია, რომ ქართული კულტურის დაცვის მოვალეობა ქართველმა ქალმა ბევრ ადგილას და ბევრი ხიფათის დროს იკისრა და შეასრულა კიდევაც. იქ. მაგალითად, სადაც დამპყრობელთა ძალადობისა და ისლამის გავლენის წყალობით, ვაჟებში ქრებოდა ქართულის ცოდნა და იფერფლებოდა ქართველობის გრძნობაც კი, ეროვნულ ოვითშეგნებას ქართულ ენასა და მწიგნობრობასთან ერთად ინახავდნენ ქალები. აჭარისა და ოსმალეთის მაჰმადიან ქართველებში უკანასკნელ დრომდე დაცული ქართული დამწერლობის განსაკუთრებული სახე ცნობილი იყო „დედაბრული ხელი“-ს სახელწოდებით, რადგან მას უმთავრესად ქალები ხმარობდნენ!...

საგულეებელია, რომ მეგრელი ქალი, აფხაზეთში გათხოვებისას, თან წაიღებდა თავის კულტურულ ჩვეულებებს და ახალ ოჯახში ამ ნიშანტულებით. გარკვეულ გავლენას მოახდენდა. უეჭველია, ეს ასე იყო. ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საინტერესოა იმ ქალების კულტურული ფიზიონომია, რომელნიც უკანასკნელი მთავრის ოჯახში დიასახლისობდნენ. მიხეილის დედის, თამარის, შესახებ მცირე ცნობებია მოღწეული. დ ი უ ბ უ ა დ ე - მ ო ნ პ ე რ ე, რომელიც იყო აფხაზეთში 1833 წელს, თავისი მოგზაურობის აღწერილობაში ამბობს, რომ მიხეილს დედა „მართავს“, ე. ი. დედას განსაკუთრებული გავლენა აქვს მთავარზეო. სამაგიეროდ, მეტი რამ საყურადღებო შეიძლება გავიგოთ მიხეილის ცოლის, გ. შარვაშიძის დედის, ალექსანდრასა და მისი აღმზრდელი წრის შესახებ.



ალექსანდრა ასული იყო გიორგი დადიანისა, ნიკოლოზის ძისა. ეს ნიკოლოზ დადიანი, „დიდი ნიკო“-ს სახელით ცნობილი,¹ მრავალმხრივ შესანიშნავი პიროვნებაა. მაგრამ ამჟამად იგი ჩვენს ყურადღებას იზიდავს იმდენად, რამდენადაც მან შეგნებული მი-

¹ ამ ასოების ხასიათისათვის იხ. Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре. СПб., 1878, გვ. 76—77 და ამავე წიგნისათვის დართული ატლასი, I, 1.

² К. А. Бороздин, გვ. 98 და სხვ.

მართულება მისცა თავის მრავალრიცხოვანი შთამომავლობის სულიერ განვითარებას. დიდად ერთგული სამთავრო სახლისა, დიდი ნიკო იყო სამეგრელოს პოლიტიკის მთავარი ხელმძღვანელი. 1805 წ. ის მეთაურობდა სამეგრელოს დეპუტაციას, რომელიც პეტერბურგს წავიდა გრიგოლ დადიანის სიკვდილით გამოწვეული მდგომარეობის გამო და რომელმაც გრიგოლის ძეს, ლევანს, მოუპოვა იმპერატორის სიგელი მთავრად დამტკიცების შესახებ¹. ლევანის მთავრობისას იგი „მარჯვენა ხელი იყო მთავრისა, მისი ვეზირი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დამოუკიდებლად და უკონტროლოდ განაგებდა ქვეყანას“, „როგორც მმართველობის, ისე მეურნეობის სფეროში... და მთავრის განუსაზღვრელი ნდობით სარგებლობდა“². ნიკოლოზ დადიანის ამ სახელმწიფოებრივი საქმიანობის ნაყოფია მისი „დასტურლამა“, შედგენილი ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიბაძვით³. ამავე დროს იგი იყო სარდალიც და სამთავროს ლაშქარს წინ უძღოდა არაერთი სამხედრო მოქმედების დროს.

ყოველსავე ამას ის ათავსებდა ლიტერატურულ საქმიანობასთან. მას, სხვათა შორის, დაუწერია „მიმოვლა“, თავის მოგზაურობის აღწერა რუსეთში⁴. თანამედროვენი იმდენად აფასებდნენ მის სამწერლო ნიჭს, რომ მისთვის შეუდგენინებია მამია გურიელს ერთი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მიმართული რუსეთის იმპერატორისადმი⁵.

მთავარი მისი ლიტერატურული ნაწარმოები არის „ქართველთ ცხოვრება“, საქართველოს ისტორია დასაბამიდან ავტორის დრომდე⁶. ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნიკო დადიანი უკვე იმითაც არის ძვირფასი, რომ ის ერთადერთია ძველ ქართველ ისტორიკოსთა შორის, რომელიც წარმოშობით დასავლეთ საქართვე-

¹ ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება; Э. Такайшвили. Описание... СМОМПК (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа), XXI, 30—32.

² К. Бороздин, გვ. 98, 131.

³ გამოცემულია თბილისში 1897 წ.

⁴ ნ. დადიანი, op. c. გვ. 33. უწერია ლექსებიც: ერთი მისი შირი იხ. „რუხის ბრძოლა“. ი. გეგეჭკორისა, ზ. ქიქნაძის გამოც. ტფ. 1895, გვ. 20.

⁵ იქვე, გვ. 39.

⁶ იქვე, გვ. 9.

ლოს ეკუთვნის და რომლის სახელსაც ჩვენ ვიცნობთ. შემდეგ, ავტორის წარმოშობისა და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით საგულისხმო ხდება თხზულების ძირითადი კონცეპცია, რომლის მიხედვით ქართული ისტორიის პროცესი მთლიანობაშია წარმოდგენილი. კერძოდ, სამეგრელოს ისტორიული სინამდვილე ეს არის საქართველოს ისტორიის ძალთა მოქმედების მხოლოდ ადგილობრივი შედეგი. ავტორი, როგორც „შვილი მამულისა“, არის „ქართველთა ისტორიის“ და არა განთავსებული პროვინციული თავგადასავლის მწერალი¹. სამეგრელოს სამთავროს ამბები, შედარებით უფრო ვრცლად მოთხრობილი, იმიტომ რომ მათ ავტორი უკეთ იცნობს, არც კი არის გამოყოფილი სეპარატო თხრობიდან დასავლეთ საქართველოს ვითარების შესახებ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, ე. ი. იმ ნაწილში, სადაც ავტორი სავსებით ორიგინალურია. როგორც „უწინდელთა ქართველთა მეისტორიეთა“ გამგრძელბელი, ნ. დადიანი დამოკიდებულია წინამორბედ ქართულ საისტორიო მწერლობაზე, სხვათა შორის, დავით ბატონიშვილის „ნარკვევზე“, რომელიც დაიბეჭდა ტფილისში 1800 წ. და რომელიც პირველი ცდაა მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოსი ქართულ ენაზე². მაგ., ნ. დადიანის ისტორიის წინასიტყვაობა, სადაც განმარტებულია მიზეზი და მიზანი შრომისა და რამდენიმე ზოგადი მოსაზრებაა გადმოცემული³, თითქმის სრული განმეორებაა „ნარკვევი“-ს წინასიტყვაობისა⁴.

ეს სესხების ფაქტი, იმდროინდელ შეხედულებათა მიხედვით, უნდა შეფასებულ იქნას არა იმდენად ავტორული ურთიერთობის, რამდენადაც იდეური ნათესაობის თვალსაზრისით. ნ. დადიანი ემხრობა დავითს თავისი ლიტერატურული სტილითა და გემოვნებითაც. უკეთ რომ ვთქვათ, ორივენი ეკუთვნიან იმ ლიტერატურულ-გრამატიკულ სკოლას, რომელიც ეყრდნობოდა ანტონ კათალიკოზის დიდ ავტორიტეტს და რომელმაც საბოლოოდ დასთმო თავისი პოზიციები მხოლოდ წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში.

1 ib., 12.
 2 ნათარგმნი თხზულებები უწყებელი ხასიათისა უფრო აღრეც გვხვდება.
 3 ნ. დადიანი... გვ. 9—10.
 4 დ. ბატონიშვილი, „ნარკვევი“ გვ. 9-9.

მწიგნობრულ-ხელოვნური, ზოგჯერ მეტად მძიმე ენა და უაღრესად თავისებური გრამატიკულ-ორთოგრაფიული მოძღვრება, აი, რა ახასიათებს ამ სკოლას ფორმალურად.

მისი დებულებების დაწვრილებით დალაგება აქ უადგილო იქნებოდა; აქ ვერც იმ საკითხს შევხებით, თუ რომელი სათავეებიდან მომდინარეობს ანტონის სკოლის ეს შეხედულებანი (ზოგი რამ ქვემოთაღნუსხულ მოვლენათაგან ჩვენ ანტონზე ბევრად აღრეც გვხვდება). გაკვირით აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გრამატიკულ-ორთოგრაფიული რიგის მოვლენებიდან ყურადღებას იქცევს: გრამატიკული სქესის ერთგვარი სანქცია ქართულში, რამაც შესაძლებელი გახადა „მეფა“, „მეუღლა“, „მთავრინა“ და სხვ. მსგავსი ფორმების ხმარება¹; ზოგიერთი ქართული თანდებულის ბოლოსდებულისგან წინდებულად გადაქცევა (თვის კავშირისა = კავშირისათვის; მებრ მსგავსებისა = მსგავსებისამებრ); წინსართული 3-ს უმართებულო გამოყენება (ვჰსწერ, ჰსტიროდე, მჰსწავლული, თანაჰსწორი, უჰშიწო და სხვა); საგრო მწერლობის პრაქტიკიდან გამოსული ან სანახევროდ გადავარდნილი ასოების აღდგენა (ჭ, ძ, ჳ, ჴ, ჵ; აგრეთვე ანტონამდე ხმარებული ძ); ახალი ნიშნების შემოღება (ღ, უ) და სხვ. ანტონის რეფორმამ უდიდესი გავლენა მოახდინა სამწერლო ქართულზე; მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა რამემ იმთავითვე ვერ მოიღვა ფეხი (ღ), მთავარი ელემენტები მაინც შეთვისებულ იქნა: შეხედულება სამწერლო ენის თვისებათა შესახებ, სინტაქსური მოძღვრება, მართლწერა მეტნაკლებად (განსაკუთრებით სპეციფიკურია უ, რომელიც ერთბაშად უჩვენებს ძეგლის წარმოშობას ანტონის სკოლის წრეში²; დამახა-

¹ ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა (ლექსიკონი s. V. მფაჲ, მეფა, მეფე, უფალა, დედოფალი, ქაბუჯა, წინასწარმეტყუელა და სხვ.) და ანტონი (ღრამატიკა, II, § 146) მეფა-ს მსგავსი ფორმებისათვის ძველი ალექსის წიგნებს იმოწმებენ; მთავრინა, როგორც ჩანს, ნაწარმოებია რუს. княгиня-ს მიხედვით და დაკანონებულია ანტონის მიერ. ღრამ. II, § 190. 11.

² ეს ნიშანი გამოსახავს უმარცვლო უ'ს ანუ, ანტონის ტერმინოლოგიით (ღრამ. II, § 156 დ; „ზედადართვაჲ“. § 26. ე), უ'ს სიბრჯგუვეს და ამიტომ იწოდება უ ბრჯგუდ. უ მიიღო ქართულმა საენათმეცნიერო ტრანსკრიპციამ; იგი შესახამება როგორც კილოებში, ისე ზოგად სასაუბრო ქართულში არსებულ ბევრას (მაგ. გვარისსახელში: გოგუაძე უნით აღნიშნული ბგერა არ არის არც ხმოვანი უ, რადგან იგი მარცვალს არ ქმნის, არც ბაგეკბილისმიერი ვ, როგორც სიტყვაში: ვინ).

სიათებელია აგრეთვე „ჰაემეტობა“, თუ ამ ძველი ტერმინის სავსებით პირობითი ხმარება მოცემული შემთხვევისათვის შესაწყნარებელია: უადგილოა ჰაეთი აქრელებულია მთელი მერმინდელი მწერლობა და მისი კვალი ზოგჯერ ჩვენს დროშიაც თავს იჩენს¹.

იმდენად, რამდენადაც ანტონის დებულებები მისივე სიტყვებით რომ ვიხმაროთ, ეწინააღმდეგებოდა „ჩვეულებასა ქართველთა ენისასა“ და ხშირად „იძულებით საბლითა მეცადინობისათა“ შემოტანილი იყო (თვით ანტონის ან მის წინამორბედთა მიერ) უცხო ენების გრამატიკული სალაროდან, აღნიშნული გავლენა უარყოფითად უნდა იქნას შეფასებული. მაგრამ როგორც ცდა ანარქიის მოსასპობად სალიტერატურო ენასა და დაწერილობაში და მათი სტიქიური განვითარების სავალდებულო ნორმათა კალაპოტში მოსაქცევად, — ამ ნორმებისათვის სახელმწიფოებრივი დასტურის ძიებასთან ერთად (ანტონი სამეფო სსჯელს უქაღის მისი ზოგიერთი ორთოგრაფიული წესის დამრღვეველთ)², — ეს მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემაზე დამყარებული რეფორმა მაჩვენებელი იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი დაწინაურებისა. სამწერლო ენის საყოველთაოდ სავალდებულო ნორმების საკრძოების შეგნება არ შემოიფარგლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებით. ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტი ნ. დადიანის დამოკიდებულებისა ანტონის სკოლაზე იმის საბუთია, რომ ეს შეგნება სამეგრელოშიაც არსებობდა³. მთელი ქართველობა საერთო სულიერ ცხოვრებაშია შებმული და სათანადო ევოლუციის ტემპიც თითქმის თანაბარია საქართველოს ყველა რაიონში; აღიარებს რა ცენტრის კულტურულ ჰეგემონიას, პე-

¹ ანტონის ორთოგრაფიული სისტემის წინააღმდეგ ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში, რამდენადაც ვაძიებ, პირველად პროფ. დ. ჩუბინაშვილმა გაილაშქრა.

² გრამატიკა, ზედადართვა. § 23.

³ ნ. დადიანის ისტორიის ნაბეჭდ გამოცემაში ანტონის ორთოგრაფია დაცული არ არის, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გადაწყვერის ბრალია: ენა აშკარად „ანტონიანური“ა. აქას ვარდა, ანტონისეული მართლწერის ბატონობა ნ. დადიანის ოქაში გამომქლავებულა მისი შვილების მწერლობაში, როგორც აქვე იქნება ნაჩვენები. დავ. ბატონიშვილიც ორთოგრაფიულად აგრეთვე ანტონის წრეს ეკუთვნის. მას გრამატიკული ნარკვევიც კი მოეპოვება, რომელიც ანტონის სისტემას მისდევს.

რიფერია (განაპირა კუთხეები) მხარდამხარ მიჰყვება მის მოძრაობას: თბილისში 1800 წ. დაბეჭდილი თხზულება მოკლე ხანში სახელმძღვანელო ხდება სამეგრელოშიაც. როგორც დავრწმუნდით, ეს ნაკადი სწედება აფხაზეთსაც: სამთავროს კანცელარიის ქართული საბუთების ზემოთაღნიშნული სტილი და მართლწერა ანტონისეულია და მისი გავლენა ნაწილობრივ თვით მიხეილ შარვაშიძესაც ეტყობა (უ: „მთავრინა“, მიხეილ-ის წერილის მასმართში ცოლთან). ამ სკოლის გავლენას, როგორც თავის ადგილას ვნახეთ. გარკვეულად ემორჩილება გიორგი შარვაშიძეც.

ნ. დადიანის შვილთაგან ცნობილი არიან ორი ქალი: კესარია და ეკატერინე და ოთხი ვაჟი: გიორგი, ბესარიონ, პეტრე და პავლე. უკანასკნელი, ჩანს, ადრე გარდაცვლილა¹, დანარჩენი მისი ძმები კი, რომელთაც დავით დადიანი „სამ მუშყეტერს“ ეძახდა², მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სამეგრელოს საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში. სამეგრელოს გარეთაც, მათ შორის ჰქონდათ გაბმული სულიერი ურთიერთობის ქსელი ნათესაური ვაჟმირის ნიადაგზე. ერთ ძაფს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის სახლში მივყავართ, რადგანაც მიხეილის ცოლი უფროსი ძმის, გიორგის ქალი იყო, როგორც ვთქვით.

გიორგის შესახებ დიშ. ყიფიანი თავის მოხსენებაში წერს: „ეს კაცი შუა ხნისაა; მას საუცხოო, კეთილშობილი და ჰკვიანი გარეგნობა აქვს; ქართულს ლაპარაკობს მჭევრმეტყველურად და ძველებური დახვეწილი ზრდილობის პატრონია“³. გიორგის ქართული იმდენად ნიშანდობლივია აჭმრავალგზის მოხსენებული ანტონისეული სკოლის თავისებურებათა თვალსაზრისით, რომ მეტი არ იქნება სანიმუშოდ მოვიტანოთ გიორგის საკუთარი ხელით ნაწერი ერთი ბარათი, გენ. ბებუთოვისადმი მიმართული:

„თქუწნო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფევ, კნიაზო ვასილ იოსების ძევ! მდაბლად განგიცხადებთ ჩემს უღრმეს პატივისცემას და ღმერთსა ვსთხოვ, ჰკიებდეთ წარმატებით განსაკეთილებელად შემთხუტვათა შა [შინა] ერთგულთა. თქუწნთა.

¹ იგი მოხსენებულია ნ. დადიანის ეპიტაფიაში, ე. თაყაიშვილი. ორ. ს., 83. 128.

² К. Бороздин, 98—99.

³ საქმე № 42, ფ. 124.

უწყვი სხუჭბრთა მამობრივი მზრუნუჭლობა თქუჭნი კეთილ-ინე-
ბებს კითხვად ამჟამად მდგომარეობისა ჩუჭნისათვის. გახლავართ
მშვიდობით, და მასთან ნამესტინიკისა ვითარ კეთილისა პირისა
მოქცევემან დაგვაშთინა იმ აზრზედ, რომ იქნება შემეცნებულმან
თქუჭნდამი საქმემან ჩუჭნმან მიილოს ყურადღება, და თუ ვერა,
მამინ კ-დვე [კუალადვე]. თქუჭნ მოგელისთ შემწედ. — აფხაზე-
თის მთავრის ქალაღდს ამასთან გაახლებთ.

დავშთები მარად ერთგული მოსამსახურე კნიაზ გიორგი ნი-
კოს ძე დადიანი. 12 ივლისი 1855 წელსა. მენგრელია“¹.

ბარათის „მალალი აღნაქესი. ლექსთა“ და „შესაბამწერა“
(მართლწერა) თვალსაჩინოდ აცხადებენ ავტორის „ანტონიანო-
ბას“. გიორგი თავის მამის კვალში დგას და, ჩანს, მისსავე სკოლა-
შია გამოწერთნილი. სხვა ძმებიდან თანამედროვის მოწმობა მოგ-
ვეპოვება პეტრეს შესახებ. იგივე ბოროზდინი გვიამბობს:

„ჩემ მიერ დასახელებულ ბატონიშვილებს გარდა, სენაკის
მაზრაში, თხუთმეტიოდე ვერსის დაშორებით სალხინოდან, სოფ.
ნოლაში ცხოვრობდა კიდევ ერთი, ვგონებ ყველაზე საინტერესო
წარმომადგენელი ამ გვარისა, თავ. პეტრე ნიკოლოზის ძე დადიანი
(დიდი ნიკოს შვილი), ერთი სამ მუშეკეტერთაგანი. მალალი, მსუქა-
ნი, მსხვილი სახის ნაკეთებით, გრძელი შავი უღვაშებით, დაახ-
ლოებით ორმოცდაათი წლისა, პეტრე თავის კოსტუმით, სიარუ-
ლით, მიხვრა-მოხვრით და საუბრით იყო არა მარტო წარმოსადე-
გი, არამედ, იტყოდით, დახატულიაო. ის შესამჩნევი იქნებოდა
ყველა სამეფო კარზე. მუდამ გარშემორტყმული თავისი ვასა-
ლების ჭრელი ჭგუფით, რომელთაგანაც ერთს მიმინო ეჯდა ხელ-
ზე, ხოლო მეორეს ბატონის საყვარელი მწვერები — მერცხალა და
ფრიალა დაჰყავდა, — პეტრე სწორუპოვარი ხელოვნებით თამა-
შობდა „დიდიკაცის“ როლს. ლაპარაკობდა აუჩქარებლად, სასია-
მოვნო, ოღნავ გაგუდული ბანით, დალაგებით, მძიმედ, აღ მკუ-
ლი და მწიგნობრული სტილით და პრეტენზიას
აცხადებდა როგორც ქართული ლიტერატურის, ისე
საღვთო წერილის ღრმა ცოდნაზე... ყველას იზიდავდა მისი
ლაზათიანი გარეგნობა“².

¹ საქმე № 42, ფ. 46. გიორგის სხვა წერილებში ნახმარია ანტონის პუნქტუ-
აციის თავისებური ნიშნებიც.

² К. Бороздин, გვ. 302.

სამწუხაროდ, ამ ოჯახის, ისე როგორც ქართული ოჯახების დიდი უმრავლესობის შინაური არქივი დაღუპული უნდა იყოს ჩვენებური დაუდევრობის წყალობით. ჩვენ ამიტომ მოკლებული ვართ საშუალებას, უფრო ღრმად შევიხედოთ მის ინტიმურ წილ-ში. ეს განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა ქალების სახის წარმოსადგენად. თუ იმდროინდელი ქართველი ქალის საზოგადო თვისებებს გავითვალისწინებთ, უნდა ვიგულოთ, რომ „დიდი“ ნიკოს ასულნი თუ არ წააცილებდნენ კულტუროსნობაში თავიანთ ძმებს, ყოველ შემთხვევაში, არ ჩამოუვარდებოდნენ მათ. ნაკლუ-ლი ცნობები ადასტურებს ამ აზრს.

ერთი ამ ქალთაგანი, ეკატერინე, დედა იყო ცნობილი პოე-ტის მამია გურიელისა. მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა პლუტარქი, იონა მეუნარგია, მამიას ბიოგრა-ფიაში მას ასე ასწერს: „მამიას დედაზე, ეკატერინეზე (შინაურო-ბაში ბათუს ეძახდნენ) მოკლედ არის ნათქვამი: „ისეთი ტკბილი ქალი იყო, რომ შექარი ამოდიოდა პირიდანო“. ეკატერინე იყო დიდი ნიკო დადიანის — სამეგრელოს კანონმდებლის — ქალი და და შესანიშნავთა სამთა ძმათა: გიორგის, ბესარიონის და პეტრე-სი. ეკატერინეც მამასა და ძმებსავით კარგი მწიგნობარი ქალი იყო და ჩინებული მოლაპარაკე. როცა ქუთა-თურმა ქალებმა „ქართული ბიბლიოთეკის“ გამოცემა დაიწყეს, მამიას დედამ ამ უურნალის მოთავეს კატო ჭყონიას ასულს მად-ლობის წიგნი მისწერა ისეთის ენით, რომ მისი ბარათი დიდხანს დაქონდათ ხელი-ხელ წასაკითხავად, როგორც შესა-ნიშნავი წერილი“¹.

ეკატერინეს და კესარია გათხოვილი იყო აფხაზეთში, აბჯუის ანუ „შუა სოფლის“ (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი) მფლობელ ალი-ბეგ (ნათლობაში ალექსანდრე) შარვაშიძეზე, რომელიც ნა-თესავი იყო მთავრის მიხეილისა². სელეზნევი, მისი შემსწრე, არ-წმუნებს თავის მკითხველს, რომ კესარიას სიკეთე ყოველ ქებას აღემატებაო. იგი გამჭრიახია და გულკეთილი. მას კარგი ქარ-თული აღზრდა აქვს მიღებული და ქალიშვილობაში თავისი

¹ ი. მეუნარგია, მამია გურიელი, თხზულებანი მ. გურიელისა, ქუთ. 1897, გვ. VII.

² მ. დადიანი, დასახ. თხზულება, გვ. 52.

ნატიფი ზრდილობითა და ზნეობით მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა გული ჰქონდა მონადირებული; ეხლა თავისი ქვეშევრდომი აფხაზების საერთო სიყვარული აქვს მოხვეჭილიო (ქმრის საკვილის შემდეგ კესარია პირადად განაგებდა აბჯუის ოლქს)¹. ცნობათა სიმცირე კესარიას შესახებ მით უფრო საგრძნობია, რომ იგი ზრდიდა, ჩვეულების თანახმად, მთავრის შვილს, ჩვენს პოეტს, გიორგი შარვაშიძეს². გიორგი მასთან, ჩანს, უფრო შეჩვეული ყოფილა, ვიდრე საკუთარ დედასთან. ეს უკანასკნელი 1855 წ. ეუბნებოდა დ. ყიფიანს: „მინდა შვილი (გიორგი) სასწავლებელში გავგზავნო, მაგრამ ჯერ ყმაწვილია და თავის აღმზრდელს, კნეინა კესარიას, ვერ შორდება“-ო³.

დასასრულ, ზოგადი ხასიათისაა ცნობები გიორგის დედის, ალექსანდრას, შესახებაც. გენ. ბებუთოვი აქებს მის ჰკუას, ზნეობრივ თვისებებსა და სილამაზეს. განუსაზღვრელია აფხაზების მისდამი სიყვარული, რომელიც მან განსაკუთრებით მას შემდეგ მოიპოვა, რაც ბზიფის ოლქს (დღევანდ. გულაუთის რაიონი) განაგებდა მთავრის იქ არყოფნის დროსაო⁴. ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის დროს ოსმალების წინააღმდეგ მან განსაკუთრებული თაოსნობა გამოიჩინა⁵. დიმიტრი ყიფიანი ალექსანდრას „მშვენიერს, ჰკვიანს, ღვთისმოსავსა და მოყვარულ ადამიანს“ ეძახის, ხუთი შვილის დედაა და ქმარსაც იგი მხურვალედ უყვარსო⁶. სხვაგან იგივე დიმიტრი ყიფიანი წერს: „ალექსანდრა, როგორც ჩანს, ძალიან ახალგაზრდაა და მიუხედავად იმისა, რომ ხუთი შვილი ჰყავს, ძალიან კარგად არის შენახული და შეიძლება ითქვას, რომ მშვენიერია. ქარათულს ლაპარაკობს თავის მამასავით ჩინებულად“⁷. დ. ყიფიანისათვის ალექსან-

¹ М. Селезнев, დასახ. თხზ., II, გვ. 163—167.

² К. Бороздин, 128, შენ. საქმე № 42, ფ. 127.

³ საქმე № 42, ფ. 138.

⁴ Рапорт кн. Бебутова кн. Долгорукову, от 11 июля 1855 г., АКАК, XI, стр. 48.

⁵ საქმე № 37, ფფ. 9—11; შტრ. ალექსანდრას მხნეობა აფხაზეთიდან ევაკუაციის დროს, საქმე № 48, ფფ. 128b—129.

⁶ საქმე № 42, ფ. 106 a/b.

⁷ იქვე, ფ. 127.

დრას, სხვათა შორის, უთქვამს: „ჩემთვის მეტად სასიამოვნოა, რომ თქვენა გხედავთ, რადგან თქვენ ქართველი ხართ და მაშასადამე ჩვენი ქვეყნის შვილი“-ო¹. ცხადია, ალექსანდრაც იმავე თბისაგან ყოფილა შექმნილი, რომელიც საერთო წყაროდან გადმოცემული ჰქონდათ მის პაპას, მამას, მამიდებს და ბიძებსაც².

* * *

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს კულტურული სული და შეგნება მხოლოდ ამ მრავალწევროვან სახლში იყო დასადგურებული. თუ იმდროინდელ სამეგრელოს ცხოვრებას ჩავუყვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ ჩვენ განვითარების საერთო დონეს ვეხებით ტიპური წარმომადგენლების მეშვეობით. იმავე ბოროზდინს მოეპოვება საყურადღებო დახასიათება სამეგრელოს მოწინავე წრეებისა ალებულ ხანაში: ეს ხალხი „თავისუფალ დროს ან დომეზდა საღვთო წერილს“

¹ საქმე № 42, ფ. 127 ბ.

² გ. დადიანის ვაჟს, კოწიას, ალექსანდრას ძმას, წილი უძვეეს ქართულ ლიტერატურაში; ჩვენთვის ცნობილია ორი მისი პოემა: „ყანაშუბი“ („ივერია“, 1883, № 2) და „სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე“ (ტფ., 1898), მწერლობას ეწვეიან კოწიას ძმა დავითი და მეოთხე თაობაც — კოწიას შვილები.

„დიდი“ ნიკო დადიანის, სამეგრელოს ფაქტიური მმართველის, შთამომავლობის განვითარების ისტორიისათვის საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მისი წარმომადგენელი მეოთხე თაობაში რადიკალური სოციალური შეგნების მატარებელია. გიორგი, ნიკოს ძის ერთი შვილიშვილთაგანი, ლექსში „გადარჯულბულ სოციალ-დემოკრატს“, რომელიც დათარიღებულია 1906. წ. 2 ნოემბრით, ამბობს (ამოღებულია ანჩაბაძისეული აღბომდან):

სოციალ-დემოკრატობდი,
როცა ერთობა გვეწვია,
შას აღიდებდი, აქებდი,
არ დაგიკლია ბეწვია.
შაგრამ დღეს, როცა დროებით
დამარცხდა „ობოზიცია“,
ცა შეიმოსა შავებით,
მძვინვარებს „ინკვიზიცია“, —
წითელი დროშა გასცვალე
კვარაცხელის მკლავშია,

ლოს, შოთა აფხაზელის „ვეფხისტყაოსნის“, ჩაბრუნებისა და სხვა ძველ მოშაირეთა ლექსებისა და არისტოტელისა და პლატონის თარგმანების კითხვას. ქალები განსაკუთრებით კარგი მწიგნობრები იყვნენ და ამას გარდა აბრეშუმის, ოქრომკედლისა და სხვა მსგავსი ზელსაქმის ათასნაირ ძნელ ოსტატობაში იყვნენ გაწვრთნილი“¹... ბოროზდინი კარგად იცნობდა ამ მხარეს: ჯერ ის სამეგრელოს მთავრის კანცელარიის მოხელე იყო და მთავრის შვილების აღმზრდელი, ხოლო სამეგრელოს ავტონომიის გაუქმების შემდგომ კი სენაკის მაზრის პირველი უფროსი. და მისი ჩვენება ამ შემთხვევაში მით უფრო სანდოა, რომ ავტორი ერთი პირველთაგანი ძველ რეჟიმის რუსიფიკატორ მოხელეთაგან მოითხოვდა სამეგრელოს სკოლებსა და ეკლესიაში ქართული ენის მაგიერ რუსულის შემოღებას... „მეგრელს სჭირია მხოლოდ თავისი დიალექტი და რუსული ენა“-ო².

თუ სხვა იმდროინდელს მეგრულ ოჯახებს თვალს მოვაველებთ, დავრწმუნდებით, რომ ბოროზდინის სიტყვები სინამდვილეს გამოხატავს. აი, სამთავრო სახლი. ის ერთგვარს კულტურულ ცენტრს

სოციალიზმიც აწვალე
 სულ ლანძღვა-გინებაშია.
 მარქსი, ენგელსი, კაუცკი
 სოლომონს უძღვენ სახშია...
 უარ-პყავ ძმობა-ერთობა
 ჭით ხელიგანთა წესია...
 სტუდენტები, ბრიჯეო, იცოდე,
 დღე მოდის შურის გებისა!
 რაც ხალხსა ადრე შესცოდე,
 ასწილად გარდაგხდებისა.
 მტარვალთ სამეფო ინგრევა,
 ფრიალებს დროშა წითელი,
 მთელი რუსეთი ირყევა,
 მასთან მზა არის ქართველი—და სხვა.

¹ К. Бороздин, გვ. 306; შრდ. შ. და დიანი, სილუეტური ნიკო დადიანისა, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, ტფ. 1927, № 6-7, გვ. 251-252 და სხვა

² К. Бороздин, გვ. 318, შენ.

წარმოადგენს. სამშობლო ისტორიის ცოდნა, მწიგნობრობა და წიგნის სიყვარული, შაირმოქმედობა, ზმა, მუნასიბი ანუ კაფია (ექსპრომტი)—საერთო მოვლენაა. ჩვენ დრომდე მოღწეულია ამ ოჯახის ერთ-ერთი დედაქალის მზითვისა წიგნი. ქალის პატრონი აცხადებს, რომ სადედოფლოს შეუთვისებია არა მარტო საღვთოა წერილი, არამედ ელინური სწავლაც: სამზითვო ნივთებს შორის ყველაზე ადრე დასახელებულია წიგნები, ჯერ საეკლესიო, მიუცილებელი მაშინდელი თვალაზრისით, შემდეგ—გარეშე (საერო): ა) ქართლის ცხოვრება სრული, ბ) ხრონოლოგია, რომელ არს ბერძენთ ცხოვრება, გ) ლექსიკონი სრული (ალბათ სულხან-საბასი), დ) ქილილა, ე) ვეფხისტყაოსანი, ვ) სარკე თქმულთა (თეიმურაზ მეორის პოემა), ზ) სელიანანი, ლ) ვარდბულბულიანი, თ) შამი-ფარვანიანი, ი) გაბასება გაზაფხულისა და შემოდგომისა, კ) სამების დიდება, ლ) ანბანთქება, მ) მაჯამა, ნ) სიბრძნე სიცრუისა, ძ) ვისრაპიანი, ო) ჩარ-დავრიშანი, პ) მიჩიანი, ყ) ამბავი დიფნის ქალაქისა, რ) ყარამანიანი, ს) ღრამატიკა, ტ) რიტორიკა, ჯ) დიალექტიკა, ფ) კატილორია, ქ) პორფირი და სხვ.¹

ცხადია, თუ რა ტრადიციები უნდა დაეტოვებინა ამ განათლებულ ქალს თავისი მემკვიდრეებისათვის. უკანასკნელთა შორის ყურადღებას იქცევს დავით, მიხეილ შარვაშიძის თანამედროვე და ერთგვარი მეტოქეც. რუსი არქეოლოგის მურავიოვის სიტყვით, დავითი განათლებული კაცია და სამშობლო სიძველეთა ღრმა მცოდნე². მისი შეკვეთით და, ნაწილობრივ, რედაქციით ითარგმნა ქართულად ისტორიის მამამთავარი ჰეროდოტე და მილოტის მსოფლიო ისტო-

¹ დოკუმენტი ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს; სამწუხაროდ, ქართული ტექსტი დაბეჭდილი არ არის და რუსული თარგმანიც არაღამაქმყოფილებლია: Н. Эрнстов-Шарвашидзе, Книга о приданом ц. Нины Георгиевны, М., 1916. შეიძლება ამ წიგნების რიცხვიდან იყოს ის ხელნაწერი (წ. კ. ფ. № 342, Э. Такайшвили. Опис., т. II, вып. II, გვ. 185—189), რომელიც თავისთავს „დედუფლის ნინოს ნაშუბითვს“ უწოდებს. ე. თაყაიშვილი ცდებდა, როცა ეს ნინო დავით დადიანის ცოლად მიაჩნია, ნამდვილად ის დავითის ბებია იყო (გრიგოლის ცოლი). შტრ. ასეთივე მინაწერი ერთ ოთხთავზე, Д. Баградзе, Археолог, путешествие... გვ. 281.

² Грузия и Армения, ч. III, 53—54. СПб. 1848; ბროსეს ცნობით, დავითს განათლება პეტერბურგში მიუღია, შემდეგ საზღვარგარეთაც ყოფილა, Voyage archéologique, VII rapport, 59, St. P. 1849.

რია¹. ცნობილი მ. ბროსე მის შესახებ ამბობს: დიდი მოყვარულია ქართული წიგნებისა და უფრცვლესი ბიბლიოთეკა შექმნა². ძველ ფონდთან ერთად ეს ბიბლიოთეკა წარმოადგენდა უმდიდრეს კოლექციას ქართული ხელნაწერებისას და შემდეგ დავითის მემკვიდრეების მიერ გადაეცა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას³. წიგნთსაცავთან ერთად მას პატარა მუზეუმიც ჰქონია მოწყობილი⁴. მას შეუქრებია და 1839 წელს ისტორიკოსის თეი-ზურაზ ბატონიშვილისათვის მიუწოდებია ოცდაათი მნიშვნელოვანი ძველქართული წარწერა, რომელნიც შემდეგში ბროსემ გამოაქვეყნა⁵. მის ოჯახში ჩვეულებრივი იყო მსჯელობა ენათმეცნიერების, ლიტერატურისა და არქეოლოგიის საკითხების შესახებ, და იქ წარმოდგენილ მოსაზრებათა მიღებას არ თაკილობდა ქართველთმცოდნეობის ისეთი ავტორიტეტიც, როგორც იყო მრავალგზის მოხსენებული აკადემიკოსი ბროსე⁶.

საინტერესო კულტურული ჰაბიტუსის პატრონია დავითის ძმა გრიგოლიც, ეგზომ ალტაცებით აწერილი იმავე მურავიოვის მიერ, რომლისთვისაც იგი მეგზური და ინტერპრეტატორი იყო ქართული

¹ უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი, წ. კ. ფ. №№309, 310, 311 და №282-3 (იხ. დ. კარიჭაშვილის კატალოგი). ამ დროს დავითი ოცი წლისა ყოფილა, № 282, 283 გვ. 1... დავითისავე შეკვეთით არის შესრულებული ათონური ქართული დაბადების ერთი პირი, იქვე, №422.

² Brosset, დასახ. თხზ. VIII, გვ. 62.

³ მისი აღწერილობა იხ. Brosset, ib. გვ. 62-66; „ივერია“, 1885, № 12, A. Цагарели, Сведения, т. I, вып. III, გვ. 238—245.

⁴ Brosset, იქვე, 60-62.

⁵ იქვე, 62. დავითის ინტერესი ქართული სიძველეებისადმი ჩანს, სხვათა შორის, მისი ერთი კერძო წერილიდან ბროსესადმი, რომელშიაც უკანასკნელს უძღვნის მადლობას „უცხო და უცხო სასარგებლო ცნობების“ და „რამთენიმე ზედწერილობათა“ შეტყობინებისათვის, წ. კ. ფ. №2898, დავითს ლექსებიც უწერია: ერთი ხელნაწერით (წ. კ. ფ. № 3723) ჩვენ მის რამდენსამე ლექსს ვიცნობთ: „საზანდრული“ (გვ. 151), „იამბიკო“ (151—152), „წყობილი“ (152), „მრჩობლელი ორშიდეული“ (? 152), შდრ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Опис. т. II, вып. II, 325.

⁶ იქვე, გვ. 67, 20 და სხვ. იხ., სხვათა შორის, დავითის ახსნა სულხან-საბას ერთი თავსამტკრვეი ამოცანისა (მელას, მეტურ, მარასან; 57-ე იგავი გ. ლეონიძის გამოცემით), იქვე, 67—68.

სიძველეების შესწავლისას!... „მთებში დაბადებულმა, მან სიყმაწვილე გაატარა ჩვენს ჩრდილოეთის დედაქალაქში?... ჩემთვის სასიამოვნო და თან სასარგებლო იყო მასთან ყოფნა; დაბადებით მთიელი, ცხენოსანი და პოეტი, ფიცხელის, მაგრამ საერო განათლებით შვრბილებულის, ბუნების კაცი, ის წარმოადგენდა ამ ორ სრულიად საწინააღმდეგო დასაბამთა უჩვეულო შეერთებას. მისი კეთილშობილი სული ეთვისებოდა ყოველსავე ამადლებულს და სამშობლოსადმი სიყვარულით იწოდა; სამხრეთელი თანატოლია კაშკაშა ფერებით მოსავდა ყველა საგანს და მრავალი ძველი გარდმოცემა თავის წინაპართა ბრძოლებისა და მათ მიერ შექმნილ ჰავანეთა შესახებ, ირეოდა მის გონებაში; ძარღვებში დულდა დადიანების სისხლი, და ჭერ კიდეც ყრმამ, როცა თავის ქვეყნის ჩვეულების თანახმად მთებში იყო გასაზრდელად გაბარებული, შეითვისა მშობელი ქვეყნის სამხედრო სიმღერები და თვითონაც ბევრი კეთილზნოვანი ლექსი შეთხზა... მას შეეძლო ძველი საეკლესიო დამწერლობის გარჩევა, რომელიც ბევრისთვის წარმოადგენს საიდუმლოებას და ცარიელბულ ნანგრევებში... ის იყო აგრეთვე ჩემი უშუამავალი ყოველგვარ საუბარში, რადგანაც იცოდა ქართული და მეგრული“³... ერთ რუსის პოეტთან ერთად ის ჰექსამეტრებით თარგმნის რუსულად „ვეფხისტყაოსანს“⁴. ქართულ მწერლობაში გრიგოლი, როგორც პოეტი,

¹ იგი უკითხავს და უთარგმნის მურავიოვს, მაგ. უფლისციხისა (Грузия и Армения, III, 97—98) და ატენის (იქვე. 106) ძველქართულს კედლის წარწერებს, უთარგმნის აგრეთვე დავით აღმაშენებლის ანდერძს (200 შემდ.) და სხვ.

² მ. ბროსეც ამბობს, რომ დავითის ძმებმა, გრიგოლმა და კონსტანტინემ, მშენებრი აღზრდა-განათლება მიიღეს პეტერბურგში, დას. თხ. 20.

³ Грузия и Армения., III, 76-78; იხ. აგრეთვე 247, 251, 262, 266, 276. ავტორს გრიგოლის სახელი მოხსენებული არა აქვს, ამბობს მხოლოდ რომ ეს დადიანი ძმა არის დავითის, რომელსაც გრიგოლს გარდა კიდეც ჰყავდა და უმცროსი ძმა კონსტანტინე. მაგრამ მთელი აღწერილობა ზოგიერთ ფაქტურ ცნობებთან ერთად აქ სწორედ გრიგოლს გვაგულისხმებინებს.

⁴ იქვე. 235. მურავიოვს დაბეჭდილი აქვს ვრცელი ნაწყვეტები ამ თარგმანიდან, იქვე, გვ. 216 — 234. ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩვენი წერილი გაზ. „ლიტერატურულ გაზეთში“. 1935 წ., იანვრის 30.

ცნობილია „კოლხიდელი“-ს ფსევდონიმით, ნიკო დადიანის ზმა-
კიდურებში მისადმი მიძღვნილია შემდეგი აკროსტიხი:

ძარგი მკოდნეა ძველისა სამწიგნობროსა ენისა,
„ონიქსის“ დაცმით მოლექსე, შემზიარები სმენისა,
ლეკს-შემფერადი „შეძერწით“ „იამბიკურად“ მშვეენისა,
„სუსტად“ იმისა“ მგალობელია, „კოლოს“ მგმობელი „წყენისა“,
„იაკონთ ასხმით“ მთხვეელია, მბრძოლი „ქართულის ხდენისა“,
დღე „აექსონთ“ კბაძავს „აღნაქესით“, მორიდი „გარდაცდენისა“,
„მეფერატად“ თხრობის მომწონე — „ნილოსად“ სიტყვის ღენისა,
„ლიქნით“ ქებისა ჯაღარი, — მაღიდებელი „ზენისა“².

სხვათა შორის, მამია გურიელს, რომლის დეკლამაცია განთქმული
იყო ზოგელ საქართველოში, ლექსებისა კითხვა გრიგოლისაგან უსწავ-
ლია, მაგრამ პროზის კითხვაში მაინც მასწავლებელი სჯობდა შე-
გირდსაო. ამტკიცებს ი. მეუნარგია³. აქ დეკლამაციის განსაკუთ-
რებულად, ძველებური, ქართული მანერა იგულისხმება.

ღავითის წრეში საყურადღებო ფიგურაა იოანე გეგეჭკორი,
პოეტი და მწიგნობარი, ავტორი ისტორიული პოემისა რუბის
ბრძოლის შესახებ⁴, იმ გმირული ბრძოლის შესახებ, ბესიკმაც რომ
შეაქო თავის დროზე. უეჭველია, საყუთარი ხმა ჰქონდა მონიჭებუ-
ლი ამ ადამიანს, იქნებ უსამართლოდ ჩაძირულს „სიღრმესა შინა

¹ გრიგოლის იამბიკოს ნიშეში იხ. „ცისკარი“ 1860, თებერვ. გვ. 103
შემდ. თუმცა თვით გრიგოლი ამ ლექსს ვინმე „სირამეს, ძველთა იმერთა
მეჩანგურეს“ მიაწერს, მაგრამ ბაქარ ქართულის „შენიშენიდან ჩანს, რომ
იგი ნანდელიად „ამ ჩუქნს სასიქადულო კოლხიდელს“ ეკუთვნის (ibid.
გვ. 155; პაგინაცია არეულია).

² შენიშენაში განმარტებულია: კოლხიდელი — ფსევდონიმია გრიგოლ ლე-
ვის ძის დადიანისა,

³ თხულებანი მ. გურიელისა, გვ. XLVIII, ქუთ. 1897.

⁴ წ. კ. ფ. ხელთნაწ. № 3723; თაყაიშვილი. Опис. т. II вып. II, 319. გა-
მოცემულია დ. ჩუბინაშვილისა (მისს ქრისტომატიაში) და ზ. კიკინაძის მიერ
(ტფ. 1895 წ.). ეს პოემა ავტორის დაუწერია სულ ახალგაზრდას, „მოოცესა
წელსა თვისისა ცხოვრებისასა, ჩულვ-სა (1836) წელსა, მარტის იმ. სამეგრე-
ლოსა შინა, სამთავროსა სასახლესა ზუგდიდს“ (№ 3723, გვ. 19; თაყაიშვილი, იქ-
ვე, 319) და უძღვნია ღავითისათვის, როგორც ეს ჩანს შემდეგი იამბიკოდან:

დავიწყებისასა“¹. მას არა მარტო ჩინებულად სცოდნია და მწვავედ
პყვარებია ქართული ენა და მწერლობა. იგი ფართო ლიტერატურ-
რულ განზრახვებსაც ზიარებულა: ერთი მისი ლექსიდან ჩანს,
რომ მას ურთიერთობა პქონია ცნობილს პოეტ ალექსანდრე ჭავჭა-
ვაძესთან რუსთველის რუსულად თარგმნის გამო, იმ „საკვირვე-
ლის“ რუსთველისა, რომელიც გეგეპკორს პოეტის იდეალად ეხა-

რათა მიიღოს ნაყოფმან ედემს რეულმან,
მშვიდმან ტარიგმან. იგურღევ სიმართლე ცმულმან,
მემევიღრემ დაერთ, კოლხიდის მთაერის წულმან,
მეგრელთ ცისკარმან, ჩრდილოს ვარსკელავით მკულმან,
რა ეს იზრომა მონამან ზემოთქმულმან (მიძღვნა, №3723, გვ. 19).

¹ მისი პოეტური სტილისათვის დამახასიათებელია ბრძოლის აღწერილობა
პოემაში (კიკ., 14—15), ან პოემისავე წინასიტყვაობიდან ეს ადგილი (№ 3723,
გვ. 21):

...თუმც ვიციდი ბრძოლის წერის სხვა ხაზა გამოციდილება,
კალის ჭეჭთა მელნისა მჩქეფარე სისხლად ცულილება.
ღელა ლეჩხვბთა ცხოველთა. ცეცხლის ვარსკულათა ელილება...
მაგრამ თქვენც იცით, მოყუასნო, გრძნობა ჭაბუყთა მცხარეა,
აღატყდა ჩემიღ ვით ცეცხლი რა ესმა ვასახარია,
მისცა ხელს ძალად კალამი, უთხრა მეგრულად: „ქარია!“
(ე. ი. „წერა“).

სხვათა შორის, ბროსე ამბობს, რომ გეგეპკორს მიეწერება ო რ ი მეტად საყუ-
რადღებო პოემა რუხის ბრძოლის შესახებ, რომლებიც ყოველ შემთხვევაში,
გადაცემბღელია უთრო განათლებული ანონიმურ მიერო. ო. ე. VIII, rapp. 88. არ
ჩანს რაზეა ეს ცნობა დამყარებული. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ:
ჩვენ არ გვაქვს საშუალება განვიხილოთ აქ ის მოსაზრება, რომ „ოთანე
გეგეპკორი“ მხოლოდ ფსევდონიმია იმავე გრიგოლ დადიანისა. უნდა შევნიშნოთ
მხოლოდ, რომ დასახელებული მოსაზრების მიღებისას გაუგებარი დარჩებოდა,
ბროსეს ცნობა, ამავე შენიშვნაში მოტანილი, და საერთოდ ის გარემოება, რომ
ბროსემ არაფერი იცის ამ ლიტერატურული ფაქტის შესახებ. ბროსე კი კარგად
იცნობდა დაეითსა და გრიგოლს, მათსა და თავის საყუთარ მტერსა და მუღმიე
კორესონდენტს თეიმურაზ ბატონიშვილს და პირადად ყოფილა დაეითის ოჯახში,
სწორედ აქ, ზუგდიდში, მიიღო ბროსემ თავისი ცნობები გეგეპკორის პოემის
შესახებ. გეგეპკორ-დადიანის იგივეობის სასარგებლოდ კი ერთგვარი საბუთი
აქვე, ქვემოთ მოტანილი ცნობა გეგეპკორის ურთიერთობის შესახებ აღ. ჭავჭა-
ვაძესთან „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმნის საქმის გამო. არავი-
თარი კვალი გეგეპკორის (თუ მისი მონაწილეობით შესრულებული) თარ-
გმანისაგან არ დარჩენილა, გრიგოლ დადიანისეული კი გამოქვეყნებულია.
ბუნებრივია, ამიტომ ვიფიქროთ, რომ ორსავე შემთხვევაში ერთსაღამივე
თარგმანს ეხება საქმე. დაწვრილებით ამ საკითხებს მხოლოდ სპეციალური კვლე-
ვა თუ მოფენს შუქს.

ტებოდა („... რუსთველები უნდა მწერალი, ვინათგან მხოლოდ მას ეპყრა კალამი სულის მბერალი“...) და თარგმნის საქმის თაოსანიც თითქოს თვით ის უნდა ყოფილიყო¹.

ყველა ეს პირი, როგორც აქ მოტანილი ნაწყვეტებიდანაც ჩანს, იმავე ანტონისეულ სკოლას ეკუთვნის.

შემდეგ მოდის თაობა, რომელსაც გ. შარვაშიძის ტოლები შეადგენენ. მათ უკვე სისტემატური რუსული განათლება აქვთ მიღებული, მაგრამ დაბადებით საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნებიან და თავის პირველალზრდის ხასიათის გამო იდეოლოგიურად ზემოთაღნიშნულ ფენას უკავშირდებიან. მაგალითად, ნიკო დადიანი, დავითის შვილი. „ის, თუმც არაოფიციალურად, იყო ნამდვილი, წარმომადგენელი თავის ხალხისა. იგი ბევრს კითხულობდა, გულდასმით უკვირდებოდა თავის სამშობლოს და დიდი ცოდნის პატრონიც იყო მის შესახებ. თუ სათანადო შემთხვევა ხელთ ეძლეოდა,

¹ ლექსის სათაურში, სადაც ეს ცნობა მოიპოვება, აზრი ბუნდოვნად არის გამოთქმული. „გეგეპკორისაგან მიწერილი ალექსანდრე ქავკავაძესთან, ოდეს სთხოვა მან შეწევნა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში“ (№ 3723; გვ. 52; თაყაიშვილი, დასახ. თხზ., გვ. 319). თუ შეწევნის მთხოველი ქავკავაძეა, ეს კიდევ უფრო ზრდის გეგეპკორის ავტორიტეტს. ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ინიციატივა ეკუთვნის გეგეპკორს და საქმე შეეხება პოემის განმარტებას (კომენტარს). ყოველ შემთხვევაში, ლექსიდან ცხადია, რომ განზრახული იყო პოემის თარგმნა რუსულად („რათა რუსთ მისგან გემო მიეცა“). მოგვაქვს აქ ეს საინტერესო ლექსი, ჩვენი მცირეოდენი კორექტურით (ტექსტი ხელნაწერში დამახინჯებულია, № 3723, გვ. 52-53):

ხელოვნებითა ნახელოვნევი ოქროსა როგო ძენის გან მომეცა:
ვარსკვლავ-ფეტურათა ნათლისა მდენთა შოთას ყვავილთა სურნელი ეცა
სულს, გულს ზეცისა გოლისა წვეთი დამატკობელი ჰსწყურის, დაეცა,
ენყოთ გრიალით ფრენა ჩემდამო რათა რუსთ მისგან გემო მიეცა.
სადაფის ლარნასს შინა მდებარე ბრწყინვალედ თვალნი სხვადასხვა გვარნი
მანათობელნი, შუქის მფრქვეველნი ანუ მთიებნი ცისა მის მყარნი,
გამოხატულნი, გამოსახულნი სიამოვნისა ჩემისა დარნი,
მეტყოდენ: „აღსდევ და დაუტევე ქაბუჯობისა თავისა ქარნი;
გვაჩვენე შენის მამა-დედისა, ძმისა, მეგობრის საუნჯის თვალნი:
რუსთაველისა საკვირველისა ცხოველობისა უკუდავნი წყალნი!
კაცი და ქალნი, სულნი და ძალნი, ტარიელისა ეშხისა აღნი!“
მესმა, და აჰა განისხნა ბჰენი საუნჯის მისა განსაკვირველნი:
რივე ძვირფასთა ქვათა გათლილთა, საუკუნენი რომელთ ჰყვა მცველნი;
მტილი შოთასი, ხენი ოქროსნი, მარგალიტ სხმული ედემის ველი, —
სანატრელისა, ივერთა მზისა, მეფე თამარის შესაქცეველი

მან იცოდა სამშობლო ქვეყნის ინტერესების დაცვა¹, ზრუნვა ქართულ კულტურულ დაწესებულებათა შესახებ ახასიათებდა მას: მან შესწირა მამისეული ძვირფასი, ზემოთხსენებული წიგნთსაცავი წერა-კითხვის საზოგადოებას და შემდეგშიც მას ყურადღებას არ აკლებს². მისმა ჩარევამ შეაჩერა სასულიერო მთავრობის რუსიფიკატორული განზრახვა — სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და მის მაგიერ თვალთმაქცურად მეგრულის შემოღებისათვის³. საინტერესოა მისი აზრი ქართულ-მეგრულის დამოკიდებულების შესახებ:

„... მე წავიკითხე ის სტატიები, რომელნიც ამტკიცებენ რომ მეგრული ენის შუა და ქართველთ ენის შუა სიმზგავსეც არ არისო. ჩემი ამბავი ხომ იცი: მე ვერაფერი გამაკვირვებს!... მე ოღონდ ამას ვიტყვი, რომ ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომელნიც სწერენ მეგრულს და ქართულს ენებზედ, არიან სრულად დაბნეულნი. ჭერე ჩვენი ენა ისწავლონ და მერმედ სწერონ. ნამეტანი სწავლა ზოგიერთებს მთლად დააბნევს!... ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს აქვს საკუთარი აზრი და რწმუნება, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დაგვაჭრებს იმას, რაც ნამდვილი არ არის ჩვენთვის და რაც ავნებს ჩვენს წინ წაწევას. ხალხს მაშვინ გაიცნობს კაცი, როდესაც იმ ხალხში ცხოვრობს ან იმ ხალხის ენას ლაპარაკობს. ამას გარდა, ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყოს კაცმა და შემდეგ ილაპარაკოს. მე მენგრელიას, იმერეთს და გურიას უყურებ, როცა გორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შუა განსხვავება არ არის ან არც უნდა იყოს; ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვკვდები. ესლა გვაკლია ახლა, რომ ვინმე ჩინეთელმა ფილოლოგმა

შოთას მიერ შთაგონებულ ლიტერატურულ დოკუმენტთა შორის ეს ლექსი უკანასკნელ ადგილს არ დაიკავებს. იმავე ხელნაწერიდან ცნობილია გეგეკორის კიდევ რამდენიმე ლექსი: „ნატურა“, „დაფიქრდა“, „ტულოეზედ“ (გვ. 85; თაყაიშვილი, დასახ. თხზ. გვ. 322-323).

¹ Г. М. Туманов, Характеристики и воспоминания, кн. II, 143. Тфлс., 1905.

² იხ., მაგ., ნ. დადიანის ღონისძიებანი იმავე საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნებისა და შენობის შექმნის შესახებ. იხ. „წერილი ვასილ მაჩაბლისადმი“, „ივერია“, 1904, № 241.

³ Г. М. Туманов, დასახ. თხზ., გვ. 143-145.

დასწეროს ჩვენს ძველ ენაზედ ან გვასწავლოს ქართული. ეგების ამასაც მოვესწროთ“...¹

დადიანთა გვარიდან ყველაზე შესანიშნავი კაცი მეცხრამეტე საუკუნეში შეიძლება იყოს მესამე ნიკო, ნიკო „ფილოსოფოსი“, ცნობილი მწერალი. მისი პიროვნება ეხლა საკმაოდ გაშუქებულია². ქართული ენის ცოდნაში თანამედროვეთაგან მას იშვიათად თუ ვინმე შეედრება. მისი „ზმაკიდურები“ არის შეუდარებლად ჭკვიანი და მოსწრებული ისტორია ქართული საზოგადოებრიობისა წარსულ საუკუნეში³. აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. დადიანმა პირველმა სცადა საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური განზოგადება.

ამავე თაობას ეკუთვნიან პოეტები გ. ჭალაღიდელი (ქოჩაკიძე), ავტორი საყოველთაოდ გავრცელებული ლექსებისა („მანსოვს პირველად“... „ფაცხა“ და სხვ.), ძიმისტარაშვილი (კორტოხა) და სხვები, რომლებზედაც ეხლა ვეღარ შეეჩერდებით.

ამ იდეურ სამყაროს ნიადაგში მიდის გ. შარვაშიძის არსების სასიცოცხლო ფესვები. მისი ჰაერის სუნთქვამ გაუმაგრა მას ფილტვები. აქ გასკვნილი პირადი თუ საზოგადოებრივი ხასიათის დამოკიდებულებანი ქმნიან მისთვის იმ ზნეობრივ გარემოს, რომელიც თვით ძლიერი სულისთვისაც მიუცილებელია გამოსაწრთობად და საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის. ეს ურთიერთობა, სხვათა შორის, ლიტერატურულადაც არის აღბეჭდილი. ი. მეუნარგიას ცნობით, მამია გურიელის ყველაზე ახლოს შეთვისებული ნათესავი იყო გიორგი⁴. მართლაც, მამიას ლექსების პატარა კრებულში ოთხი მიმართულია გიორგისადმი, ილიადას თარგმანი — გიორგის დის

¹ „ივერია“, 1904, № 241.

² შ. დადიანი, დასახ. წერილი, „ქართული მწერლობა“, 1927, № 6-7. ავტორი სხვათა შორის შენიშნავს, რომ ნ. დადიანი „პირველ ხანებში სწერს ძველის ორთოგრაფიით, მაგ. უნს ბრგვით ხმარობს“... (ib, 303).

³ ნ. დადიანი, საამღროო გამოცანები, ზმაკიდურები ჩვენს მოღვაწეებზე, ქუთაისი, 1897.

⁴ ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით, ცარიზმის ჩინოსნობის მაძიებელ ქართველებთან ბრძოლის მიზნით გ. შარვაშიძემ ერთხელ მ. გურიელს წინადადება მისცა: დავაარსოთ ხელის არჩამორთმევისა და საღმის არმიცემის საზოგადოება; ვინც ორპოფი იქნეს, ხელი არ ჩამოვართვათ და საღამიც არ მივცეთო. მამიამ უპასუხა: ჩემო გიორგი, მაშინ შე და შენ დაერჩებით, დავიკრიფოთ გულზე ხელი და ვიართოთ (იხ. საქ. საისტ.-საენთ. საზ. ჩვ. კრ. ოქმი № 272).

ბაბოსადმი. თვით გიორგი თავის პოემას „გვადანის ციხეს“ უძღვნის მამიას ძმას ტელემაქს. გიორგის სახელთან არის მიძღვნილ დაკავშირებულ მოსი ბიძის, კოწია დადიანის პოემა „ყანაშუბეი“ და სხვ.

* *

ყურადღებას იზიდავს კიდევ ერთი მომენტი. შესამჩნევია (თავის ადგილას მოტანილი ციტატებიდანაც), რომ გ. შარვაშიძე „საქართველო“-ს აღსანიშნავად რჩეობს ტერმინს: „ივერია“, ხოლო „ქართველი“-ს მაგიერ ხშირად იხმარებს „ივერ“-ს. ესეც საკმაოდ ძველი და საინტერესო ტრადიციის ანარეკლია. ქართული ფეოდალიზმის საერთო დეკლანსმა, როდესაც დაქსაქსული ეროვნული ორგანიზმი მრავალს ადგილობრივ პოლიტიკურ ნაქუქში მოემწყვდა, რომელნიც ჩვეულებრივად გათიშულნი იყვნენ თავის შინაურსა და საგარეო სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, სხვათა შორის, ის შედეგით მოიტანა, რომ ძველმა ტერმინებმა, რომელნიც ზოგადი მნიშვნელობის პოლიტიკური და ეროვნულ-კულტურული ცნებების გამონსახველნი იყვნენ, ერთგვარი დაქვევითება განიცადეს. ასე მოუვიდათ კერძოდ ტერმინებს: „ქართველი“ და „საქართველო“. ამ სიტყვებს თავისი ძველი შინაარსი საბოლოოდ არასოდეს არ დაუკარგავთ. ზოგჯერ მათ მეტად ფართო აზრით ხმარებლაც კი ვხვდებით (ამ ხანაში). იგივე სულხან-საბა, რომელმაც აფხაზისგან ქართულის ცოდნა გაიკვირვა, მიუხედავად ამისა. აფხაზებსაც ქართველებად სთვლის: საბა წერს. რომ კუნძულ მალთაზე ოსპალთა ტყვეობიდან განთავისუფლებულთა შორის „ქართველნიც ვნახე, ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურიელი, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ. ენა ისევ კარგა იცოდნენ“¹. ანტონ პირველი კი „ქართველი“-ს ცნების ქვეშ ყველა კავკასიელ ტომს გულისხმობს:

ვახუშტის უკებ ლეოლრაჟის ცნობას,
ისტორიათ თქმას, ვრცელ ბრძნად გარდამოცემას.
ამან დაწყებით ქართულთა ისტორია —
კახთ, მესხთ, აფხაზთა, მეგრელთა, სუან, კავკასთა,
აღწერა, დაჰშურა, შეეწია ქართულთა.²

¹ სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში, *ibid.*

² „წყობილსიტყვაობა“, ტფ. 1853 წ., ხ. 811.

ტერმინის ასეთი გაგება — რეალური ისტორიული მდგომარეობის ნაყოფი — მისაწვდომი იყო მშობლიური წარსულის კარგად მცოდნე პირებისათვის. მაგრამ ჩვეულებრივ სიტყვანმარებაში იგი თანდათან შეიზღუდა იმ მხრით, რომ პოლიტიკურმა მომენტმა სძლია ეროვნულ-კულტურულს და განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ქართლი, საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცენტრი ისტორიულად, ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოყალიბდა, „ქართველმა“ უპირატესად ამ პროვინციის მცხოვრების სახელწოდების მნიშვნელობა მიიღო. თქმულებით, ქართლის მეფემ სვიმონმა ერთი უდიერობისათვის დასაჯა კახელები (1680 წ.) და ბრძოლაში შეპყრობილნი კახეთის წარჩინებულნი მცხეთაში დააფიცა: „ღმერთმან ნურას ჟანს მისცეს ძლევა კახთა ქართველთა ზედა“¹. მოწინავე და განათლებული ქართველებიც იძულებული არიან ამ ტერმინოლოგიას დაემორჩილონ. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი, უჭკვიაკნესი კაცი თავის თანამედროვეთა შორის და გულმხურვალე პატრიოტი, „ქართველ“² „კახ“-ს უპირისპირებს². ასევე — დავით გურამიშვილი („კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს“) და სხვები. „ქართველ“-თან ერთად სათანადოდ ვიწროვდება „საქართველო“-ს მნიშვნელობაც. პაპუნა, მაგალითად, ჯავახეთს საქართველოს გარეთ გულისხმობდა: „საცა მთებში ან ჯავახეთის ქვეყნებში საქართველოს ქვეყნების საქონელი სადმე იყო, იპოვეს და სულ წამოიღეს“ მტრებმამო (გვ. 195). მნიშვნელოვან სახელმწიფო დოკუმენტებშიც „საქართველო“ „კახეთი“-ს გვერდით შეიძლება შეგვხვდეს: „საქართველოსა და კახეთისა ერთა“, „საქართველოსა და კახეთის სამეფოებზე“³... როგორც ვამბობდით, ეს ტერმინოლოგიური ცვლილებები პოლიტიკური მიზეზებით იყო გამოწვეული და არა ეროვნულ-კულტურული მთლიანობის

¹ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II (ვიკ. გამ.), გვ. 45.

² „გაუსივა მეფემ ერეკლემ ცხრა ათასი კაცი ქართველთა და კახთა“... გვ. 144; „შემოიყარეს ჭარი ქართლისა და კახეთისა, პირიქით და პირაქეთი ოსისა, თუშ-ფშავნი, მოხვეე-ხვესურნი და ყოველი მთის ჭარები, რომელნი მონებდენ ქართველ ბატონს ანუ კახ ბატონს“... გვ. 190; „მას ღლეს შვილი ქართველმა ბატონმა მოჰკლა ისრით ღორი და ხუთი კახმა ბატონმა... ამისთანა ნადირობა და შექცევა არას ქართველის ბატონის დროს არა ყოფილიყო“, გვ. 126, დამრავ. სხვ. პ. ორბელიანი. ვიკ. გამოც.

³ „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისთაღმ მიამეფოიხათვის საქართველოსა, საქართველოს სიძველენი, I, 1, გვ. 202, 218.

შეგნების დარღვევით: უკანასკნელი თუმც განვითარებაში მყოფ, მაგრამ მუდმივ მოცემულ სინამდვილედ გვევლინება შესაფერ სიტყვიერ სამოსელში. ჯერ ერთი, „ქართველი“ შეიძლება ხმარებულ იქნას პარალელურად, როგორც პროვინციული, ისე ზოგადი მნიშვნელობით. ისტორიკოსი ვახუშტი, რომელიც სპეციალურად ასახულებს ქართველ ტომთა ერთობას, წერს: „...უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა (იგულისხმება დასავლეთ საქართველოს ყველა ტომი), მესხსა, ჰერ-კახსა: „რა რჯული (ე. ი. რა ეროვნებისა) ხარ?“ წამს მოგიგებს: „ქართველი!“ მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული; და ჰკითხო მათ წინთქმულთა კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყის?“ მოგიგებს მყის: „ქართული!“ რამეთუ არა იტყვის არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა¹... ანალოგიურად, ოღონდ ფორმალური განსხვავებით, ასახულია ენაში ტერიტორიული ცნებებიც. მართალია, ყველაზე აღრე ქართლია ძველი საქართველოს შემკვიდრე და ამიტომ უპირატესად მას უნდა ეწოდოს, „საქართველო“, მაგრამ სხვა თემებსაც ხომ უძვეთ წილი ამ შემკვიდრებაში! მაშასადამე, მართო ქართლი კი არ არის საქართველო, სხვა კუთხეებიდანაც თვითელი საქართველოა. ასეთი „მრავლობის“ შეგნებიდან იბადება უჩვეულო ფორმა: „საქართველონი“ ანუ „საქართველოები“: „როდესაც საქართველონი იყო ხელმწიფის ერთისა“, ამბობს რუსთაველის ეპოქის შესახებ თეიმურაზ მეორე²; „... რაც საქართველოების უწინდელნი და ახლანდელნი გარემოებანი მოქმედებენ...“, სწერდა ერეკლე მეორე გრაფ ნ. პანინს 1773 წ.³; „ყოველთა საქართველოთა მეპატრონეთა“ (იხ. გვ. 93); „საქართველოების დიდნი და მცირენი“⁴; „როგორც საქართველოებში რიგი არის“⁵ და სხვ. უკვე ზემოთ ლევან დადიანის წოდებულებაში ჩვენ შეგვხვდა მსგავსი ფორმა, თუმცა იქ უმართებულო შეთანხმება ექვს ბაღებს. ამ ფორმის შერწყმამ ძველ ქართულ შეხედულებასთან, რომ საქართველო შვიდი ძირითადი თე-

¹ ვახუშტი, დასახ. თხზ., გვ. 3-4.

² „რუსთველთან გაბაასება თეიმურაზ მეორისა“. ქართული სიტყვაკაზმულა მწერლობის ანთოლოგია, ტფ., 1928. II. გვ. 178.

³ А. Цагарелии, Грамоты... т. II, вып. I, стр. 92—93.

⁴ „განწესებანი“... საქ. სიძველენი, I, 1, გვ. 210.

⁵ იქვე, გვ. 217; იხ. აგრეთვე გვ. 216, 219.

მისაგან შედგება, მოგვცა „შვიდი საქართველო“-ს ვარიანტი: „ყოველთა შვიდთავე საქართველოთა“ მეპატრონენიო, ვკითხულობთ 1722 წლის ერთ საბუთში¹. განხილული სიტყვა-ხმარების კარიკატურულ განვითარებად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ მოზღოკელმა ქართველებმა (გადასახლებული არიან საქართველოდან მე-18 ს-ში) „საქართველო“ „ქართველი“-ს მნიშვნელობამდე დაიყვანეს: „ბევრი საქართველო [=ქართველი!] დაიხოცა“-ო, გაუგონია იქ დამკვირვებელს².

ამ არევიდან ნიადაგზე და გაუგებრობის თავიდან აცილებათვის, გაჩნდა მოთხოვნილება ისეთი ნეიტრალური ტერმინისა, რომელიც მოკლებული იქნებოდა არასასურველს, იმდროინდელ ფეოდალურ პირობებში, პოლიტიკურ ელფერს და იმავე დროს გამოსთქვამდა ეროვნულ-კულტურული ერთობის ფაქტს. არჩევანი ხვდა „ივერია“-ს, იმ სახელწოდებას, რომლითაც ძველი ქართლის სამეფო ცნობილი იყო მეზობლებში. საინტერესოა ამ ტერმინის ამოტივტივების ამბავი და მისი სიცხველე სხვა ძველ ანალოგიურ ტერმინებთან (მაგ., კოლხეთი, გიორგია და სხვ.) შედარებით, მაგრამ აქ ამაზე სიტყვას ვეღარ ჩამოვაგდებთ... უკვე ვახუშტი ხმარობს „ივერია“-ს უწყვეტული მნიშვნელობით: „იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქვეშე პყრობასა“³. განსაკუთრებით ნათელი კი მისი აზრი და დანიშნულება იმ ღრმადსაყურადღებო იურიდიკული ძეგლის საშუალებით ხდება, რომელშიც პირველად დიდი ხნის შემდეგ კატეგორიულად მკაფიოდ გამოხატულ იქნა ეროვნული ძალების გაერთიანებისადმი მისწრაფება და ქართველობის მთლიანობის შეგნება. საბუთი წარმოადგენს „ერთობის პირობას“ ანუ ხელშეკრულებას პოლიტიკური კავშირის შესახებ ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის.

„ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილო სამეფოსა ქალაქსა თბილისს 1790 წელსა.

ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სა-

¹ დავით მეფის გუჯარი 1722 წ., ღვათებრსადმი მიცემული, ს. კაკაბაძის გამოც. გვ. 17.

² ცნობა ეკუთვნის სტეფ. ჩხენკელს.

³ ვახუშტი, საქართ. ცხოვრება, II, კივ. გამოც. გვ. 3; იხ. აგრეთვე გვ. 14.

მეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, [იმერთა], ოდიშისა და გურიისათჳ აქვსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთის კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხე-ბლობითიცა [ე. ი. სასურთიერთო] სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთი-ერთთა შორის, ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერი-ისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა... აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითოეულად შემდგომთა შინა პაზრთა ცხად იქნებოს“. მოსდევს პირობის მუხლები, მაგ. „მუხლი პირველი: შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოველისა სამეფოსა ჩემისა, და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა“. და-საველეთი საქართველო დოკუმენტში წოდებულია „ქვემო ივერიად“, აღმოსავლეთი საქართველო — „ზემო ივერიად“. ტრაქტატზე ხელი უწერიათ ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლეს, იმერეთის მეფე სოლომონს, დადიანს გრიგოლს და სვიმონ გურიელს¹. ამ აქტის შესახებ ხელშემკვრელმა მხარეებმა, „ყოველისა ივე-რიისა“ მეფე-მთავრებმა, აცნობეს რუსეთის მთავრობას, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს პროტექტორს, და გამოსთქვეს წადილი „რათა არა განყოფილ იქნას საუკუნოდ ერნი ქართლისაჲ კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა რუსთა იმპერიასა ზედა მიწერთა, და რათა მზგავსად საქართველომსა [=ქართლ-კახეთი] მთელი ივერია იყოს მიწერილ იმპერიასა ზედა რუსეთისა“...; ე. ი. დასაველეთ საქართველოც ქართლ-კახეთის მსგავსად ეძიებდა რუსე-რთის მფარველობას.

ამ ტერმინმა მეტად ფართო გავრცელება მოიპოვა მე-18 ს-ში და მომდევნოშიაც გადმოვიდა. თეიმურაზ ბატონიშვილი თავის საქართველოს ისტორიაში, რომლის სათაურია: „ისტორია დაწყე-ბითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრუ-

¹ А. Цагарели, Грамоты... т. II, вып. I, с. 183-185; об. აგრეთვე, т. II, вып. II, с. 67-70, აფხაზეთი ამ დროს ოსმალეთისაგან დამოკიდებულებაში ით-ვლებოდა; იმერეთის ელჩი 1791 წ. სთხოვდა რუსეთის მთავრობას დახმარებას აფხაზეთისათვის დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. Грамоты, II, вып. II, с. 71.

² შტრ. აგრეთვე ცნობილი იონა ხელაშვილის ეპიტაფია: „მღწიელ-მონაზონი იონა, პირველ იონან ყოფილი, ვიყავ ქვეყანით ივერიით ქართუშლთაგან ტომისა, კახი წიზიყელი, დიდისა მის დაბისა ვაჟირისა წელაშვილი“...

ლიად საქართველომსა¹ ხშირად ხმარობს მას. ერთ ადგილას ის, სხვათა შორის, ამბობს: „... აფხაზეთი არს სამეფო ერთი ივერიის ქვეყანისა ქვემოსა შინა ივერიასა“-ო².

როდესაც ახალმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ურთიერთობამ, რომელმაც მოსპო ფეოდალიზმის პოლიტიკური ნაშთები ჩვენში და მასთან მატერიალურად და იდეოლოგიურად დაკავშირებული კლასი ჩამოაქვეითა, იმავე დროს საზოგადოებრივი სარბიელი გაუხსნა ზალხიდან გამოსულ შემოქმედებრივ ძალებს, საერთო ინტერესების გამო მანამდე უნახავი სიმტკიცით შეკავშირებულთ, ტერმინმა „საქართველო“-მ, როგორც უფრო რეალურმა და ხალხურმა, საბოლოოდ განდევნა ძველი სიტყვახმარება.

• •

ნიკო დადიანის (უმცროსის) „საამდროო გამოცანებში“ კვითხულობთ:

პოტენციურად მქონები არის ბევრისა ნიკების,
მეტოფას არ კრეფს, ვარდსა კრეფს, როს ია მოეყირკების;
ნატერისა ფრთითა დაფრინავს, ძირს ფეხი არ ებიჯების,
ტოლ-ამხანავთა მოალხენს, „ზეესურად“ მოენიკების;
მტარიდს უმღერს ხმატკბლად ტურფა ლექსების უღერითა,
ქუყუანა მისი შობელი უჯუარს ყმითა და ბერითა,
სძავს უჯრძობელ უჯულო სიტყვითა, თუნდა წერითა,
მტრფის მოძმეთა გულადთა, სულდგმულობს თვისის ერითა,
ლომად შეხვდება ავგულსა, კარგს — გრძობით ლობიერითა;
სჯობს მზრდელი სულში იმედის — შეიმკოს ყოვლისფერითა!

ზმაკილური გვაძლევს³ „პონტოქსელს“ (ე. ი. პონტოს-ევექსინელი, შავზღველი) — გიორგი შარვაშიძის ერთს ლიტერატურულ სახელთაგანს⁴, რომლითაც იგი ეხმაურება ფსევდონიმებს თავისი უახლოესი მეგობრისა და ნათესავის, მამია გურიელისას („ფაზელი“) და თავისი უფროსი თანამედროვის, გრიგოლ დადიანისას („კოლხიდელი“). მართლაც, აკროსტიხის ავტორი შენიშვნაში ადასტურებს:

¹ თეიმურაზ ბატონიშვილი, დაკ. ნაშ., სანკტ-პეტერბურგი, 1848.

² იქვე, გვ. 23.

³ მეორე მისი, ჩვენთვის ცნობილი, ფსევდონიმია „გარდახვეწილი“. ეს ფაქტი დამოწმებულია შალვა დადიანის მიერაც მის შემოთდასახელებულ საგაზეთო წერილში.

„მონტოქსელს (ფსევდონიმია უგანათლებულესი თავადის გიორგი მიხეილის [ისის შარვაშიძისა)“.

ძნელია ამ პორტრეტისათვის რისიმე მიმატება.

რაც უფრო ვუკვირდებით გ. შარვაშიძის შემოქმედების ნაყოფს, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ მას, მართლაც, პოტენციურად მეტი „ნიჭები“ ჰქონდა, ვიდრე ამის გამოქვეყნება მოუხერხდა.

ჩამომავლობა, პირადი ცხოვრების უკულმართობა და საზოგადოებრივი პირობების ხასიათი („შემოგზავნეცია ცხოვრების სულთამხუთავეი გალია“), ველური რეჟიმი, წრე—არაფერი უწყობს ხელს, რომ გ. შარვაშიძე პროფესიონალი ლიტერატორი დადგეს, თუმცა იგი ბუნებით ყველაზე ადრე სწორედ ამისთვისაა გაჩენილი.

ტოლ-ამხანაგებში, რომელთაც „ზეესურად“ მოვლენილ გიორგი მოალხენს, უფრო ხშირად იმავე დარდიმანდის ძველს, ნაცნობ ფიგურას ვხვდებით, რომლის გულისნადები გიორგის მიერვეა ზედმიწევნით გამოთქმული:

... დაელოთ ტურფა ქალები;
... ჩვენ დროში მათ თაყვანი ვსცეთ,
და ზნეობრივი სხვა რამ ვალები
შთამომავლობის დროსა გადავცეთ;

ზნეობრივ ვალთა შთამომავლობისათვის გადაცემა, თავისთვის — ღვინო და ქალები, აი, ერთი საშუალება „ოხერი დარდების“ მოსაკლავად.

შაირი ამ წრეში დიდ როლს ასრულებს, როგორც ურთიერთობის საყვარელი ფორმა, მაგრამ იგი ჩვეულებრივად წარმავალი მომენტის საჭიროებას ემსახურება.

გიორგი ჩაბმულია ამ დაუსრულებელ გაშაირებაში. ჯერ კიდევ არის დაცული, — ზეპირგადმოცემაში, იშვიათად წერილობითაც, — ეს მასალა, რომელშიაც გიორგის სიტყვა ელავს გაუყალბებელ ჭუმორით.

კოწია დადიანი, გიორგის ძე (და მაშასადამე, გიორგი შარვაშიძის ბიძა) განზოგადებით აცხადებს:

შავს თვალებსა ვალმერთებ,
მომწონს ლურჯი თვალები,
თაფლისფერს თაფლს ვადარებ,
მწვანეს ვენაცვალეზი.

დავით დადიანი (კოწიას ძმა) აზუსტებს:

მე მას ვუმღერ, ვინც მომწონს,
იმას ვენაცვალები,
იმის მომწონს ტან-პირი,
მისი მიყვარს თვალები.
მინდა გავხდე მის მონა,
ნისი შესაბრალები,
მისგან მინდა ვიშორო,
ჯოელი ჩემი დ ა რ დ ე ბ ი .

გიორგის აქ ახალი ნოტა შემოაქვს:

არვის ვენარნარები,
არვის ვეტრფიალები;
ტრფობა არის მუხთალი,—
მემოწმება ქალები.
ამ სიმართლეს არ გრძნობთ თქვენ,
ყრმებო, ტრფობით მთვრალები,
ნაგრამ ბოლოს ცრემლებით,
აგვესებათ თვალები,

ან, აი მამია გურიელი ხუმრობს:

ნეტამც მოგვცა მეფის ბინა,
წერეთლისა ჩვენი ნინა,
აგრაფინას ვეხვეოდეთ,
საკოცნელად — ბაბილინა,
ტურფა მარო გვერდს მოგვისვა,
მარი მკლავზე დაგვიწვინა!
თუ არც ერთი არ გვერგება,
ღმერთმა რისთვის გაგვაჩინა!

გიორგიც აპოლია მამიას, მაგრამ გარკვეულად ვგრძნობთ, თუ როგორ
უჩნდება დამატებითი სიფაქიზე აღებულ კილოს:

ბორჯომშია მეფის ბინა,
იქ ბრძანდება ტურფა ნინა,
ღმერთმან მისთვის გააჩინა
„ტანცი-მანცი“ და ბიძინა,
მე ყველასთვის კარგი მინა,
ვის ვინც უნდა, მისცეს შინა,
მე კი მარის მაკოცნინა,
ამის მეტი არა მინა!

იი, კიდევ შაირით შებმის ნძჳუში.

ვახტანგ გურიელს გიორგი შარვაშიძისაგან:

ყველა ენით არ ითქმის,
რაც რომ გულთ გწაღია,
თუ არა გაქვს, რაც გინდა,
ეს ცხოვრება მქაღია!
შენი გუი დათაი
აგერ ჩემსას აგღია,—
დათას გამოგიგზავნი,
გამიცვალე ნაღია!

გიორგი შარვაშიძეს ვახტანგ გურიელისაგან:
ეკალში ვინ გაცვალს
უფურჩქენელი ვარღია!
დათა გამოგადგება,—
ხელით, ფეხით მარღია,
დათა გეგდოს მადანა,
ვერ მოგართვი ნაღია!

კვლავ ვახტანგს გიორგისაგან;
რას უზიხარ სოფელში,
რა გაქვს, რა გაბაღია;
ნახუცარი მკლე ცხენე
ვითომ რა საქაღია!
აგერ არის ქყონია,
მოიყვანა ნაღია. და სხვა.

როცა ელო ანდრიევსკის ქალს, შემდეგში გიორგი შარვაშიძის მეუღლეს,
ხოლო იმეამად უკვე დანიშნულს გიორგის მიერ, ვინმე წერეთელი გააშიყებია,
გიორგის თავის საცოლის მაგიერ უთქვამს:

დიდად გმადლობ რომ გიყვარვარ,
ჩემო სანდრო წერეთელო!
ЭТО ВСЕ — ВДОРО, ВСЕ — ВЕРУХА,
შე სხვა მიყვარს, შე სულელო!

სხვა შემთხვევაში ფრანგული ტექსტის ქართულთან შეუღლებული. გიორგი
შარვაშიძე და დავით მიქელაძე („მეცელე“) ქუთაისის ბულვარში სხედან, ბაღის
სხვადასხვა ადგილას. ვინმე წერეთლის ქალის მიახლოებისას, რომელიც გიორგიმ
მოსწონს, მიქელაძე შარვაშიძეს ბარათს უგზავნის:

Dépêchez-vous, elle est ici,
თუ რომ გინდა ნახვა მისი!

და პასუხად იღებს:

Je viendrai tout de suite là-bas,
არ გაუშვათ, მოსწით კაბა!

შენახულა კიდევ გიორგის სალაღობო ლექსი, რომელიც, მამიას ასეთივე, მასიათის ნაწარმოებთან ერთად, ერთ სამხიარულო შეკრებულეზას მიუღია ქუთაისში და აკაკი წერეთლის ლექსადვე პასუხის მიზეზი გამხდარა:

ამის მთხოვნელი ჩვენა ვართ!
მთავარი ჩაქვ-აკვარისა;
თან შარვაშიძე აფხაზი,
მოყვარე თქვენი მხარისა; -
წერწეტი ერისთავი გვყავს,
მტერთა დამცემი ზარისა;
მასთან ჩაუქი ბერიძე —
ძველ აზნაურთა გვარისა;

მოსწრებული სიტყვა ზოგჯერ „გლახ სიცოცხლის“ სამკაულია. გიორგი შარვაშიძის სახლს სოხუმში დღემდე შემორჩენილი აქვს პატრონისაგან გაკეთებული წარწერა, ლათინური ასოებითა და ქართულ-იტალიური ტექსტით, — „ვილლა ჩემი“. ეს პატარა ბინა ერთადერთი საგანი იყო, რომელიც აფხაზეთის დიდ შვილს შეეძლო დაეჩემებინა თავის სამშობლოში,

ეს საოხუნჯო, მეტწილად — სააშვიკო შაირობა შეუმჩნევლად პოეზიაში გადადის. საამისოდ იხ. ისეთი ლექსი, როგორიცაა „ერთსკ მომღერალ ქალს“. მაგრამ ქალვაცუიანს დამოუყიდებელი დე ნაპატიო ადგილიც უჭირავს გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში,

აქ, წმინდა ეროტიკულ ლექსებშიაც, მკითხველი გრძნობს ისეთ გულწრფელობასა და ძლიერ განცდას („რაც ერთობ მაგრად გულშიც სთესიან“), რომ დიდხანს რჩება მათი შთაბეჭდილების ქვეშ. ამჟვეარია გიორგი შარვაშიძის დაბეჭდილ ლექსთა შორის ერთი უძველესთაგანი, მიძღვნილი „დამვიწყებელი, დაუვიწყარი“ არსებისადმი. შეუძლებელია განმეორებით არ აუღერდეს მეხსიერებაში ერთხელ წაკითხული ეს თითქოს მარტივი სიტყვები, იმავე „უწყალო დარდის ამომკენესელნი“:

დღეს არის იგი დღე ბედნიერი,
ეპოხა ჩემის გლახ-სიცოცხლისა,
როცა ვიხილე შენ, მშვენნიერო...

ძველი ბედიელი მინიატურისტის მსგავსად, აქ შარვაშიძე უნაზესი ტონების ოსტატია,

ასევე თავისუფლად პოეტი ჰქმნის პლასტიკურ სურათებს, რომლებიც შოთას, ვაჟას, რაფიელ ერისთავის საუკეთესო სახეებს მოგვაგონებს;

...მომწონს წარბების ამაყი ხაზი
და ზედ ბეჭედი თვითუფლებისა,
სუფთა ნესტოებთ (!) გაფეთქვა ნაზი,
გამომხატველი სურვილებისა;
მომწონს მღელვარის წელისა რხევა;
როს გამოღიხარ თამამ-თახედი,
როს ყორნის თმები ბეჭუნდ გეხვევა,
და უხვად დელავს მალალი მკერდი,
(„გასათხოვარს“.)

შეადარეთ — „ოდეს ღმერთმან მოისურვა“-ს... „ფიფქი თოვლი შემჰვიდრა და ჰქანდაკა ქალის ტანი“...

მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ისაა, რომ ყველაზე ადრინდელ ეროტიკულ ლექსებშიაც უკვე ჩანს განწყობილება, რომელსაც, ჯერ ერთი, ხორციელი საფეხურიდან იდეურზე აჰყავს პიროვნება და რომელიც, შემდეგ ამ უკანასკნელს აკავშირებს საზოგადოებასთან. იმავე „გასათხოვარში“ (თითქოს სამოცდაათიანო წლებით თარიღდება) ქალის ტანის გასაოცარი ქანდაკება განსულიერებულია მალალი თვისებებით;

რე მომწონს შენი: ხმა ლმობიერი;
ბაასი, ზნე და გონება მრთელი;
მე მომწონს, ბოლოს, რაღაც იერო,
ციური, ნიკი გამოუთქმელი¹.

და იქვე გამოთქმულია წამყვანი მოტივიც;

და შენ, ესრეთი მოვლენა ძვირი
რომ გათხოვდები, დედა გახდები,
დაცემულს მამულს აჩუქე გმირი,
მაშინ კი სწორედ შემეყვარდები.

ამ მოტივს გიორგი შარვაშიძის პოეზიის მთავარი თემისაკენ მივყავართ;

¹ უკანასკნელ ორ სტრიქონში მძიმეების განაწილება ჩვენია.

იმ წრეში, რომელშიაც გიორგი შარვაშიძე ტრიალებს, ისეთი სახელებიც კიაფობს, რომელთაც მთელი საქართველო იცნობს: აკაკი წერეთელი, მამია გურიელი... ბევრი სხვაც, გამოჩენილი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწე, აქტიურ ურთიერთობაშია პოეტთან. ეპოქაც ხომ ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თანდათან გაშლით არის დახასიათებული. სწორედ და ც ე მ უ ლ მ ა მ უ ლ ს შესტრფის ეს თაობა, მას უმღერს, მისი აღდგინებისათვის იღწვის.

გიორგი შარვაშიძეს საკუთარი ხმა აქვს ამ გუნდში. იგი მოხიბლულია „აღმზრდელი ბუნების“ პეიზაჟით და განუყრელად ატარებს მის მოგონებას ყველგან, სადაც არ უნდა გაიტაცოს, იგი ცხოვრების ღელვამ („ერთხელ ვიხალე“...). მისთვის

აღმზრდელი ძუძუ ტბილია,
 განგების ძალით ეს გრძნობა,
 გულში ღრმად აღბეჭდილია!

(„ობოლი“)*

პოეტს სიამაყით ავსებს სავშობლოს ძველი დიდება („მამულს“), სიბრალულითა და მრისხანებით— მისი დამონებული, დაბეჩავებული აწმყო (იგივე; „შენ იცნობ“...). მაგრამ ყველგან და ყველაფერში გიორგი შარვაშიძე თანამედროვეობით ცხოვრობს, წარსულის ტყვეობაში კი არ იმყოფება, წინ იყურება, ხალხის მომავლით სულდგმულობს. ისტორიაშიაც იგი სხვადასხვა ღირებულებას მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან:

როს ათინელთა მეცნიერების
 ლაშკარი მაინც გაანათლებდა,
 და საყვირთ ცემა ხშირის ლაშქრობის
 გონების აზრსა არ აყრუებდა!

„მაშინ მეცოცხლა, მაშინ მენახე“—ეს ლალადი წარსულში გაქცევის ფორმულა როდია. აქედან პოეტი გაღადადის იმაზე, — „ეხლა რას ვხედავთ?“ — და ფასეული ის არის, რომ აწმყოს უბედობა და „ცივი“

* შემდგომში გიორგია, რომ ლექსები „ობოლი“ და „ლომი“ არ ეკუთვნის გ. შარვაშიძეს, მაგრამ ს. ჭანაშიას მსჯელობა ამ ლექსებზე უცვლელად დავტოვეთ (რედ.).

გარემო მის კაცობრივ „თბილ ბუნებას“ „სარწმუნოებას“ ვერ უკლავს, მისი „წრფელი გრძნობები“ „კეთილსა სცნობენ და ყვავდებიან“.

ასეთი მოქმედი, პროგრესული პატრიოტიზმის საგალობლები, ისეთი ლექსები, როგორცაა „ობოლი“, „ლომი“, „ვარადა“, რომლებიც ახალი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში უნდა შევიდეს. აქ პოეტი-მამულიშვილის ემოციური დაძაბულობა უმაღლეს წერტილს აღწევს, რაც შესანიშნავი სახითაა გამოთქმული საუცხოო ლექსში: „ნეტამც ვინმემ დამკლას დანით“...

ღრთა შევებოთ ერთ საკითხს. გ. შარვაშიძის ლექსებიდან, რომლებიც ჩვენს კრებულში ქვეყნდება ლიტერატურული დოკუმენტის ძალით, მხოლოდ მეტად მცირე ნაწილი იყო დაბეჭდილი პოეტის სიცოცხლეში.

ეხლა ძნელი გასარკვევია თვითეული ცალკე ლექსის გამოუქვეყნებლობის მიზეზი. მაგრამ უეჭველად მიგვაჩნია, რომ თუ ზოგმა ლექსმა ვერ იხილა სტამბა ცენზურული პირობების გამო, ზოგი მათგანი საამისოდ თვით ავტორის მიერ არ იყო განკუთვნილი.

ამ რიგისაა, გეგონია, საალობო ლექსების უმრავლესობა, მათ შორის შეიძლება ისეთი გრაციოზულიც, როგორცაა „კატო აბაში: ძის ქალს“. საკვირველია, მაგრამ ეს უნდა ითქვას აგრეთვე რუსული ლექსების მეტ წილზე. ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება გ. შარვაშიძის დახასიათებისათვის მათ მიემართოთ. პირიქით, ჩვენ მოვალეობა გვაწევს, აღებული თვალსაზრისით, მათ ანგარიში არ გავუწიოთ. ამას, სხვა არა იყოს რა, თვით პოეტი მოითხოვს ჩვენგან ლექსში „ჩემი ჩანგი“, რომელიც პოეტის შეხედულებათა საუკეთესო გამოხატულებად უნდა იყოს მიჩნეული.

პოეტს აქვს თავისი „კერძო დარდი“ და ვარაში, თავისი ტკივილები, მწარე სევდები; მას აქვს, უფრო იშვიათად, თავისი სიხარულიც, მაგრამ ამ ვიწრო ინდივიდუალურ სამყაროს იგი არ სთვლის პოეზიის ღირსად, რადგანაც მისი ჩანგი „საქვეყნო ჩანგია“.

..ჩემს ქნარს მას ვერ დავმღერე -
რაც მე კერძოდ შემეხება!
იმის სიმნი, იმის პანგა
ერთისთვის არ დაიკრება!...

პოეზიის ღირსეულ თემას გიორგი შარვაშიძე მხოლოდ „ჩაგრული ხალხის“ ცხოვრებაში პოულობს:

...როცა ჩემს ყურს ესმის
ჩაგრულ ხალხის მწუხარება,
მიწას ალბობს უმართლობით,
დანადენი მღულარება,
როცა მესმის მისი კვნესა,
სულის მქენჯი, გულის მდავი,—
მაშინ მხოლოდ მაშინ,
დაიკვნესებს ჩემი ჩანგი!

ამ შესანიშნავ პოეტურ მრწამსში, რომელშიაც დაძლეული ეპოქის ავადმყოფობა — ინდივიდუალიზმი, სისრულითაა გამოკვეთილი პოეტი-მოქალაქის მიმზიდველი და საყვარელი სახე. აქ ეპიკი არ რჩება, რომ გიორგი შარვაშიძის ყველაზე ინტიმური სულისკვეთება იმ „ბეპელებთან“ კი არ არის, რომელნიც „დაფრინავენ და დარდიმანდობენ“, არამედ პოეტის „ობოლი სიცოცხლის მიზეზთან“, მის ხალხთან. აშკარა ხდება, რომ ამ ხალხის მწუხარების, უსამართლობით დანადენი მღულარების ასეთმა ღრმა განცდამ მოქალაქე-პოეტი მე ბრძოლ პოეტად უნდა აქციოს. და ჩვენს შეგნებაში ახალი სიძლიერით იღვიძებს მოწოდება, შეუდარებელი გამირული აღტიენებით სავსე:

...მისი უკვდავი სურვილი
მტერთან ბრძოლა და ომია...
ბრძოლაში შექმნილ-შობილა,
აღზრდილა მუდმივ ბრძოლითა,
და მისი შეცვლა ვის ძალუძს!
ტყვედ გალიაში ყოლითა...;

(„ლომი“)

გასაგები ხდება თუ რად მოსწონს მეგობარში პოეტს ყველაზე მეტად,

რომ არც შენ გინდა დახრიაქედისა
და გზა სიმდაბლის არ გყვარებია...

თუ რას ნიშნავს, როცა იგი მისგანვე მოითხოვს:

განაგდე შორად ფუქე დარღებო.

ინდივიდუალიზმის დაძლევა ძველი დარღების დაძლევას ნიშნავს; გაიციხულია სულმოკლეობა, რომელიც ფიქრობს, რომ

მოვეკვდე სჯობაი,
სიცოცხლე რა სახმარაი;
(„ფშაურ ხმაზე“).

ღირს სიცოცხლე, ღირს ბრძოლა, არსებობს საამისო დიდი საქმე;
და მიზანი. შეუშუსრავი ოპტიმიზმი, ნიშანდობლივი მთელი ქართუ-
ლი პოეზიისათვის, ათბობს გიორგი შარვაშიძის შემოქმედებასაც,
პოეტს სჯერა, რომ კაცობრიობა გონების საუკუნეში შედის.
ახსოვს თავისი სამშობლოს წარსული ბრწყინვალე წარმატებები,
ის დრო, როცა „მეცნიერების ლამპარი“ საშუალო საუკუნეების
წყვედიადშიაც უნათებდა მას განვითარების გრძელსა და მძიმე
გზას და სანეტარო მომავალიც ასე ეხატება:

მუდამის შრომით, გონებებს ხსნიოთ
ეგროპის ნათელს მივეჭხლენით.
ქორი, ყბედობა, უგუნურება,
პატიოსნურად ერთ აზრად ვცვალოთ,
ერთგულად მოძმეთ ჩვენ მსახურება
კანონად ვდევით...

(„ჩემსა საღამოს“),

იგივე ზნეობრივი იდეალი ჭვივის ლექსშიაც „მოგონება“:

...მეგობრობას, პატიოსნებას,
სიტყვას, პირობას შორის კაცებთა;
ვგონებდი ნათლად შეურყეველად,
როგორც კანონსა ცისა ეტლებთა.

გადაიკითხეთ კიდევ ერთხელ ეს ორი ყველაზე ადრინდელი
ლექსი გიორგი შარვაშიძისა. ადვილად შეამჩნევთ აქ ოსტატის პირ-
ველ ნახელავთა ხიწვს, თუნდაც უხერხულობას ენობრივს („ვნე-
ბებთ“, „კაცებთა“, „ეტლებთა“; ესეცაა, ეს ფორმები იმდენად
გრამატიკული შეცდომები არ არის, რამდენადაც ხარკი გარკვეულად
ლიტერატურული სკოლის ჩვეულებების წინაშე!) და უხერხულობას
სტილისტიკურსაც („დაახრიგინებს“!). მაგრამ უთუოდ გაიმსჯე-
ლებით პატივისცემით ჭაბუკისადმი, რომელიც მთლიანად საზოგადო-
ებრივი ცხოვრებით ცხოვრობს და თავისი მაღალი ეთიკურ-
ნორმისათვის უცდომელი კოსმოსური კანონების სიმტკიცეზე ოცნე-
ბობს. შეუძლებელია არ დაემორჩილოთ პოეტის მჩქეფარე გრძნო-
ბას და ისიც არ დანიხზოთ, რომ გიორგი შარვაშიძის შემოქმედებას
თავიდანვე დაჰყვა დიდი ლიტერატურის უტყუარი ნიშანი — იყოს
არა მარტო ნაგრძნობი, არამედ ნააზრვეიც.

პოეტიც მოწმობს ხომ;

... წრფელი გრძნობები...
უსაქმოდ, ფუჭად წამს არ უშვებენ,
ტვინს იმდიდრებენ, ვითარღებიაწ.

ეს გრძნობისა და გონების უშრეტი, წმინდა ლამპარი „მომქმეტა ერთგულად მსახურებას“, „ძმათა სიყვარულს“ უნთია. თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ პოეტის უადრესი ლიტერატურული განცხადება მისი „წრფელი გრძნობების“ მიერ „კეთილის ცნობისა და აყვავების“ შესახებ გვირგვინდება შესანიშნავი უკანასკნელი აკორდით — „კაცთა სიავის მწარე იჭვები არ შეხებიან შენს კეთილ გულსა“ (ეს დაუთარილებელი ლექსი შინაგანი ნიშნების მიხედვით უთუოდ ერთი ყველაზე უფრო გვიანდელთაგანია), რომ წარსულშია, თავის სათაყვანო ისტორიული გმირის ეპოქაშია, იგი ყველაზე ადრე კეთილმცნებათა ძლევამოსილებას განკვერტს: „კაცთმოყვარე კეთილ მცნებისა წინაშე ყველამ დახარა ქედი“, — რომ პოეტი მოჯადოებულია მამია გურიელის „ღამიანის“ სახით — მაშინ გიორგი შარვაშიძეს ქართველი ჰუმანისტების სახელოვან პლეადაშია თავის ადგილზე უარი არ ეთქმის.

გიორგი შარვაშიძეს პოეზიის ყველა უანრი ადვილად ემორჩილება. აღვნიშნოთ გაკვრით, რომ ვაჟაური კილოსათვის ქართულ მწერლობაში ასე მარჯვედ, ვგონებთ, არავის მიუბაძავს („ფშაურ ზმაზე“). მისი პიესები აგებულია მძაფრ დრამატულ სიტუაციასა და ბუნებრივ დიალოგზე. რაც მთავარია, ეს პიესები იმავე იდეებიტაა გაუღნითილი, რომელსაც ლექსები ატარებს. გიორგი მესამე იზიდავს პოეტის ყურადღებას, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, დავით აღმაშენებლის საქმეს რომ განაგრძობს: „დავით აღმაშენებელი იყო ისეთი მეფე, — ამბობს ერთი პერსონაჟი, — რომლისთანაც მალე არ მოეგლინება საქართველოს. მან შეაერთა ქართლ-

¹ ამ მხრივ საყურადღებოა უფრო ფართო განზოგადებაზედაც აგებული ლექსები, როგორცაა „ოდეს ღმერთმა“, „ოპ ბუნებავ, შენ ძლიერო!“

² ჩვენთვის ცნობილი მესამე პიესა გ. შარვაშიძისა „კომლი უცეცხლოდ“, დრამატული სურათი ერთ მოქმედებად, პირველად ნათამაშევი ყოფილა ქუთაისში, კ. მესხის თეატრში, 14. XI, 1893 წ., როგორც ეს აღნიშნული იყო ამ პიესის ვალ. გუნიასეულ ხელნაწერ ცალზე, — ხოლო შემდეგში თბილისშია. სამწუხაროდ, ამჟამად პიესა ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა.

კახეთი ერთ სამეფოდ, ამით მიაკრა ყველა ქართველი თემი და ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი არსებობა მაშინ ერთობ გაზვიადებულ თავადთა დაასუსტა და შეჰქმნა ამ საშუალებით ერთი სახელმწიფო მთელი ივერიისა. სწორედ იმ დიდებულის კვალზე დგას ახლა ჩვენი მეფეც“. გიორგი მეფის ყველაზე დიდი კმაყოფილება ისაა, რომ მას მიეცა შეძლება

მოვლად ერისა ჩვენის,
ესე, ვითარცა სახელმწიფოს შეპყვერ-შეშვენის.
და საქართველოს არ ჰქონია სულ ჩვენსა დროსა
შიში მტერისა; მან სახელოვნად გაშალა დროშა,
მტერთა ურდოთა დასცა ზარი, — განდევნა სრულად!

თავის ერთადერთ შვილს, თამარს, გიორგი გვირგვინს გადასცემს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ღირსეულ მემკვიდრედ მიაჩნია. საწინააღმდეგო რომ ირწმუნოს მეფემ, იგი მზად იქნება შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება:

განა მეფობას ვუშაღებ მას მამაშვილობით?
მაშინ წყველისა ღირს ვიქნები...

მამა თამარში ხედავს წინაპართა იმ ღირსებებს, რომელთა წყალობითაც „დამკვიდრდება, გამძლავრდება ივერთა ბედი“. და თუ ის ამ ვარაუდში შეცდა, როგორც კაცი, თუ თამარს

არ ექნა უმანკო სული,
თუ არ გამოდგა გონიერი, ზეცით ცხებული...
რა რიგ დასჯილი, დატანჯული მაშინ დავეშობი,
ჩემს საქართველოს ცოცხლად წავსწყამედ და მეც წავწყდები.

გიორგის ბევრი ჰყავს მტერი. ფეოდალები ძველებურად იმას ცდილობენ რომ;

სახელმწიფო ნაწყვეტ-ნაწყვეტ კვლავაც გაიყონ.
„შავი ლალატი“ ამ ხალხის ძველი იარაღია:

აჰა, გაემა, ორგულობა, ეგ სენნი ძველნი,
ეს შინაურნი გველ-მატლები, ქართველთ მკამელნი..

მათთან ბრძოლაში გიორგი მესამე შეუდრეკელია და შეუბრალებელი.

მეფემ კარგად იცის, რა ნაყოფი მოაქვს ფეოდალურ პარტიკულარიზმს:

...ჩვენს სამეფოს, შემოვა რა განხეთქილება,
მას დაიძონებს და შემუსრავს სხვისი კირთება.
...სამშობლოს მუდამ იყენენ დამამხობელი
დას-დასობითა ბატონები, როგორც ორბელი,

მისთვის სახელმწიფო ინტერესების სფეროში შეცოდებისკ
გრძნობა უცნობია. იგი თავის გვირგვინოსან ასულსაც, „რომლისა
ხელში იქნება ბედი საქართველოსი“..., ანდერძად ამას უგდებს:

არა სხეულის, — სულის სიღბო უარესია..
ქვეყნის პატრონსა... უნდა არ მორჩილი, სული მეღვარია..

მხატვრულად დასაფასებელია, რომ ამ დრამის პერსონაჟები,
სქემატურად დახარისხებული კი არ არიან სიკეთისა და სიავის
კატეგორიების მიხედვით, არამედ ცოცხალი, მთლიანი ხასიათებია,
საკუთარი შინაგანი ლოგიკის მქონე: გიორგი III, მისი ანტიპოდი —
„სალოსი“ დემნა, თამარი, ორბელი, ჯავახიანი, მხარგრძელი...
ყველა ჯგუფი დახატულია თავისი უძლიერესი წარმომადგენლების
მეშვეობით და ყველა მათ თავისებური სულიერი მხნეობა მოსდგამს..
სცენიურადაც ინტერესის შემცველია ეს დრამა, მიძღვნილი საქარ-
თველოს მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრივი ძლევამოსი-
ლების იდეისადმი,

იგივე იდეა უნდა სდებოდეს, ჩანს, საფუძვლად პოემას „გვადანის
ციხესაც“, რომელიც, სამწუხაროდ, დაუმთავრებელია. აქ აზრად
სხვადასხვა „ქართველი თემის“ ერთობისა მთლიან სახელმწიფოში
დამუშავებული უნდა ყოფილიყო საქართველო-აფხაზეთის ურთი-
ერთობის მაგალითზე. ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ყაზარების
ქვეშ პოეტი აფხაზებს გულისხმობს. ყაზარ-აფხაზთა მთავრის, გვა-
დანის, გულისნადები კი ეს არის:

დიდი ხანია, რაც რომ გვადანი
საქართველოსთან ცდილობს კავშირსა..
ეს იყო ის დრო, როს საქართველო,
აღმოსავლეთით დასავლეთამდე,
ქუხდა ქებული, და სასახელო
საყვირი სცემდა კიდით კიდემდე,
აღმაშენებლის დროს დიდებისა,
ზედ კურთხეული ესვა ბეჭედი,
და კაცთოყვარე კეთილ მცნებისა
წინაშე ყველამ დახარა ქედი!

კომედის სახელწოდებაშივეა უკვე გამოთქმული ავტორის ლიტერატურული განზრახვა: უჩვენოს ავტორის „დროის მაზრის ქალაქის“, ე. ი. ქართული პროვინციის დაქვეითებული საზოგადოებრივი ჯგუფების მომავლადვი სახეები მთის საუკუნეებით „გამაგრებულ რწმუნებათა და სასოების“, სულიერი სიმალლის ფონზე; აქ „უმანკო და შვენიერი“ სალომე და „კეთილშობილი მთის კაცი“ (ავტორის რემარკებია), ასლანთარელი, დაპირისპირებული არიან უსაქმური, მორალურ სიმტკიცეს მოკლებული არისტოკრატებისა (სიყვარულის „მეტი საქმე რა შექნება.. სხვა საქმეები ჩემს მოურავს მოჰკითხე“) და არაიყი ქალებისათვის, კარიერისტი მოხელეებისა და ყბედი ცრუ-ინტელიგენტებისათვის. მაგრამ თავისი მხატვრული მეთოდის თანახმად, გიორგი შარვაშიძე გულმოდგინედ ეძებს „კაცობრივი გრძნობისა“ და პატიოსნების ნაშთს ამ მიჯნაკ მიღმა მდებარე ბანაკშიაც, სადაც „თითქოს ყველანი არიან მარადისეულს ზნეობითს ბრძოლაში; თითქო ხალხი ბევრია და ადგილი არ ყოფნისთ!.. აქაური კაცების სიტყვაში ისმის შუდამ მეორე ხმა... დაფარული, ორ-აზრიანი და ორპირი!.. თითქო სიცრუე არის მხოლოდ ერთილა იარაღი, რომლის ხმარებისათვის კანონი არა სჯის, და ამ იარაღს ხმარობენ თავის დასაცველად!.. აქაურს სიტყვას არა აქვს ძალა სიმართლისა! აქაური ჰაერი მიმძიმს... მტვერი მახრჩობს“, — როგორც ამბობს ასლანთარელი, — სადაც „სამართალი იცავს ავაზაკობას და სიმართლე რჩება უღონოდ“, მისივე სიტყვით. მიუხედავად პერსონალური, დიდი თუ მცირე, მეტამორფოზებისა, მკითხველს (თუ მკითხველს) არ შეიძლება ზრწმენა არ დარჩეს, რომ ამ სამყაროს ისტორიული განაჩენი მაინც გამოტანილია და დღეს თუ არა ხვალ ეს „მომავლადვი“ საზოგადოება სხვა სოციალურმა ურთიერთობამ უნდა შეცვალოს.

ფორმის თვალსაზრისითაც გიორგი შარვაშიძის პოეზია მაღალ დონეზე დგას, მისი სახეები ორიგინალურია და მოულოდნელი. რიტმი — მომხიბლავი, სიტყვა — ნათელი და შეუცვლელი.

ქართული მხატვრული სტილის განვითარებაში გ. შარვაშიძის თავისი წვლილი აქვს შეტანილი,

* * *

ვინღა იხილოს ორჯერ სიცოცხლე,
ორ გზობა შეშა რარიგ დაიწვას!..

ამ, ფიზიკური, აზრით პოეტის სიცოცხლე გათავდა იმ შფოთიან ხანაში, როცა აფხაზეთი, მთელ საქართველოსთან ერთად, ჯერ კიდევ ქანობდა ორი სამყაროს შუა. გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა ქალაქ სოხუმში 1918 წლის თებერვლის 19-ს. იმავე თვის 25-ს¹ იგი დაასაფლავეს დიდებულ ქართულ საევანეში, აფხაზთა ჩეფის ლეონის მიერ მეთავე საუკუნეში აშენებულ მოქვის ტაძარში, თავისი მამის გვერდით². ეს იყო პოეტის ერთი ნატერის შესრულება—თავის მამულის საფლავთა ჩრდილში განსვენების შესახებ.

მაგრამ მას ჰქონდა ხომ უფრო ძლიერი სურვილები და რწმენაც:

თ უმცა ცოცხალი აღარ ვიქნები,
ბედნიერების გიციობ მშობელად,
იქ ვიგარძნობ, იქაც ვეთაყვანები

არ უმტყუნა პოეტს რწმენამ. გ. შარვაშიძის სამშობლომ იპოვა თავისი განვითარების სწორი გზა. ხორცი შეისხა პოეტის სიყვარულმა. განთავისუფლებული ქვეყანა იგონებს თავის ეროვნულ შვილს და საუკუნო ხსოვნის ძეგლს უდგამს მას. იწყება პოეტის ახალი, დაუსრულებელი არსებობა ხალხში.


¹ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918 წ., № 10; გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 40.

² რაიმე დოკუმენტური ცნობა გიორგი შარვაშიძის დაბადების თარიღის შესახებ ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1855 წლის სექტემბერში დიჰიტრი ყიფიანი გიორგის ასაკს 9 წლით განსაზღვრავს (აქვე, გვ. 12, 25). მაშასადამე, გიორგი დაბადებულა 1846 წელს. ლუხენის ხატის წარწერაში, რომელიც 1849 წელსაა ამოკრილი მთავრის—მიხეილის განკარგულებით, გიორგი მოხსენებულია, როგორც სამთავროს მემკვიდრე.

გიორგი შარვაშიძის ეპიტაფიისათვის, ვფიქრობთ, შეუძლებელია
უკეთესი ტექსტი მოიძებნოს, ვიდრე ის, რომელსაც ეს მისივე
ლექსი შეიცავს;

უსამართლობის ცხოვრების ზღვაში
შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები,
და იმ ტანჯვების უღმრთობაში
კაცთა სიივის მწარე იქვეები,
არ შეჭებებიან შენს კეთილ გულსა,
რომელშიდაცა ძმათ სიყვარულსა;
ენტო უშრეტი, წმინდა ლამპარი!
ის გაანათებს შენსა წარსულსა;
და მით იქნები დაუვიწყარი!..

ს ი მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა .



ქართული ლექსები

ჩემსა სალამოს, გლახსა საამოს —

დაღამების დროს გაჩუმებულად
ოთახში მარტო ჯდომა მიხარის,
დაღონებულსა დაღონებულად
მიყვარს ბუტბუტი ჩემის ბუხარის.
ვეუჭვრეტ, ვითაღი დუღუნით, ფეთქით
შეშას ეხევეა, ემიჯნურება,
ხან გაჯავრებით, ტკლევით და ხეთქით.
ნახშირთა ტყორცნის და ემუჭრება;
ხან დამშვიდდება და განაზდება,
ლაყვარდ ძოწითა შეიმოსება,
ხტუნავს და ცელქობს, გალამაზდება,
კვლავ საყვარელსა ეალერსება.
მაშინ ფიქრები შორს წამიღებენ,
სატრფო მხარეში მარონინებენ,
სარწმუნოებას კვლავ მიბრუნებენ,
ბედნიერ სიზმრებს მომაგონებენ.
ჰა, მეგობარი და ნაცნობები,
ყურსა მიტკობენ ძვირფას ამბებით,
მიღიმდებიან (!) წრფელი გრძნობები,
კოცხალს მიცქერენ სიამოვნებით.
მანუგეშებენ, თვითც ნუგეშობენ,

კეთილსა სცნობენ და ყვევლებიან,
 უსაქმოდ, ფუჰად წამს არ უშობენ,
 ტვინს იმდიდრებენ, ვითარლებიან.
 ვითომც მეტყვიან: „ჰა ძმაო, ცდითა
 რასაც ვნატრობდით, დაცავბადენით,
 მუდამის შრომით, გონების ხსნითა,
 ევროპის ნათელს მივეყახლენით;
 ჭორი, ყბედობა, უგუნურება
 პატიოსნურად ერთ აზრად ვცვალებთ;
 ერთგულად მოძმეთ ჩვენ მსახურება,
 კანონად ვსდევით, ყოვლად ვიცვალეთ!“
 ამა ოცნებას, ტკბილსა სიზმრებსა
 მწარე სიცხადე მყის მაგდებინებს,
 როს ქარიშხალი ჩემსა ფანჯრებსა
 ბლავილით, კვნესით დაახრივინებს.
 ცივი ბუნება თავმოწონებით,
 ვითა ზღვის ღელვა, ჰკივის, ღრიალებს,
 და საწყალ კაცსა თბილსა ბუნებით
 ყინვის ზვირთებსა მომიგრიალებს,
 მხოლოდ და მაშინ ვიცნობ და ვკრთები, —
 რომა უძრავად აქვე მყოფი ვარ!..
 აზ! ნეტავ, ნეტავ, რად არ მასხს ფრთები,
 ნამდვილ მიფერიინდე, საც ფიქრითა ვარ!

1869 წ.

....ს —

ხელთ ვიღებ ბოკალს შენს სადღეგრძელოს,
 დამვიწყებელო, დაუვიწყარო!
 ვით წვიმის ღვარი გამხმარსა მდელოს,
 იგრეთ გულს მირწყავს ცრემლისა წყარო.
 ვითა ვარსკვლავი განშორებული,
 შორით ბრწყინავხარ და შორსა ნათობ,
 მაგრამ ოცნებით აღტაცებული,
 ვიახლოვდები და ფიქრსა ვატკობ.
 სიტრისა სიმნი ნაზად სტირიან,
 ჩემს უწყალო დარდს ამოჰკვნესიან;
 მოსთქმენ რომ ღრონი ვერ ამოსთხრიან,

რაც ერთობ მბაგრად გულშიდ სთესიან.
დღეს არის იგი დღე ბედნიერი,
ეპოხა ჩემის გლან სიცოცხლისა,
როცა გიხილე შენ მშვენიერი,
ოხვრის მიზეზად, მდებად ცეცხლისა.
სულით დავბერდი, ჯანით ვსუსტდები,
მსურს დამენახო, ღონე მომგვარო
და, სიხარულით თუ კი მოვკვდები,
ბროლის წვეთები გულზე დამყარო,

11 ოქტომბერს 1869 წ.

მ ო გ ო ნ ე ბ ა —

ვუძღვნი ჩემს მეგობარს
კოწია დადიანს

ჰა, ისევ იგი მშვიდი ადგილი,
სადაცა განველენ სიყრმისა უამნი;
სადა ცხოვრებამ პირველ გამაცნო
დარდის, ღიმილის და ვნებებთ წამნი;
სად პირველ ვიგრძენ სოფლის ლახერები
და ხის ქვეშ ვიწექ დაფიქრებული;
უმეცრებითა მკმუნავი თავი
ხელთ შორის მეპყრა გაცხელებული;
სადაცა ვსჭკრეტდი მშობელს დედასა,
დამდნარს საბრალოს ხვედრად სამარის;
სად პირველ ვღვარე გულშეჭურვილმა
თვით უწრფელესნი ცრემლნი მწუხარის;
სად რეგვენთ წესით, შემდეგ ტირილის,
როს სათამაშოდ ველს გავიდოდი,
ზაფხულის დღითა აღელვებულის
თექვსმეტის წლისა სისხლით ვიწოდი;
სადაც გავიციან პირველად იგი,
ვინც განმინათლა ტრფობითა სული,

ვინც მამცნო პირველ უცნობი სიტკბო,
და ამიძგერა ჭაბუკი გული;
სად მეგობრობას, პატიოსნებას,
სიტყვას, პირობას შორის კაცებთა,
ვგონებდი ნათლად შეურყეველად,
როგორც კანონსა ცისა ეტლებთა.
აჟა მოვედი; და აჰა, ვხედავ
ჩემსა ნაცნობსა მიწა-სოფელსა!
და მოგონებით ფიქრ-განფანტული,
ვუჭკრეტ ბუნებას ჩემსა აღმზრდელსა.
მაგრამ ამაო არს ჩემი ფიქრი
და წარსულთ დღეთა მოგონებანი,
მშვიდობით, სიყრმევ, აწ განმეშორენ
იგი ღროები და ოცნებანი!

ქალუაში, 1872 წ. 6/VII

რომ და მაგრამ —

(მიბაძვა ვ. ჰეგოს)

ენო ჩილოყაშვილს

რომ ვიყო ღმერთი, ყოველ ღონესა
დასაბამისას შენთვის მოვფენდი;
ცათ ანგელოზთა, ქვეყნად ცბიერთა
ვასალად და მხლედ შენ მოგიჩენდი;
ზეცად ღრუბელთა, რბილად გროვილთა,
სასხდომლად ტახტად აგებ გკადრებდი;
გვირგვინად მზესა თავს დაგადგმიდი,
ვარსკვლავებითა გათამაშებდი;
სპეტაკთა ფერხთა დასაბიჯებლად
მოგიგორებდი სავსე მთვარესა;
შარასა რძისას მდინარედ ვხდიდი,
მით მოგიწყავდი არე-მარესა;
მეხსა გახმარდი ნაცვლად კვერთხისა,

ცისსარტყელასა წელზედ საბმელად,
სამყაროისა ოთხ-კუთხივ ქართა
შენის ბრძანების მოსათხრობელად!
რომ ვიყო მეფე, ჩემსა სამეფოს
მუხლმოდრეკითა გიძღვნიდი სრულად;
სკიპტრას, პორფირსა ფეხ-ქვეშ გიფენდი,
თვით დავრჩებოდი მსახურ ერთგულად;
მხოლოდ უფლებას ერთს დავირჩენდი,
რომ გაჩვენებდი მე მას ბედკრულად.
ვისაც არჩევდი ჩემს დიდებასა
და გამწირავდი ვის სიყვარულად!
მაგრამ ვარ კაცი ერთი უბრალო,
არა შემძლები სხვა რამ დიდების,
გარდა გრძნობების შენზედ ოცნების,
სრულად მონების შენის მშვენების!..

1879 წ.(?). სოფ. წყეში.

ბ ა ს ა თ ხ ო ვ ა რ ს —

მე მომწონს, ქალო, შენი შვენება,
ლამაზი სახე და ტურფა ტანი,
შავ თვალებისა მლახერელი ვნება,
კეკლუცი ქცევა, მშვიდობიანი,
მე მომწონს წითელ ტუჩებთ ღიმილი
გაუგებარის იღუმლობითა,
მე მომწონს მათ ქვეშ ბროლი წყობილი,
თითქო გათლილი ხელოვნებითა.
მომწონს წარბების ამაყი ხაზი
და ზედ ბეჭედი თვით-უფლებისა,
სუფთა ნესტოებთ გაფეთქვა ნაზი,
გამომხატველი სურვილებისა;
მომწონს მღელვარის წელისა რხევა,
როს გამოდინარ თამამ-თავხედი,

როს ყორნის თმები ბეჭედ გეხვევა,
და უხვად ღელავს მაღალი მკერდი...
მე მომწონს შენი: ხმა ლმობიერი,
ბაასი, ზნე და გონება მრთელი;
მე მომწონს, ბოლოს, რაღაც იერი
ციური, ნიჭი გამოუთქმელი.
და შენ, ესრეთი მოვლენა ძვირი,
რომ გათხოვდები, დედა გახდები,
დაცემულს მამულს აჩუქე გმირი!
მაშინ კი სწორედ შემიყვარდები...
და მიძღვენ ცრემლნი მახარობელად,
თუმცა ცოცხალი აღარ ვიქნები,
ბედნიერების გიცნობ მშობელად.
იქ ვიგრძნობ, იქაც გეთაყვანები!..

1882 წ. (?)

აკოვია ერისთავს —

მისთვის მიყვარხარ, რომ ყმაწვილობა
შენი უმანკოდ დაჩაგრულია,
რომ მამულისა ვარგი შვილობა
შენი სხვა ზრუნვით დაფარულია;
მისთვის, რომ ეტლი შენის ბედისა
როგორც მე — ჩემი, დაგმტერებია,
რომ არც შენ გინდა დახრა ქედისა
და გზა სიმდაბლის არ გყვარებია.
დარჩი გულწმინდა ამაყიანად,
განაგდე შორად ფუქე დარდები,
გახდი ფაზელის ადამიანად —
თანდათან უფრო შემიყვარდები!

1885 წ. (?)

ოხ, რომ მცოდნოდა, ჩემს ყმაწვილობას
 ავად უბრალოდ არ დავლუპავდი;
 გრძნობასა ნორჩად, გულკეთილობას
 საკუთრად შენთვის შევინახავდი!
 ოხ, თუ მცოდნოდა, სიცოცხლეს დადლილს
 შენდამი ტრფობა გამიხარებდა;
 ოხ, თუ მცოდნოდა, უშენოდ გავლილს
 დროს შენი ტრფობა განმიახლებდა;
 ოხ, თუ მცოდნოდა რომ სიყვარული
 ცხოვრება თელილს უნდა მთენოდა,
 როგორც საფლავზედ მზე აღმოსრული!
 ოხ, თუ მცოდნოდა, ოხ, თუ მცოდნოდა!

1894 წ. 1/V

პ უ შ კ ი ნ ი ღ ა ნ —

სუნი გამქრალი, სრულად დამქენარი,
 ვარდი ვიპოვე ძველსა რვეულში,
 და რაღაც გრძნობა, დიდი ხნით მკვდარი,
 თითქოს შეწუხდა ჩემს საწყალ გულში.
 ვიფიქრე, როდის ეგ საცოდავი,
 რომელ ზაფხულზე აყვავებულა,
 და მისი ტურფა, ხუჭუჭი თავი
 რა ხსოვნის ნიშნად აქ შენახულა?
 ნიშნად პირველსა ტკბილის კოცნისა,
 როს სული სულსა უერთდებოდა?
 ან საუკუნოდ გამოსალმისა
 მდულარე ცრემლი ზედ ეყრებოდა?
 ან ეგებ ვინმეს ხამ თითებითა
 უაზროდ, ტყვილად სულ მოეწყვიტა?

კატო აბაშიძის ქალს —

დაო კატო! ვით პეპელა,
დაპფრინავ და დარდიმანდობ!
ვინცა გიცნობს, გეტრფის ყველა,
მაგრამ გულსა ნურვის ანდობ.
იეკლუცე, ილადობე,
ყრმათა შორის მხიარული,
მაგრამ გრინობა შემოლობე,
არ გჯეროდეს სიყვარული!
კაცის გული, როგორც მარტი,
შეიცვლება ხოლმე ჰშირად,
რაცა დღეს სწამს, როგორც ხატი,
ხვალ ის გაუხდება კირად!
ნაშ, ისევ სჯობს მოსვენებით
რომ იცხოვრო სულაც მარტო,
წმინდის ფიქრით და გონებით!..
ასე გირჩევ, ჩემო კატო!

1901 წ. 17/14.

ჩემი ჩანგი —

... თუმცა ჩემს გულს გარს ესევა
წიამ-ნალველის, სევდის ქარი,
და შიგ რეკავს სავალალოდ,
ცრემლ-საფრქვევად გლოვის ზარი;
მარა მე ხომ ჩემს კერძო დარდს,
ჩემს ვარამს და ჩემს ტკივილებს
საერთოდ * ხომ ვერ ჩამოვკრავ
ჩემს საქვეყნო ჩანგის სიმებს!..

* ე. ი. ერთისათვის, საპირადოდ.

თუმც ხანდახან სიხარული
ჩემს გულშიაც გაიღვებებს
და ღროებით გამიფანტავს
იქ დაბუღულ მწარე სეკლებს;
ზარა ჩემს ქნარს მას ვერ დავმღერ,
რაც მე კერძოდ შემეხება!
იმის სიმნი, იმის ჰანგი
ერთისთვის არ დაიკვრება!..
ზარა როცა ჩემს ყურს ესმის
ჩაგრულ ხალხის მწუხარება,
მიწას ალბობს უმართლობით
დანადენი მღუღარება,
როცა მესმის მისი კვნესა,
სულის მქენჯი, გულის მდაგი,—
მაშინ მხოლოდ, მხოლოდ მაშინ
დაიკვნესებს ჩემი ჩანგი!

მ ა რ ა დ ა -

განგებავ! ამას ნუ მიწყენ
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავიღუღუნო
მამაპაპური ვარადა,

იგი ღუღუნო-სიმღერა
არ არის გასახარადა,
ის არის მძიმე მოთხრობა
გულისა სატკივარადა.

ისა ჰგავს დედის საფლავზედ
ოზლისა მოთქმას მწარადა,
კვნესის და კვნესის, ქვითინებს
მტირალის ჩვილის გვარადა

უბნობს თუ ციხა ცხოვრება
ათასის წლოსა წყნარადა
ერთბაშად, ერთის მობერვიდ
სულ წარხვეტილა ქარადა!

ზოგჯერ გიყურად შეჰკივლებს
ბედისა სამუქარადა,
ეტყვის: მარტოკა დამაგდე
ნაწყვეტად, ნაოხარადა;

მიკვირს საწუთროს ვნებანი
ვის ჰტხვრიან, ვის სახმარადა,
და მსგავსსა ბოროტებასა
ყურსა არ უგდებს ცა რადა!

განგებაუ! გვედრებ ნუ მიწყენ,
თუ რომ შეგჩივი მარადა,
ჯანდისხან დავიღუღუნო
ვაი და ვაი ვარადა!

ფშაურ ხმაჯად —

ვიცი ძმავ, ვიცი, რადა ხარ
სევდით მოცულა სახითა:
ვაქვაც ვაგლახად დაბმულხარ,
ვითა კაკაბი მახითა;
ვერ გაგიშლია შორიშორ
მშვენიერად ფრთები მალია,
შემოგხვევია ცხოვრების
სულთა-მხუთავი გალია;
გვერდით გიყრია ქანგული
ყირიმი, ფარი, ხმალია,
ვერცა გაჰფერავ, წერც იხმარ,
ბტერმან აგიბა თვალია.

აგერ მერანიც ჰიხვინებს,
ლამის მოახტეს მხედარი!
მხედარი, შენებრ ვაჟი,
შარქვი, მეორე სად არი?,
მაგრამ რას იზამ, არ გხურავს
თავზედან მუზარადია,
აბჯარ-ჯავშანი დახეულ
ასი წლით მტვერში აგდია.

ვერ გაიქუსლავ ტაიქსა,
ვერ დაიმუქრავ ქართულა,
ტოლ-ამხანაგი ყველაი
საიქიოსა წასულა.

მათ ნაოხარსა, ტიალზედ,
ზუზუნით დადის ქარია,
ზედ მოსთქვამს, ზედან ღულუნებს,
ვითარ გლოვისა ზარია.

შენ მარტოკასა, ობოლსა,
რა გშველის, რა განმარია?,
შენს თავ-განწირულ კიყინას
აყრუებს მთა და ბარია,
„მაშ, ფიქრობ, მოკვდე სჯობია,
სიცოცხლე რა სახმარია?,
ცოცხალი ლეში, თქმულაო,
მკვდარზედაც უფრო მკვდარია“.
მაგრამ არა, ძმავ, განსოვდექ
ქრისტეს მცნება და ჯვარია,—
იგი გიშველის, განკურნავს,
რაც ოდენ სატკივარია,



შენ იცნობ, ძმაო, ქვეყანას ერთსა,
სად მზე მარად უამს ანათებს, ბრწყინავს,
სად მის სახელსა, როგორც რომ ღმერთსა,
ადიდებს ერი და მასზედ ფიცავს!

რა შელამდება, მუნ ვარსკვლავები
იმ ქვეყნის ქალებს ეჯიბრებიან,
და მათი შუქისმფენი თვალები,
იმათ სხივებსა ეღარებიან,
იქა მუხთლობა გაუტანელი,
იხდის ბეგარას ბოროტებისას;
იქ გულთაძგერა დაუცხრომელი,
ასრულებს მხოლოდ ვალსა ნებისას.
იქ სინიდისის ციური ალი
ციჴსა ვანსჯასა სულ ჩაუქრია;
იქა მტყუნდება მხოლოდ მართალი,
რომელსაც თავი ძირს დაუხრია,
იქ ისმის ჟღერა ბორკილებისა,
იქ კენესის სული, არ ყურობ განა?
ღირსია, ძმაო, შებრალებისა,
ის უბედური — ჩემი ქვეყანა!

გიორგის პასუხი აბაკისადმი -

შენი ტყბილი მგოსნის ენა,
რა ხანია, არ მსმენია,
ფუტკარმაცა იცის კბენა,
მაგრამ თაფლის გამჩენია,
რაც უნდ მითხრა, მეგობარო,
ნე, შენს შაგირდს, მაძლევს ლხენას,
რადგან ვიცი, უკეთ ხარო,
ნადლსა ვსწირავ ცას და ზენას.
მაგრამ შენსა მალალ ნიჴსა
არ შეფერის უმართლობა:
მოჴყოლიხარ ცოტა ჴორსა,
ზოგრეგია იმერლობა;
სენი ყანწით გადღეგრძელებს,
ნე: აფხაზი, წრფელის გულით,
ერთ სცოდნიათ ჩვენსა ძველებს,
შობითა და სიყვარულით!

* * *

ნეტამც ვინმემ დამკლას დანით,
სისხლი ჩემი მოადინოს,
მკერდი ჩემი ტყის ნადირთა—
ვეფხვსა და ლომს ალოკინოს,
გული ჩემი ამოიღოს,
ყვავს და ყორანს აწეწინოს,—
და რაც გრძნობა შიგ გამოჩნდეს,
იგი სხვებსაც აგრძნობინოს!

სიმღერა —

(„შორის გზიდან სატრფოს ველი“-ს ხმაზე).

არსაიდან არვის ველი,
სატრფომ გვერდი ამიარა,
დამრჩა მხოლოდ სევდა მწველი,
და გულში კი მძიმე იარა,
ასეთია სოფლის ბრუნვა;
ზოგს ახარებს, ზოგს კი არა;
არას გვარგებს ბედზედ მღურვა,
თუ კი ერთხელ ჩაიარა!

* * *

(ნაწვეტი პოეზიდან) —

მზე გადიხარა, დაბერა ქვენით,
ზღვას გადაეკრა ზურმუხტი ლაშა,
და მის ციალზედ დუღუნით, სტვენით
თეთრი კრავები აათამაშა.



ოდეს ღმერთმან მოისურვა
 ცხოვრებისა ხელობანი,
 ფიფქი თოვლი შეამქიდრა
 და ჰქანდაკა ტურფა ტანი,
 ვარსკვლავები აირჩია
 და ჩაუდგა ციურ თვალი,
 ვარდი ტუჩად დააკონა, —
 გააჩინა ქვეყნად ქალი,
 ხოლო როცა გაცოცხლება
 დასჭირდა ამ მანქანასა,
 „ეხლა სული ჩაჰბერეო“,
 ეგ მიანჯო სატანასა.
 და მას აქეთ კაცი ვერ ღროს
 ვერ ასცილდა მონებასა,
 მით რომ სიშნოს მეტი ძალუძს,
 ვინემ კეთილ გონებასა,



ედემის ბაღის ყვავილო,
 ვაჰ, თუ სხვისთვის იკვირტები,
 მოგაკლდება შნო და სხივი,
 როგორც ცოტას გახშირდები,
 თორემ დაგკრავს უცებ ყინვა,
 უცხო სოფელს დასცივდები.
 სიყვარული ჰკუთისაგან
 გამოგიყვანს, გაგზდის ფლიდად,
 კეთილ ზნეობას შეგიშლის,
 აღარც მოგცემს სირცხვილს რიდად,
 წამის ყოფით გაგიწყდება
 ბეწვის ძაფი, — გქონდა ხიდად,
 ამ სოფლად გტანჯავს, გაწამებს,
 იქ სულ არ გატარებს წმინდად,

ერთხელ ვიხილე, ჩემს სამშობლოში
 ტურფა და ნაზი ახალი მთვარე,
 ჰაბუკი ვიყავ მეცა იმ დროში,
 და სასოებით მას თვალი ვარე,
 ცხოვრების ღელვამ შორს გამიტაცა,
 ბევრი ქვეყნები მიმოვიარე,
 მაგრამ მახსოვდა მე სამშობლო ცა,
 და ზედ ის ტურფა, ახალი მთვარე,

* * *

ოჰ, ბუნებავ, შენ ძლიერო,
 მართალო და საკვირველო,
 ცით გვინათებ და ცვარს აფრქვევ,
 რომ აცოცხლო მჭკნარი მდელო,
 უცნაურო, უმიზეზო,
 არ გექნების დასასრული,
 მაშ, მიკვირს, რათ შენგნით სოფლად,
 უბედობა არს გამოსრული!

....ს —

ჩემს გიჟურს ოხვრებს, შენდა მიძღვნილსა,
 ოცნების ფრთებზე შენსკენვე ვაფრენ,
 და მათს მიზეზსა, შენგან შექმნილსა,
 კაცთ შეძლებანი ვეღარ ჟამიქვრენ.
 და რაც სიავე აწ დამემართოს,
 ჩემივე გესლი მევე მომწამლავს,
 თორემ შენს გულსა მან არ მიმართოს,

ამაში ვფიცავ, სატრფოვ, შენსა თავს!
ამაში მენდევ, და თან გახსოვდეს;
შენით ვიცოცხლებ, შენით მოვკვდები!
და თუმც მოვკვდები, — ეს გულში მქონდეს,
რომ მიზეზს მისას შენ კი მიხვდები!

* * *

შენის შევენების სუსტსა ნახატსა
ამ წყლულსა გულზედ მუდამ ვატარებ,
ერთ-ორჯერ დღეში, თითო საათსა,
მას ვუქვერეტ ხოლმე, თვალსა ვახარებ.
და ვნატრი მას, ვინც ზედის წერითა
შენგან ყოფილა აღმორჩეული;
ვისიც სახელი ხმისა ბგერითა
შენს ბაასებში არს გარეული,

მაგრამ ვაი მას, რა დღე მოელის..
როცა ცხოვრება განვირისხდებათ,
და თქვენი ტურფა საერთო ეტლის
მოაღწევს წამი, და გაგშორდებათ.

ამ სიმართლისთვის არ გამიჯავრდი!
ეს არს კანონი გულთა ვნებისა,
არც ეს იფიქრო, მე შენ მიყვარდე,
ვიყო შემშლელი შენის ნებისა..

არა, მერწმუნე, — ჩემი ვარსკვლავი,
სიკაბუკისა ჩემის მნათობი,
ამ ობოლ სულთან არის უკვდავი
მოგონებითა მისი დამტკობი,

ვინდა იხილოს ორჯერ სიცოცხლე,
ორ გზობა შეშა რარიგ დაიწვას?

და შენის ნორჩის გრძნობის სიახლე
ჩემ დაიცივას.
ოღონდ ესა მსურს: როგორც სნეული
დასცქერის ხოლმე ყვავილს გაშლილსა,
ესრე თვალეზი, ცრემლის ჩვეული,
შენის ნახვითა მე მოვასვენო,
და დროთა ბრუნვით ჰკუას შეშლილსა
მცირე სძნათლე შენგნით მოვფინო!

მამულს —

სალამსა გიძღვნი, ჰოი, მამულო!
ოზლის სიცოცხლის ჩემის მიზეზო,
ძველის დროიდან უხვად ქებულო,
ძველის ხსოვნითა მარად ლამაზო,

იმ კარგის დროის, როს შენნი შვილნი
შენის შვილობით ამპარტავნებდნენ,
როს მათნი გმირულ მომართულ მშვილდნი
მტერს აწუხებდნენ, არ მოუშვებდნენ,

როს სულით წმინდით ამალღებულნი,
სახითა წყნარით, ლომებრ გულითა,
ტურფა ვაუნი ზმალ-გაშიშვლებულნი,
თავს გევლებოდნენ სიყვარულითა.

როს ათინელთა მეცნიერების,
ლამპარი მაინც გაანათლებდა,
და საყვირთ ცემა ხშირის ლაშქრობის
გონების აზრსა არ აყრუებდა,

იმ დროის, როცა პატიოსნება,
ნდობა, ერთობა, სიტყვა უცვალი,
ნამდვილ მეფობდნენ, არ ვით ოცნება,
რომელთ არ დარჩა სუსტიცა კვალი!

მაშინ მეცოცხლა, მაშინ მენახე,
სრულად ვიგრძნობდი ბედნიერებას
და ერთის ხმითა ზღვა, მიწა, ტყე, ხე
ჩემთან იმღერდნენ განგების ქებას.

ესლა რას ვხედავთ? დიდება კვების
წვრილმან ლტოლვებზედ დახურდულია,
აბჯარი მუხთლობს, გლახ ღონე ტყუის,
გზა იმედისაც ბნელით ხშულია,

ჩრდილოეთისა ჩასტიკი ჩრდილი,
ჰოი, მამულო, სინათლეს გისპობს,
მხოლოდ ელბუზი, ლაღად აყრდნილი,
შოხუცის თავით წყველიადა აპობს.

იმ თეთრ ნაკვეთით ჩამოღელვიან
კენესით, ღრიალით ცრემლნი გლოვისა,
და ათას ღარად მკერდს უხეტქიან
წმინდა ზარისა უბედობისა.

კითხვა — პასუხი —

— „გულო, რა არს სიყვარული?
მსჯრდა შენთვის ხშირად მეთქვა“.

„ორი სულის ერთი ფიქრი,
ორი გულის ერთი ფეთქვა!“;

— „მაშ მითხარი, სიდან მოდის?
თან მოდის და არის თანაც,
როცა ქრება?“.

„თუ კი გაქრა,
არც ყოფილა რამ მაგისთანა!“;

— „მითხარ, წმინდა სიყვარული
როდის არის უფრო ის ღრმა?“
„როს' თავის თავს თვით ივიწყებს,

როცა ჩუმად ფეთქვას იწყებს!“
- „და მითხარი, მითხარ ესეც,
მაშინ როცა ის გეძლევა,
მაშ, 'სთქვი როგორ ისაუბრებს?“
„არ საუბრობს, თავს გველბა!“

სადღებრძელო ქალებს -

ამ ოხერს დარდებს გავარდეს ჯანი!
მო, ყმაწვილებო, დავლიოთ ერთი!
ავავსოთ ღვინით ვერცხლისა თასი,
ჯერ ჩვენებურად ვადილოთ ღმერთი!

მერე დავლოცოთ ტურფა ქალები,
მენდეთ, ჩვენს დროში მათ თაყვანი ვსცეთ,
და ზნეობრივი სხვა რამ ვალები
შთამომავლობის დროსა გადავცეთ.

მაშა დავიწყოთ: ეს იყოს ნინოს,
რომლის სახელი ქართლის მნათია,
ლოცვები ჩვენი მან მოისმინოს!
შევსვათ... გავავსოთ კვლავაც ბადია.

ეს ადღებრძელოს ღმერთმა ფატია,
ერთობ კეთილი და ღმობიერი,
თანაც შვენების ხომ ნახატია,
დე, გხადოსთ, ძმებო, მან ბედნიერი!

ესეც აცოცხლოს ნაზი მარია,
კეკლუც-უხვი და არა ცბიერი,
გრძნობა თუნდ სცვალოს მან, ვით ქარია,
ოღონდ მოხიბლვა ჰქონდეს ძლიერი

ღროა, ვახსენოთ ჩვენ აგრაფინა,
ბევრსაც ულოცავს, ბევრსაც უჭია.
მის ღროს ქალებსა ჩრდილი დაჰფინა
და ყმაწვილ-კაცებს — მთვარის შუქია.

ღმერთმა აცოცხლოს მაშო, პაშები,
ძველი ძაძუ და ხნიერი მართა,
მისცეს ქეიფი და ირ-ტაშები,
და რამ ჭირი მათც ნუ დაემართა.

ნუ დავივიწყებთ საბრალო კატოს,
კუსურვოთ რაც რომ მას იამება,
რაზომაც გულში გამოიხატოს,
იმ ზომით სიტკბო ნუ ასცილდება.

პა, ესეც კიდევ იყოს შაროსა,
შეორეც ბაბოს, ორთავ აცოცხლოს.
სტვას ვერას ვიტყვი მათ სადაროსა,
ბედნიერება მათ ნუ მოაკლოს,

სზვა ვიღანა ვთქვათ, ვფიქრობ, სჯობია,
დავლოცოთ ერთად, ვინ ვის უყვარდეს,
ამაში ვინმე თუ დამრჩენია,
ვთხოვ რომ შემინდოს, არ გამიჯავრდეს,

აწ კი გვეყოფა, ლექსი არ წახდეს,
და არ შეგვატყონ, რომ ვართ მთვრალეობი,
და სახელიცა მისი არ წამცდეს,
ვისაც მე ჩუმაღ ვენაცვალეობი

ერთს მომღერალ ჟალს —

მხოლოდ შენ ერთო, მხოლოდ შენ, სულისა აღმამფრენაო!
არ საღმუისოთ (!) საყურე, ზეცისა პანგთა სმენაო;
ტრედსა სჯობიხარ გრძნობითა, აუქმე ბულბულთ სტვენაო...
უშსგავსოს — შენდა საქებრად რად მარგა მსგავსი ენაო!
აწ სულ დამეხზოა გონება, დამრჩა-ლა ცრემლთა დენაო!

გეტრფიან ყოვლნი მკვრეტელნი, ახლო ვარდნიცა ჰკნებიან,
 იქნებ ბულბულნიც მრავალჯერ შენის ეშხითა კრთებიან!
 ოღონდ მე შორს ვარ ტრედზედა, ბულბულნიც აღარ მხვდებიან!
 რად ვარგა უმსგავსო ჰება, გინებად ჩაითვლებიან.
 გირჩევთ, ნუ ხარჯავთ მაგ ცრემლებს, სხვისთვისვე დაგპირდებიან,
 იმას არავინ ინატრებს, რასაცა ვერ შესწვდებიან!

პასუხის პასუხი -

მიბრძანებთ, შენი გრძნობები და ჰება არა მრწმენაო!
 აბა რა მშველის? მოწმეა ჩემის წყლულისა ზენაო!
 ტყუილი თქვენ თუ შეგკადროთ, გამისკდეს მიწა ჰქენაო,
 უფსკრულმა ჩამთქას, დამიწყოს მუნ სატანამა კბენაო!
 ამ ჩემი გულის იღბალი ხელთა გაქეთ მარტო თქვენაო!



უსამართლობის ცხოვრების ზღვაში
 შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები.
 და იმ ტანჯვების უღმრთოებაში
 კაცთა სიავის მწარე იქვები
 არ შეჰხებიან შენს კეთილ გულსა,
 რომელშიდაცა ძმათ სიყვარულსა
 ენთო უშრეტი, წმინდა ლამპარი
 ის გაანათებს შენსა წარსულსა,
 და მით იქმნები დაუვიწყარი!
 და შენს სიცოცხლეს უბედოს, მწარეს
 ძეგლი ხსოვნისა დაესვენება;
 და შენს მოწყენილს, ღარიბს სამარეს
 კურთხევის ცრემლი დაეწვეთება!

სულმნათო! არა, არ გეთხოვები,
 შენისთანები არა კვდებიან,
 სხელით მხოლოდ შენ განისვენე,
 ხოლო ზეციურ-უკვდავი ხმები
 შენის ქნარისა ჩვენთან შთებიან!
 და ეს ანდერძი აღმაერთოვანი
 შენის ერისგან დალოცვილია,
 როგორც ფოლადში ოქროს ზარნიში,
 ქართველთა გულში ჩაქედილია...
 და თან ლალადი, ქებათა ქება,
 გუნდრუკად ცისკენ აღემართება,
 ეს არა სიციცხლე და უკვდავება...
 კურთხეულია შენი ხსენება!

1915 წ.

* * *

Давно прошли мои те годы,
Когда я жизнью мог кипеть,
И все прекрасное в природе
Хотел и видеть и воспеть!
Если б в ту пору вместе с тобой
Альбом сей в руки мне попал,
В единый час хоть две поэмы
В него бы жгучих записал.
Теперь не то... Живу на свете
С сентябрьской пасмурной душой,
И в блеске дня, и в лунном свете
Ищу лишь отдых и покой!

1890 г. (?).

? ...

Скажи мне, отчего в тревожном мечтании,
Томясь бессоницей, все ночи провожу?..
Скажи мне, отчего в заоблачном сиянии,
Мне мнится облик твой, и на него гляжу?

Скажи мне, отчего слышу ли пеонь дальнюю,
Или звук речей, то будто голос твой?
Отчего и радость, и думу печальную,
И все помышленья хочу делить с тобой? .

Скажи мне, отчего создание искусства,
То мрамор или холст, что полно красоты,
Что полно и неги, и знания, и чувства,
Сливается с тобой, и в жизни это — ты?

Скажи мне, отчего чудится мне годами,
Что мир преисполнен имени твоего;
Среди туч, среди волн, и в лесу меж цветами
Повсюду, всюду ты... скажи мне, отчего?

1898 г.

* * *

В любви, как в ревности, не ведая предела, —
Ты прав, — безжалостной бываю я порой.
Но не с тобой, мой друг! С тобою я б хотела
Быть ласковой и нежною сестрой.
Сестрою ли?... О, яд несбыточных мечтаний,
Ты в кровь мою вошел и отравил ее!
Из мрака и лучей, из странных сочетаний
Сплелось чувство странное мое.
Не упрекай меня. За счастье мгновенья
Другим, быть может, я страданья принесу.
Но не тебе, мой друг! Тебе — восторг забвенья
И сладких слез небесную росу!

1909 г. (?)

ФЕРДУСИ И УЧЕНИК

(из персидского)

«Не безумец ли, кто утопает в богатстве,
Ибо ведь богатства с собой не унесет!
А славы ищет кто в войне или в гражданстве,
Безумец также он!». Пыль веков занесет
То имя славное и ветром заметет!
Не безумец ли тот, кто полного счастья
Постигнуть думает в нежной ласке женской?
Ибо как цветы роз в один день ненастья,
Все завянет, пройдет, покажется мерзким!»
«Да, ты прав, учитель, — ответил ученик. —
Ты истину познал и глубоко проник.
Но мудрец лишь тот, кто безумство испытал,
Ибо познав безумство, мудрецом потом стал!»

Кутаис, 1909.

* * *

Прошло, прошло и больше нет!
Вот роковых три слова!
Когда под тяжестью прожитых мною лет
Все прошлое зову я снова,
То слышу времени гробовой ответ:
Прошло, прошло и больше нет..»

Прошло, прошло и больше нет, и никогда не будет!
Как камень, те слова мне на сердце лежат...
Но сердце прошлого с годами не забудет,
И годы прошлого с собой не воротят...
Чем больше я живу, чем больше вижу свет,
Тем строже приговор прожитых мною лет:
Прошло, прошло и больше нет!

1909 г., 24.X. (?)

* * *

Еще с душою, полной прежним ядом,
Я вновь люблю, и верю, и молюсь!
На жизни путь смотрю воскресшим взглядом.
Я так хочу идти с тобою рядом.
И... так боюсь!

Мой путь тяжел: там горе, лед и злоба.
И счастье ль нас на нем с тобою ждет?
Быть может — да... Вернее — крышка гроба!
Ну что ж... Пойдем? А сгинем — сгинем оба...
Пойдем вперед!

Но если, вдруг, страшна тебе дорога,
Тогда надежд напрасно не буди,
Тогда я сам сведу концы итога!
А ты уйди... Путей еще так много...
Ты отойди!

1910 г., 26.V. (?)

* * *

Душа живая мне дана,
Не из металла я чеканен.
Я переменчив как волна
И как волна непостоянен.

Я до безумия люблю,
Но завтра, может быть, остыну,
И клятвы мертвую петлю
Себе на сердце не накину.

Любви обманчивому сну
Я враг, как всякому обману, —
Я ни себя не обману,
Ни Вас обманывать не стану!

Я, как зверь степной
Перед светлой звездой,
Стою, зачарованный тобой:
И гляжу, гляжу, в восторге цепенея,
Сознание потеряв, слов молвить не смея!
И что мог бы я сказать? Что безумец-мечтатель.
Без цели, без надежд я кумира обожатель!

ОТКРЫТОЕ ПИСЬМО

Опять весна, опять тепло!
Опять все дышит жизнью полной!
Душистым зноем понесло,
Лениво плещут моря волны.

На фоне неба голубом
Снуют, щебечут резво птицы...
И тихо, тихо так кругом!
Проходят думы вереницей.

Опять весна, опять тепло!
Такие дни когда-то были..
Увы! Их время унесло
И Вы давно о них забыли...

Для Вас весна и вновь тепло,
Для Вас что год, то праздник новый,
А мне былое, как оковы,
Так крепко в сердце залегло...

Оно так ноет и страдает!
Оно чуть бьется, стынет кровь,
Оно все к прошлому вызывает
И грез чудесных ищет вновь!..

Опять весна, опять тепло,
Природа пышно расцветает,
Но мукам жизни не внимает
И не вернется, что прошло!

НАДЕЖДЕ ЭРИСТОВОЙ, ЛЮБЕ Б;
ВЕРЕ ЭРИСТОВОЙ И СОФЬЕ МАЧАБЕЛИ

в день именин 17 сентября

Надежда всем моим надеждам изменяет,
Любовь не платит любовью за любовь.
Я был у Веры, и Вера уверяет,
Но разуверившись (!) раз, не верится уж вновь.
Осталась Софья, хочу софистом быть —
Без веры, без любви и без надежды жить.

ТЕРЕЗИИ ШЕРВАШИДЗЕ

Ищу напрасно вдохновения, —
К нему не клонит наш Сухум!
Сухум хорош лишь на мгновенье,
Но за мгновенье высох ум.

К Н

Три дня от Вас я ждал хоть строчки.
Увы, напрасно! Почему?
Вопрос излишний. Ставлю точки...
И потому, и посему:
Причины вечно ведь найдутся,
Быть может, это Вам грешно,
Но из-за этого мне дуться

Было б глупо и смешно.
Я понимаю: поздно встали,
В головке милой целый рой
Воспоминаний о водопое,
Где перед Вами джигитовали
Все лагидзевские герои!
И так в мечтах часок продлится.
Потом — умыться, поплясать.
А тут глядишь, к Вам кто-то мчится!
Когда же было мне писать!

Ч Е Л О В Е К

(Перевод из Мамиз Гурели)

Кто б ни был ты, мой друг, случайный мой читатель,
Мужчина, женщина иль юноша-мечтатель,
Про это даже знать мне, право, нужды нет,
Я лишь прошу принять мой дружеский совет:
Когда, вступая в жизнь, ты счастьем окруженный,
С надеждою вперед глядишь в грядущий век,
Не забывай, мой друг, фортуной ослепленный,
Молю, не забывай, — ты только человек!
И будешь ли блистать умом, очарованием,
Прославишься ль потом ты мудростью своей,
Энергией в борьбе, богатством, обаянием,
И бескорыстием прямой души твоей, —
Не возгордись, мой друг, и помни весь свой век,
Что ты не более, как смертный человек.
И если б даже ты, случайностью счастливой,
Сокровищами всей вселенной обладал,
И волею судьбы капризно-прихотливой
Царем-владыкою земного мира стал, —
Тогда, великий муж, тогда еще тем боле
Ты должен чутким быть и помнить весь свой век,
Что и в венце златом, на царственном престоле,
Ты все же человек и только человек.
Но если бы судьба тебя и не взлюбила,
И в угнетении ты влачишь свой жалкий век,

И сердце пылкое в тебе она убила,
Не унывай, мой друг, ты все же человек.
Пусть судьба твоя изменит направление,
И злобная молва бежит шумнее рек,
Лишь не меняйся сам, настанет просветление,
И все тогда поймут, ты все же человек,
Лишь истину одну имей ты целью жизни
И братскую любовь за долг считай весь век,
Без устали всю жизнь служи своей отчизне,
И будешь вправе ты сказать: «Я человек!»

გვადანის ციხე

ლეგენდა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მაღალსა ქედზედ, ზღუდეში კლდისა,
 ყირიმ-კავკასის საზღვრების მცველი,
 თითქო დარაჯი ათასის წლისა,
 დგას ჯილოსანი ნანგრევი ძველი.
 საუკუნების სრბოლას, ხელობას,
 აქაც ცხოვრება წარუხვეტნია;
 კაცთა სიავეს და ძველსა მტრობას,
 ძეგლად ეს ციხე დაუშთენია,
 უცნაურს ზღაპარს, ხალხისა საფრთხოს,
 ამა ნანგრევზე დღესაც იტყვიან...
 და აწ, მცხოვრებნი მუნ შორე-ახლოს
 გვადანის ციხეს მას ეძახიან;
 ამბავი მაზედ, როგორც რომ ჯადო,
 ამა კუთხეში ჩანერგულია,
 და მოვინდომე, რომ მეცა ვცადო
 ავწერო, რაცა ზეპირ-თქმულია.

ნ ა წ ი ლ ი I

თ ა ვ ი I

„გარბელი სიტყვა მოკლედ ითქმის,
შაირია ამაღ კარგი“!

(რ უ ს თ ვ ე ლ ი)

I

უხსოვარ დღიდან აქა ერთ-გვარი
ერი ყოფილა დამკვიდრებული;
დაუნდობელი და მეომარი,
ამაყი, ავი, ამით განთქმული.*
ამათ ეძახდნენ ყაზართა ერსა,
და ბარბაროსთა მოთხოვნილებას,
გარეშე ქვეყნის დამორჩილებას,
უაღრესათა ხმარობდა ესა.
ხოლო მუშაკი მიწას სჩიჩქნიდა,
და მეომარი ხანჯალს ლესვიდა;
კმაყოფილნილა პური-ლვინითა,
მუქარნი, მძლავრნი ბასრით,—მკლავითა,
ცხოვრობდა ერი; მაგრამ ილბალი •
სოფლისა ხოლმე გამოიცვლება
და, ჩანს, ფიქრობდენ, რომ მომავალი
სწვა ბორბალზედაც დატრიალდება.
მარცხნით ჩერქეზნი, მარჯვნით რუსეთი,
ამ ორნივე მტერთა შუაში შეკრულნი.
ყაზართ სჭიროდათ სიფრთხილე მეტყ
და იყვნენ ხევში გამაგრებულნი.

II

რა ცხოვრებაა იგი ცხოვრება,
თუ ხალხი არის დაუსვენარი,
ამას გულობდეს, რომ შეიძლება
ხვალვე დაგვესხეს მტრისა ლაშქარი!

* „თამანის ანუ ეისკის არემარე უნდა იყოს“. ა ვ ტ ო რ ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა .

აგრეა ხოლმე მუდამ ის ერი
ვის სინიდიისა რამ ახვევია,
თუ სხვის უფლება დაურღვევია,—
მას ელანდება ყოველთვის მტერი!

III

ამა ქვეყნისა მთავარი, გვადან,
ყოფილა კაცი წინდახედული,
მაგრამ არ ჰქონდა ჯერ არსაიდან
კავშირი ვისმე ერთან მოყვრული.
ორასი წელი წინეთ იმისა
ყაზართ დაიპყრეს რუსთა სამხრეთი
და არა ზომა მტარვალობისა
არ დაუკლიათ მათზე არც ერთი.
მიწა-წყალიდან გაანადგურეს,
ტაძრები მათი სულ გაუძარცვეს,
მცხოვრებნი გარეთ მინდვრათ გაჰყარეს
და სახლ-კარნიცა ერთად დაუწვეს.
მას აქეთ დღემდი, კირთების ქვეშა,
ხალწი თანდათან ბეჩაედებოდა,
არას შველიდა ვარამი, ხენეშა,
აზრი, გონებაც უჩლუნგდებოდა,
ფართი-ფურთობდა იგი საწყალი,
უგვანო რასმებს ეკიდებოდა,
გადაგვარების გზაზე მავალი
ამოვარდნასა მაინც ებრძოდა.
ამისა შემდეგ, რალა თქმა უნდა,
გინდ გასულ იყოს რაც უნდა ხაწი,
თუ კი იღბალი რუსს დაუბრუნდა,
ვერ იხარებდა ლალი გვადანი!

IV

დიდებულია, ძვირ სანახავი.
ყაზართა ქვეყნის უხვი ბუნება,

სად მოციმციმე მყინვართა თავი,
 განსპეტაკებულ და მომხიბლავი,
 მზისა სხივებსა ეალერსება!
 და თვით მნათობი ელავს და ხარობს,
 ოქროსა აფრქვევს თავზე სატრფოსა,
 ზეცის საუნჯე ლამის დაპყაროს
 ამა ერთსა დღეს სანეტაროსა!
 და ეს კი, აღმას ფარჩით მორთული,
 ეშხით მოხვევნით იგი დამდნარი,
 ცრემლთა აწვეთებს და უძგერს გული,
 როგორც უბიწო ვნებით დამტკბარი.
 თვალი ვერა სჭრის, ჰკუა ცვიფრდება,
 ხედავს რა სურათს ამ შეენებისას!
 მას, ვინც წარმოშო ესდენ დიდება,
 ბრწყინვალე მეფეს დასაბამისას,
 მას ცისა ეტლნი თავს ევლებიან
 მას შეჰხარიან, მითი თბებიან,
 და ვაი ურჩსა ამ მონებისას!
 აღნიშნულ კვალსა ვინც დასცილდება,
 ის დაიმსხვრევა და შთაინთქება!
 რამან აღუგზნა ცხოველი ალი
 ამა მსოფლიოს მანათობელსა,
 უსაზღვრო სიშნო, უსაზღვრო ძალი.
 სითბო სიცოცხლის მომნიჭებელსა?!
 იქ მიისწრაფის მაღლა ოცნება,
 სადაცა უჭვრეტს მიუწდომელსა...
 ეგებ მუნ სუფევს თითონ ღვთაება
 ვინცა განაგებს ამა ყოველსა...
 აგრე უღონოდ ბორგავს გონება
 და ბოლოს ფიქრიც დაილალება.

▼

უსუსურია მიწათ მაშვრალი
 და ისევ მიწას მიაპყრობს თვალთა,
 აქ უზარ-მაზარ კაპანი სალი
 გარს შემოზღუდავს მთისა ნაპრალთა,

სად მონადირე ჯიხვის მღევარი,
სიკვდილ-სიცოცხლის შუა გაჩერდება,
როგორც ღამურა, კლდეზე მიმჯდარი,
ბნელსა ქვესკნელში ჩაეკიდება!..
და ძირს სიღრმეში დულს და ტრიალებს
მდინარე გიჟი თავ-ქაფიანი,
სიბებსა ებრძვის, ზედ აყრის დორბლებს,
ბლავის და ბლავის, ვით ცოფიანი!

VI

ამ შეკრულ ხევში, ნათალზე კლდისა,
გვადანმა ციხე ააგებინა,
სამი ადლი ჰყო ხისქე კედლისა,
და შიგ დარბაზი გააწყობინა;
იატაკიდან თავანამდისა
ნადირთა ტყავით გააკრევეინა
და ზედ აბჯარნი, ვერცხლ-ფოლადისა,
ჯაჭვ-მუზარადნი ააჭედინა.
ზამთრის ღამობით ხოლმე გვადანი
ამა 'დარბაზში იჯდა მორთხმული,
ვაება ბუხარს ადგნენ მონანი
და ცეცხლი ჰქონდათ გაჩაღებული.
გარეთ კი ავი თოვლის ქარ-ბუქი
როგორც რომ მხეცი გაცაჰკივოდა,
ხოლო მადლობზე მთვარისა შუქი
ვიწრო სარკმელში გამოსჰვეივოდა,
და მკრთალი, თითქოს სუდარ მოსილი,
რკინის მახვილთა აჩეჩლებოდა,
ვით ავაზაკსა მსხვერპლის აჩრდილი, —
სასტიკ ღამეში ელანდებოდა,

VII

დიდი ხანია რაც რომ გვადანი,
საქართველოსთან ცდილობს! კავშირსა,

ამითი უნდა დაკრძალოს სხვანი
და მოიხმაროს დღეს გასაჭირსა.
ეს იყო ის დრო, როს საქართველო,
აღმოსავლეთით დასავლეთამდე,
ქუხდა ქებული, და სასახელო
საყვირი სცემდა კილით კიდემდე!
აღმაშენებლის დროს დიდებისა
ზედ კურთხეული ესვა ბეჭედი,
და კაცთ მოყვარე კეთილ მცნებისა
წინაშე ყველამ დაჰხარა ქედი!

VIII

ქაბუკი სელიმ, ძმა გვადანისა,
უკვე ყოფილა ქართლში გაზრდილი;
ყრმა მოხდენილი, სალი ტანისა,
თან ნიჭიერი და გულკეთილი;
ზნეობა წვრთნილი, დარბაისელი,
ჩაუქი, მცოდნე და მწიგნობარი,
ენა მახვილი, გონება მრთელი,
ტკბილ-მგალობელი, ტკბილ-მოუბარი!
აბა, უმჯობესს ვილას არჩევდა
გვადან ეჭიბათ საქართველოში!
მამ რაღას ჰფიქრობს, რასთვინ გაჩერდა,
თითქო ჩავარდა უსაშველოში!
სელიმმა აზრი მას მოახსენა:
„მე ვიცნობ ჩემსა გამზრდელბსაო,
იქ არ გაგვივა უსაქმით ენა,
ჩვენ გვეძახიან ველურბსაო!
დავით ხელმწიფე კეთილ სვიანი
ერი დიადი, ღრმად ქრისტიანი,
ჩვენსა ზნეობას ვერ ითვისებენ,
ჩვენთან კავშირსა არ იკადრებენ“!
„არ იკადრებენ! ეგ რა სიტყვაა!
ჩვენ ულონო ვართ და უგუნურნი?
თუ რომ ხალხი კი სულ სხვა და სხვაა

ჩვენებურები და იქაურნი,
ამითი ვითომ რას ამაყობენ,
ჰგონებენ მათში ყველა სჯობია?
მათში გლახაკსაც კაცათა სცნობენ,
ჩვენში კი იგი ღმერთისაა,
გული საქეთ მაგათ მანდილოსნისა,
რას მოიპოვენ სათნოებითა?
ქვეყანას წესი ბერ-მოლოზნისა
ვერ ააშენებს მეოხებითა“,
აგრე ზრახვიდა ამაღამ გვადან,
ცეცხლის პირასა დაფიქრებული
და გრძნობდა კიდევ, რომ არსაიდან
არ იყო შველა; გაჯავრებული
აგრე დიღამდი დრო გაატარა.
და რომ გათენდა, მისი ერთგული
თავი სარდალი მყის დაიბარა.

IX

ახალ-გაზრდა კაცს მრავალნაირი
აზრი მოსდის და კლავაც გაქრება,
არ ეხატება გულში მას ჰირი,
არც დიდ ხანს რამე შიგ ჩაეჭრება;
ის დულს სიცოცხლით მრავალ ფერათა,
ერთსა საგანზე არ გაჩერდება,
ძვირფას დროებას ფლანგავს ოხრათა,
არცა ჰგონია თუ გათავდება!
სულ სხვაა კაცი, რომელიც ბოლოს
წარსულ ცხოვრებას დაუკვირდება
და დაინახავს, მსპობსა ანგელოზს,
ცელ-მოელვარეს ვერ ასცილდება!
ხედავს-რა მისი არსების უამი.
შავსა სამარეს უახლოვდება,
მაშინ ამბოხნი და მწარე შხამი
მცოვანის თავში დაიბადება;
ვინ იცის, იგი რას მოიფიქრებს,

თუ კი არ ახლავს მას 'სასოება',
რა დაუმშვიდებს ვნებათა ჭირებს,
თუ უწვრთნელია მისი გონება.
გვადანი ახლა სამოციის წლისა,
კელპი, მტარვალი და ნებიერი,
მას ხმა არ ესმის სვინილისისა,
ჰგონებს ძალია მის მაგიერი!

თ ა ვ ი ი

X

დიდი კაცო ზურაბ ვაჩნაძე,
მეფის და ხალხის პატივცემული;
გარშამ სოფლები, ყველა ერთგული,
გვერდს უდგებთან ერთ მოწვეენაზე,
ერისთავია ამა ქრეყნისა
არა თუ მხოლოდ მეფის ნებითა,
კეუითა ძლოლა იცის და შვენის,
ზრუნავს ხალხზედა სათნოებითა.
ხმა მისი ყოველს კეთილსა გზაზე
არვისგან არის დაიქვენეული;
მუდამ დღე მისას ორმოცი სული
სხდებიან ხოლმე უხვსა სუფრაზე.
ღვინითა სავსე, ათ-ათის წლისა
სამასი ქვევრი ჩაკირულია,
კვირაობითა, დღესასწაულისა,
ხალხისთვინ ღვინი გამართულია..
მაშინ მოხსნიან ქვევრებსაც თავსა,
შამფურნი ცეცხლზე დასტრიალებენ;
საქვეყნო საქმეს, კარგსა და ავსა,
საქვეყნოთავე მუნ განაგებენ.
შემდეგ- საღამოს გაიმართება
როკვა, თამაში და ბურთობა.
აქ არ არსებობს მლიქენი რიდება
ყველასა სურის ერთად გართობა.

აქა ყოველი წოდებისანი,
ერთათ ლაღობენ სიყვარულითა,
ყველანი, — ზრდილნი და შნოიანნი, —
დროს ატარებენ სიხარულითა!
აქ მობლუშულსა, აუგიანსა
ერთსაც ვერავინ დაინახავდა,
პატივსა სცემდენ ადამიანსა,
და ჩანდა მტერი არავის ჰყავდა.
ერის სიკეთე არ გაშენდება,
არცა ქონებით, არც მამულითა,
ერის სიკეთე მხოლოდ გაჩნდება
კეთილ ზნეობით, წმინდა გულითა!

XI

ვაჩნაძე ერთობ აღრე დაქვრივდა,
და დარჩა ერთი პაწაწა ქალი,
მაგრამ უკუღმართს თავს არ უხრიდა
და ცხოვრებისა ახსოვდა ვალა.
სულგრძელობითა ის აღიჭურვა,
თითქო მით ჟინი ამოიყარა
და ყოვლი მისი მშობლური ზრუნვა
მხოლოდ ამ ერთსა შვილს დაამყარა,
აღარ ისურვა მეორედ ცოლი,
არცა წაღვლობდა რომ არ ჰყავს ვაჟი,
ეს მარგალიტი, მისი ობოლი,
ანუგეშებდა მის ცხოვრებაში,
ქალსა სახელად ერქვა სალომე.
მაგრამ ელლინი ვინმე, მხატვარი,
„მესალინაო“ უძახდა ხოლმე
ჩვილსა ხუმრობით უცხო სტუმარი,
მას მერე გადის თხუთმეტი წელი,
ქალი დასრულდა ვით სავსე მთვარე,
მაგრამ „მესალა“ დარჩა სახელი,
აგრე ეძახის ეს მთელი მხარე!

XII

როდესაც თბილი ზაფხულის ღამე
არე-მარესა მოეფინება,
ოდეს ციური სიმშვიდე რამე
ცოდვილს მიწასა მოევლინება;
როცა ცხოვრების ხმები, დღიური,
განისვენებენ, მიღუმღებიან,
მხოლოდ შორი-შორს სტვენს სალამური.
სევდათ კენესანი გამოისმიან;
ოდეს ქმარტოკას, მყუდროებაში,
გრძნობა ბუნებას შეუერთდება,
და როცა ხვედრი ვარსკვლავი ცაში
მოგვესალმება — გაგვიღმღება.
ამა დროს მცირე აივანზედა
თავის სასახლის იჭდა მესალა,
გიშრის თვალები ეპყრა ცაზედა,
ოცნებით სახე გამოეცვალა;
ყურს უგდებს შორით ტკბილ სალამურსა,
რადაცა ღელვით გრძნობა აევსო
და ამბობს: „ვეტყვი კვლავ საყვედურსა,
შაქროსა სტვირი არ მასვენებსო“!
და შაქრო მაინც თავის კაეშანს
ზე დალულუნებს, დაკენესის წყნარა,
ოხვრასა უძღვნის იღუმალ ნიშანს,
ნიაესა ანდო და ჩააბარა!..

XIII

ყოველ დილობით ვაჩნადის ქალი
მორთვას უნდება, დიდ-ხანს ეწყობა,
სისუფთე ტანის, როგორც წამალი,
აქვს ჩვეულებათ, — ასე ეტყობა!
ახლად ამოსრულს აბანოდანა
წინ უზის გოგო, ოსტატი ხელათ,
ვითა ქანდაკსა უჭირავს დანა

მარმალოს ფერხთა გამოსაქნელად;
 თაჯსა ადგას მას მისი გადია,
 ოქროს თმას ვარცხნის და ეუბნება:
 „რატომო, შვილო, დღეს არ გწადია
 ხალხში გამოსვლა, სიამოვნება?
 გავს, რომ ყრილობაც კარგი იქნება.
 მოჭირითენი ემზადებიან;
 მაღალს ყაბახსა ზე დაებმება
 ოქროსა თასი, ჯირითს ესვრიან!“
 — „მხედარნი, იცი, ვინ იქნებიან“?
 — „ჯერ არ მიკითხავს, მარა გავიგებ“.
 — „არა, დედილო, რა საჭიროა!
 ისედაც, მაინც წავიდე ეგებ;
 ერთნაირია ყოველთვინ გროვა,
 პეტრე იქნება და გინდა პავლე,
 განა ორივე ერთი არ არი!“
 — „აბა რას ამბობ, შენ გენაცვალე,
 ყოველთვის ერთი იქნება ჯარი?
 თუნდ ჩვენი შაქრო, დათუნას შვილი
 ბურთს რო იტაცებს, გამოვარდება.
 როგორც ირემი ხოლმე გახტება!
 ეჭა, გაჩნდება კივილ-ჟივილი,
 უკან სულ ხალხი დაედევნება,
 მაგრამ, აბა! შენ არ შამიკვდე,
 მკერდით ქარს აბობს, როგორც სალი კლდე,
 მგლისა მუხლებით მიექანება!
 ამის დანახვას კი რა სჯობია!
 კარგია, თვალის გასართობია!“
 ბაასში გოგოც გამოერია;
 — „იცით, ბატონო, რა ოხერია
 ის გიჟი ბიჭი! დღეს დაიფიცა:
 „თუ ვერა ვნახე მე მზე ველათო,
 მაშინ კი დღესვე გამისკდეს მიწა,
 თუ გამოვიდე საბურთველათო!“
 გადია გოგოს გაუჯავრდება,
 დაჩუმიდი ერთი, ჩეებს ბოდავო!

მესალას კიდევ გაეცინება,
გაშლილი ვარდი თოვლსა აღნება,
და იტყვის: „ღეღი, ეგ რა ცოდვაო,
თამაშსა დიად დარი უხდება!“

XIV

დღეს საღამოზე დიდი ჯარია,
დას-დასობითა ხალხი სეირნობს;
ზოგი ბურთაობს, ზოგი ჯირითობს!
ვილაცა ხის ქვეშ აქ დამჯდარია,
უცხოა ვინმე, ვერავინ იცნობს.
ტანსა და ფეხზე სუფთათ აცვია,
აგერ ტაიჭიც რტოზე მიბმული,
მას უცქერიან თუ რა კაცია
რაინდი ვინმე გალაღებული!
რვალის ჯავშანი მზეზედა ბრწყინავს
და ჩაბალახი თავზედ აბურავს;
ყმაწვილებისა ჯგუფი დგას ახლოს,
მათში მრავალი ტურფა ქალები,
ფერად-ფერადად მოკაზმულები,
სტუმარსა სურის, რომ მათ ეახლოს,
რადგან წასვლია მათკენ თვალები,
მაგრამ ვერ ბედავს, ჩანს, ერიდება,
და მაშვალი კი ვინ გაუჩნდება!
კეკე ქალებიც გამოიხედვენ,
ლიმილს მალავენ, ტუჩსა იკვნეტენ.
საგულისხმოა დედათ თვისება:
ვინც უნდა იყოს, ვისაც ეტყობა
მათზედა ცქერა და არშიყობა,
არც ჰქონდეს კაცსა სხვა რამ ღირსება,
მაინც კი ქალსა ეხალისება!

XV

ბოლოს-ღა ერთი შინაურთაგან
მიუახლოვდა უცხო სტუმარსა,

ჰკითხავს ამბავსა, მოდის საიდგან
 ან თუ გაერთო ღღევანდელ ჯარსა;
 „ხომ არას ეძებთ? თუ რამ გჭირია,
 წესია ჩვენში შეგიწყოთ ხელი,
 საჭიროება ქვეყნათ ხშირია,
 ხამს კაცი იყოს კაცის მშველელი!“
 „გმადლობო დიდათ, ეტყვის სტუმარი,
 — არა რაისა არ ცარ მთხოვნელი.
 ერთსა გთხოვ მხოლოდ, მამცნე, ვინ არი
 ის ტურფა ქალი, ის საკვირველი?“
 — „რომელზედ ბრძანებ, აბა, რა ვიცი,
 ჩვენებიცაა — მოსრულნიც სხვისი“.
 — „აი ის, რომ დგას, ის მშვენიერი!“
 — „მშვენიერნიცა მრავალ არიან,
 მას ზო არ ბძანებ, ი თვალ-ცბიერი,
 ის რო წითელი ჩუსტი აცვიან?“
 — „არა მეორე, ქცევით მარნაჩი,
 მალალ-მალალი, ტან-ნაკეთიანი,
 თეთრად მოსილი და ღაწვ-მწყაზარი,
 თმა ოქროსფერი ჯავარიანი!
 ლალი გააპო, აი, გაიცინა,
 ბროლ-მარგალიტი გამოაჩინა!“
 — „ისა?.. ჰო ისა ეჩანაძის ქალი,
 ჩვენი მასპინძლის ტურფა ასული,
 ბევრსა აუნთო მან გულში ალი,
 ყველა მინახაჭს, მისთვინ მოსული,
 დანადგლებული უკან წარსული!“
 — „სუსტნი ყოფილან, ყველანი გლახა!“
 — „რა ექნათ, თუ კი ქალსა არ ნებავს?“
 — „არ ნებავს! თქვენში, ძმაო, ისე გავს.
 წესია აგრე კაცის გალახვა!
 აბა ის ვაჟი სად უნდ გამოჩნდეს,
 ვინც ქალისაგან აგდებულია!
 პატივი იმას ცხითა გაუჩნდეს
 ვინცა პატივი აღებულა!“
 — „ვერ გამოიგია თქვენი ბრძანება!

ეგ სამართალი აბა სად გავა,
კაცსა მიეტეს ყველა უფლება,
ქალმა ვითომ კი რა დააშავა?“
აგრე ბაასში დრო გადიოდა,
ცა დასავლეთსა ცეცხლათ აინთო —
დაღონებული მზე ჩადიოდა,
ლურჯი გორები ნისლით მოირთო.
მწუხრის ჟამია, ხეების ჩრდილი
ვრცელსა ეზოში გრძლათ გაწოლილა,
მნათობის შუქი, აწ ფერმიხდილი,
ვარაყის ზოლათ შიგ ჩაყოლილა.
აჰა, სოფლისა სამრეკლოს ზარი
მოისმის, იწვევს სალოცავათა,
პირჯვარს ისახავს ხალხი დამდგარი,
გროვა იშლება თავისთავათა.
თითო, ორ-ორათ მიემართება
ეკლესიისკენ კეთილ-მორწმუნე,
მუნ სასოება აღემართება,
სად წინაპართა არის სავენე!...

XVI

შაქრო ბიქია ლაზათიანი,
რკინისა ფერი და ახოვანი,
სიტყვა-პასუხი გასახარია,
რომ გაიცინებს, — საჩუქარია!
წითელ პერანგის საკინძგახსნილი
და ფეხ-შიშველი შაქრო ისვენებს,
ზის ნაბურთალი, ძლიერ დაღლილი
და მიდამოსა თვალსა ადევნებს.
ხოლო ფიქრითა იქ მისწრაფის,
სად ეგულება მისი ნუგეში,
მნათობი მისი სულის და ზრახვის,
ვისიც ხატი აქვს მარად უბეში.

უცბად მოისმა ცხენთა თქრიალი
 და თან კივილი... ჩუ! ეს რა არი?
 ქარივით მიჰქრის ჩვენი მხედარი
 და მოჩანს თუთრი კაბის ფრიალი...
 უეცრათ გაჩნდენ მისი მხლებელნი,
 წამში შეკოქეს სატრფო მესალა,
 უიარალო იყვნენ ქართველნი,
 ძვირათ დაუჯდათ, ვინც დაეხალა!
 გაფრინდა შაქრო, ვით შავარდენი,
 მას ვერ გაასწრებს მტერისა ცხენი!
 მეხი დაეცა, ხედავს რა მოხდა...
 გაუსწორდა რა იმ ავაზაკსა,
 ხელი მოაელო ერთი უზანგსა
 და როგორც ვეფხვი უკან მოახტა!
 მძლავრი თითები კისერში სტაცა
 და მოუქირა ვით რკინის ბრჭყალი...
 ამ დროს ეტაკა უკან ვილაცა...
 და ფილტვებამდი ჩასცა ხანჯალი!
 შაქრო მოსცილდა, ვით მკედარი, ლეში,
 და პირ-ქვე მძიმეთ მიწას დაასკდა!
 არ ვის მოსწრია ჯერ სიცოცხლეში,
 რაც შავი ბედი დღეს აქ დააწყდა!
 დაფლეთილები და დაჩეჩილი,
 რამოდენიმე ეზოში ჰყრიან,
 ალიაქოთი, გაჩნდა ყივილი
 და დაბნეულნი კაცნი დარბიან.
 მოხუცსა ზურაბს რა დამართნია!
 არ იცის, რა ჰქნას, ან რა დაიწყოს!
 და საცოდავი დედი—გადიჯ
 თავშიდა იცემს და პირსა იხოკს,
 აგრე, ცხოვრება ხან რას გვარგუნებს,
 როგორ ტრიალებს ეგ არვინ იცის,
 რასთვის უმართლოთ ხან გვაფუფუნებს,
 ხან გვირისხლება, განგებამ უწყის,

უნდა გვახსოვდეს, წუთი-სოფელში,
რასაცა ვხედავთ, წარმავალია!
ვინც ფიქრობს, თავის ბედი აქვს ხელში,
ის უმეცარი და აბდალია!

XVIII

მესამე კვირა გავიდა, რაცა
ვაჩნაძის ოჯახს ზარი დაეცა;
მილაგ-მოლაგდა კმუნვა ვარამი,
დარდსა ხომ მოსდევს ნუგეშის ქამი!
ლაშქრობაზედა არის ბაასი,
ამბავსა სცნობენ, მხედართ ითვლიან,
მრავალ კუთხიდან მოდის ათასი
წერილები და ემზადებიან.

XIX

ქებულსა დათოს, კოპალაშვილსა,
ყველა პატივს სცემს, მას ვინ არ იცნობს,
დათოს, თითონაც ხუთჯერ დაკრილსა,
შვილის არ უკვირს და არცა ჭირვობს.
კვირასა, დილას, შემდეგ წირვისა,
ვაჩნაძესთანა შემოღის დათო,
„მსურველი ვიყავ შენის ნახვისა“,
ეტყვის ზურაბი, როგორა ხართო?
— „გუშინ ვერ მოველ სანახავათო,
როგორ გყავს შაქრო?“

— „წყალობით ღვთისა,
მგონი არ მოკვდეს... და თუ მოკვდება,
რა უყოთ, იქნეს სანაცვლოთ მისა!
ღარგი სახელი მაინცა ხვდება!“
— „ეჰ, ჩემო დათო, განსოვს, მე და შენ
რა ყმაწვილობა გამოგვივლია!
ერთად ვყოფილვართ ომშიცა მაშინ
და ცუდი ხმა ხომ არ დაგვიგდია!

მტერს ვეცემოდით ხრმლითა, ხიშტითა
მის ღონეზე ჩვენ არც გვიფიქრნია,
მაგრამ ხანჯალზე ცემა მუშტითა,
ეგ გიჟის მეტსა არ ვის უქნია“,
—„მაგას რად ბრძანებ! ვაშა იმ გიჟსა,
ვინც სიკვდილითა სირცხვილს იშორებს!“
—„კარგი, თუ ძმა ხარ! იცი, იმ ბიჭსა
შენი სიტყვები ხომ მთლათ გადარევის!
ამას სჯობია ჭკუა ასწავლო“,
—„იცი, ბატონო, რა დამაბარა?
„ბატონთან მაქვსო ეს სავალალო:
„ნუ ინებებსო ლაშქრობას. ჩქარა!
დამაცადოსო, წამოვდგე ზეზე!“
„ერთი უყურეთ იმ ლაწირაკსა,
„რომ ვერ ჩერდება თავის ალაგსა!“
იციინის დათო, მაგრამ წამწმებზე,
სიყვარულისა ცრემლები უკრთის!
ზურაბსაც ღელვის დამალვა უჭირს!
და ორნი კაცი მოხუცებულნი,
ჭირში და ლხინში დამოყვრებულნი,
ორნივე სტირიან,—არც ერთს არ უქვირს!

(მეორე ნაწილი იქნება).

დრამატული მსჯელობა

გიორგი მესამე

დრამატული ეტიუდი 4 მოქმედებად.

მოქმედი პირნი:

გიორგი მესამე, ივერიის მეფე,
თამარი, მისი ასულ, 17 წლის,
რუსუდანი, მეფის ქდა.
დავით სოსლანი, ოსთა მთავრის ძე,
დიმიტრი (დემნა), მეფე, დავით მე-4 ძე.
გაბრიელ-ბერი, ოსტატი დემნასი,
იოანე ორბელიანი, დემნას გამზრდელი, ამირ-სპასალარი
ლიპარიტი, იოანეს ძმა,
ჯაყელი, გადაყენებული მთავარი სამცხისა (60 წ.).
შალვა, მისი შვილი,
ყუბარსან ჯავახიანი, მანდატურთუხუცესი.
მიაგული, ჯავახიანის და, ქვრივი (28 წ.).
თადეოს გამრეკელი, მსახურთუხუცესი.
სარგის მხარგრძელი, ტაშირის ერისთავი.
ზაქარია, ამის შვილი, ახალგაზრდა ჯარის ყმა.
შოთა მესხი, ახალგაზრდა ჯარის ყმა,
წავქისელი, ოფიკალი როქისსპისა,
ყაითაძე, მხედარი.

ერისთავნი, ამირ-სპასალარი, ჯარის ყმანი, ბანოვანნი, მანდა-
ტურნი, გუშავნი, შიკრიკნი, ოფიკალნი, მხედარნი, სარანგნი (sic!),
ბაზიერნი, ქონდაგარნი და ზანგნი მებჭენი.

სენა წარმოადგენს პალატს შეფის სრაში, ისანს. სხედან ერისთავნი. დგანან ხელსუფალნი და შიკრიკნი. შემოდის პირველ — მანდატურთუხუცესი ჭავახიანი, მას მოყვება შორიახლო მეფე და მოჰყავს თამარი, ამათ მოჰყვებიან რუსუდან და სოსლანი, ბოლოს ჯარბაისელნი ქალნი და ვაენი. სულ ბოლოს — მსახურთუხუცესი.

ჭ ა ვ ა ხ ი ა ნ ი (ქარებში). მეფე მობრძანდება. (ყველა ადგება და მდაბლად თავს დაუქრავენ, მეფე და დედოფალი უპასუხებენ. სხდე- ბიძნ მომალლო ტახტზე დადგმულ საგარძლებში. მეფე და რუსუდანი თამარს შუა სკამს დაუთმობენ. დედოფლის უკან დადგებიან მიაგუ- ლი და სხვა ბანოვანნი; მეფის უკან — სოსლანი, შალვა ჭაყელი, შოთა მესხი და ზაქარია მხარგრძელი; ჭავახიანი და გამრეკელი დასდგებიან ერთად ხელისუფლის წინ, მარჯვნივ, სცენის სიღრმეში).

მ ე ფ ე (ჭავახიანს). დედოფალსა, ასულსა ჩემსა გააცან ერისთავნი. (ერისთავნი წამოვლენ პწკარად, ჭავახიანი ამბობს მათ სახელებს. ისინი ხელზე ეამბორებიან და უკუდგებიან).

ჭ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. კახთ ერისთავი — ამირან ჩოლოყაშვილი.

იმერთ ერისთავი — სოლომონ კახაბერიძე.

ოდიშის ერისთავი — ელიზბარიან (!) ბედიანი.

აფხაზეთის ერისთავი — თათეოზ შარვაშიძე.

სვანთ ერისთავი — ბარამ ვარდანიძე.

მ ე ფ ე. სად არიან: სამშვილდის ერისთავი — ორბელიანი, ტაში- რის ერისთავი — მხარგრძელი, კუხეთისა და ერეთის ერისთავნი, კლარჯეთისა ერისთავნი?

ჭ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. მხარგრძელი სპათა აღლუმსა განაგებს. ხოლო სხვანი არ გხლებიან, ხელმწიფეო.

მ ე ფ ე. მიზეზი რამ ხომ არ შემოუთვლიათ?

ჭ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. არავითარი, ხელმწიფეო. (სიჩუმე).

მ ე ფ ე (პაუზის შემდეგ). პატივცემულნო, თქვენ, ერთგულნო, სამშობლოსა ჩვენისა, ერისთავნო! დასხედით და ყური დაუგდეთ ჩემს საუბარსა. (ერისთავნი სხდებიან).

ვინაიდან ვგრძნობ კრძალვასა მით, რომ არა ვავენო რა,

საკუთრისა გულისა ხმობით ჩვენსა იჭერსა,

თქვენ მოგიწოდებთ და გამცნობთ აწ ჩემსა თათბირსა:

მეთხუთმეტე წელი გადის მას აქეთ, რაცა

ვეკუთხეთ ჩვენ ტახტსა ზედა ივერიისა.

მე ცოდვილი და ხორციელი ვიქმოდი რასა:..
 უღირსის პირით ვწირავ მადლსა ძალას უფლისას,
 რომელმაც მომცა ძლევა ნოვლად ერისა ჩვენის
 ესე: ვითარცა სახელმწიფოს შექვერს-შეშვენის...
 და საქართველოს არ ჰქონია, სულ, ჩვენსა დროსა,
 შიში მტერისა: მან სახილოვნად ვაშალა დროშა,
 მტერთა ურდოთა დასცა ზარი, — განსდევნა სრულად!..
 დავშითთ რა ღვთისა მადიდებლად და მოხარულად,
 ერი მწყალობდა და მპოვებდა ღირსად ქებისა,
 ხოლო ჩემ გულში დარჩა ზრუნვა ნაცვლად შვებისა...
 ძარე, აქამდინ მოვალწიე, დღემღი სიბერის;
 დღეს კი, დრო არის მე უკუ ედგე ჩვენის ივერის
 მართველობასა, და ვატარო აწ დარჩენილნი
 დღენიცა ჩემნი ლოცვა-მარხვითა; დეე ცოდვანი
 შევინანიო, ფიქრნი ანუ მოქმედებანი...
 ამისთვის, დღეს სცანთ რა, თავადნო. ჩვენი ნებანი,
 ხამს აღვირჩიოთ ჩვენ მემკვიდრედ ღირსი და ბრძენი!
 ვინიდან ჩვენ არ გვაღირსა უფალმან ძენი
 და მოგვცა მხოლოდ საყვარელი ესე ასული,
 და იტყვიან, რომ თამარ არის მცნებითა სრული,
 დღესვე ვისურვეთ აღვიაროთ მემკვიდრედ ისა
 ტახტისა ჩვენის სამეფოსი ივერიისა! (მცირე პაუზა)
 აწ წარმოთქვით თქვენ თქვენი აზრი დაუფარავად,
 როგორა ჰპოვებთ ჩვენსა რჩევას, კარგად თუ ავად?!

კ ა ხ თ ე რ ი ს თ ა ვ ი (ადგება).

ჰე, ხელმწიფეო! რად გვიბრძანეთ თქვენ მოხუცება?
 დასაბამიდან მზე ანათებს... თვით არ იწვება;
 მაგრამ გაათბობს რა საკმაოდ ის სამყაროსა,
 სჯის უმჯობესად, და გვიგზავნის მაშინ სხვა დროსა,
 როცა მზისა წილ განათლების საუცხო მთვარე
 და ბედნიერად დამშვიდების ყოველი მზარე!
 ეგრეცა, მეფეე, დღეს ინებეთ თქვენ დასვენება,
 ასული თქვენი, მნათი თამარ, მთვარედ დარჩება.

(თავს დაუტრავს მდაბლად და დაჯდება)

ი მ ე რ თ ე რ ი ს თ ა ვ ი .

ვხლი თავსა ჩემსა, ხელმწიფეო, მე კადნიერად,
გავიბედლო და მოგახსენო, რომ ბედნიერად
ცხოვრობდა მუდამ ერი თქვენი თქვენს მეფობასა
და გიქებდიან უცხოელნიც მორკმულობასა,
გამგეობასა, მეომრობას მარად უღლელსა!..
აწ თქვენი ქალი, ცისა შვილი, თქვენსა სახელსა
კვალად განაგრძობს, ვით ყოფილა წინათ ქებული,
რამეთუ თქვენის სისხლის არის თქვენი ასული.
(ჯღება).

ო დ ი შ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი .

მეფეთ მეფეო, დიდებულო! ჩვენ გავიგონეთ
ნებაი თქვენი საგულისხმო და დავემონეთ;
ასულსა თქვენსა, ლაღს, სვიანსა, ვით თვისი მამა,
ზეთელი ოდიში ემონების ვით ერთგული ყმა!
(ჯღება).

ა ფ ხ ა ზ თ ე რ ი ს თ ა ვ ი .

ხელმწიფეო, დიდო ბატონო! შენ იცი კარგად,
მშვილდ-ისარითა მომართულით ჩვენი ქვეყანა
ჰგმირავს შენს მტერსა; მამაცურად შეაკვდებიან,
ხოლო რაი სჯობს სამეფოსთვის, რას მიხვდებიან!
ოლონდ ნებასა, სიტყვას შენსა ემონებან!
(ჯღება).

ს ვ ა ნ თ ე რ ი ს თ ა ვ ი .

ბატონო ჩვენო, დიდებულო მეფეთა მეფევ!
შემინდევ მთიულს, სიტყვა უცხო თუ ვერ მოვკრიბე!
მაგრამ რად გინდა შენ მონისა რამ საუბარი,
შენ გინდა მისი წრფელი გული, მკლავი მაგარი,
გემსახურებით ამ ორითა, თუ არ ვართ მკედარნი!..
(ჯღება).

მ ე ფ ე (თამარს).

ისმინე, შვილო, რა ყოველი აქა თხრობილი,
აწ შენა გმართებს საქმე დიდი, მცნებით მკობილი!
იმედით ღვთისა, მრწამს, განაგებ კარგად ყოველსა;
მხოლოდ და ერთსა მოგითხრობ მე შენ საცნობელსა;

არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია,
არა სხეულის, — სულის სიღბო უარესია!
ქვეყნის პატრონსა არ სჭირია ხმალი და ფარი,
მხოლოდ მას უნდა არ ნორჩილი — ზული მედგარი;
ამის მიზეზით იშვიათობს ქალი სვიანი
და თუ გამოჩნდა — ვარსკვლავია უღუმბიანი,
იფიქრე. შვილო, აწ სვე შენი და მომავალი.

(ყველა დაბალ სალამს აძლევს თამარს).

გამრეკელო! მოსულ არიან დღეს მოწვეულნი ნადიმობასა?

გამრეკელი. დიახ, მეფეო!

მეფე. მაშ, წავიდეთ: აღლუმსა თვალი გადავავლოთ

თუ რომ გვაკლია რამ საუბარი, პურობაზედა

ვიტყვიო ყველასა. (გამრეკელს) უთხარი, მხედარ-ტიპნი?

გამრეკელი. მზად განლავეთ, ხელმწიფეო!

მეფე. აბა, წავიდეთ. (დგება. ყველანი ადგებიან).

ჯავახიანი (ახლო ნეფესთან, რომ სხვებმა ვერ გაიგონონ).
ხელმწიფეო! ერთი მოსული ვინმე მხედარია, ჩაბალახ მობურვილი,
სახესა თვისსა და სახელსა ფარავს, ამბობს კი ორბელთა დარბაზი-
დან მოვდივარო და კანდიერობს პირისპირ მეფის ნახვას, გამოსა-
ცხადებლად მძიმეთა რამ საიდუმლო ამბავთა...

მეფე. დაე მოვიდეს! (ჯავახიანი გადის. გამრეკელს) გაუძეხ
სტუმრებს. (გამრეკელი წინ გაივლის, იმას მიყვებიან დედოფალ-
ნი და ბანოვანნი, მერე ერისთავნი, ჯარისკაცნი და სხვ. გადიან.
ჯავახიანს შემოყავს უცნობი). აბა, რას გვეტყვი, ყმაწვილო?

მხედარი. დიდებულო მეფეო! ვინიშვი მე თქვენთან პირადათ
მოსხენებას, მაგრამ უმთავრესმა რამ საჭიროებამ გამაბედვინა ხლება.

მეფე. რა ამბავია?

მხედარი. ხელმწიფეო! დარბაზში მოხდა წუხელის შეთქმუ-
ლობა წინააღმდეგ თქვენის დიდებულებისა,

მეფე. რასა ბოდავ, ყმაწვილო? შეთქმულობა ჩემზედა?

მხედარი. დიახ, მეფეო! ეგრე დაუშონებია მაცდურსა მათი
გონება.

მეფე. ვინ ბედავს მაგას?.. ვის მოსძულებია თავი?

მხედარი. ამირ-სპასალარი, ბატონი ორბელიანი, თვადი ჯაყე-
ლი, უფლისწული დემნა და სხვანი კერძონი მათნი და აზნაურნი.

მეფე. რაო? რას იტყოდენ?

მხედარი. მოგახსენებდენ, რომ ტახტი სახელმწიფოსი ეკუთვნის უფლისწულს დიმიტრის და ძალადობამ თქვენმან მისტაცა მას იგი; ბევრის სჯისა შემდეგ. შესთქმეს ფიცით ჯვარზედა, რომ აღადგინონ უფლება აწ სრულწლოვან უფლისწულის დიმიტრის, უნდა მოასხან თორელნი, ჯარს მოელიან კუხეთიდან და უნდა ააჯანყონ ჩვენი საერისთავო.

მეფე (ცოტა გაჯავრებით). თქვენი საერისთავო? და შენ ვინა ხარ? როგორ ბედავ შენ აქ ლაპარაკს სახე დაფარულად? ახადეთ ჩაბალახი (მივარდება ჯავახიანი).

ჯავახიანი (ჩუმად მხედარს). ნუ რარაის გეშინიან, მე აქა ვარ (ჩაბალახს ახდის).

მეფე (ჯავახიანს). ვერ იცნობ, ვინ არის?

ჯავახიანი. ვერა, ხელმწიფეო. (მხედარს ხმამაღლა.) არ გესმის, ყმაწვილო! ხელმწიფე ვიბრძანებს; მოახსენე ვინცა ხარ, რისა გეშინიან? ერთგულებას ამტკიცებ, ორგული ხომ არა ხარ?

მხედარი. მე გახლავართ, ხელმწიფეო, აზნაური ბატონის, ორბელიანისა, გვარად ყაითაძე.

მეფე. მერე რამ გაიძულა, რომ უღალატე შენსა ბატონსა?

მხედარი. იმან, ხელმწიფეო, რომ ჩემი ბატონი აპირებს უღალატოს ქვეყნის ბატონსა!

ჯავახიანი (თავისთვის). ვაშა! არა ხუმრობს!

მეფე (აღლევებული გაივლ-გამოივლის, ჯავახიანს). სარგის მზარგრძელი და მსახურთუხუცესი დაიბარე (ჯავახიანი გადის). უსაფუძვლო რამ სიანჩხლე არ მომივიდეს. ვინ იცის, ეგ ყმაწვილე მართალს ამბობს, თუ არა...

ჯავახიანი (შემობრუნდება). გავგზავნე ოფიკალი, ეხლავ გაახლებათ, ხელმწიფეო. ძნელი მოსახსენებელია ისეთი კაცის დალატი, როგელსაც თქვენი წყალობა უხვად ავიღდოვებდა. მაგრამ ხმა გახლავთ ეგრეთი სამწუხარო, ვითომც ორგულობასა თქვენსა ჩადიოდენ! ერეთისა და კლარჯეთის ერისთავნი, რომელნიც დღეს აქ არ გახლდენ, ისინიც დარბაზში ყოფილან მოწვეულნი და სხვებიც კიდევ! ამის მოხსენება აღრეც მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან ბეჭითი არა ვიცოდე რა!

მეფე (მხედარს). მართალია, ყმაწვილო, რომ ერეთისა და კლარჯეთის ერისთავნიც იქ ყოფილან?

მხედარი. იქ გახლდენ, მეუფეო!

მეფე. აჰა, გაცემა, ორგულობა, ეგ სენნი ძველნი,
ეს შინაურნი გველ-მატლები, ქართველთ მჟამელნი!..
ვით ვერა გრანობენ სულელ-შმაგნი, ბოროტი სულნი,
რათ დაივიწყეს აგრე მალე დრონი წასულნი,
რომ ჩვენს სამეფოს, შემოვა რა განთეთილება,
მას დაიმონებს და შემეტსრავს სხვისი კირთება!
რომ სამშობლოს მუდამ იყვნენ დამამხობელი
დას-დასობითა ბატონები, როგორც ორბელი!
ვფიქრობდი, კაცსა მოიშხრობდა მეფის წყალობა
და მივეც ჩემის ლაშქრის ამირ-სპასალარობა:
ამით მივენდე, ჩემი გული აღარა წუხდა
და მისაში კი თურმე შავი ღალატი დუღდა!..
(მცირე ფიქრის შემდეგ გაბრაზებული),
დემნა!.. ჰჰ! რას გავს ის საწყალი, სულტი, სნეული,
სალოსი მეფედ სად ნახულა ამალღებული?

(შემოღიან მხარგრძელი და გამრეკელი. მეფე მხარგრძელს) უფლებითა ჩვენითა, თქვენ ერთგულსა ჩვენსა, ტაშირის და სომხითორისთავსა, თ-დ სარგის მხარგრძელს! ა გნიშნავთ დღეს ამირ-სპასალარად მთელთა ჩვენთა ივერთა სპათასა! (ჯავახიანს) სიგელი დააწერიან და ჩააბარეთ. (მხარგრძელი ჩეფეს მკლავზე კოცნის) ვინიდან ამირ-სპასალარმან ჩვენმა შეთქმულობა განიზარახა და ორგულობს სამშობლო ქვეყანას, აწ თქვენ გიბოძეთ ეს თანამდებობა და ვიკ მედობ, მხარგრძელო, ისე მოიხმარ, როგორც ეკადრება პატიოსნებას და ქვეყნის ერთგულსა!

სარგის. ხელმწიფეო! სიტყვანი ქრებიან, ხოლო საქმენი შთებიან. მომავალი დაამტკიცებს ერთგულებასა ჩემსა. თავს უკრავს.)

მეფე. ეგრეცა მაქვს შენი იმედი!.. კარგი, დრო მიდის და ნუ ეავგიანებთ! მოახდინე დაუყოვნებლივ შემდეგი განკარგულება: გაგზავნე ჯარი და გაამაგრე ვაშლოვანი, აგარანი და შულავერი; დააყენე დარაჯნი მტკვრის ფონზე. იაღლუჯის პირდაპირ, რომ ვერავინ გავიდეს ერეთისა და კუხეთისაკენ. კლდეკარს, მოიდანახეს და ძუზის ციხეს გაგზავნე ძლიერი როქის-სპანი, თორელნი და თმოგველნი, ვერ შემოიქრან სამშვილდის საერისთაოს. როქის-სპის ნაწილმა დაიცვას გზები ირგვლივ ორბელიანთ დარბაზისა და შეჰკრან ყოველი მიმოსვლა: ვინც კი ჩაუფარდებათ ხელში, უკეთუ არ ექნეს მას ჩვენი ბეჭედ-დასმული წერილი, დაჭერილი გამოგზავნონ აქ, სასახლეს. ხომ გაიგონე ყოველივე?

სარგის. მესმის, ხელმწიფეო! ყოველივე ოქვენი ბრძანები-
სამებრ იქნება ასრულებული,

მეფე (გამრეკელს). გაჰყევი და რაც საქიროა ლაშქრისათვის,
მოამზადეთ. იღუმალ იმოქმედეთ, ხმაურობა ნუ იქნება და სწრაფად.
(თავს უკრავენ და გადიან. შემდეგ მხედარს). ყმაწვილო! შენ ჩემი
ერთგულებისაოვის წყალობა გებოძება; მაგრამ შენი უმახლობელესი
ბატონის გაცემის მიზეზით, დიდათ ვერ გენდობი, და აქ დარჩი სა-
სახლეში. (ჯავახიანს) შინაურებს ჩააბარე, არსად წავიდეს. (მეფე
გადის. ჯავახიანი გააცილებს და ისევ შემობრუნდება.)

ჯავახიანი (მხედარს). აბა ყმაწვილო, სხვა კიდევ რა სთქვეს
დარბაზში?

მხედარი. სთქვეს რომ ზეგისათვის დაბარებული ვართ სრასა
და უნდა წავიდეთო! მე კი დღეს დილითვე გამოვეშურე, როგორც
თქვენი ბრძანება მქონდა,

ჯავახიანი (თავისთვის). ჯერ კარგად არის საქმე, (მხედარს)
ძალიან კარგი... წადი შენ ახლა, მოისვენე. არ დავივიწყებ შენს
სამსახურს.

მხედარი. წყალობა თქვენი ნუ მომაკლოს ღმერთმა (გადის).

ჯავახიანი (მარტო). აბა, ახლა ჩვენ საქმე ჩვენი ვამოვიკ-
ვლით.

დაუხედავად თავზე ჭირი არ დავიხვიოთ! (დაფიქრდება) ო
პიოველ საშიში იყო დემნა, მაგრამ ბედკრულსა
აქ მოიყვანენ ხვალვე ხომ მას, ხელფეხშეკრულსა!
დამრჩა სოსლანი... მაგრამ ისიც ვერ გაიხარებს,
მე კი შესმენით ექვს ჩაუუგდებ თამარზე გულში,
რომ დედაკაცის ასაკია მეფის ასულში,
რომ მთავრის ძესა, ყმაწვილს შალვას თამარი სწყალობს
და ისიც მაზედ, ვით ბულბული ვარდზედა გაღ...ბს;
და ესრე მზესა მცირე ნისლი ზედ დავაყარო,
ამითაც კიდევ ერთი ღონე მე მოვიგვარო! (ფიქრობს)
სჯობს რომ შალვასაც გადავკიდო რამ ფათერაკი,
თორემ, ვინ იცის, მომავალში რას იქმს ეშმაკი!

(ფიქრის შემდეგ)

განა არ იყო ბაგრატი დიდი მეფე სვიანი!
და მის ძმისწულსა ჰყვა მეუღლედ ჯავახიანი!

ქვეშევრდომთაგანს, სხვა გვარს ჯერ ეგ არ ღირსებია
შეუღღგეთ მაშა, და გავლობოთ სხვა რაც გზებია,
და ბოლოს, ოდეს ერთი და გზა მხოლოდ დარჩება,
უნებლიეთად ყველა იმა გზას დაადგება,
(შემოდინან რუსუდანი და თამარი. ჯავახიანი თავს უკრავს).

რუსუდანი. რა ამბავია, ყუბარსან, რა მოხდა?

ჯავახიანი. არაფერი, დედოფალო, თქვენი საყურადღებო.

რუსუდანი. მაშ, მეფე რაზე გარისხდა ისე, რომ მისი ხმა მოის-
მოილა?

ჯავახიანი. არ ვიცი... რა მოგახსენოთ?

რუსუდანი. როგორ თუ არ იცი, ხომ სულ მეფეს ახლდი?

ქეშიკი (შემოდის და რუსუდანს). დედოფალო, ბანოვანნი
უცდიან ბრძანებას!

რუსუდანი (წაიწევა გასასვლელად).

მაშ, არ იტყვი ყუბარსან, მე მიმალავ?

ჯავახიანი. დედოფალო! მე როგორ...

რუსუდანი (არ აცლის). კარგი ნუ სწუხდები... შენ როგორ-
ღაც ერთგულებაშიაც გებნევა კვალი. (გადის).

(თამარს, რომელიც ცოტა უკან რჩება, ჯავახიანი ანიშნებს
მოითმინოს).

ჯავახიანი (თამარს). დედოფალი განმირისხდა, მაგრამ ვით
გავბედო ისეთი ამბის მოხსენება. რომელზედაც ხელმწიფემ ბრძანა
დღემილი?

თამარი (დაფრქვებულია). ჰოო! თუ ესრეთი არს მეფის ბრძა-
ნება (წასვლას აპირებს).

ჯავახიანი (ვითომ თავისთვის). ღმერთო, რა საცოდაობა
მოხდება!..

თამარი (შეჩურდება გაოცებული). რაო, რა სიჭკვი? საცოდა-
ობა?

ჯავახიანი. თქვენ ბრძანდებით მემკვიდრე სამეფოისა და
ზეციით მოგნიჭებით მცნება და გონიერება; ამისთვის თქვენ მოგახ-
სენებთ რაც ამბავია, მაგრამ თუ კი ვინმემ გაიგო, რომ მე გამომხე-
ლია, დავიღუპები!..

თამარი. ენდევ ჩემს ქალობას, რომ ჩვენ ორთა შუა დარჩება.

ჯავახიანი. ხელმწიფეს მოუვიდა ამბავი, რომ იოანე ორბე-
ლიანი აჯანყებას აპირებს, რათა თავისი გაზრდილი, უფლისწული

დენა, დასვას ტახტზე. ამისთვის შეფემ ლაშქარი გაგზავნა დასა-
ქერად ორგულთა და დაიჭერენ რა, თავები უნდა დაჰკვეთონ.

თამარი. ჩემს ბიძაშვილს?

ჯავახიანი. სუყველას, ვინც მოთავენი არიან: უფლისწულსა,
ორბელიანსა და ათაბაგსა ჯაყელსაც!...

თამარი. კაცთმოყვარეო, მეუფეო, რა მესმის ესა!

გაოცებთა და შიშითა ვერ ვიღებ სულსა...

მეთისა ზრუნვა ვით დაბადებს ისეთს მიზეზსა,

რომ მან სიკვდილი მიუსაჯოს თავის ძმისწულსა!

ჯავახიანი. რომ იცოდენ ახლა საცოდავებმა, ცოტა ხანს სად-
მე თავს შეაფარებდნენ და შემდეგ ბატონსაც გული მოუღებოდა!
ლალატიო, მოახსენეს, მაგრამ ვინ ნახა ეგ ლალატი? ეგებ მტრობით
იყოს მოგონილი?!

თამარი. მართლა, განა არ გამოჩნდება ისეთი ვინმე, რომ აცნო-
ბოს მათ და თავს უშველონ ბედკრულებმა?

ჯავახიანი. ბატონო ჩემო!..

თამარი. მამასა ჩემსა სურს, რომ ტახტი მე დამიმკვიდროს.
მაგრამ სჯობია ზეზეულად მან დამიტიროს,

ჯავახიანი. მწყალობებლო ჩემო, ნუ იქნებით ეგრე შეწუხე-
ბული; თქვენს დიდებულს წმინდა შუბლს ნუ დაჩრდილავთ ჯერ
ზრუნვითა; მიბრძანეთ, რაც გნებავთ... მიბრძანეთ შეუძლებელი...
აღვასრულებ და მათ დაეიშტიციებთ, რომ ყუბარსან ჯავახიანისთანა
ერთგული თქვენ არავინ განლავთ...

თამარი. მართლა, ყუბარსან?

ჯავახიანი (მძიმედ თავს დაუკრავს). მიბრძანეთ!

თამარი. მაშ გაგზავნე კაცი, სანამ დრო არის.

ჯავახიანი. არა, ჩემო ხელმწიფეო! ეგ არ ივარგებს: რადგან
ენდევით ჯავახსა, მას მართებს ერთგულად გემსახუროსთ; უნდა
გავგზავნოთ ვინმე თქვენის ბრძანებით, თორემ მაგვარს საქმეს მე
არავინ გამოიგონებს.

თამარი. მე მზადა ვარ, მაგრამ მითხარი, ვინ გავგზავნოთ, ვის
ვენლოთ?

ჯავახიანი. მე მგონია სასახლის ყმაწვილებს ყველას სჯობია
თქვენის ერთგულებითა და სიმარჯვით შალვა ჯაყელი! მხოლოდ
საქ-როა თქვენგან რამ ნიშანი ვაჩვენო, რომ დამერწმუნოს ესეთს
მძიმე მინდობილებაზე.

თ ა მ ა რ ი. ნიშანი... აბა რა ნიშანი? ბეჭედი... რიდე... სამხრე?
ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. სამხრე მიბოძეთ: რიდე უფრო ძნელი დასამალა-
ვია.

თ ა მ ა რ ი (აძლევეს სამხრეს). მაშ, ყუბარსან, შექნება შენი
იმედი.

ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. სრული დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დედო-
ფალო. (თამარი თავს უკრავს და გადის. ჯავახიანი მარტო, ეშმაკ-
კურად ჩაიცინებს) კარგადა მაქვს საქმე ჭერჭერობით დაწყობილი.
(დახედავს სამხრეს) გავგზავნოთ ჯაყელი, თუ არა! რომ მართლაც
როგორმე გაძვრეს და ისინი გააქციოს? მაგრამ ვერა, გზები შეკრუ-
ლია. ვერ მიაღწევს.

(შემოდინან სოსლანი, შოთა მესხი და ზაქარია მხარგრძელი.
მესხი ათავეებს ადრე დაწყებულ ლექსს.).

მ ე ს ხ ი. „მიკვირს კაცი რად იფერებს

საყვარლისა სიყვარულსა!

ვინცა უყვარს, რად აყივნებს

მისთვის მკვდარსა, მისთვის წყლულსა.

თუ არ უყვარს, რათ არა სძულს,

რად აყივნებს რაცა სძულსა?

ავსა კაცსა ავი სიტყვა

ურჩევნია სულსა, გულსა“.

ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ი (სოსლანს). ბატონიშვილს სალამი! (სამხრეს
მალავს) შოთა კიდევ ლექსს ამბობს? დიდი საქმეა, სწორედ მოგახ-
სენებთ, ამდენი შაირების წერა!..

მ ე ს ხ ი. სახელმწიფო საქმეებს ჩვენ არ განვაგებთ და მხოლოდ
ლექსებსა ვწერთ.

ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. რა უშავს: ერთი მეორის ოდენი საზრუნავია.

ს ო ს ლ ა ნ. ეხ, ყმაწვილებო! ღლეს ყუბარსან კბენის გუნებაზეა,
თავი დავანებოთ!...

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. არ მიკბინოს, თორემ კბილებს ჩაიმტვრევს
(სიცილი).

ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ი (წყენით). ეგ რა ოხუნჯობაა, ყმაწვილებო?

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. ოხუნჯობა კი არა და — მართალია. ღლეს მივ-
დივარ ლაშქრად და ჯავშანი მაცვია, თუ მიკბენთ, კბილები გეტ-
კინებათ (სიცილი).

მ ე ს ხ ი. ჯავშანი საკბენად გემრიელი არ უნდა იყოს.

ს ო ს ლ ა ნ ი (ჯავახიანს). ყუბარსან, რას მალავ ზურგს უკან?

ჯავახიანი. არაფერს, უბრალო რამეა,

მესხი. ხაჭაპური თუა, ან ყანდი.

მხარგრძელი (ჩუმად მესხს.) ნუ ხუმრობ შენ! კიდეც შეჭვე-
რის, ჯერ ბავშვია!

ჯავახიანი (ყურს მოკრავს და წყენით). მართლაც ბავშვები
ხართ, რა გიპასუხოთ?!

ყმაწვილები (იციინან).

სოსლანი. არა, ყუბარსან, თუ ღმერთი გწამს, რა გაქვს ხელში.
გვაჩვენე. (მიდის ახლოს და მკლავზე ხელს ჰკიდებს).

ჯავახიანი. აკი მოგახსენეთ, არაფერია! (სოსლანი ძალას
ატანს) მოითმინეთ, ბატონიშვილო! ძალადობა როგორ გეკადრებათ?
მაშ კარგი, გიჩვენებთ მარტოკა თქვენ!

სოსლანი (ამხანაგებს). ყმაწვილებო, გაიწიეთ იქით (მიდგე-
ბიან გვერდზე).

ჯავახიანი. ერთის პირობით, არავისთან არ გაამუღავნოთ!

სოსლანი. დამერწმუნეთ.

ჯავახიანი სწორედ?

სოსლანი. ჩემმა მშემ! ჯვარის მადლმა!.. (ჯავახიანი აჩვენებს
სამხრეს, სოსლანი გაოცებული დგას) ეგ რა არის?

ჯავახიანი. ვერ იცანით?

სოსლანი. დედოფლისა? (ჯავახიანი თავს დახრის თანხმობის
ნიშნად) თამარისა?

ჯავახიანი. დიას!

სოსლანი. მერე შენთან რა უნდა?

ჯავახიანი. თვითონ მიბოძა. მაგრამ ისეთ მდგომარეობაში
ვარ, არ ვიცი რა წყალში ჩავეარდე!.. ბატონიშვილო!.. ერთი რამ
მიჩივთ, ვითარცა თქვენს ერთგულს: ეგ სამხრე მიბოძა და მიბრძა-
ნა საიღუმლოდ გადავცე შალვა ჭაყელს, და არ ვიცი, როგორ მო-
ვიქცე!.. უარი მეთქვა? აბა, როგორ გამებედნა! მეც როგორღაც
დავიბენი!

სოსლანი. რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს ასეთ ძღვენს თამა-
რისაგან ჭაყელისადმი?

ჯავახიანი. რა მოგახსენო: მაგაზე კი არა უბრძანებია რა!
მაგრამ...

სოსლანი (ამყად). მე მგონია, რადგანაც მიიღე ეგ მონღობი-
ლობა, კიდეც უნდა აღასრულო. ჩემზე კი იყავ დარწმუნებული,

არამც თუ ვისმეს ვუამბო, ვეცდები სრულიად დავივიწყო ეკ
შემთხვევა, მხოლოდ ეწუხეარ, რომ ლაღობით გააძულე ამის
გამელუნება. (თავს უკრავს გულგრილად. ამხანაგებს) აბა, წავიდეთ,
ყმაწვილებო... უნდა ერთი რამ გითხრაო.

ორივე. ბრძანე, ბრძანე!

სოსლანი. განგების ძალა რომ მქონდეს. მსაჭულად არ ავირ-
ჩევდი ბედსა! როგორ იტყვიო? (ნელ-ნელა მიდიან.)

მესხი. ბედია ეშმას თამაში, მისგან ნუ ითხოვთ ბრძნობასა,
საპყარსა ხშირად უღონოს სვე ჰკადრებს მორკმულობასა,
ბედი არ ბედობს, თუ ოდეს ის იწყებს სამართლობასა!

იგი ვამსგავსე დიაცის გულისა კამათლობასა!..

მხარგრძელი.

სოსლანი.

{ ეშა, ეშა, შოთა!

ხახა! (გადიან; ჯავახიანი დაციწვით თვალს გააყოლებს).

(ფარდა)

მოქმედება მე-2

(სცენა წარმოადგენს მხრორს. ხის ქვეშ წამოწოლიან: კოსტა წავქისელი,
ზაქარია მხარგრძელი და ორი კიდეე მხედარი. ცეცხლი ოღნავ ბუჟრავს მათ შუა).

მხარგრძელი. აგრე იყო ეს ამბავი... გეყოფათ ახლა,
ბევრი მალაქლაქეთ. (ამთქნარებს.) ძილის დროა (წაიხურავს ნა-
ბადს.) ცოტა მაინც დავისვენოთ.

წავქისელი. მხოლოდ ეს გვიამბე: მერმე რა მოხდა, აღმაშენ-
ებელი რომ ავიდა ტახტზე?

მხარგრძელი. ო-ო! დავით აღმაშენებელი იყო ისეთი მეფე,
რომლისთანაც მალე არ მოველინება საქართველოს. მან შეაერთა
ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ, ამათ მიაკრა ყველა ქართველი თემი
და ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი არსებობა მაშინ ერთობ გაზვიად-
ებულ თავადთა დაასუსტა და შექქმნა ამ საშუალებით ერთი სახელ-
მწიფო მთელი ივერიისა. სწორედ იმ დიდებულის კვალზე დგას
ახლა ჩვენი მეფეცა,

წავქისელი. მერე რა გამოვიდა იმისაგან, რომ სხვადასხვა
სამთავროსაგან ერთი სამეფო შექქმნა?

მხარგრძელი. რა გამოვიდა?! როგორ გიპასუხო ამაზე? კარგი წრთენილი ყმა ხარ და ეს უბრალო საგანი არ გესმის. (ამ-
თქნარებს) აბა ჯერ სთქვი: ვისიმე ცემა რომ გინდოდეს, რას შემოპ-
კრავდი? წკიპურტსა თუ მუშტს?

წავქისელი. ეს რა საკითხავია? ჩასაკვირველია, მუშტს შე-
მოვკრავ.

მხარგრძელი. რატომ?

წავქისელი. როგორ თუ რატომ?

მხარგრძელი. პო, რატომ? იმიტომ, რომ თითო თუ ჰყარი,
ვერას ავნებ, და როდესაც ხუთივე თითს მაგრად დასკენი, მაშინ
ამ მუშტით კი შეგიძლია წააქციო და ავნო მტერს; აგრეა ჩვენი ქვე-
ყანაც, როცა ყველანი ცალ-ცალკე ვიყავით, ღონე არ გვქონდა და
როდესაც ერთად ვართ, აბა მობრძანდეს მტერი.

წავქისელი. ო-ო, ეს დიდი აზრია, ამაზე კი არ მიფიქრია.

მხარგრძელი. მისე, ახლა კი მომასვენე.

წავქისელი. ერთი კიდეც უნდა გკითხო, შენი ჰირიმე! ახლა
მეფე ორბელიანს რაზე უწყობა? მართალია, რომ თურმე სამეფოს
ედავება თავის გაზრდილისათვის?

მხარგრძელი. მართალია, მაგრამ მაგას ხვალ გიამბობ...
სუ — ეს რა ამბავია? (მოისმის ხმაურობა სცენის უკან. აბჯარს დააე-
ლებენ ხელს და წამოჯდებიან.)

ხმა. რას მერჩით, ღმერთი არ იცით? რას მერჩით (დაჩაჯთ
შემოყავთ უბრალო კაცი, ქალამნითა და ძონძებში ჩაცმული).

მხარგრძელი. ვინ არის ეს კაცი?

პირველი დარაჯი. რა მოგახსენოთ: „ბრმა ვარ, მესტვი-
რეო“, მაგრამ რადგან ბრძანება გვქონდა არავეინ გაგვეშვა...

მხარგრძელი (მხედარს). ყმაწვილო. ცეცხლს შეუბერე.
(მესტვირეს) ბიჭო, ვინ ხარ შენ?

მესტვირე. გახლავარ თქვენი მლოცველი, საწყალი ვინმე
მესტვირე.

წავქისელი. ბიჭო, მაშ ღამით რაღას დაწანწალობ? დღით
იარო, არა სჯობია.

მესტვირე. შენი ჰირიმე! ჩემთვის უფალმა ცის სინათლე და-
აღამა. დღე და ღამე ჩემთვის ერთია.

პირველი დარაჯი. სიბრმავეს ჩემულობს, მაგრამ ერთობ
ცქვიტად მოდიოდა, როცა დავიპირეთ.

მხარგრძელი. ჯოხი ჰქონდა ხელში?
პირველი დარაჯი. ჯოხი კი ჰქონდა, ბატონო! აგერ მისი
სტვირიც.

მხარგრძელი. საწყალია ვილაც, თავი დაანებეთ — ცოდვაა!
მესტვირე. შენი ჭირიმე! დაგლოცოს ზეცამ:
მხარგრძელი. გაუშვით, მაგრამ წინ წყაროსკენ არ წავიდეს,
დააბრუნეთ უკანვე. (დარაჯნი ხელს გაუშვებენ.)
წავქისელი. მაგრამ აგრე უბრალოდ კი ნუ მიღიხარ: ჯერ
ერთი გვიძღერე. სტვირი მიე, ყმაწვილო! (აძლევენ) დაუქარი,
გაჩუქებთ.

მესტვირე (უკრავს და მღერის).
ღმერთმა გაცოცხლოს, ბატონო,
მოგანიჭოს ღლეგრძელობა.
მე — ბრმა ვინმე უპატრონო,
ქვეყნის არა გამეგება,
ვერა გხედავთ მადლიანო,
ვით გავბედო თქვენი ქება.

სახელი მიბრძანეთ, შენი ჭირიმე.
წავქისელი. კოსტა წავქისელი. როქის სპისა.
მესტვირე (მღერის).

აქ ბრძანდება წავქისელი,
კოსტა ჰქვია მას სახელი;
მან არ იცის შიში მტრისა,
ჩაუქია როქის სპისა;
მას ზენამან ნუ მოაკლოს
წყალობაი ხელმწიფისა.

მხარგრძელი. ჰაი ბიჭო!

მესტვირე (მღერის).

ეს ხმა კიდევ არის სხვისა,
ისიცაა მონა ღვთისა,

წავქისელი. ზაქარია-თქო მხარგრძელი.

მესტვირე (განაგრძობს სიმღერას).

ესეც არის რომ გვიბრძანეს,
თურმე ბრძანდება მხარგრძელი,
მაცხოვარმა ქმნას ღლეგრძელი,
გვაროვნობით კარგთა ტომი,

ფიცხლად იცის მტერთან ომი,
სასახელო მხედარია,
პირად მზე და ტანად ლომი.
ეს ორნივე უცხო გვარნი,
უცხო ენით საქებაინი,
მათ სწყალობდეს ღვთისმშობელი,
სულ მიეცეთ მთა და ბარი.
ღმერთო! აცოცხლე ყოველი
მათი გულით საყვარელი.
აუსრულე, დიდებულო,
გულის ყველა საწადელი.

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი (არ აცლის). გაგიმარჯოს, კარგი, გვეძინება.
აჰა ერთი დრაკანი (ფულს გადუგდებს. მესტვირე უცხად წაიწევა
ასაღებად, მაგრამ ისევ უცებ თავს შეიკავებს. პაუზა). ეჰე, ბიჭო!
ჰგავს, შენ მთლად ბრმა არ ყოფილხარ, თუ კი წინ წაიწიე ფულის
ასაღებად?

მ ე ს ტ ვ ი რ ე (ცოტა დაბნეულად). ჩვეულება გახლავს, შენი
ჭირიმე! ყური მაქვს ხმაზე დაჩვეული; ფული საცა დეარდება,
დაწკარუნდება და ამით მივაგნებ ხოლმე.

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. მაშ თუ კი მოაგნებ, კვლავ რაღაზე დაიხიე
უკან.

მ ე ს ტ ვ ი რ ე. რა ვქნა, მადლიანო, შიშისაგან აღარ ვიცი, რას
ვშვრები. არასოდეს აღამიანს ეჭვი არ აუღია ჩემს საცოდაობაზე.

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი (ამოიღებს სატევარს და წინ წაიშვერს).
მაშ ვნახოთ, თუ მართლა ბრმა ხარ შენ! გამოიარე აბა პირდაპირ,
სადაც ჩემი ხმა გესმის. წამო ჩქარა, ნუ გეშინია, სწორი ალაგია.

მ ე ს ტ ვ ი რ ე (წავა პირდაპირ და სატევარს წააწყდება). ვაიმე,
ქრისტიანი მომკლეს! მიშველეთ მე საწყალს, რას მერჩიან. აღამი-
ანებო, მიშველეთ, შემიცოდეთ (ყველა მიეშველება).

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. წყალი ჩქარა. (ერთი დარაჯი გარბის.)

მ ე ს ტ ვ ი რ ე. ვაიმე, დედაე, ვაიმე!

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. არა უშავს რა, სულ ცოტათ არის დაჭრილი.
მკლაფზე.

წ ა ვ ქ ი ს ე ლ ი. რას ერჩოდი საცოდავს?

მ ე ს ტ ვ ი რ ე. ვაიმე, რას მერჩოდნენ ბატონო, რასა. (კულისებ-

ში ამ დროს ისმის აბჯრის ჩხარუნნი, დიდი ხმაურობა და გუშაგათა ყივილი.)

წავქისილი. ჩუ! რა ამბავია? (ყურს უგდებენ.)

მხარგრძელი. ეეპ! დაგვესხენ თავზე. წავიდეთ ჩქარა. (იარაღს დაავლებენ ხელს და გარბიან.)

მესტვირე (მარტო. წამოხტება ზეზე). ეს კიდევ რა უბედურებაა? ამ ქაჩებს როგორც იყო მოვალორებდი და ეს ახალი მეხვევა თავზე? გავიქცე. მაგრამ სად? წინ ჩსუბია და უკან დავბრუნდე. რა გავარგო? მოვიცადო აქ. (ხეს ამოეფარება) ო-ო! ძალიან ჩახაჩუხი და ძახილია (ხმაურობა თანდათან ახლოვდება). ეხ, ღმერთო! ზაქარიას კი არა გაუჭირდეს რა! (შემოვარდება მძიმედ დაჭრილი მხედარი და დაეცემა კვნეაით მიწაზე. ამას მოსდევენ იოანე ორბელიანი, დემნა, ლიპარიტ. გაბრიელი, ჭაყელი და მათნი მსულველნი. ყველანი ხმალ-ამოლებულნი, გარდა დემნასი.)

ჭაყელი. ჰა, თქვე ქაჩებო, თქვენა! როდის იყო ორბელიანსა და ათაბაგს გზაზე არ უშვებდენ?

სესტვირე. მამაჩემი, თუ მნახა და მიცნო, ხომ აღარ გამიშვებს?!

იოანე. ვიცოდეთ მაინც, რა კაცებია, რომ გვეჩხუბებინ?

ჭაყელი. უეჭველად მეკობრეებია,

ლიპარიტ. მეკობრეებს არ უგავთ სიალფე და აბჯრის ხმარება. აკერ გდია ერთი მკვდარი, ვნახოთ! მგონია, სპისა უნდა იყოს.

იოანე. სპისაო? (ყველანი მივლენ ახლოს) დიახ! სწორედ საკვირველია, როქის სპისა ყოფილა ეს კაცი. (ამ ლაპარაკის დროს ბევრი მივა იმ ღესთან. საღაც მესტვირე ჩამკვდარია. მესტვირე კალთაზე ხელს უაავლებს ბერს.)

მესტვირე. გაბრიელ, მე ვარ შალვა ჭაყელი. — მოვდევარ თქვენთან, ვიმალები, მამაჩემმა არა მნახოს.

ჭაყელი (იოანეს). აბა, ახლა როგორ იტყვი, იოანე? კიდევ არ დაიჭერებ, რომ შენ სულგრძელობას ცუდი ბოლო ექნება? (იოანე დაფიქრდება.)

გაბრიელი (შალვას). რა ამბავია, რა მოხდა?

შალვა. მერე ვიამბობ. ახლა მომეხმარე. აქედან გამიყვანე ისე, რომ არ მიცნონ. წავიდეთ. (ადგება. გაბრიელს გაყვება.)

ჭაყელი. ვინ არის, გაბრიელ, ის კაცი?

ვაბრიელი. გლახაკია. ბატონო, ვილაც, აეშაგი ჰგონებრიათ და-
რაჯთ და დაუჭრიათ, მინდა ცოტა წყლული შევეუხვიო, ცოდვაა
(გაღიან).

ლიპარიტ (დემნას). უფლისწულო! რა წესითა ნებულობ,
რომ ჩვენ ომში ვართ და შენ კი, ჰაბუკი, ვაჟკაცი, ხმალიაგებულნი
სდგებარ?

დემნა. ეჰ! მამამძღვევ, მაგაზე ჩვენ ვერ შევთანხმდებით.

ომს მიჩვენია დავრჩე მარად გონების შევებით,
რადგან კაცია ცხოველთა შორის გონებიანი.

და თუ მახვილით აღჭურვილი ადამიანი,
ციდილობს, რომ მოსპოს სხვის სიცოცხლე, მისი მსგავსისა
და მოსტაცოს ეს უმჯობესი ნიჭი ზეცისა,
მკვლარია მასში კაცობრივი გონიერება

და შთება მხოლოდ სულდგმულისა მას მძვინვარება. (შე-
მოდის გაბრიელი.)

ვაბრიელი. ბატონებო, ერთი სამწუხარო ამბავი უნდა მო-
გახსენოთ.

იოანე. აბა?

ვაბრიელი. ეს როქის სპისა დარაჯნი, რომელთაც გზა ჰქო-
ნიათ შეკრული, გაზოგზავნილი ყოფილან მეფის ბრძანებით.

ჯაყელი. რა მიზეზია?

ვაბრიელი. მოგახსენებთ: მეფეს ამ დილას გადაუცია ამირსპა-
სალარობა სარგის მხარგრძელისათვის და სპა გამოუმგზავრებია,
რომ უფლისწული, ბატონი იოანე და თქვენ, სამნივე დაგატყვევონ
და კიდევ...

იოანე. და კიდევ რაო?

ვაბრიელი. თქვენს მტერს,

ჯაყელი. რაო? სთქვი ბერო, ნუ გეშინია, გული არ შეგვი-
წუხდება.

ვაბრიელი. თქვენს მტერს: თავები უნდა დაგკვეთონო.

იოანე: თავები დაგკვეთონო? ჯერ, რომ აგრე აღვილად
თავმოსაკვეთნი არა ვართ და მერე... როგორღაც ზღაპარსა ჰგავს
ეს ამბავი, შენ საიდან შეიტყვევ, ვაბრიელ?

ვაბრიელი. აჰ მობრძანდით, ბატონო! (გაიხმობს განზე) აჰ
რომ ერთ კაცს ველაპარაკებოდნი, გლახაკია-მეთქი, ის გახლდა
შალვა ჯაყელი.

იოანე. შალვა?

გაბრიელი. დიახ, შალვას გაუგია ყოველი ესე, რაც მოგახსენეთ და გამოქცეულა ჩვენთან შესატყობინებლად, მაგრამ გთხოვთ: კი, მამამისს არ უთხრათ, რომ შალვა იყო... თორემ მხედრებს გამომადევენებს დასაჭერად, აღარ გაძიშვებსო და მეფის განდგომა კი არ შემიძლიანო (იოანე დაფიქრდება).

ჯაყელი. რაზედა ფიქრობ, იოანე, დაღონებულად?

აწ რალას იტყვი? ჰგავს, არ მოგწონს მეფისგან სრულად ესრეთი შენზე რისხვა დიდი და შეძლება! არ მოელოდი? საუცხოო ჰქმნა განკარგულება. თუ ეგებ გიკვირს შენ გიორგი ხელმწიფისაგან თავადობისა დამხობა და ქონებისაგან განყენება, თავის კვეთა და ყოველგვარი. ბრაზიანობა, ქცევა უშნო და შესაზარი! ეჰე, ბატონო! მაშ შენ გეგონა, რომ მოგიცდიდა, მანამდი, სანამ შენ ქეიფი მოგივიდოდა, შეუდგებოდი შენი აღთქმის აღსრულებასა?! მეფე გიორგიმ ეს ამბავი კარგად იცოდა, რომ მომაკვდავის მის ძმის წინა სახარებას! შენ დაუფიცე, რომ ძე მისი, შენი გაზრდილი, მოწიფულობას ავა ტახტზე თავის მამისა! განა არ იცის გიორგიმ, რომ ფიცგატეხილი ორბელიანი არ ყოფილა არა ჟამისა? ვიცოდი, რომ დროს გაქცეულსა ვერ მოესწრებო, ასრე გინდოდა და ახლაც აბა ნუ ეჩქარებო!

იოანე. ჩემს გვიანობას არაფერი წაუხდენია, და თუ კი საქმე დაგვეხლართა, ბრალი შენია! უდროო დროსა ლაპარაკით, აგრე მოხდება. გუშინ დარბაზში ოც კაცამდე გარეშე ისხდენ, შენის თაობით სულ ყველანი ამ საგანს სჯიდენ. აი ეს არის მიზეზი, თუ საქმე წახდება!

ჯაყელი. დიახაც ვსაჯეთ, მაგრამ მერე ნაცვლად იმისა, რომ საქმისათვის სწრაფლად ხელი ჩვენ მოგვეკიდნა, წამოვეხეტნეთ აქ ანაზღათ წინაშე მეფის, რომ მის ღვლარაჟში თავნი თვითონ ჩვენ ჩაგვეკიდნა.

დემნა. რადგანაც ვიცი, ჩემთვის არის სულ ეს ამბავი,

გთხოვთ ნურასა იქმთ, არად მიღირს მე დიდად თავი!
ისანსა წავალ, იქ მეფესა მე ვეჩვენებო
და მის ნებასა ყოველივეს დავემონები.

თუ მეფე განსჯის უმჯობესად, თავი მომკვეთოს,
ნება მისია; მე კი უარს ვყოფ ამა სამეფოს,
იოანე. დემნა, დემნა! ისევ მოპყვე ძეგლსა ამბავსა?
დემნა. ღიახ, უარს ვყოფ! მეფე ჯერ არს ამპარტავანი,
და თუნდაც იყოს სხვა კაცებზე ის უარესი,
უნდა ფიქრობდეს, რომ მას არ ჰგავს ადამიანი,
ხოლო მე არ მაქვს ხასიათად სულაც ეს წესი.

იოანე. შენი სიტყვები, შვილო, არ არს კაცთ საგულისხმო,
როდესაც ბედმან აღგარჩია, შენ იყავ უხმო,
შენ ჰკადნიერობ, არ ხარ მონა ღვთისა ნებისა,
რომელმანცა შენ დაგბადა შვილად მეფისა;
სიბერის დღეს მამამძუძეს ნუ გამიმწარებ,
მაგვეარ სიტყვებსა კვალად ჩემს ყურს ნუ გაავონებ,
(იოანე გაივლ-გამოივლის და დაბალის ხმით ეტყვის ბერს),
დაარიგე რამ მეცნიერად, გაბრიელ, შენა,
იხმარე მაზე, რაც ღონე გაქვს, შენი გავლენა.

(გაბრიელი დემნასთან მივა, იოანე ლიპარიტს ემუსაიფება.)

ლიპარიტ, კარგად ყური დამიგდე, დრო არა გვაქვს დასაკარგა-
ვი. გასწიე ახლავ მოუსვენებლად ადერბეიჯანის ათაბეგთან; ძველი
მეგობრობა გვიძღვის მე და მამამისს. უთხარი თუ კი აგონდება
ის მოყვრობა, ლაშქარი მომაშველოს. გარემოება ყოველივე აუხ-
სენი და ჩვენ ჯარს ველოდებით ღორის ციხეში. ოჯახობას მანამდი
სამშვილდეს გავგზავნი და გავამაგრებთ. გასწი, არ დაიგვიანო,
(გადის.)

კვირიკე, ყველამ იცის შენი დიდი ხნის ერთგულება ჩემდამი
და შენ სიტყვას ენდობიან. (წინ წამოდგება ერთი მხლებელთა
განი.) წადი ჩქარა ვაგელთან, ერეთს, უთხარი ჩემი გაჭირვება,
უთხარი დღეისათვის შინდა მეგობრობა-თქო. სთხოვე, დაუყო-
ნებლივ სპა გამოგზავნოს. ხომ ხელავ წერილის დაწერის დროც
არა გვაქვს, წადი ჩქარა,

(კვირიკე თავს დაუკრავს და გადის. იოანე და ჯაყელი ჩუმად დაი-
წყებენ ლაპარაკს.)

გ ა ბ რ ი ე ლ ი (დემნას).

კაცთ კანონები და ბუნების ერთი არ არის, გაუჩენიხართ თქვენ უფალსა უცხო გუნებით, მაგრამ თქვენა ხართ შთამოებით დიდისა გვარის და ვერ დაარღვეეთ, რაცა ქმნილა ცხოვრების ნებით. და ახლა კიდევ რომ დაადგეთ სხვა რამე აზრსა, თქვენს მოხუც გამზრდელს გადაკიდებთ მომავალს მწარსა. ამით ჩაუშლით მას აღთქმასა და ოცნებას და ვერ მოიგებთ თქვენც სიმშვიდეს, გულის ნებასა, უსაშველოა, უფლისწულო, მე დამიჯერეთ და სვესა თქვენსა მომავალსა დე, დამონეთ.

დ ე მ ნ ა. ამისთვის იყო, აგრე მწვრთნიდი, ჩემო ოსტატო?

გულს შთამინერგე სხვა გრძნობათა მე ნეტარება. ახლა კი ცდილობ, სოფლის გეგმა მე დამიხატო და ამაშიაც გინდა ჩემი გავითარება? მაგრამ რაღა ვქნა, ამ ორთ საგანთ შეზავებასა თუ ვერ ვახერხებ! ვინაღან მაქვს მე ერთი სული. პირველ გვასწავებს სიმალღესა, გონების შევებას და მეორე კი ბნელის მცნებით არის მოცული. მე შევეცქერი ცას, მოწმენდილსა, ვარსკვლავიანსა და მიწაზედა მცენარს, ყვავილს, მთებსა ტყიანსა; ველზედ საღამოს, მეპკურება დამტკობი ცვარი! ბედნიერი ვარ მხოლოდ ამით, ამათ შეეხარი. აბა რად მინდა ამ სოფლისა სხვა რამ დიდება, მძაგს ბოროტება და მლიქვნური მისი კირთება!

გ ა ბ რ ი ე ლ ი. უფლისწულო!

დ ე მ ნ ა (არ აცლის).

დიახ. უარს ვყოფ, მე არ მსურს ათასა სული, ჩემივ მზგავსი ადამიანი, ჰყონ შეწირული იმისათვის, რომ დამსვან ტახტზე სამეფოისა და იმავე ტახტზე პორფირითა მე პირმშოისა, ვით ავაზაკი განვირეკდე სულთ განწირულთა, რომელნიც ჩემსა სინიდისსა დაეხვევიან, როგორც ყორნები მყრალთა მძოვრთა ველად გდებულთა და მწეწდენ ცოცხლად! არ ვიცოდე მე, რასა ჰქვიან

არც დღით, არც ღამით მოსვენება ჩემის გულისა...
 წყევლიმც იყოს ის უფლება უფლისწულისა!
 იოანე. შვილო, შენ ამბობ, რასაცა გრძნობს უმანკო სული,
 გამოუცდელი, გუშინდელი დაბადებული,
 ჯერ არ გქონია ცხოვრებისა მოვალეობა,
 უკუღმართობის მისისა რამ მკმუნვარება!
 შენ არ გახსოვს მამაშენი, მირონცხებული,
 მისი ღროისა მოგონებით არ გეწვის გული.
 მე კი აჩრდილი დიდებული სულ მელანდება,
 და ყოველივე დაკარგული წარმომიდგება.
 მე მიანდერძა სიკვდილის ეამს მისი წადილი,
 მე მომბარა საიმედო შენ მისი შვილი,
 ორთავეს გზრდიდით, ერთსა გულში, მეორეს გულზე
 და თქვენი დარდი ოც წელიწადს მეწერა შუბლზე.
 აწ. მოიწია იგი ეამი, დღემდი ძლეული,
 და ზეციდაჲ მეძახის მე ხმა კურთხეული!
 ახლა შენ გინდა ზრუნვა ჩემი ოცისა წლისა,
 ღამეთა ტება, ფიქრით ტანჯვა, ჯვარზედა ფიცი
 სულ გამიქარწყლო ოცნებითა რამ ყმაწვილისა?
 ეგ არა, შვილო! არა ღონე ქვეყნად არ ვიცი,
 აწ წინ დაუდგეს ჩემსა წმინდა მოვალეობას.
 ნებითა ღვთისა, მე შევიძლებ, სიმართლესა ვყოფ
 და უკანონოდ მოპარულსა დღემდი მძლეობას
 ავაგლეჯ გვირგვინს და ქვეყნის წინ მტვერში დავამხობ. |
 (შემოდის ლიპარიტ)

ჯ ა ყ ე ლ ი. ეგ შენი დაბრუნება კარგს არა ნიშნავს, ლიპარიტ.

ლიპარიტ. კარგი რა უნდა იყოს? დიდი ძალი სპისა უკან ყოფილა, კინდამ ჩაუვარდი ხელში! რას გაჩერებულხართ, ბატონო, თავს უშველეთ ჩქარა!

იოანე (მხლებლებს). ცხენები მალე!

ჯ ა ყ ე ლ ი. ცხენები. ცხენები! (მხლებლები გარბიან.)

ლიპარიტ (გასვლას აპირებს). მაშ, ლორის ციხეში, იოანე?

იოანე. დიახ! ლორის ციხეში. (მიდიან ყველანი) ფრთხილად იყავი, ლიპარიტ, კაცები წაიყვანე.

(ფარდა)

(სცენა წარმოადგენს მეფის აგარაკის ოთახს ტაბახელაში. სცენაზე არიან მიაგული და შალვა. შალვა ხმალს ფერავს, მიაგული ჩონგურზე ნელ-ნელა უკრავს):

მ ი ა გ უ ლ ი (შალვას). მაშ, ეს არის შენი უკანასკნელი სიტყვა; ყოველივე კავშირი გსურს მოისპოს ჩვენს შორის?

შ ა ლ ვ ა. მე არ მესმის, ქალბატონო, რას უძახით კავშირს!.. მე ყოველთვის მზათა ვარ ერთგულება დაგიმტკიცოთ და გიმეგობროთ, თუ კი ეგენი ჩემგან დაგჭირდებათ და...

მ ი ა გ უ ლ ი. და ამაზე იქით აღარ მიდის თქვენი გრძნობა! მაშ, რად მატყუებდით; რისთვის ჩამცქეროდით თვალებში უჩემოდ ნაღდიმად არ ჯდებოდით; უჩემოდ არ მღეროდით, არ იცინოდით. ყოველი თქვენი ხელობა და ცუდლუტობა არ დაგიკლიათ!.. რად მატყუებდით აგრე უსინდისოდ? მართალია, ბევში არა ვარ, მაგრამ (მწარედ) ეს გული... მიწამც კი დაეყარა ამ გულსა, რა ვუყო... სჯდ დაგმარხო? (თვალებზე ხელს მიიფარებს. სიჩუმეა) შალვა, შალვა! მე თქვენ დამლუბეთ, წარმტაცეთ სულის სიმშვიდე. (გულმოსული) არც მე დაგზოგავ! ახლა აღარაფერი დამრჩენია ცხოვრებაში.

შ ა ლ ვ ა (სიჩქარით). დაჩუმდით, მოდიან. (მიაგული ისევ ჩონგურზე უკრავს. შემოდიან: სოსლანი, მესხი და მხარგრძელი. მიაგული სიმღერას ნმას ააყოლებენ.)

მ ი ა გ უ ლ ი (მღერის).

იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანინაო.
გაზაფხულდა, ქვეყანასა სითბო ეფინაო,
გაზაფხულდა, იამ თავი გამოიჩინაო;
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო,
გაზაფხულდა, გაიშალა ვარდისა კონაო,
იადონსა ზედ ესურვა მღერა და კოცნაო,
გულში ტრფობა ჩაესვენა, შიგ ჩაებინაო,
გაზაფხულდა იავ ნანა, იავ ნანინაო.

(დაჩუმდებიან ყველანი.)

ს ო ს ლ ა ნ ი. შალვა! ჩვენს მოსვლამდი თუ კი იმღეროდი, ჩვენ რა დაგიშავეთ?

შ ა ლ ვ ა. მე არ შიმღერია!..

მ ი ა გ უ ლ ი (სოსლანს დაცინვით). ჩანს, ბ. შალვა ტრფობის სიმღერას არ თანაუგრძნობს.

შ ა ლ ვ ა. სწორე მოგახსენოთ, ამ დროს ჩემი გული არა სიმღერას არ თანაუგრძნობს; ჯერ კიდევ ათი დღეც არ გასულა მას იქით, ჯაც თორმეტითდე ყმაწვილი, ჩვენი ამხანაგები, დაწყვიტეს. ლამის მთელს საქართველოს ცეცხლი წაეკიდოს და მე რად უნდა ვიმღერო?

მ ი ა გ უ ლ ი (დაცინვით). მეც ამას მოგახსენებთ, მჩატე გრძნობები თქვენ არ გეთვისებათ.

შ ა ლ ვ ა. ხომ არ დამცინით?

მ ი ა გ უ ლ ი. რას ბრძანებთ! დაცინვას ვით გავებდავ, მე ვამბობ მხოლოდ რომ ძლიერ მაღლა, თითქმის ცაში, ჰქრის თქვენი გონება.

მ ე ს ხ ი. ხამია გული კაცისა,

ზოგს სოფლის უნდა, ზოგს ცისა.

მ ი ა გ უ ლ ი. საწუთროო! ვერ მაშიშო
თან მსდევს მზისა ბეჭედით,
მე სხივითა რეტიანსა
რა მგამა რამ ნაყბედით.

ს ო ს ლ ა ნ ი. ვაშა, ვაშა, პირში გაქებთ: კარგი მოსწრებული იყო ორივე ზმა,

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. სად არის მაგაში ზმა? ვერ გავიგე. (მიაგულთან მარტო სოსლანი დაჯდება, დანარჩენები მოშორებით ლალობენ.)

შ ა ლ ვ ა (მხარგრძელს). მგონია გამოცანაა.

მ ი ა გ უ ლ ი. მე გეტყვი, ყმაწვილებო, გამოცანას.

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. ო, გამოცანების ოსტატი მე ვარ. აბა, ბრძანეთ!

მ ი ა გ უ ლ ი. გამოცანას მოგახსენებთ, დიდი არაფერია,

უგრძნობელი ქვასავითა ერთი სულიერია,

დლით ეწყობა რაინდივით, ღამით კი მესტვირეა,

მგლებთან იგი საქმეს იჭერს, მაგრამ ცხვრებსაც ეროა,

შ ა ლ ვ ა (შეკრთება და თავისთვის). ეს რას ამბობს? რა ამბავია?

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. ეგ უნდა იყოს ტურა; ღამით ჩხავის სტვირითა, მგლებსაც გაერევა და ცხვრებსაც დაერევა. (იცინიან).

შ ა ლ ვ ა. ნამღვილი სთქვი, ზაქარია; სწორედ მშიერი ტურაა, ან მელია, რომელიც ნახირში შემოიჭრება მოსატაცებლად და საქონელს რომ ვერ მოერევა, გამწარდება და ჩხავილს და კბენას დაიწყებს.

მ ი ა გ უ ლ ი (შალვას). მაგას ცისტის ბრძანებთ? (შალვა არ უპასუხებს.)

ს ო ს ლ ა ნ ი (ხმადაბლა მიაგულს). რას ნიშნავს ჭაყელსა და თქვენს შუა ხშირად მკვახე საუბარი?

მ ი ა გ უ ლ ი. თქვენ უთუოდ ყველაფერში მნიშვნელობას ეძებთ, ბატონიშვილო!

ს ო ს ლ ა ნ ი. კიდეც ბატონიშვილო?

მ ი ა გ უ ლ ი. მაშ როგორ?

ს ო ს ლ ა ნ ი. ჩემი სახელი ხომ იცით?

მ ი ა გ უ ლ ი. მე არ მაქვს ნება თქვენ სახელით გიხმობდეთ.

ს ო ს ლ ა ნ ი. მე გვედრებით, მიიღოთ ეგ უფლება.

მ ი ა გ უ ლ ი. ასეთ დარდიმანდულ სიტყვებს ჩემთვის რად ელევით?

ს ო ს ლ ა ნ ი. სიტყვებს კი არა, დამაჩემეთ, რაც გნებავთ, რომ თქვენთვის არ შეეველიო!

მ ი ა გ უ ლ ი. ვერ შეელევით!

ს ო ს ლ ა ნ ი. მიბრძანეთ, გამოცადეთ.

მ ი ა გ უ ლ ი (შეაქცერდება). ვერ შეელევით ლაღობას, ვერ დასტოვებთ ამხანაგობას, ვერ დაავლებთ ქეიფსა და ღიზს, მოკლედ რომ ვთქვათ: ვერ დასთმობთ თავისუფლებას!!

ს ო ს ლ ა ნ ი. ყოველთვის დავთმობ, მეფისა მზემან.

მ ი ა გ უ ლ ი (დაცინვით). რამდენი ხნითა?

ს ო ს ლ ა ნ ი. საუკუნოდ, სანამ ცოცხალი ვარ.

მ ი ა გ უ ლ ი. ვინა მყავს თავმდები?

ს ო ს ლ ა ნ ი. ჩემი გული, სული, ჩემი თავი და სინდისი.

მ ი ა გ უ ლ ი (გაიცინებს). ო-ო? ეს ერთობ ბევრიც არის. (ამოხზვრით) გული!.. მარტოკა კარგი გულიც კმარა... მაგრამ!..

ს ო ს ლ ა ნ ი. მაგრამ... რა?

მ ი ა გ უ ლ ი. მაგრამ... მაგრამ.

ს ო ს ლ ა ნ ი. მაგრამ, არ გინდებვარ და ეს არი.

მ ი ა გ უ ლ ი. არ მინდებხართ?

ს ო ს ლ ა ნ ი. (ღიას!

მ ი ა გ უ ლ ი. ნდობა მოსდევს სურვილსა, სურვილი—გრძნობას და გრძნობაც დარწმუნებას და კიდეც სხვა რამეებს!

ს ო ს ლ ა ნ ი. არ ვიცი, რა გითხრა; როგორ დაგარწმუნო!

მ ი ა გ უ ლ ი. (სსუთ!

ქე შიკო. მეფე მობრძანდება (ყველა დგება. შემოდის მეფე; მას ახლავან ჯავახიანი და გამრეკელი. ნელ-ნელა მოდიან; მეფე ათავეებს დაწყებულს საუბარს).

მეფე. ჩემი დის მოსვლა კი მაკვირვებს, რა საქმე უნდა ჰქონდეს ისეთი, რომ ქალი მარტოა დაავლო ისანს?! გამოგზავნილს ქეშიკს ხომ არა უთქვამს რა?

ჯავახიანი. არა იცის რა, მეუფეო! მხოლოდ დედოფალმა მიბრძანა, მეფეს იახელ და ჩემი მოსვლა მოახსენეო.

მეფე. ვნახოთ, ვნახოთ! თქვენ კი ლაზათიანად ერთობით, ყმაწვილებო! ჩონგურს უკრავდი, მიაგულ? აბა, დაუკარ, მეც ყურს დავუგდებ. (ჯდება) უჰ! დავიღალე... აბა, დაუკარი! დაამღერეთ, ყმაწვილებო, ცოტა გავერთოთ.

მიაგული (ჯდება და დაიწყებს სიმღერას, ყმაწვილები ეხმარებიან).

ყმასა ერთსა მზეშა ერქვა, მზეშინაო მზე შინა და,
მზეშა თურმე მეფეს ახლდა, სასახლესა გაიზარდა,
მზეშას მამა მტერი იყო ქვეყნის თურმე, მეფისა და;
მეფემ ესა შეიტყო რა, განრისხდა და გაგულსდა.

სპას უბრძანა, გააგზავნა, შემიტყვეთო მტერი სადა.

მტრისა თავსა აღარ ედო ხანი გრძელი, არცა ვადა.

მზეშამ რაკი ეს გაიგო, გაიპარა და წავიდა. (მეფე სიმღერას თანდათან უფრო უკვირდება.)

შალვა (თავისთვის). რას მოჰყოლია ეს შეჩვენებული?

მიაგული (განაგრძობს). ყმაწვილები უხერხულობას გრძობენ, ბატონო, ხეირიანად ვერ ამბობენ, სიტყვებს არ იმეორებენ, მხოლოდ მარტო ხმას ააყოლებენ.

მამასა შეატყობინა, თავს უშველა და გავიდა;

მზეშა ისევ სასახლესა დაბრუნდა მეფესთან და,

აგრე მოხდა ეს ამბავი მზეშაო და მზეშინადა (მიაგული ათავეებს სიმღერას და დგება. სიჩუმეა).

მეფე. ეს სიმღერა შენ საიდან გისწავლია, მიაგული?

მიაგული. სოფლური სიმღერა გახლავთ, ხელმწიფეო!

მეფე (ვითომ გულგრილად). ამის მეტად არ გამიგონია. ახალი უნდა იყოს!;

მ ი ა გ უ ლ ი. ხმა ძველი გახლავთ ბატონო და სიტყვები კი მე გავიგონე ახლახან.

მ ე ფ ე. მერე, ვიზედ არის ეს სიტყვები ნათქვამი?

მ ი ა გ უ ლ ი. ეგ არ ვიცი, ხელმწიფეო!

მ ე ფ ე (სიჩუმის შემდეგ). მიაგულ, შენ რაღაცას მალავ! სთქვი, რას ნიშნავს ეს სიმღერა?

მ ი ა გ უ ლ ი. არ ვიცი, მეფევე, ბატონო! პირი გამშრობოდა ნეტავი... არ მგონებია, რომ აგრე ყურს დაუგდებდით.

შ ა ლ ვ ა (თავისთვის). ყველაფერი სცოდნია: მლუპავ, ყუბარსან, მაგრამ შენ რაღას აპირობ?

ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ი (მიაგულს). დაო ჩემო! დიდი დანაშაული ხარ, რომ ხელმწიფეს წინაშე სოფლის უაზრო სიტყვებსა და სიმღერას მოჰყოლიხარ. (სოსლანი რაღაცას ეჩურჩულებს შალვას ყურში. მიაგული უკან დახევით და კრძალვით გადის).

მ ე ფ ე (სოსლანს და შალვას). თქვენ რას ჩურჩულებთ მანდ?

ს ო ს ლ ა ნ ი. არაფერს ხელმწიფეო!

მ ე ფ ე. როგორ თუ არაფერს, არ მიყვარს ასეთი უაზრო პასუხი. თუ უჩურჩულებდით, უეჭველად რამეს ეტყოდით! ან იქნებ ჩემთან დასამალავია?

ს ო ს ლ ა ნ ი. არა, ხელმწიფეო! მე ვკითხავდი შალვას, თუ გაუგონია რამე ამ სიმღერაზე;

მ ე ფ ე (შალვას). მართლაც, სასახლეში ნაქები მგალობელი და მომღერალი შენა ხარ; იქნებ ახსნა, ვიზედ არის ეს სიმღერა?

შ ა ლ ვ ა (ღელვითა და არეულად). მე, ხელმწიფეო! მე... რა... უნდა ვიცოდე?

მ ე ფ ე (დააკვირდება დიდხანს). სიტყვები ხომ გაიგე კარგად: ძზეშა, ერთი ყმაწვილი, მეფეს ახლდა თურმე; მისი მამა ორგული ყოფილა მეფისა; მეფეს იმისი შეპყრობა სდომებია, მაგრამ მზეშა გაპარულა და შეუტყობინებია. აბა, რას იტყვი?

შ ა ლ ვ ა. ხელმწიფეო!

მ ე ფ ე. ვიფიქროთ, რომ ეგ ამბავია ჩემი სასახლას. ისეთი მზეშა მე ვინ მახლავს, რომლის სახლისკაცი ვინმე, ვთქვათ, მამა, გინდ ძმა, ჩემი მტერია? თქვენგანი ხომ, ყმაწვილებო, არავინ მტრელია? (სიჩუმე) პასუხს არ ამბობთ? მეც ვერ მივხვდი ამ საკვირველსა მოთხრობას, მაგრამ ეს ამბავი მოგავს ჭაყელსა. ფერზედაც ვერ ხარ

მთლად უმანკო, ჩემო ყმაწვილო! იქნებ მზეშა შენ იყავ, დამხსნელო
შვილო, და გაემგზავრე სამშვილდისკენ, სადაც გყავდა მამა!

გამრეკელი. გზები შეკრული იყო, ხელმწიფეო, როგორ გა-
ვიდოდა?

მეფე. დიახ!.. რომელი რაზმი სპისა სდარაჯობდა სამშვილდეს?

გამრეკელი. კიდეც დახოცეს, ხელმწიფეო, რაზმი იგი.
გადარჩა მხოლოდ სამი მხედარი და რაზმის უფროსი ოფიკალი.

მეფე. რომელია გადარჩენილი ოფიკალი?

მხარგრძელი. ჩვენ გახლდით ხელმწიფეო: მე და წავქისე-
ლი.

მეფე. შენი იყავი იმ ალაგას, სადაც ჩხუბი ატყდა?

მხარგრძელი. სწორედ იმ ალაგას გახლდით, მეფეო!

მეფე. მაშ გეცოდინება! იმ ჩხუბის წინათ, ანუ შემდეგ გუშა-
გებმა თუ დაინახეს გამვლელი ვინმე.

მხარგრძელი. არა, ხელმწიფეო... არავინ ისეთი.

მეფე. ისეთი რასა ქვიან? აი კიდეც ბრაცული პასუხი! ჰგავს
გინახავთ ვინმე! აბა, მოიგონე კარგად!

მხარგრძელი. ისეთი-მეთქი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ვი-
ლაც შესტივრე კი დავიკვირეთ... მაგრამ რახან გლახაკი იყო, გა-
ვუშვით.

მეფე. გაუშვით? ვინ ზოგცათ თქვენ ეგ უფლება, რომ განსაჯოთ
გლახაკი იყო, თუ დიდებული? ბრძანება მოგეცით, რომ არავინ
გაგეშვათ!

მხარგრძელი. ბრმა იყო, ხელმწიფეო!

მეფე. როგორ იცი, რომ ბრმა იყო? გითხრა და დაუჯერე?

მხარგრძელი. არა, ხელმწიფეო, გამოვცაღეთ.

მეფე. როგორ?

მხარგრძელი. სატევარი წინ წავუშვირე და ჩემკენ დავუ-
ძახე. წამოვიდა პირდაპირ და ზედ წააწყდა.

მეფე. დაიჭრა?

მხარგრძელი. დიახ, მეფეო! ახლოს რომ მივიდა ისე უშე-
რად, შევატყე: რომ მართლა ბრმა იყო, გადავაქნიე მახვილის წვე-
რი, მაგრამ მაინც მოხვდა.

მეფე. სად მოხვდა?

მხარგრძელი. კარგად არ მაგონდება, ხელმწიფეო!

მეფე. ბრიყვი ხარ! როგორ? მახვილი ჰკარ ადამიანს და არ
გახსოვს, სად მოხვდა?

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. არ ვიცი, ხელმწიფევ! მგონი სადღაც მკლავზე
თუ ხელზე,

მ ე ფ ე. იმოდენად დაიჭრა, რომ შესაყვრელი იყო წყლული?

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. მაგრად გახლდათ დაჭრილი, მეფევ!

მ ე ფ ე (შალვას). გაიხსენ კაბის სახელოები და მკლავები გვაჩვენე.

შ ა ლ ვ ა. ხელმწიფეო! თუ ესდენ რისხვა მოავლინეთ ჩემს თავზე და საეჭვოდ გამხადეთ, დამსაჯეთ ბარემ, ხოლო ჩემს ტოლებთან კი სუ ინებებთ ჩემს შერცხვენას.

მ ე ფ ე (მწყურალად). აჰყარეთ ძარაღი და გაუხსენით სახელო (მისცივდებიან).

მ ე ს ხ ი (ჩუმად). გაიხსენი კაბა! რა დაგემართა?

შ ა ლ ვ ა. არ შემიძლია.

მ ე ს ხ ი. შალვა, რა ღმერთი გიწყურება?

შ ა ლ ვ ა. ვაიმე, არ შემიძლია! ძმებო, დამეცით მახვილი... გული გამიპეთ, არ შემიძლია, არა, არა!

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი. შეიშალე, კაცო, ჭკუა დაკარგე!

მ ე ფ ე (გაჯავრებით). ნუ ყბედობთ მანდ. გახიეთ სახელო (ძალით გაუხსნიან სახელოს და დაინახავენ თამარის სამხრეს). ეს რა არის, მანდილოსნის სამხრეს იკეთებს? კარგი სამკაულია ვაჟკაცისათვის!.. აჩნია რამე ჭრილობა? (სიჩუმე) არ გესმით ჩემი სიტყვა? (მეფე თვითონ ააგლეჯს სამხრეს, თვალს მოავლებს და შეინახავს. შემდეგ შენიშნავს ჭრილობას. შალვა თავს ჩაღუნავს.)

თავი ჩაღუნე? რის გეშინის, ხომ არ გაქვს ბრალი?

ესე ჭრილობა თამაშში რამ მოგივიდოდა!

ბარემ გაბედე, უსირცხვილო მომაპყარ თვალი,

ავაზაკობას არ იცოდი ბოლოც უნდოდა?

უბედურო, სინიდისის შენ გამყიდველო,

შენ გველის შეილო, შენ პირშაო და თითონ გველო!

სად მოიპოვე ჯოჯოხეთის ესდენ მზაკვრობა,

რომ მოინდომე გამზღელისა მეფისა მტრობა.

შ ა ლ ვ ა. ჩემო ხელმწიფევ!

მ ე ფ ე. სუ-მეთქი! შე ცრუ, მოღალატე, ბოროტო სულო!

ვით არ გიწყდება ყელში ხმა ის გესლიანი,
(იქ მყოფთ),

მოჰკიდეთ ჩქარა, გაიყვანეთ და საორგულო
დილეგში ჩასვით, რომ არ ნახოს ადამიანი.
რომ შორიდანაც არვის მოხვდეს მის მავნე თვალი,
თავსლად დასხმული, საზიზღარი და ყოვლად მყრალი!
ფუი კაცობას!.. გაათრეთ... ფუი შერცხვენა.

(გაჰყავთ, მეფე მარტო, დიდი ღუმლის შემდეგ სამხრეს დახედავს.)

ეს რაღა იყო, ნამდვილია თუ მოჩვენება.

ჰგავს მართალია; მაგ მუხანათს თამარის სამხრე,
ამ საქმეშია ჰეშმარიტად ეშმაკის საფრთხე.

ვერ გამიგია, რა აზრია და საიდანა

უპოვნია მაგ შეჩვენებულს... მალავდა განა!

გავს, თვითონ მისცა... მაგრამ რისთვის? რა მნიშვნელობით?

(დაფიქრდება... სამხრეს ჯიბეში ჩაიღებს)

ნუთუ?.. ოჰ, ღმერთო, განმამორე ფიქრი მაგვარი!

ვიდრე მანამდის ათასჯერაც მენახოს მკვდარი!..

განა მეფობას ვუმზადებ მას მამაშვილობით?

მაშინ წყევლისა ღირს ვოქნები ჩემის მუხთლობით?

არა!... თამარს აქვს და მე ვპოვებ იმ ღირსებათა,

რომელნიც ჰქონდათ დიდებულთა წინაპარებთა.

მაგაზე არის მომავალში ჩემი იმედი,

რომ დამკვიდრდება, გამძლავრდება ივერთა ბედი.

(მცირე ღუმილი.)

მაგრამ თუ ვერა? თუ არ ექნა უმანკო სული,

თუ არ გამოდგა გონიერი, ზეცით ცხებული,

და მის სხეულში თუ ღვივოდეს ევისა ქალი,

და ნუთუ ვცდები მე, ვით კაცი? ვაჰ, ჩემი ბრალი...

რა რიგ დასჯილი, დატანჯული მაშინ დავშთები!..

ჩემს საქართველოს ცოცხლად წავსწყემდ და მეც

წავწყდები

ქ ე შ ი კ ი. დედოფალი რუსუდან მობრძანდება. (უკუდგება. შე-
მოდის რუსუდან მარტოკა, მხლებლებს კარებთან ხელით დაითხოვს.)

მ ე ფ ე (წაიწევა სავარძლიდან). მობრძანდი, დაო! (გადაეხვევიან
ერთმანეთს.) რას ნიშნავს ეგრე მოულოდნელად შენი მოსვლა, დაო
ჩემო?

რ უ ს უ დ ა ნ. ძმაო ბატონო! მოხდება ხოლმე, რომ დიდებულს
მხედარსა, შორის გზის გავლასა შამბში გზა დაეზნევა, და მაშინ

უბრალო მეჭოგე ვინმეც რომ შეხვდეს, კვალზე გაიყვანს და შარაზე დაიყენებს. დღეს მე გჩლებივართ იმ მეჭოგის მაგივრად; გამიგონე და დამიჯერე!

მე ფ ე. იგავებისა, დაო ჩემო, არა მაქვს თავი,
უბრალოდ ბრძანე: რად გპირდების ამის იგავი?
ლაშქრობის დროსა, თუ კი თამარ მარტოდ დააგდე,
და შენი სიტყვა ჩემთან ვერვის თუ ვერ გაანდე,
საოცარი რამ შეგიტყვია, სთქვი, მაშ, მოველი.

რ უ ს უ დ ა ნ. საოცარია, დიახ, სწორედ ჩემი სათქმელი!..
საქართველოსი დიდ თავადნი, სახელგანთქმულნი,
პატიოსანნი, დიდებულნი, ქვეყნის ქებულნი,
განსვენებულის, კურთხეულის, შენის ძმის ძესა
ახლავან და შენ ამაშიდა ჰპოვებ მიზნსაჲ
სდევნო ისინი, ვით მეკობრე პატივ-ახილი,
გინდა შეიპყრა, გსურს მალიად მათი სიკვდილი,
რა დაგიშავეს? შეგასმინეს რომ გლალატობენ?
მაგრამ არ იცი ქვეყნის საქმე, რომ მასა გმობენ,
ვინცა სჯობია, ერთგულია, ქვეყნის მსახური,
და ამ დაბალსა გრძნობას ჰქვია სახელად შური,
და თუ კი გახდი შენ მტარვალად სხვისა შურისა
მამულის შეილთა, უმანკოთა ჭირი წაჰკიდე,
მაშინ გაწვევა სულის შფოთვა უბედურისა,
და დაინგრევა შრომა შენი, ყველა სიკეთე,
გაფრთხილდი, მეფევე, გაფრთხილდი და დაფიქრდი ძლიერ.

მე ფ ე. მესმის, რუსუდან, მეცნიერი სიტყვა შენ მიერ,
მაგრამ რად მითხარ ეგ მოთხრობა მე სევდიანი?
რად მომაგონე, რომ მეცა ვარ ადამიანი,
ვაითუ გული შემიწუხდეს და შემეცოდოს
საბრალოები, სინილისზე რომ არქ დამედოს!
რა ვუყოთ, თუნდაც შეირქვეს მათ ორგულობა!
დანაშაულთა შენდობა ვცეთ, ეგ არს წყალობა,
ესა გსურს განა? ჰა, ჰა, ჰა, ჰა! რჩევა კარგია.
ჰა, ჰა, ჰა, ჰა, დედა-კაცი რარიგ შმაგია!
ხელში ჩაეუგდო მტრებსა თავი, რაც უნდა მიყონ,
და სახელმწიფო ნაწყვეტ-ნაწყვეტ კვლავაც გაიყონ!..
მარქვე, ვინ არის ის ჰკვიანი, რომ შეგაგონა!

ჩემი ღალატი, შეგიერთხ და დაგიმონა?

რუსუდან. თქვენსა ღალატში ვერვინ გამრევს მე ხორციელი,
არც მეკადრება მე პასუხი იმაზე გრძელი,
და მოღალატი, ენის მთრევი, გარყვნილი სული,
ეგებ კი გახდეს და გეგონოს შენი ერთგული.
შენ ხარ ხელმწიფე, ივერთ მპყრობი, დია სვიანი,
და შენს თავზედა ბატონად გყავს ჯავახიანი,

მეფე. რუსუდან!

რუსუდან. ის არის შენი ვეზირი და შენი მოძღვარი;
მისი განზრახვა, მისი აზრი, შენიცა არი;

მეფე (გაჯავრებით). რუსუდან!

რუსუდან. გაჯავრდე, მეფეო, ამით უკან არ დავიხვეი,
მეცა მაქვს ერთი ცხოვრებაში მოვალეობა.

მეფე. იცი კი რაა, დედაკაცო, მოვალეობა?

ოჯახს ვერ უვლი, ყარიბივით კი დაეთრევი!

შენსა გაზრდილსა, თვალის ჩინსა, თვალი დაუდგა...

შენ ეგ არ იცი... და სამეფო საქმეთ ერევი.

(რუსუდან შეკრთება.)

რუსუდან. როგორ თუ თვალი დაუდგა? მეხი რუსუდანს კი
დაეცემა!..

მეფე (ამოიღებს სამხრეს და რუსუდანს მისცემს).

იცანი ვანა? აბა რომელს ებნევა კვალი,

შენა თუ მე? მაშ გაიგე და კარგად ასწონე. (პაუზა.)

ეს სამხრე ჰქონდა ერთ ყმაწვილ კაცს მკლავზედ დაბმული...

რუსუდან. დედაო ღვთისა! რად არ გამითხრი შავ საფლავსა?

მეფე. ეგრეა, დაო: დამიჯერე, კარგსა და ავსა

სახელმწიფოში მე განვაგებ შენზე უკეთად.

ხოლო შენ გხვდება საზრუნველი ამაზე მეტად

აღზრდა და მოვლა იმ ქალისა, რომლისა ხელში

იქნება ბედი საქართველოსი აწ, მომავალში.

(სიჩუმე. რუსუდან გაოცებულია. მეფე ღიმილით განაგრძობს)

ხომ გაგიგონია, დაო, ნათქვამი;

როს ტაიჭი კლდეზე ავა, ჯორი მინდორს გაქენდება,

ორნივე უმარგ დარჩებიან, მხედარს ვირი დასჭირდება!

(რუსუდან მორჩილად სალამს მისცემს.)

(ფარდა)

(სცენა წარმოადგენს მეფის ბანაკს. დგას რამდენიმე კარავი. კარავების წინ და-
დიან დარაჯნი ამოღებული ხმლებით მხრებზე. მეფის კარავი დგას სცენის სილ-
რამეში და კარზე ფეხუცვლელად ორი დარაჯია დაყენებული. აქა-იქ სცენაზე
დიდი ხე დგას. ერთი ხის ქვეშ ნოხგადაფარებული გძელი სკამი:—შორა
მოჩანს ლორის ციხე, მეფის ლაშქრისაგან ალყაშემორტყმული).

(სკამზე სხედან გაბრიელ ბერი და ჯავახიანი. მოშორებით დგას
ყაითაძე)

ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ი (კითხულობს). ჩვენ, მეფეთ მეფემან, სოლომო-
ნიან-დავითიან-ბაგრატიოვან, ძემან მეფისა დიმიტრისა ქველისამან,
გიბოძეთ ამა შეწყნარებისა წერილი მას შინა, რომელ რაიცა ოდენ
ორგულობასა ჩვენსა და ქვეყნისასა ვწამობდეთ სეფისწულსა დიმიტ-
რის და მხლებელთა მისთა თავადთა და აზნაურთა მოჯანყეთა ან,
რომელნიცა იმაგრიან თავთა ციხესა ლორისასა, უკეთუ ნებითა
მათითა წარსდგებიან წინაშე ჩვენსა, მიუტეოთ ესე ცდომანი მათნი
და შეუდნოთ. აწ რამანცა ძემან ანუ ასულმან კაცისამან, სამღვდე-
ლომან ანუ საერომან, ძლიერმან ანუ მცირემან, დაშალოს ანუ წაპ-
ყუედროს წყალობის პირობაი ჩვენი ესე, ისიმც შეიშლების სჯუ-
ლისაგან ქრისტიისა, მას რისხავს მამა, ძე და სული წმინდა, წაცა-
ედების კეთრი გეზისი, ძრწოლა კაენისი და წყეულიმც იქნების მშვიდ-
თა მსოფლიოთა კრებათაგან. ხოლო დამამტკიცებელი წერილისა
ამის იკურთხოს აწ და მარადის. ამინ. ხელს ვასობ მეფე ქართლისა,
ივერთა ხელმწიფე გიორგი,

გ ა ბ რ ი ე ლ გმადლობთ, ბატონო! სხვებზე ბეჭითს ვერ მოგახ-
სენებთ

და უფლისწულსა, თუ ვიცოცხლე, აქ მე გაჩვენებთ,
თქვენ რომ იცნობდეთ, ჰე ბატონო!.. რა უმაწვილია!

უმცდარად ვიტყვი: ცის ნაკურთხი, მეფის შვილია.

მაგრამ რად გინდათ, თქვენში რად ღირს მაგისი გული,
მისი გონება, ხასიათი ამალღებული?

თქვენ გეპირვებათ მეომარი, კაცი უხეში.

ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. უჩემი არა, ხოლო ვაჟი ჯერ არს მამაცი,

მაგრამ რა ერთხელ უფლისწული ჩვენკენ წამოვა,
მისნი მომხრენი გაჯიუტდენ, მით რა გამოვა?!

გაბრიელ. მეც აგრე ვგონებ: რა გაუვათ?!

ჯავახიანი. ერთი ეს მითხარ

ამ სიგელსა აჩვენებ რა, სად შეინახავ?

სხვასთან არ დარჩეს, მოიფიქრე, გონიერი ხარ,

გაბრიელ. როგორც მიბრძანებ! მე მექნება, გულში ჩავმარჩავ.

ჯავახიანი. შენ... დიახ, შენა! გერწმუნები მარტოკა შენა.

მოყაყანესა ყველას ვიცნობ, გრძელი აქვთ. ენა,

მეფე გაჯავრდა, ჯერ არ გახდა მაგის ყაბული,

ბრძანა თუ „სიტყვა აქვთო და მოკლე სული,

არ დაიყბედონ, შევაშინეთ ჩვენი მეფეო!

ერთილა მხოლოდ მეცოდება ჩემი ძმის ძეო!“

ხელს ვეამბორე, დავიჩოქე, მაშინ მიბრძანა:

„მაშ გახსოვდეს, პასუხს აგებ შენ ყუბარსანა“.

ხელავ, გაბრიელ! ვაგებ პასუხს ჩემი თავითა!

სულიერს, სათნოს, შენ გენდობი მამასავითა,

გაბრიელ. მძევლათა გაძლევეთ ჩემსა წმინდა სარწმუნოებას.

ჯავახიანი. მჯერა გაბრიელ და აწ მივყვეთ უფლისა ნებას.

გაბრიელ. გმადლობ... გაჯურთხოს ღვთის მშობელმა! გმადლობ, ბატონო.

ჯავახიანი. აი, მამაო! გახსოვდეს კი ესე სიგელი:

სულ თანა გქონდეს, ვინიცობა არ მოიშორო,

ე, მანდ, უბეში შეინახე (ანიშნებს უბეს) ერთი საშველი,

სიკვდილ-სიცოცხლის ეგ საბუთი, ძლივს მიშოვნია.

დიდი სიფრთხილე საჭიროა! როგორ გგონია?

გაბრიელ. რა ბრძანებაა, ვანა არ მესმის!..

ჯავახიანი. აჰა, სიგელი. მაშ მშვიდობაში!.. (სიგელს აძლევს, ბერი უბეში ინახავს, თავს დაუკრავს და გადის) ეი, შენ, ყაითაძე, აქ მო! (დაფიქრდება. ცოტა ხანს სიჩუმეა);

ყაითაძე. მიბრძანეთ, ბატონო?

ჯავახიანი. ეს ბერი ხომ ნახე?

ყაითაძე. დიახ, ბატონო, უფლისწულის დიმიტრის ლალა.

ჯავახიანი. ლალა, ჰო ლალა, მაგრამ ჯაშუში და აეშავი.

ყაითაძე (გაოცებით). რას მიბრძანებთ, ვინ იფიქრებდა...

საღვდელო პირი?...

ჯავახიანი. გამიგონე, შენ კი ნუ მესაუბრები, ყური დამიგდე კარგად! ეს კაცი აეშავია, ძლიერ მანებელი, იქითაც არის და აქითაც. მეფემ მიბრძანა, ჩემი ძმისწული დიმიტრი გამომიყვანე ციხიდან როგორმეო და იმ ბერს წერილი მივეცი. ხომ დაინახე ის წერილი?

ყაითაძე. დიახ, ბატონო!

ჯავახიანი. იმ წერილის ძალით, უფლასწული უნდა გამოიპაროს ციხიდან და მოვიდეს აქ; მაგრამ მოვა იგი თუ არა და იმ საათში ის წერილი ისევ მე ხელში უნდა მქონდეს.

ყაითაძე. რა რიგად, ბატონო?

ჯავახიანი. რა რიგად?

ყაითაძე. დიახ!

ჯავახიანი. ბიჭო, შენ ჯერო მახვილი ჭკუის მეგონე.

ყაითაძე. ირა ვქნა, ბატონო?

ჯავახიანი. აი რა ჰქნა: ბერმა რომ წერილი უბეში შეინახა, დაინახე?

ყაითაძე. დიახ, ბატონო?

ჯავახიანი. რომელ უბეში შეინახა, ხომ გახსოვს?

ყაითაძე. მახსოვს, ბატონო!

ჯავახიანი. მაშ უნდა ამოართვა და მომიტანო, მეტი არაფერი. სულ უბრალო საქმეა!

ყაითაძე. რომ არ დამანებოს, ბატონო? ხმა გააბას?!

ჯავახიანი. თუ სთხოვე, არ დაგანებებს.

ყაითაძე. აბა ძალით უნდა წავილო?

ჯავახიანი. ძალით უნდა წაილო!

ყაითაძე. რომ დაიძახოს, იყვიროს?

ჯავახიანი. არ უნდა იყვიროს.

ყაითაძე. როგორ, ბატონო?

ჯავახიანი. ისე, უნდა დაჩუმდეს!

ყაითაძე. იარაღი რომ დამჭირდეს?

ჯავახიანი. ეგ შენი საქმეა. წადი ახლა. (ხელით დაითხოვს) ხომ ჭაიგე კარგად?

ყაითაძე. გავიგე, ბატონო.

ჯავახიანი. წადი ახლა, არაფერი შეგცდეს. პირზე აიფარე, არ გიციონს!.. უეჭველად... გესმის?.. უ-ე-ჭველად! (თავს უკრავს და გადის. ჯავახიანი მარტო, მძიმედ დაფიქრებული ზის.)

აჰ! დავილაღე! თავი სკდება! ღონეც მაკლდება!
ერთობ ქვეყანა აირია და გული კრთება. (მწარე ღიმილით)
თურმე რა ერთხელ ფეხსა ჩადგამ სიავეშიდა,
უკან ვერ იხევ და მიდიხარ შიდა და შიდა,
როგორც საფლობში, ძირს, ძირს. ახ!

(უცებ ბეჯითად) არ არის დრო,
აწლა მაგაზე სჯა-ფიქრისა, უნდა ვიკადრო,
ორში ერთი! ან თავი წამქრან მე ხბოსავითა,
ან გავიტანო დაწყებული კვლავ სიავეთა.

(მიდის შეფის კარავისაკენ, შემოდიან სოსლანი, გამრეკელი და მესხი.)

მესხი. სამწუხარო ამბავია, სწორედ გულსაკლავი!.. ვერც და-
ვიჭერებ, რომ შალვა ჯაყელი ხელმწიფის ორგულობაში გარეოდეს.
სოსლანი. ვერ დაიჭერებ იმიტომ რომ...

მესხი. ამიტომ რომ?!

სოსლანი. იმიტომ რომ... ადამიანის გულსა მრავალი კუთხე
აქვს და... ყველას ვერ გამოსჩხრეკს მეორე კაცი.

გამრეკელი. სწორედ მოგახსენებთ, ბატონიშვილო, მეც და-
ლიან მიკვირს მაგ ყმაწვილის ამბავი!.. მეფე სწყალობდა, ტოლებს
სასიქადულო რაინდად მიაჩნდათ. მისი სათაკილო საქციელი ჯერ
არ გაგონილა და... ახლა კი რა მაცდური ჩასჯდომია თავში. ვერ
მივმხვდარვარ.

სოსლანი. გავს მაცდური ერთობ ძლიერი ყოფილა და ვერ
გაუძლო!.. ეს მითხარით: აქ რისთვის დაიბარეთ, თუ დასასჯელია.
ქალაქს უფრო ადვილი არ იყო?

გამრეკელი. ხელმწიფემ ბრძანა, დასჯა ლაშქარმა უნდა და
ინახოსო! ეხლავ აქ უნდა მოვიდენ.

სოსლანი. ზაქარია მოყვება, არა?

გამრეკელი. დიახ, ბატონო!

მესხი. თუ ხვალიანი არ არის, გვიბრძანეთ, რა სასჯელი ადევს?

გამრეკელი. ჯერ მაგაზე ბრძანება არ არის; მაგრამ კითხვაც
არ უნდა, თუ ცნობილია მოღალატედ, რა მოელის. (შემოდიან;
მხარგრძელი, ერთი ოფიცალი და რამდენიმე მხედარი; მოჰყავთ
ჯაყელი ჯაჭვით ხელ-დაბმული, ჯაყელს აცვია კაბა და ნაბადი ახუ-
რავს, ნაბადისავე ქუდი ხურავს. სხვები კი მუზარად-ჯავშანში
არიან.)

გამრეკელი. {გამარჯვება ზაქარია, გამარჯვება მხედართ (ამ
სოსლანი. {სიტყვებთან, მარჯვენა ხელის თითებს ჯვარად
მესხი. {დაწყობილს ასწევნ თავის სისწორეზე).

მხარგრძელი. { (ასევე სალამით). გაგიმარჯოსთ, ბატონებო,
მხედარი. { გაუმარჯოს მეფეს. (პაუზა)

გამრეკელი (მოსულთ).- დამიცადეთ აქ, ხელმწიფეს მოვას-
სენებ (გადის. მესხი მივა მხარგრძელთან და განზე გაიწევს).

მესხი. რა ჰქენ, ზაქარია, ნახე დედოფალი?

ზაქარია. ძლიერ გასჭირდა ნახვა; არავის არ უშვებენ.

მესხი. კაცო, მაშ შალვა უნდა მოკვდეს?

ზაქარია. რას ამბობ, ღმერთმა დაიფაროს!

მესხი. მე გეუბნები, ეს ასე იქნება. თადეოსმა სთქვა გატეხი-
ლი... თუ კი მეფემ იცნო მოლაღატედ, შველა არ არისო...

ზაქარია. დავითს არ უთხარი? სთხოვოს მეფეს.

მესხი. სოსლანი ძალიან შორს იქერს თავს და ავადაც ეკი-
დება; ვერ ხედავ, რომ ხმასაც არ სცემს? ნურათრის იმედი ნუ
გაქვს. უსათუოდ დედოფალი უნდა გენახა.

ზაქარია. ვნახე კიდევ, როგორც იყო, გუშინწინ, როცა ეკლე-
სიიდან მობრძანდებოდა. მოვახსენე ყველაფერი და დამპირდა, ქე-
შიკს გამოვადევენებ, უსტარს ვაახლებ მეფესაო. ერთი სოსლანი ვნა-
ხო, რას იტყვის. (ზაქარია მივა მასთან, მესხი შალვასთან.)

სოსლანი (ღიმილით). რასა იქ ზაქრო! როგორა ხარ? ხომ არ
დაიღალე?

ზაქარია. გაგტეხივარ, სწორედ დავიღალე, ორი ღამე არ დაგ-
ვიძინია, ორი დღე მშიერნი ვართ... მაგრამ ეჰ, ამის ღარდი კი
მაქვს.

სოსლანი. 'მაშ ჩისი?

ზაქარია. იმისა, რომ ჩემი გასჯა საკეთილად კი არ არის,
არამედ იმ უბედურის დასალუბავად: სასიკვდილოდ მოვიყვანე აქ.
შენმა მზემ, რომ რამე ეშველებოდეს, სიცოცხლესაც არ დავიშუ-
რებდი ასეთი ამხანაგისათვის;

სოსლანი. სიცოცხლეს არ დაიშურებდი?! აბა რისთვის? აი
რას გეტყვი, ზაქრო. არც ერთი საქმე, არც ერთი გრძნობა წრეს არ
უნდა გადასცილდეს. ამას გეუბნები შენ, ამხანაგობისა სითამამით.

ზაქარია. მეცა სწორედ ამავე უფლებით მოვახსენებ, არ გეწყინოს კი: არც ერთ საქმეში საშვეალი და ყუნჩი გრძნობა არ უნდა იკადრო, ისეთისადმი მით უმეტეს, ვისთანაც ხშირად პური მივირთმევეია და ძმობა გითქვამს.

სოსლანი. როგორ, ზაქარია, მეფის მუხანათს ამართლებ?

ზაქარია. მუხანათობა არ მიქვია, რომ შვილმა თავის მამას ღვლარკში არ ჩააკიდებოს თავი.

სოსლანი. კარგი, ზაქრო, მაგაზე ჩვენ ნუ ფცამათობთ, ყოველი გარემოება რომ იცოდე, მაშინ სულ სხვას იფიქრებდი.

შალვა (ხმამაღლა). შორიდანაც არ მაკადრებ, სოსლან, მოკითხვას? ნუგეშის ცემასაც ერიდები? ეგ იყო შენი მეგობრობის პირობა?

სოსლანი (ამპარტავნად). მეგობრობაზე, მოყვრობაზე და სისხლნათესაობაზედაც მაღლა დგას მამულისა და მეფის ერთგულება. ამაზე ფიცი მიმიღია და ფიცს არ გავტეხ.

შალვა. ვთქვათ, ფიც-გამტეხი, მოლაღატე თუნდაც ვიყო მე, მაგრამ მომაკედავს შენდობასა უძღვნიან ხოლმე!..

მეც განწირული, წავსდგები რა წინაშე ცისა, ის განიხილავს უალრესად ჩემს სინიღისსა, მაგრამა, თქვენ, თქვენ კი ვერ ბედავთ, ბატონიშვილო, სამარადისო გამოთხოვისას მითხრათ სალამი?!

ახლა ერთიცა იგულისხმეთ სულ საადვილო, რომ მე არა ვარ ფიც-გამტეხი და მოლაღატე!

რომ ჩემს სიცოცხლეს ყოველ ჟამსა მე მასა ვლამი, რაიცა ქვეყნის სამსახურად გულს დავიხატე,

და რომლისაცა სიყვარულში წინ ერთ ნაბიჯსაც ვერ ვუთავაზებ, უკაცრავად, სულ ვერავისა.

რომ აგრე იყოს, მაშინ, სოსლან, რაღას აპირებთ?

როგორა გნებავს, რომ გარეცხო ყარტლი გონების?

(ნაწყენი გაოცება, სოსლანს.)

სად უნდა ჩაკუქნო სინიღისი, როგორა ჰფიქრობ?..

მაგრამ კურდღლისა სინიღისი დამშვიდდების

ადვილად... დიახ, დიახ! ძლიერ ადვილად.

სოსლანი (ხმლის ტარზე ხელს დაიდებს). რა სთქვი? რას კადნიერობ? იცი პასუხს ვერ მოგთხოვ ხელშეკრულსა პატიმარს და ამიტომაც ჰბედავ!

ზ ა ქ ა რ ი ა (აწყნარებს სოსლანს). როგორ გეკადრება! მოშორდი... აბა რასა გავს! მოშორდი. (გაყავს სოსლანი. აწყნარებს შალვას, რომელიც სოსლანს გასვლამდე მიაძახებს.)

შ ა ლ ვ ა. პატიმარი არ ვიყო, მეტსაც რომ გაგიბედავდი, ეს კარგად მოგეხსენება! შე ლაქუტო ამხანაგო! ქალაჩუნა რაინდო!

მ ე ს ხ ი. დაჩუმდი, კაცო, ღმერთი თუ გწამს, რასა ჰყვირი! დაჩუმდი... ლამის მეფე გამობრძანდეს და გაიგონოს.

გ ა ბ რ ი ე ლ ი (შემოდის, ჩუმად გაივლის სცენას და მხედართ, და შალვას მოწყენილი ეტყვის). გაიარეთ ლაშქრის ბანაკთა ბოლომდი და მუნ მაიდანზე დაუცადეთ ჩემს მოსვლას. (გადის. მესხი და შალვა მოეხვევიან ერთმანეთს.)

შ ა ლ ვ ა. მშვიდობით, შოთა! რა გითხრა ძმავ, რა მაქვს სათქმელი!

მხოლოდ ორიოდ სიტყვა მინდა, რომ გიანდერძო:

რაიცა მოხდა, რაც ახლა მჭირს, ესე ყოველი ბრალია ვინმე ჩემი მტერის... საქმეა კერძო! გარწმუნებ, ძმაო, სიკვდილისა მე არ მეშინის, ერთისა მხოლოდ მეშინია, ავისა ენის, რომ ჩემი სვე და უბედობა არ ვის შეეხოს, და სიმშვიდეცა მე სულისა მით არ წამეღოს! ეგებ... ვინმესი... უმანყო და წმინდა სახელი...

შენ გაიგონო, უკადრისად წამოძახილი, მაშინ მოველი მეგობრობას, ძმობას შენგანა,

მ ე ს ხ ი. აბა ამაზე ჩაბარება მჭირია განა?

ვფიცავ ჩემს მზესა, ყელში ჩავცე ბასრი და დანა.

შ ა ლ ვ ა. ასეც ველოდი! გმადლობ შოთა, სხვა რალა გითხრა?

ჩვენებსა ყველას გამოთხოვის უძღვენ სალამი, შეუწოდობ ყველას... მასაც, საფლავი ვინც გამითხარა, და შენდობასა ვითხოვ მეცა... არ ვარ ჰარამი.

არც ვისმეს მტერი!.. ეგებ სულ მთლად არ დამივიწყოთ! და როს ხანდახან დასხდებით რა პურად, ნაღიმად, როცა გალობა და ღიღინი ტკბილი დაიწყოთ, თუ გაგახსენდეთ, წვეთი ღვინო ჩემად არჩივად პურს გადაავლეთ, დაღუპულის სულის საოხად, მშვიდობით შოთა!.. მოკითხვა ყველას!

მ ე ს ხ ი (პირს მიიბრუნებს და ცრემლებს მოიხოცს). ყველანი

გნახვენ; მეცა... მოგყვები. (შალვა გაღის. გაჰყვებიან. სცენა ცარი-
ელი რჩება. შემოდის ნელის ნაბიჯით ჩაფიქრებული დემნა, ხელში
ღვლარქად შეკრული თოკი უჭირავს, მიიხედ-მოიხედავს და ისევ
ჩაფიქრდება.)

დემნა (მარტო). წუთისოფლისა ცხოვრება, წესი,

უნამუსო და უტიფარია,
კაცთ სასოება, თვით უმჯობესი

ცრუი ფარია,
ავი და ჭუჭყი მით იფარება
კეთილი ქვეყნად ვით სიზმარია,
სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება,
როგორც ქარია;

რაც უნდა იყოს კაცი მართალი,
მცნებათა ეპყრას წმინდა ჯვარია,
მასზე იტყვიან მხოლოდ: „საწყალი
რა სახმარია“?!

უხვი, სულგრძელი, სუსტთა მფარველი,
რაც იშვიათად საპოვარია,
ბრბოისა თვალში, ესე ყოველი
წაოხარია!

კაცმა თუნდ დაკლა დედა და მამა,
დარჩა ქონება და მდიდარია...
თუ შეინახა და არ შექამა,
საქებაარია.

ზნეობით მტარვალს, გულქვა, ბოროტსა
სევმან არგუნა ლაშქარ-ჯარია,
სვრის რა სისხლითა სოფლის წალკოტსა,
გასახარია.

აგრე სიცოცხლე უკუღმართობით
გაუგებარი, — საოცარია!
ღვთიური ნიჭი, მაღალი გრძნობით,
ჩვენში კვდარია!

და დედამიწას, სავსეს შევენებით,
დანათის ზეცა პირმცინარია,
და ეს სამოთხე, კაცისა ვნებით,
საზიზღარია!

(სამი უკანასკნელი კუბლეტის დროს მეფე გამოდის კარავიდან და როცა დაინახავს დემნას, ყურს უგდებს მის ლექსს. მეფეს თან ახლავან ჭავჭავიანი, წაქეცელი, ორი მხედარი და სოსლანი. წაქეცელს უჭირავს მეფის მუზარადი და ხმალი. მეფე წაიწვეს დემნასკენ, ვითომ დემნას ყურადღებას არ აქცევს და ჭავჭავიანს ელაპარაკება, დემნა დაინახავს რა მეფეს, გადაიგდებს კისერზე ღვლარქს და იცდის.)

მეფე (ჭავჭავიანს). არ დამავიწყდეს, ლაშქრის მღვდელსა უნდა შევეუთვლო:

ტყვეთ გადუწყლებათ რა სასჯელი, ლოცვად დარეკოსქ
და შეაბრალოს მათი სული ზეცად უფალსა,
დამნაშავეთა ზეციერთა ის განასვენებსქ

ჩვენ ცოდვილნი კი — განცავაგებთ მხოლოდ ქვეყნიურს.

ხამს ვილოცვიდეთ, მოგვიტეოს ჩვენცა ცოდვანი. (ჭდება.

ჭავჭავიანი თავს დაუტრავს მეფეს, მივა მხედართან და მეფის ბრძანებას გადასცემს; მხედარი გადის, მეფე დემნას.)

რას ლაპარაკობ, რასა შვრები, შე საცოდავო?

მარტოკა შენს თავს. რაღაცას ესაუბრები!..

მტარვალს მეძახი და ბოროტსა... მნახე თუ არა,

თოკი მოიბი კისერზედა... აბა რა გიყო

ორგულს, ორპირსა, სუსტსა და ფრთხალს? რა უნდა

გითხრაქ?

დამიჩერე რომ ხმას არ გაგცემდიქ

ჩემს სასახლესა გამყოფებდი, პურსა გაქმევიდი,

მაგრამ ვინ მაცლის! შენს მოკეთეთ მოჰკითხე შენქ

ბედ-იღბალი! შენ მიზეზად აუტეხიხართ,

რომ საქართველო ასვარონ და დაცაამცირონ!

უბედურებასა რა ჰქუა აქეთ და ან როგორი გონიერება...

(პაუზა)

დემნა. მე ვიახელი, ხელმწიფეო, გამოვიპარე,

შენდობასა გთხოვ იმისთვის, რაც არ შემიცოდნია!

მეფე. როგორ თუ არ შეგიცოდნია!.. ცრუობ კიდევ?

დემნა. არა, ბატონო! არასოდეს წინააღმდეგი

თქვენის უფლების მე არ ვყოფილვარ!

მეფე. ერთი უყურეთ... ლაშქრით მომადგა, სამეფოსა კი

მესარჩლება,

და ახლა ამბობს: „წინააღმდეგი თქვენი არ ვარო“!
(თანდათან ღამდება; მცირე ფიქრის შემდეგ ჯავახიანს).

წაიყვით და ჩააბარე: ვბრძანებ დაასაქურისონ!
მისს საკადრისსა უკეთ ვერას ვერ მოვიგონებთ!..
(ჯავახიანი წაიწევა მხედრებით. შემოდინან სარგის მხარგრძელი და გამრეკელი. მხედრებს კი მოყავთ დაკოდილი გაბრიელ ბერი).

ვინ ხართ თქვენა? ველარ გარჩევთ, ღამდება კიდეც!
სო სლანი (მხედრებს). ცეცხლი გააჩაღეთ. (გააჩაღებენ ცეცხლს.)

მხარგრძელი. ჩვენ გახლავართ, ბატონო, გამრეკელი და სარგის მხარგრძელი.

მეფე. რა ამბავია?

სარგისი. (დაჭრილი გახლავთ, ხელმწიფეო)

გაბრიელი (ლაპარაკობს შეწუხებული ჭრილობისაგან). ხელმწიფევი! მე გიახელით უფლისწულის გამოსაყვანად ციხიდან, მაგრამ იქ აღარ დამხვდა, უჩემოდ წამოსულიყო ტყე-ტყედ. მე გამოვედევნე და ამ დროს!.. ვილაც უცნობი დამეტაკა და სიგელი მთხოვა; აბა სიგელს ცოცხალი როგორ დავანებებდი! დამეჭიდა... ხმა გავაბი... მაშინ სატევარი მკრა და ცნობა დამეკარგა!.. ეს ბატონები მომესწრენ. სული შემიბრუნეს და აქით წამომიყვანეს!

მხარგრძელი. სწორედ იმ დროს გიახელით, როცა ვილაც კაცი უბეებს უსინჯავდა. დაგვინახა შორიდან თუ არა, ტყეს მისცა თავი და გაგვექცა, ხელმწიფეო!

მეფე (ბერს). რა სიგელს გთხოვდა? აბა სადაურს?

ბერი. აი იმ სიგელს, ხელმწიფეო, ღღეს რომ მიბოძეთ.

მეფე. ღღეს გიბოძე მე შენ სიგელი? ხომ არ დაგზმანებია?

ბერი. არა, ხელმწიფევი!

მეფე. სადა მნახე? რას ამბობ? (ხმას გამოიცივლის) ფერი უხდება: დასვით, წყალი აპურეთ. (ცოტა ხანს შემდეგ სულს მოიბრუნებს.)

ბერი. არა, ბატონო, თქვენი ხილვა არ მღირსებია.

ორი ღღეა, რაც მაგ საქმესა მე შეევუდექი;

ბატონ მანდატურთუხუცესთან მქონდა ბაასი:

ჩემის გაზრდილის, სეფისძისა დამორჩილება

თვით მე ვიკისრე. ხოლო მისგან თქვენი მონება
არ არს საეჭვო, რადგან აგერა თვითონ მოსულა,
ვიდრე წყალობას, თქვენს წერილსა იქ მიუტანდი!..

მ ე ფ ე. და ის წერილი... ის სიგელი, ვინლა მოგცა შენ?

ბ ე რ ი. თვითონ მანდატურთუხუცესმა, ჭავახიანმა.

მ ე ფ ე (გამწყვრალი). რა ამბავია ეს, ყუბარსან?

ჭ ა ვ ა ხ ი ა ნ ი (ვითომდა არაფერიაო). მართლაც, მეფეო, სიხ-
მარშია, ანუ აბოდებს.

ბ ე რ ი. ეს რაი მესმის... ღმერთო! რას ჰგავს! თქვენ უარსა
ბრძანებთ? თქვენ ამბობთ, რომ ჩემთვის სიგელი არ მოგიციათ?

ჭ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. რას ბოდავ, ბერო, რას ლაქლაქობ? მოდი გონ-
ზედა! ხელმწიფეო, მე მართლაც კი რომ ვესაუბრე. მინდოდა თქვე-
ნი სამსახური და მოვიფიქრე, ეგებ უომრად დაეჯერათ დამორჩილე-
ბა!.. ხოლო რა სიგელს იხსენიებს... ეგ, მე არ ვიცი (ბერი ამოიღებს
წალის ყურიდან ქალაღდსა და უხმოდ წაიშვერს წინ მეფისაკენ.
ჭავახიანი მივარდება, ქალაღდს წააგლეჯს ხელიდან და ცეცხლში
ჩააგდებს.)

ბ ე რ ი. ვაი, ვაი!

მ ე ფ ე. რას შერებბი, შენ, ავაზაკო და უსირცხვილო? საბუთსა
სწევავ?.. უშველეთ ჩქარა! (მივარდებიან, მაგრამ გვიანაა.)

ჭ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. ჩემთვის საბუთი ეგ არ არის, ჩემო ხელმწიფე!

აღბათ რიოში იქნებოდა ესე წერილი;

ვიუკადრისე, მომიტევეთ, რომ ჩემი სიტყვა

ვიღაც ღეტაკ, გაპარსულის ბერის ბოდვასა შეატოლეთ!

მ ე ფ ე. დაჩუმიდი ყბედო: ნუ ლაქლაქობ, თორემ იცოდე

წაგჭრი შხამიანს მაგ შენს ენას! როგორ გაბედე,

რომ ხელთ წარმტაცე წერილი და ცეცხლში დასწვი?

ვისგან მიიღე ეს უფლება, შე ავაზაკო?

ჭ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. ჩემო ხელმწიფე! დღეს შავი დღე. ჩანს,

გამითენდა!

ჩემი ოცი წლის სამსახური და ერთგულება

თქვენ თითონ უწყით; თავის ქება მე რაღად მინდა!

დღეს ერთსა წამში, ეს ნასარჯლი და თქვენი ხლება

და ყველა ჩემმა სასოებამ სულ ჩაიარა.

უცნობის ვისმეს, უგვარტომოს კაცის სიტყვითა

ავაზაკობას მე მწამებთ.

მ ე ფ ე (მრისხანედ). ჩუმათ! ტიტინი კმარა. —
ვერ მომატყუებ მე ადვილად სითამამითა.
შმაგი არ არის ეს კაცი, რომ რიოში სწეროს,
მერე ეცადოს „თქვენიო“ მე დამაჯეროს!
თქვენ ორში ერთი შიშთვილზედა ასაყვანია...
და ვიცი კიდეც, ვინაა ღირსი... დიდი ხანია.

ბ ე რ ი (დაიჩოქებს). მეფევე, ბატონო!
ნება მიბოძეთ მომაკვდავსა, რომ შეგევედროთ.
დე სამართალი ჰყოს ზენამან.

მ ე ფ ე. აბა, როგორ?

ბ ე რ ი. შანთი გაგვიგღონ ჩვენ ორთავეს, რომელიც გასძლებს,
მას შეუხდეთ, ბედი ამართლებს.

მ ე ფ ე. შანთები ჩქარა. (ქონდაქარი მიდის. მეფე მიადახებს.)
მაგრამ ერთიკა კმარა. ამ საბრალოს რალა შანთი უნდა, სული კბი-
ლებით უჭირავს. გაიყვანეთ და მოასვენეთ. (ბერი გაჰყავთ მხედ-
რებს) დემნა! შენც გაჰყევი და მოუარე შენს მოძღვარს. თოკი აიხ-
სენ და მოუცადე ჩემს ბრძანებასა. (დემნა თოკს მოიხსნის, მეფეს
მკლავზე აკოცებს და გადის.) სარანგთა უთხარ (გამრეკელს) თვალი
ადევნონ, კვლავ არ გაიქცეს.

ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ი (მოიხსნის იარაღს და მიწაზე დაყრის).
არა ღირს იგი, საპატიო ამ საჭურველის,
რომელიც ეხლავ სამარცხვინო შანთას მოელის.

მ ე ფ ე. ჰკუასა შვრები, შენით მიხვდი, თორემ აგყრიდენ.
(შემოაქვთ გახურებული შანთი, ბრტყელი რკინა. ჯავახიანი მარ-
ცხენა ხელს წაიშუერს.)

მ ე ფ ე (გამრეკელს). თადეოს, დაითვალე შენ ათი წუთი. (შანთს
დაადებენ ხელისგულზე.)

გ ა მ რ ე კ ე ლ ი (ითვლის). ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი,
შვიდი, რვა, ცხრა და ათი! (ჯავახიანი ამპარტავნად გადაადგდებს
შანთს. სიჩუმე.)

ჯ ა ვ ა ხ ი ა ნ ი. ნებას მიბოძებთ, ხელმწიფეო, აბჯარი დავიბრუ-
ნო?

მ ე ფ ე (დუმბილის შემდეგ). იყოს ნება ღვთისა... მაგრამ თვალ-
ში კი ნუ მეჩხირები. (მხედარნი აძლევენ იარაღს ჯავახიანს და
იგი გადის.)

მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი (შემოდის). ხელმწიფეო! სპასალართა ვაც-

ნობე, ლაშქარი მზად გახლავთ; მე გეახელით ბრძანების მისა-
ლებად.

მე ფე. ძალიან კარგი: მომყევი კარავს, გეგმასა ვითხრობ. (მე-
მოდის ამ დროს შიკრიკი და ცალ მუხლზე დაჩოქილი, მეფეს წე-
რილს მიართმევს.)

შიკრიკი. დედოფლისა, მეფის ასულის წერილი გახლავთ.
(აღგება და უკან დაიწევს.)

მე ფე (კვარს მოართმევენ, წერილს კითხულობს).

მამავ ბატონო! ვფიცავ თქვენ მზეს და წმინდა ჯვარსა,
რომ დამნაშავე მართო მე ვარ იმა საქმეში,
რაცა შესწამეთ უმანკოსა, დღეს პატიმარსა.

ერთჯერ შეგცოდე, მხოლოდ ერთჯერ ჩემს სიცოცხლეში:
ჩაყელსა შალვას მე ვუბრძანე, მე გავაგზავნე!

ჩემის მიზეზით, დემნას, ძმასა ვითა მოვკლავდი?!

ვერ გავუძელი, მომხდარიყო ეგ ცოდვა დიდი,
მაშა დასაჯეთ თქვენი ქალი, ურჩი და მავნე.

რადგან პირადად არ იყო დრო კაცისა ნახვისკ,
შალვასა სამხრე გავუგზავნე, დასაჯერებლად
ჩემის ნებისა, და მეგონა, არად მეზრახვის.

ახლა ყოველი მოგახსენე დაუფარავად,

აწ თუ ღირსი ვარ, ეს სოფელი დამათმენინეთ,

ლეთის სამსახურად, თმა გიშრისა დამაყრევინეთ.

დეე ლაწვნიცა ჩემნი დაკვნენ კომშისა ფერად!

გამზრდელთა ჩემთა ხვედრი იქნეს მოთქმა სიმღერად.

მხოლოდ ისმინეთ თქვენი თამროს ერთი ვედრება:

ჩემის მიზეზით ჩაყელი კი ნუ დაისჯება.

არ უფიქრია მაგ უბედურს და დალუპულსა,

რომ სამსახურზე უარი ეთქმის თქვენსა ასულსა.

ხელზე ამბორით, გვედრებ, კიდევ, მის შენდობასა.

თქვენი ნებისა მონა მორჩილი ასული თამარი.

მე ფე (ცოტა ფიქრის შემდეგ).

გავზავნე ჩქარა, გამრეკელო, ზსწრაფლ შეაჩერონ

დასჯა ჩაყელის და ყმაწვილიც აქა მომგვარონ...

გამრეკელი. მე გეახლები თვითონ, მეფეო, რომ გარდავცე
თქვენი წყალობა. (გადის)

მეფე. წავიდეთ, სარგის (ამ დროს მოისმის ხმაურობა. შემოდინან შოთა მესხი და ზაქარია. ამათ მოყვებიან მხედარნი და შემოყავთ შეკრული ყაითაძე. მეფე შეჩერდება.) ეს რაღა არის?

ზაქარია. ეს კაცი, მეფევე, დარაჯთ შეიპყრეს.

მეფე. რათა?

ზაქარია. სახეს იფარავდა თურმე; ჯამეს ხილზე დარაჯთა უყვილეს. ხმა არ მოსცა და გაქცევა დააპირა.

მესხი. ეს სატევარი ხელში ჰქონდა ამოღებული,

ქარქაში სადღაც დაკარგოდა და ზოსტერიცა;

თვითონ მახვილი სისხლით არის სულ შეღებილი!

მეფე (მხარგრძელს). როგორ ხდება ხოლმე. სარგის, რომ მტერიც დალოდავს ხოლმე ჩვენს ბანაკში. (ჩააჩერდება ყაითაძეს) ეს ბიჭი თითქოს სადღაც მინახავს.

მესხი. დიახ მეფეო, შინაურია; ჯავახიანსა ახლავს. (გამოჩნდება ჯავახიანი.)

მეფე (გადახედავს ჯავახიანს). ჯავახიანსა ახლავს?... და ჯავახიანი კი თითქო მას მალავს.

ჯავახიანი. ჩემო ხელმწიფევე!

მეფე (მწყურალად). ჩუმაღ, თუ თავი გიღირს. (ყაითაძეს) სთქკა, ბიჭო; ერთი, რას ერჩოდი გაბრიელ ბერსა? (სიჩუმე. — ყაითაძე ჯავახიანს შეხედავს) ნურასა ფიქრობ, მართალი სთქვი და ბერსა შეგინდობ, და თუ არ იტყვი, თოკი მზად არი. (სიჩუმე) გაჩუმებულხარ? გაათრიეთ: დილის ცისკარი არ მოესწროს, დაახჩეთ ჩქარა. (მიიწევენ გასაყვანად)

ყაითაძე (დაიჩოქებს). რა ვქნა, ჩემო ხელმწიფევე! ყარიბი ვარ ვიინმე, ოხერი და უპატრონო! ლუკმა პურს დაისდევ მთელ სიცოცხლეში. შემიცოდეთ, თქვენ ფერხთა მტვერს ვენაცვალები — დედისერთა ვარ... ის ვილამ არჩინოს... შემებრალეთ!

მეფე. შეგიბრალებ, ოღონდ თქვი, ბერს რას ერჩოდი?

ყაითაძე. რა ვქნა, ხელმწიფევე, ბრძანება მქონდა.

მეფე. ვისგან ბრძანება? სთქვი, ნურავის ნუ გეშინია.

ყაითაძე. ჩემის მწყალობლის და პატრონისაგან.

მეფე (მხედრებს). გაიყვანეთ. დარჩეს პატიმრად. (გაპყავთ, ჯავახიანს) შენ რას აპირებ, შავო სულო? შენი სასჯელი რა მოვიფიქრო?

ჯავახიანი. შემიძულეთ: ვხედავ არ მაქვს საშველი.

რაც გარდამხდება, ბარემ მოვრჩე და გათავდება.

ხოლო განზასრვა ჩემი ესდენ... არ გეკადრებათ.

მეფე (ძლიერ აფთრად). არ მეკადრება? გაუპეთ თავი მაგ სატანის შვილს. წათსა და თოკს არ შევკადრებ!.. გაუპეთ თავი. (მესხი და ზაქარია იშიშვლებენ ხმალს და მიახტებიან.)

ზაქარია. იფარე თავი, თორემ მკედარი ხარ. (ჯავახიანი იშიშვლებს ხმალს. ამის უმაღლ სოსლანმაც იშიშვლა მახვილი. მივარდება ზაქარიას და ხმალს აუკრავს.)

სოსლანი. ამდენი ერთს რომ შესევიხართ, ეგ რაინდობა არ არის.

ზაქარია (მესხს და სხვებსაც). მითავაზეთ მე.

მეფე (სოსლანს). ჩამოდექ, დავით, შენ ნუ ერევი! (ყველა უკუდგება. ბრძოლა დიდხანს გრძელდება, ბოლოს ჯავახიანი უგრძნობლად დაეცემა ძირს.)

ზაქარია თავის ხმალს მეფის წინ დადებს მიწაზე.

მეფე (ზაქარიას). აილე ხმალი, ბრალი არა გაქვს. (ხმალს აიღებს. ამ დროს მოისმის ზარის რეკა. შემოდის გამრეკელი.)

გამრეკელი. ხელმწიფეო, ველარ მიეუსწარ! აღსრულდა განსჯა ჯაყელისა და ლოცვად დარეკეს. (მეფე მიიბრუნებს პირს აღმოსავლეთისაკენ, დაიჩოქებს ლოცვად, ყველა მის მაგალითს ბაძავს.)

მეფე. მეფეო ზეცათაო! მოგვიტევენ შეცოდებანი ჩვენნი, რამეთუ ვართ ხორციელნი და არა უწყით, რას ვშვრებით. (კიდევ ისმის რეკის ხმა.) .

(ფარდა)

მომავდავნი სურათენი

კომედია ოთხ მოქმედებად

მ ი ბ ა ძ ვ ა

მომხმედენი პირენი:

მ ა რ თ ა მ ა დ ლ ა ძ ი ს ა, ქვრივი, არა ყმაწვილი, მაგრამ ლამაზი. სალომე, დავდარიანთ ქალი, ყმაწვილი, უმანკო და შვენიერი.

ნ ი კ ო ლ ო ზ ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე, 40-ის წლისა, დარბაისელი, კარგი შესახედავი; გავლენის მექონი მაზრის უფროსი.

გ რ ი გ ო ლ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, 35-ის წლისა, მეგობარი ლუარსამიძისა.

ვ ა რ დ ე ნ ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი, ყმაწვილი. კეთილშობილი მთის კაცი.

პ ე ტ რ ე ქ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი, სტუდენტი ბუნებთის მეცნიერებისა. მანუჩარ, ერთგული ბიჭი მართასი.

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ, გოგო მართასი.

მ რ ა ვ ა ლ ი ქ ა ლ ი და კ ა ც ი ს ტ უ მ რ ე ბ ი.

მოქმედება — მაზრის ქალაქში ჩვენს დროს

ტანთ აცვიათ: მართას ევროპიული კაბა, ევროპიულად თავმოხდილია; — სალომეს ძველებურად, ჩაბრასთებით კაბა და გულისპირითა. თავზე ლეჩაქი ახურავს; — ლუარსამიძეს პოლიციის ფორმა; — გრიგოლს ჩოხა პაგონებით, წაღები და კავალერიის შალვარი, ნაბდის ქუდი ახურავს; — ასლანთარელს ყაბარდულის მოდით; — ქონიაშვილს სამოქალაქო ტანისამოსი (სტატსკური).

მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა I

(სცენა წარმოადგენს ქუჩას და ქუჩაზედ გაღმომდგარს ჩაღდაყს ბაღჩიანს ლუარსამიძის ერთ-სართულიანი სახლისას. ჩაღდაყზედ დგანან: გრიგოლ, ლუარსამიძე და ქონიაშვილი. ორნი პირველნი ჰადრაკს თამაშობენ, მესამე უცქერის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა I

გ რ ი გ ო ლ. რა დიდი საქმეა, მომიგო ერთი! ტყუილაც მოგართმევ ივინდ ორს!!

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე. ბატონის-შვილო, ნუ იცი ეგ ტრაბახობამეთქი, ნუ იცი, აჰა, ქიშ! სად წამიხვალ!

გ რ ი გ ო ლ. რაი შერე! არაფერი; მაგიერად ხვალ ხუთს დაგაღებ.

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე — ჰა! ქიშ კიდეც; ნუ იცი ტრაბახობა, ბატონიშვილო! გამოტყდი, აღარ ვარგა.

ქ ო მ ც ო ა შ ვ ი ლ ი. აღარ, სწორედ!

გ რ ი გ ო ლ (ქონიაშვილს). შენ რა იცი, თუ ძმა ხარ! (წამოღგება) ეს არის სამხედრო თამაში: არასფერი ანგარიში ბუზებისა და პეპელებისა ამაში არ შედის! (პაპიროზს უკიდებს.)

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე. ზა! ზა! ზა! ზა! ეს რა გითხრა, პეტრე! შენ არ მომიკვდე, შენს ადგილზედ გავჯავრდებოდი!..

ქ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი (გრიგოლს). არც მომიგია შენთვის განა!..

გ რ ი გ ო ლ. როდის! (ლუარსამიძეს) იფიქრე, შენი ჰირიმე: ერთი — ცხელემა მჭირდა! ვკვდებოდი და ვიწყქი. მოეთრია ჩემსას, ჩამაცივდა... მეთამაშე და მეთამაშეო!.. წარმოიდგინე ერთი, რა ჰადრაკის თავი მექნებოდა! (ყველანი იცინიან.)

ქ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი. ჰო, დიალ, დიალ..

გ რ ი გ ო ლ (საათს დახედავს). უ, უ! დავიღუპე! მშვიდობით, ნახვამდის.

ლუარსამიძე. დაიცადე ბატონის-შვილო, თუ ღმერთი გრწამს, სად მიეჩქარები!

გრიგოლ. საქმე მაქვს ცოტა ოდენ...

ლუარსამიძე. რა საქმე, დალოცვილო! ღამე საქმე ვინ გაიგონა, თუ რომ სიყვარულის საქმე არ არის?!

გრიგოლ. მაშ მე მეტი საქმე რა მექნება!.. სხვა საქმეები ჩემს მოურავს მოჰკითხე... (ხელს აძლევს)

ქონიაშვილი (თვალს უქნევს ლუარსამიძეს გრიგოლზედ). ტრაბახი!..

გრიგოლ. რის ტრაბახი!.. ნეტავი სხვა რამეზედ შემეძლოს ისეთი დამსაწურებელი კვენობა, როგორც ქალების სიყვარულზედ. შენ ეგ დიდ საქმედ მიგაჩნია... გინდა გასწავლო ამის წამალი. არავითარი ღირსება არ უნდა ამას, გარდა ერთისა!

ლუარსამიძე. ესე იგი რა?

გრიგოლ. გამბედაობა!

ლუარსამიძე. ეგ კი მართალია, ეგრე ვსთქვათ... მაგრამ არც ეგ ითქმება, რომ ყოველ ქალთან ეგ საშუალება გადიოდეს...

გრიგოლ. აბა, რადგან ამაზედ მოვიდა ლაპარაკი, ახლა კი მართლაც დამიკვეხნია, დამენაძლევე, რაზედაც გინდა, და მათითე, ვინც ქალი გნებადეს, ორი ღლის ვადა მომეცი, რომ ჩემი თავი შევაყვარო!

ლუარსამიძე. ბატონი ბრძანდები, დაგენაძლევები, რაზედაც გნებავს!..

გრიგოლ. მობრძანდით.

ლუარსამიძე. აჰა, ბატონო, რა მოგართვა, თუ მაჯობე?

გრიგოლ. ჯერ შენ მითხარი, რას მომთხოვ, თუ წავაგე?

ლუარსამიძე. მე!... ჰმ!.. (დაფიქრდება) აბა, მოგახსენებ: თუ მოგიგო, შენი ოქროსფერი ყარაბაზული მომეცი!..

გრიგოლ. ჩემი ყარან-გაოზი! ვაჰ, შენ ჩემო თავო! რაღა გაეწყობა, ბატონი ხარ. შენ კი რასა, თუ მოგიგე?

ლუარსამიძე. რა გნებავს, მიბრძანე; რასაკვირველია ისეუთი რამ, რომ შემეძლოს!

გრიგოლ. რა აზრში მოგდის, ისეთი მოგთხოვო, რაც არ შეგიძლია... (დაფიქრდება) არ ვიცი, აგრე მალე ვერ მომიფიქრნია!.. შენი გაფხეკილი სერთუკის მეტი რა გაქვს, რომ გამოგართვა!.. (ზო-

გადი სიცილი). კარგი, ვიფიქრებ, მასუკან გეტყვი... არ დაგალარი ბებ, ნუ გეშინია!.. ახლა კი მივდივარ (ქულს ეძებს).

ქონიაშვილი. ვა! თავი საქმე რომ არ გითქვამთ, ქალი უნდა დანიშნოთ განა?!..

გრიგოლ. ჰო, დასტურ.

ლუარსამიძე. რა დანიშვნა უნდა: ეს ადვილია, შორს არ გაგაგზავნი!.. დამინიშნავს: პირველი ქალი, ვინც ამ ქუჩაზედ გაივლის.

გრიგოლ. თანახმა!

ლუარსამიძე. სიტყვა?

გრიგოლ. სიტყვა!

ლუარსამიძე. გარდა გოგოსი. რასაკვირველია, ვინმე გოგო თუ გაივლის, ადვილი საქმეა!..

გრიგოლ. გოგო რა დასათვლელია. (ნიჭლავის ხელს აძლევენ ერთმანეთს.) გახსენი, პეტრე!

ლუარსამიძე. სტუდენტი კი გულში გვლანძღავს, რა ტუტუცები არიანო, რომ ქალებზედ აგრე სჯიანო!

ქონიაშვილი. (ხელს უხსნის). არა! მე ამნაირებს!... очень радикально смотрю! Ничего... это физиологический вопрос... присущий всякому животному!..

გრიგოლ. გაგვლანძღა, შენი მტერი გალანძღულა! (სიცილი)

ქონიაშვილი. Но... при этом., რასაკვირველია რომ, დანა არაა!.. А просто предложить... так... десятка угодно! Ну... если согласны, греха нет!..

გრიგოლ. აი, შენ ქონია, ქონია! რა გრძელი ენა გქონია!

ლუარსამიძე. ჩუ! რალაც ქალების ხმები მოისმის! (ყველანი ყურს უგდებენ)

გ ა მ ო ს ვ ლ ა II

გამოდიან ქუჩაზედ მართა და სალომე; ნულა მოსეირნობენ, ხან ცოტა შეჩერდებიან და მობაასობენ.

ლუარსამიძე (სიცილით გრიგოლს ანიშნებს შორიდან, მომავალს ქალებს). ვინ არიან? ერთი მართაა... (ღიმილით) ხომ იცნობ?..

გრიგოლ (დაცინებით). შენ კი ვერა, განა?!. ეს მეორე ვინ-

ლაა, კაცო?.. მზეთუნახავი მშვენიერებაა და კიდევ აღარსად წავალ აწი!! შენმა სიცოცხლემ, მართა სამაგალითო რამ არის!!

ლუარსამიძე. ვხედავ, ბატონო, აწი რა ვქნა?

გრიგოლ. რას ჰქვია, რა ვქნა! ღმერთმა ნურასფერი ნუ გაქნევინოს; ოღონდ ეს მითხარი... ვინ არის, მისი ჳირიმე?..

ლუარსამიძე. ეს გახლავს დავდარიანის ქალი, ძლიერ კარგად და უმანკოდ შენახული აქნამდის მთაში; საწყალობელი კარგი რამ არის მართლა! ეხლა ჩამოვიდა და ცდილობს უშველოს რამე მის მოხუცს მამას, რომელიც ორი წელიწადია მას აქეთ, რაც დატუსაღებულია და იღრჩობა საწყალი ბერი-კაცი!..

გრიგოლ. ოხ, საწყალი! რას ერჩიან?

ლუარსამიძე. ვინ იცის, ამას ვინ მიხვდება და ან ვინ გეტყვის!! რალაც წინააღმდეგობაო, რალაც დანოსები, ვინ იცის... რალაცა... ჳორები! (მართა და სალომე მოახლოვდებიან.)

გრიგოლ (ჩქარა). მაშ ეგ იყოს!!!

ლუარსამიძე. ეგ იყოს, მარა წააგებ!!

გრიგოლ. ვნახოთ!

ლუარსამიძე. ქალ-ბატონებს ჩვენი უმდაბლესი პატივისცემა!

მართა. როგორღაც უმდაბლეს პატივისცემას არ ჳგავს ჩალდაყიდამ ძახილი; ჩამობრძანდეთ და მოგვეგებოთ, უკეთესი ჳრდილობა იქნება განა!!

გრიგოლ. ვა, ჩვენს დღეს, ნიკოლოზ, დავბერდით მე და შენ! (ჩაირბენს კიბეზედ და მიეგებება, ლუარსამიძეც და ქონიაშილიც უკან მისდევენ. გრიგოლ მართას ხელზედ აკოცებს.)

მართა. გრიგოლ, ჩვენს მშვენიერს სტუმარს, დავდარიანის ქალს არ იცნობ?

გრიგოლ. არ მაქვს სიამოვნება!..

მართა. სალომე, გენაცვალე, ნება მომეცი გაგაცნო გრიგოლ ბატონისშილი, ვიზედაც მე და შენ ამ დილას ვლაპარაკობდით.

გრიგოლ (თავის დაკვრით). რა შემთხვევას მივაწერო ეგ ბედნიერება რომ ჩემი სახელი მოგგონებიათ?

მართა. თუ კი აგრე ბედნიერებათ მიგაჩნია შენი მოგონება ჩვენგან, პირობას დავსდებთ, რომ დღეში თითო საათი შენზედ ვილაპარაკოთ, ერთს საქმეში თუ შეგვეწვი.

გრიგოლ. მიბრძანეთ, მზად ვარ, რაც უემიძლია.

მ ა რ თ ა. შემდეგ გეტყვი. (დამსხდარნი, დაწყნარებით). აგრე ჰალიჰალათ არ ითქმება! არა, სალომე?

ს ა ლ ო მ ე. დიად, ბატონო (მოწყენილი სახით).

მ ა რ თ ა. ეხლა კი ნახვამდის, ჩვენ ცოტა ხნით სასეირნოთ გაუ მოვედით. მშვენიერი საღამოა!..

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე. სად მიბრძანდებით, ბატონო! გვეციოთ პატივი და ჩემს ლარებ ჩაიზედ მეწვით!

მ ა რ თ ა. ეგ კი ხუმრობა აღარ არი!.. ა?.. როგორ იტყვი, სალომე?..

ს ა ლ ო მ ე. როგორც თქვენ ინებებთ, გენაცვალე!..

მ ა რ თ ა. მაშ, აგრე იყოს, მაღლობით მიგვიღია თქვენი დაპაუტიეება; ამ რიგათ საღამო უფრო მალე გაივლის... უჰ, ღმერთო, ვკვდები მოწყენილობით!.. გაკვირვებული ვარ, როგორ ვძლებთ ჩვენ აქ მცხოვრებნი... მთელი დღე ისე გადის, რომ კაცმა არ იცის, რა უნდა ქნას!.. (სახლისაკენ მოდიან) შენ არ მოდიხარ... გრიგოლ?

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე. ბატონის-შვილს არ სცალია. საღლაც წასვლას აპირებს (იციინის).

გ რ ი გ ო ლ. გადაგიხდი მაგ ხუმრობას, ნიკოლოზ!.. (მართას) გიახლები ეხლავ... (ყველანი შედიან ოთახში. გრიგოლ მარტოკა ბაღჩაში თავის-თავს.) აბა... ახლა ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ გარემოებანი და დავინახოთ ბრძოლის რუკა... (დაფიქრდება) ჰგავს, მაგ ქალს აქვს რაღაცა საქმე ჩემთან. უთუოდ მამა-მისის თაობაზე... მაგრამ მე რაღა მოხელე ვარ ამაში! ჰა... ჰა... ჰა... მიეხვდი! ჰგავს, მართა ეტყოდა, რომ მე კარგი გაწყობილი ვარ გუბერნატორთან და შემწეობა რამ შემიძლია!.. კარგი, ძალიან კარგი... ასრე!.. ეხლა როგორ სჯობს!.. (დაფიქრდება) ქრთამი მოვითხოვო პირდაპირ?!.. ეგ არ ვარგა... ნაუღირი მარილზედ არ მოდის!.. მაშ როგორ? (დაფიქრდება) ჰმ... ხო!.. დიად!.. სწორეთ (შუბლზედ თითს დაიდებს) ოჰ!.. ოჰ!.. ევაზ, თავო საბრალო!... ცუდი დრო რომ არ შეგხვდროდა, ბევრს რამეც შეიძლებდი!.. ეხლა... ხმალი გალესილია, გავიდეთ ბრძოლის ველზედა!.. (შედის სახლში.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა III

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (გამოივლის ქუჩაზედ და მოადგება ბაღჩას). მგონი აქ უნდა იყოს აქაური ბატონის მოსახლობა; თუ არ

დამალორა იმ ბიჭმა, პირდაპირ გაიარეთ ქუჩაზედაო და მიადგებიო პატარა ბაღჩიან სახლსაო (მიიხედ-მოიხედავს, აივანზედ გამოლიან მართა და გრიგოლ მკლავ-გაყრილი).

მ ა რ თ ა (ასლანთარელს). ოჰ! ვარდენ, ჩვენ დაგვეძებ?..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (თავს დაუკრავს). არა, ბატონო, მე არ მცოდნია, თუ თქვენ აქ იყავით; მე გიახელი ნაჩაღნიკის სანახავად.

მ ა რ თ ა. რაიმე საქმისათვის, თუ ისე ტყუილათ?

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. საქმისათვის, ბატონო!

მ ა რ თ ა. საქმისათვის კი, ვგონებ, ეხლა არ არის დრო!

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. მოგესხენებათ, მე აჭაური დროის წესები არ ვიცი და ამის მიზეზითაც. ამ დილას, როცა გავიცანი თქვენსას ვკითხე მას თვითონ და დამინიშნა დღეს საღამოს... (ამ უკანასკნელი სიტყვებით გაიელის და შედის სახლში.)

გ რ ი გ ო ლ. რა კაცია?

მ ა რ თ ა. არ ვიცი, შენ ნუ მომიკვდე, ვილაც ოსი, თუ სვანია, — ჭკვევაზედაც ეტყობა! (გამოლიან ბაღში.)

გ რ ი გ ო ლ. შენ საიდან იცნობ?

მ ა რ თ ა. ამ პატარა სალომეს ჩამოჰყვება თან და ამბობენ, ვითომც მისი საქმრო უნდა იყოს!!!

გ რ ი გ ო ლ. საქმრო, სხვა ხომ არაფერი?..

მ ა რ თ ა. შენ უბედურო! ერთმა წმინდა აზრმა გაიაროს შენს გულში, რა იქნება!!.

გ რ ი გ ო ლ. შენი გული კი აიაზმის წყლითაა გაბანილი მუდამ განა?..

მ ა რ თ ა. ამისათვის იყო, რომ გამომიხმე?

გ რ ი გ ო ლ. არა, საქმე მაქვს შენთან არა სახუმრო!

მ ა რ თ ა. უიმე! გულს ნულარ მიხეთქ, გეთაყვანე!!!

გ რ ი გ ო ლ. ვფიქრობ, მადლობელი დამირჩები!..

მ ა რ თ ა. ჩემი ორივე ყური შენია.

გ რ ი გ ო ლ. აბა მოდი და დავსხდეთ ამ სკამზედ. (სხდებიან)

მ ა რ თ ა. ვიცი, რაც იქნება! გინდა გითხრა?.. რამე სიყვარულის ამბავს გამანდობ უთუოდ... (მასხრობით.) იცი, გრიგოლ, რომ ისეთი ქალისათვის, რომელსაც ჭერ კიდევ თავი მოსწონს, დიდი აგდებაა, როცა ყმაწვილი კაცი გაანდობს თავის სიყვარულს სხვა ქალსად-მი...

გ რ ი გ ო ლ. როგორ ღმერთი გამიწყობდა; სხვაზედ როგორ ვილაპარაკებდი, შენ არ გინდივარ თვარა!

მ ა რ თ ა (შესტკერის). ოხ! რა საძაგელი რაზე ხარ!..

გ რ ი გ ო ლ (სიცილით ხელზედ ჰკოცნის). ეხლა კი ყური დამიგდე, შენ ნუ მომიკვდები, ხუმრობა არ არის!.. გაგონდება უთუოდ, ერთი თვეა მას აქეთ, რომ მეც დიდათ ამიგლე და გამანდე შენი კავშირი ნიკოლოზთან!..

მ ა რ თ ა (დაფიქრებულად). როგორ არა, მახსოვს ძალიან კარგათ!.. მახსოვს, რომ ეთხოვე როგორც ძმას და მეგობარს, იხმარო შენი გავლენა ლუარსაწინაპრებთან და გაკანონიერდეს, ღირსად ჩემდა და მისდა, ეს უზღვეური ჩემი მდგომარეობა, რომელიც მტანჯავს და დღე და ღამ არ მასვენებს!.. ნუ უკვე, მე არ ვიყო ღირსი მისი ცოლობისა იწინათვის, რომ მე ის შემიყვარდა და შევცდი! მე მგონია, პატიოსანის აღმინანისათვის ეს შეძთხვევა კიდევ უფრო უნდა იყოს დაფასებული, რომ მე მიუხედელად დიდის ჩემის უპირატესობისა, გვაროვნებითა და მდგომარეობითაც, შევიყვარე ჩემზე უმცირესი კაცი!

გ რ ი გ ო ლ. ამის თქმა მინდოდა მეც... ხომ მომანდევინე მე ეგ საქმე?

მ ა რ თ ა. გთხოვე ყოვლის ჩემის შეძლებით.

გ რ ი გ ო ლ. ხომ კი?.. საქმე გათავებულია!..

მ ა რ თ ა. კარგი, გენაცვა... ნუ მასხრობ!..

გ რ ი გ ო ლ. გაგონილა ქალო, ამგვარებით მასხარობა!..

მ ა რ თ ა. აბა, როგორ, შენი ჭირიმე?.. მიაშბე ერთი!

გ რ ი გ ო ლ. სულ უბრალოთ... აი როგორ: ნიკოლოზს ამას წინეთ ცოტაოდენ შევაგონე ეგ საქმე, თუმცა პირდაპირ არ მილაპარაკენია, მაგრამ შევატყვე, რომ მიხვდა და უარზედ არ იყო მიმართული!.. ეხლა კი ერთ საგანზედა ვართ დანაძლევებული მე და ის, და პირობა მომცა შეასრულოს, რაც მოვსთხოვო; ნიკოლოზს შენც კარგათ იცნობ, რომ სიტყვის შემცვლელი არ არის!

მ ა რ თ ა. არა, სწორეთ... კაცმა სთქვას!

გ რ ი გ ო ლ. და რომც იფიქროს სიტყვის შეცვლა, ვაი მის დღეს, თუ გამაგულისა! ეგ ანდევ ჩემს კაცობას! ამასაც ადვილად მიხვდები შენ, რომ ამ საქმეზედ უკეთესს ვერას მოვსთხოვ!..

მ ა რ თ ა. ხო, რა მერე?

გ რ ი გ ო ლ. ხო და... რაღა, გათავებულია!

მ ა რ თ ა. მოიგე ნაძლევი?

გ რ ი გ ო ლ. ჯერ არა... მაგრამ მოგების იჰვი არ უნდა მქონდეს, რადგან ეს შენზედაა დამოკიდებული!

მ ა რ თ ა. აღარაფერი აღარ მესმის!..

გ რ ი გ ო ლ. ორის სიტყვით აღიხსნი: მე ვარ დანაძლევებული ნეკოლოზთან, რომ ხვალინდელ ღამეს მე გავატარებ... შენს მშვენიერს სალომესთან!..

მ ა რ თ ა (შეკრთომით). ჩემს სახლში?!

გ რ ი გ ო ლ. ეგ კიდევ უკეთესი... მე არ ვიცოდი, თუ შენსას ჩამოხტა... მაგრამ, ჰვავს, ღმერთი გვეხმარება... შენ ვეხმარება, თორემ ჩემთვის სულ ერთია!..

მ ა რ თ ა. ოხ! გრიგოლ, გრიგოლ!.. იფიქრე ერთი, რას მეუბნები და რა რიგ ქრთამს მთხოვ ნაცვლად... იმ კაცობრივის პატიოსნის შეწვევისა, რომელსაც მპირდები!..

გ რ ი გ ო ლ (წამოდგება). ყოველს მოქმედებას შეიძლება მრავალი სახელი დავარქვათ... გინდ ქრთამი დაუძახე, გინდ სხვა რამე!.. შენ ამას კარგად იგარძნობ, რომ მე, იმ ქალის სიყვარულით არ ვკვდები... პირველი ნახვაა ჩემგან... მხოლოდ მე მსურს ეს შემთხვევა მოვიხმარო შენდა სასარგებლოდ... ესლა კი... როგორც გენებოს!.. (სახლისაკენ მიეშურება და ჩალდაყიდამ). შემთხვევას ნუ გაუშვებ! დამიჯერე მე!.. იფიქრე კარგა, გონიერი ქალი ხარ (შედის ოთახში).

მ ა რ თ ა (მარტო). ჰმ... ჰმ... ჰმ... გონიერი ქალი ხარო... (ამოხენეშით) არ ვიცი... მგონი მთლად სულელი არ უნდა ვიყო და ვეცდები ეგ დაგიმტკიცო!.. ოოო!.. აგრე, განა, ბატონის-შვილო!.. აბა შე ვიცი და შენ... ვნახოთ ვინ აჯობებს!.. (გამოდიან ასლანთარელი და სალომე და ლაპარაკობენ, ისე მივლენ მართასთან.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV

ასლანთარელი და სალომე.

ასლანთარელი. ჰვავს, რომ ძნელია ამ ქვეყანაში რამესი რიგიანად გამოკვლევა!.. საღამოს მოდიო. დამიბარა... მოვედი დე თითონ კი ჭადრაკს თამაშობს იმ მოქალაქესთან!.. ბოლო აღარ მიეცა!

მ ა რ თ ა. მე კი გითხარით, მაგრამ არ დამიჯერეთ; საქმეზე ლაპარაკი დღით უნდა; სჯობს ხვალამდის გადავდეთ...
182

ასლანთარელი. ასე ვიფიქრე მეც, ბატონო; აწი რაღა დროა, მეათე საათია! სოფლად ჩვენში მქონდა გაგონილი, თანამედრობის კაცებმა „ზავთრა, ზავთრა“ იციანო, მაგრამ არ მჯეროდა...

მართა. უკაცრავად ზომ არ ვიქნები გკითხოთ, თუ ამ ჩვენს საზოგადო საზრუნველის სალომეს საქმეზე გინდათ მოლაპარაკება?

ასლანთარელი. დიად, ბატონო, აბა მეტი რა საქმე მექნებოდა?

მართა. მაშ ამაზედ მე დაგარწმუნებთ, რომ ლუარსამიძე დიდი თანამგრძობია ჩვენი, თუ კი რაზე გაუვიდა!

სალომე. თქვენი ჭირიმი! თქვენ თუ რასმეს მიშველით, თვარა მეტი ვინ მყავს ამ უცნობ ხალხში!.. თქვენს სახლში მიმიღეთ, როგორც და, მომეფერეთ... ესეც თქვენგან ისეთი კეთილობაა, რომლის მოლოდინებსაც მე ვერ გავებდავდი... რადგან... თქვენ რას მიცნობდით მე!... ჩემისთანა შორებელი ნათესავები ბევრი გყავთ! თუ კი რასმეს უშველით ჩემს საცოდავს მოხუცს მამას... იმის გარდახდა ჩვენ როგორ შეგვიძლია, მარა ღმერთი დაგიმადლებს და ჩვენც გემსახურებით!.. (ატირდება და თვალს იხრის).

მართა (მოფერებით, ხელს ჩამოართმევს). კარგი, გენაცვალე, ნუ ტირი, ნუ იწუხებ თავს... საქმე და ტირილი როგორ შეიძლება!.. პირ-იქით, ეხლა უნდა გამოიჩინო ღონე და მამაცობა... (გვერდით დაისვამს) ხომ წაგიკითხავს „ვეფხისტყაოსანი“: „განა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია“! (ასლანთარელს). ყმაწვილო, შენ რატომ რასმეს არ ეტყვი? დღეს მთელი დღე სულ ასე შეწუხებე ბული!..

ასლანთარელი. რა ვქნა, ბატონო! რა ვსთქვა!.. ეს ცრემლები იმდენზე ღირსეულია, რომ ენა არ მიბრუნდება დავუშალო. (გამოდის ქონიაშვილი),

გ ა მ ო ს ვ ლ ა V

იგინივე და ქონიაშვილი.

ქონიაშვილი. საოცრად ცხელა ოთახში... თქვენ კი კარგად ატარებთ, ბატონებო, სალამოს. გარეთ ზიხართ!..

მართა. მეტად თქვენი მტერი ნუ იყოს... (ანიშნებს სალომეზე) ნახეთ რა შეწუხებულა!..

ქონიაშვილი (სალომეს). რა ამბავია, რასთვის ბატონო? სალომე. არასფერი, ბატონო!.. რაღაც ლაპარაკს მოვეყვით!..

მართა. სულ ისევ თავის საქმეზე, საბრალო! (მიიწვევს მკერდზედ, გარდახვევს ხელს და შუბლზედ აკოცებს.)

ქონიაშვილი. Да... ეს რასაკვირველია! очень понятно! მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველს მწუხარებას განსხვავება არა აქვს!.. Например, გამო... გამოხატულია... или, არ ვიცი, როგორ ვსთქვა. Исследовано, что нет горя, заслуживающего отчаяния или незаслуживающего отчаяния, а то зависит от степени развития и впечатлительности выражающего печаль субъекта! Так, например, ребенок, у которого отняли кусок сласти, в такой же степени страдает, как взрослый, отца которого посадили в тюрьму!.. При этом нужно сказать, что привязанность родительская есть явление привычки; если бы ваш батюшка, находясь в таком же положении... вы бы его никогда не видали, т. е. не помнили бы его... Вы бы вовсе не обеспокоились за него!..

სალომე. რაღაც დიდი ამბავი კი ბრძანეთ, ბატონო, მარა მე რუსული არ მესმის... რა ვქნა!.. (მართა გადაბრუნდება და იცინის.)

ქონიაშვილი. ახ, რუსული არ გესმით?!

ასლანთარელი. რა გამოდის მერე ამ თქვენი მოთხრობისაგან?.. ჩემის ჰაზრით ეს უნდა გამოდიოდეს ქართულად, რომ ადამიანს მეორე ადამიანი უყვარს, როცა იცნობსო, და თუ თავის დღეში არ უნახავს, არც ეყვარებაო. ამას დიდი განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს!..

ქონიაშვილი (ცოტა გაჯავრებით). нет, თქვენ ვერ გაიგებთ... ასრე!.. Как можно мысль облекать в дикое выражение...

ასლანთარელი. მე მგონია, რომ ველური გრძნობა ისევ ველურადვე გამოითქვას სჯობია; ღამე მშვიდობის, ბატონებო!.. (თავს უკრავს და გადის.)

ქონიაშვილი. მე ის მიხდოდა... Как сказать... წარმომედგინა, რომ თქვენი შეწუხება... Печаль не выражает необычайного явления... არ არის იმისთანა რამ, რომელიც... (გათავებას არ აცლის ლუარსამიძის ხმა.)

იგინიე და ლუარსამიძე,

ლუარსამიძე (ჩაღდაყიდამ). მობრძანდით, ბატონებო, ჩაი-
მორთვით!

მართა. მობრძანდით ერთი, ნიკოლოზ, სიტყვა მაქვს თქვენთან.
(ამათ) თქვენ შედით, ჩენც ეხლავ მოვალთ (შედიან ოთახში).

ლუარსამიძე (შოვა მართასთან და დაუჯდება გვერდით),
რა ამბავია?!

მართა. არაფერი დიდი, ნუ გეშინია!

ლუარსამიძე. მაინცა?...

მართა. ერთი რამ უნდა გთხოვო...!

ლუარსამიძე. რაც კი შეიძლება... უარს არ გეტყვი, კარ-
გად იცი!..

მართა. არა... მე რამე ჩემთვის გთხოვო. ეს არ იფიქრო; მე
აწი რალა მჭირია ცხოვრებაში.. (ამოიხვნეშება) ჩემი დრო წარ-
სულა!..

ლუარსამიძე. მაშ რა?

მართა. ეგ საბრალო ყმაწვილი ქალი არ გეცოდება?

ლუარსამიძე. შენ ნუ მომიკვლები, რაც კი ჩემგან შესაძ-
ლებელია, ცდას არ დაეაკლებ!..

მართა. ასე დავარწმუნე მეც, მარა... საბრალო, სანამ რამე
პასუხს მიიღებდეს, მადლია მამა-მისი ვაჩვენოთ როგორმე.

ლუარსამიძე. ეგ რა რიგად შეიძლება!.. საიდუმლო დილეგ-
შია ჩასმული!

მართა. ეგ კი... მაგრამ შენ თუ მოინდომე!..

ლუარსამიძე. მე რა ხელი მაქვს საპყრობილეში?

მართა. შენი ძმა ხომ ზედამხედველია... და ერთი სიტყვა რომ
მისწერო, მეტი არ უნდა!..

ლუარსამიძე. ეგ როგორ შეიძლება!..

მართა. შენი ჭირიმე, ნიკო-ჯან! (მიიხედ-მოიხედავს და მას
უკან ეფერება) შენ კი გენაცვალე, ამის უარს ნუ მეტყვი...!

ლუარსამიძე. ეს კი, ბატონო, მარა... აღკრძალულია, და ვინ-
მემ რომ შეიტყოს, კანონის შებღალავად დაითვლება!.. ამას გარდაც,

რა ზნეობითი დარწმუნება მაქვს, რომ ეს მათი შეყრა რაიმე მიზანს არ მიაღწევს, სამართლის წინააღმდეგს?..

მართა. ამას მე დაგარწმუნებ...

ლუარსამიძე. რითი?

მართა. სინდისს და პატიოსნებას გეფიცები! ეს ქალი იმდენზე უმანკო და პირდაპირია, რომ არ შეიძლება რამე ეშმაკობა ჰქონდეს გულში!..

ლუარსამიძე. შენ ამაში სწორეთ დარწმუნებული ხარ და არ სცდები?

მართა. როგორც მე შენ დანას არ გკრავ და შენს სისხლს არ შევესვამ!..

ლუარსამიძე. ეს კარგი, ქალო, მაგრამ... ციხეში როცა შევა... ყოველი კაცი მიხვდება და მაგას ყველანი იცნობენ, რომ მამის სანახავად მოსულა, — იმ მამის, რომლის ნახვა ალკრძალულია! დღეებია შენ თითონ იფიქრე, რა გამოდის მანდელამ?..

მართა. უი, ღმერთო მომკალ! რა ბრყვი რამ გგონივარ!.. განა შეადღეზე შევა?

ლუარსამიძე. აბა, მაშ როგორ?

მართა. როგორ და ღამე!.. ღამით მივა... ნახავს, გულს გაუმრთილებს, ნუგეშს მისცემს... ალიონზე წამოვა შინ!..

ლუარსამიძე. ღამე?

მართა. ხო, აბა!..

ლუარსამიძე. ხო... ღამით!.. (დაფიქრდება). როდის უნდა მოხდეს ეგ?

მართა. როდის და... ამ კვირაში; ეგ სულ ერთია. მე გამოგირჩევ კარგ დროს!..

ლუარსამიძე. (ცალკე): კარგი ხუმრობა არ იქნება, თუ ხვალ ღამ გაგზავნა და ნაძლევი მომაგები!..

მართა. რა თქვი?

ლუარსამიძე. არაფერი... რა კეთილი ხარ, რომ სხვებზე მაგრე ზრუნავ-მეთქი! (მართა თავის-თავად ცალკე გაიღიმებს, ლუარსამიძეც ცალკე.)

მართა. მაშ, შენ შემოგველე... დასწერ ბარათს?..

ლუარსამიძე. ბატონი ხარ... მაგრამ... მართა, ხომ იცი, რომ ეგ სახუმრო საქმე არ არის!

მართა. დედა!.. ამაზედ ლაპარაკი რა საჭიროა!..

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე . ჰო, და!.. მე ჩემს ძმას მივსწერ, რომ მე ვარ პასუხის მგებელი და მე ვიქნები მისი მოლაღატე, თუ რამ ცუდი გამოვიდეს ამისაგან!.. ხომ ხედავ, რა უნდა ვიკისრო მაგაში...

მ ა რ თ ა . ყოველივე ჩემს კისერზედ იყოს და მე მენდევი ერთხელ მაინც!

გ ა მ ო ს ვ ლ ა VII

გრიგოლ გამოდის ჩაღდაუზედ,

გ რ ი გ ო ლ . გაცივდა, ბატონო, ჩაი და კიდევაც თენდება!..
(ლუარსამიძე და მართა ადგებიან.)

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე (მართას). მაშ კარგი. ხვალ გაახლებთ!..

მ ა რ თ ა . უსათუოდ!

გ რ ი გ ო ლ (ამათ). უნდა გითხრათ, რომ იმ ოთახში პეტრე ქონიაშვილი არ მომჭდომოდა გვერდით, ისე გაძლება არ შემეძლო!! (იციინიან). არ მინახავს ჩემს დღეში მაგნიირი წებო!!.. რომ არ იქნა მოცილება!!.. (იციინიან და შედიან ოთახში.)

(ფარდა)

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა II

სცენა წარმოადგენს სასტუმრო ოთახს მართას სახლში; მარჯვნივ, მარცხნივ და პირდაპირაც კარები, — ამ უკანასკნელის კარის იქით-აქეთ ფანჯრებია. მარცხნივ მართას ოთახი, — მარჯვნივ — სალონისი. მართას ოთახის კარის გვერდით კიდევე ერთი პატარა კარია, რომელშიც არ არის მსუელელობა. სასტუმრო ძლიერ სუფთად არის შორთული: ხალიჩებით, ფარდაებით და სხვა მებელით; სცენის მარჯვნივ დგას პატარა ქალის საწერი სტოლი; ამის ახლოს დგას სავარძელი. ზედ ზის მართა და თავზედ ადგია ვარდისახარ და აბრეშუმს შლიან ხელზედ.

გ ა მ ო ს ვ ლ ა I

მართა და ვარდისახარ.

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ . მე რასაც ქალბატონი მიბრძანებს, მისს ბრძანებას როგორ გადავსცილდები.

მ ა რ თ ა . არა... ბრძანებას ჟვარი სწერია!.. ამნაირ საქმეებშიც

ბრძანება როგორ შეიძლება... მე მხოლოდ შემიძლია გირჩიო, თუ ჩემს აზრს მკითხავ... და შენ როგორც გული გეუბნება, ისე ჰქენი!.. შენ თითონ მიახებ, რომ გყვარებია ვიღაც ყმაწვილი ღიაკონი!.. მოგალორა შენმა ღიაკონმა და დაგადლო... ახლა ბედი გიგზავნის ამისთანა ღიდი კაცის შვილს... მოსწონხარ, ამისი ეჭვი შენც არ გაქვს... შენ თითონ არ ამბობ, ისე არ შეუძლია ჩემს გვერდით გაიაროსო, რომ არ მიჩქმიტოსო და კოცნა არ მომინდომოსო!

ვარდისახარ. არა, სწორეთ, ბატონო! არ შეიძლება ჩემს სიახლოვეს გაიაროს და რამე არ მიეშმაცოს! ხალხში არა! როცა ვინმე უყურებს, მაშინ ღიდი-კაცურად უჭირავს თავი... მარა როცა მარტო დარჩება... რაებს მოიგონებს და იხუმრებს... ენით არ ითქმება!! წყალობასაც მაძლევს ხანდის-ხან... ხან ხუთ მანეთს, ხან სამს... როგორც შეხვდება!!

მართა. ხო და, შენ ავაშენა ღმერთმა; ამაზედ უკეთ რა რიგად დაგიმოწმოს, რომ ღიდად გეტრფის!! რას უწუნებ... გიწყალობებს... თავის დროზედ გაგათხოვებს! მე შენ გეტყვი და მის თავადობას არ იკადრებ!!

ვარდისახარ (იკლავება და განზედ სიცილით). მშვენიერია, ბატონო!

მართა. ხომ კი!.. აბა მაშ, ეხლა დაჯექი ამ სტოლთან, აიღე ქალღი და დასწერე, რაც გითხრა. (ვარდისახარ მოემზადება საწერად; მართა თავისთვის) გამოგვადგა ღიაკონი! (უკარანახებს) „ბატონის შვილო გრიგოლ! თქვენი სურვილი ვსცანი, და თუმც მე ღღემდი ასე იაფად არ მიმაჩნდა ჩემი თავი, რომელსაც არ მეგონა თუ ასე ადვილად შევსწირავდი რასმეს, მაგრამ... რა გაეწყობა... ადამიანი თავის ბედის პატრონი არ არის!.. მე ყოველისფრად მზად ვარ, რასაც მართა მიბრძანებს“, — კარგი... ეხლა თუ გინდა ხელი მოაწერე, მარა, მგონია, არ არის საჭირო! კაცების ამბავი არ იცი!.. დაგდებს სადმე და ქვეყანა წაიკითხავს... თუ კი ხელ-მოწერილი არ არის, ვინ მიხვდება, ვისი ნაწერია!..

ვარდისახარ. ღიად, შენი ჰირიმე, სწორედ მართალს ბრძანებთ.

მართა. ეხლა ეს ბარათი მე მომეცი და შენ კი აი რა უნდა ჰქნა, კარგად ყური უგდე ჩემს დარიგებას: შენ ამაღამ ამ ოთახში დარჩი, სალომე სადაც ბრძანდება; ამაღამ ეს ოთახი ცარიელია, რადგან სალომე მიდის ერთი მეგობარი ქალის სანახავად... და... იქ

მოვა, ვისაც მოელი... ოღონდ ლაპარაკი არ დაიწყო... არ გაგიწყ-
რეს ღმერთი... და თითონაც თუ მოინდომა ლაპარაკი, ნუ დაანე-
ბებ... სსსუ-თქო, პირზე ხელი დააფარე... ჰფიქრობდეს უნდა მუ-
დამ, რომ ახლო-მახლო გამამქლავნებელი რამეა... და უნდა ეშინო-
დეს... და შენც ვითომ დიდათ გეშინია!! დამიჯერე, მე კაცის ამბავი
კარგა ვიცი! რამდენსაც დაბრკოლებას გრძნობს, იმდენად უფრო
შეუწყვარდები!! სანთელი არ აანთო იცოდდე, არას გზით!.. ვინ იცის,
ათასი ვინმე გაივლის, სანთელს დაინახვენ და რას არ იყბედებენ. —
გაიგე სულ ყოველისფერი, რაც ვითხარი?

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ. როგორ არა, ბატონო, ყოველისფერი!..

მ ა რ თ ა. აბა წადი ეხლა და სალომეს სთხოვე მობრძანდეს!
(გოგო მიდის) აბა... არაფერი არ დაგავიწყდეს იცოდდე, რაც და-
გარიგე.

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ. არა, ბატონო, ზეპირად ვიცი სულ. (შედის
ოთახში)

მ ა რ თ ა (მარტოკა, ამოხვეწვით). ღმერთო ჩემო! ადამიანე
თურმე მაშინ მოისვენებს, როცა კუბოში ჩაქედენ!.. რო-
ცა აღარ რჩება გაგება არაფერი სიამოვნებისა. ღმერთს ბევრი
კარგი მოუცია ქვეყანაზე და არ ვაფასებთ!... არა ვართ კმაყო-
ფილნი... სულ რაღაც კიდევ გვინდა!.. ასეა ეს ოხერი სოფელი, რა
ვუყოთ! (სალომე შემოდის)

გ ა მ ო ს ვ ლ ა II

იგინივე და სალომე.

მ ა რ თ ა. სალომე, გენაცვა, მოდი ერთი — მე და შენ ჯერ კიდევ
სალაპარაკო რამეები გვაქვს, — გრიგოლ ბატონიშვილი დაბარებული
გვეყავს... ამ ნახევარს საათში აქ გაჩნდება... და... უნდა მოვემზადოთ,
რა ვუთხრათ!..

ს ა ლ ო მ ე. რა უნდა ვსთქვა, თქვენი ჰირიმი!.. მე რის მოფიქრე-
ბა შემიძლია! და რა ვიცი, როგორ უნდა ლაპარაკი და თხოვნა! ჩემი
უბედურება და გაჭირვება ყოველივე მოგეხსენება... და როგორც
თქვენ მირჩევთ და რა გზაზედაც დამაყენებთ, მე ისე მოვიქცევი!..

მ ა რ თ ა (ხმა-შეპარულად). მაშ მე მაძლევ ვექილობას?.. ვინ-
და... ჯერ მე მოველაპარაკო გრიგოლს ყოველისფრის თაობაზე,

განუვმარტო... ვსთხოვო შენ მაგიერად? შემდეგ შენ გამოხვალ... და ეტყვი მხოლოდ ორიოდ ზრდილობიან სიტყვას... რომ მე დაგაიპედე მაზედ... და დარწმუნებული ხარ... შენს იმედში არ შესცდები... და სხვანი! გსურს ასე?

სალომე. დიაღ, შენი ჭირიმე, ძალიან კარგია!

მართა. დიაღ, მგონი, ასე სჯობდეს!.. ამ საშუალებით ხეეწნის და ვედრების უსიამოვნებას აგაცილებ, რადგან მე გარდავსცემ შენს თხოვნას! აბა ეხლა დაჯექ და დასწერე ორი სიტყვა გრიგოლთან... რომ მე მომიანდევი შენს მაგიერ მასთან ლაპარაკი. (სალომე სწერს, მართა გამოართმევს, ვარდისახარ შემოდის)

ვარდისახარ. გრიგოლ ბატონიშვილია...!

მართა. სთხოვე მობრძანდეს. (გოგო გადის; მართა სალომეს). აბა ახლა ჩვენ მარტო დაგვტოვე... მას უკან დაგიბარებ!.. (სალომე შედის თავის ოთახში, მართა ხევეს სალომეს წერილს, გრიგოლ შემოდის)

გ ა მ ო ს ვ ლ ა III

მართა და გრიგოლ.

გრიგოლ (მართას ხელზედ ჰკოცნის). თაყვანს გცემ, ჩემო მშვენიერების ღმერთო, განუწყვეტლათ ჩემთან ერთად შესხმულო შეგობარო!..

მართა. უიმე!—ღმერთმა დამიცვას, გენაცვალე!!

გრიგოლ. რაი? უარს ჰყოფ ჩემს მეგობრობას?!

მართა. მეგობრობას უარს არ ვჰყოფ... და კიდევ იმედი მაქვს დაგიმტკიცო... და ერთად შესხმულობის კი რა მოვახსენო!!

გრიგოლ. სულითად-მეთქი!.. ფიქრით-მეთქი!.. მიხვდი?! შენ ხშირად მარხულობ, მაგრამ ჰაზრი კი მუდამ ხორციელი გაქვს!.. სხვა, რა ჰქენი?..

მართა. რისა?

გრიგოლ. ჩვენი გუშინდელი ბაასი. როგორ გადასწყვიტე? (მართა პასუხის მაგიერ სახეზედ დაუკვირდება და განგებ დაგვიანებულად აძლევს ხელში ვარდისახარის წიგნს; გრიგოლ სიამოვნების ღიმილით კითხულობს) ჰო!.. კარგი!.. ჩინებული! ძალიან კარგი... მეტი რაღა მინდა! (მართას) მაშ როდის?...

მ ა რ თ ა. ამაღამ, პირველ საათზე ნაშუაღამევს, როცა სანთლები გამქრალი იქნება... მაგრამ...

გ რ ი გ ო ლ. მავრამ?

მ ა რ თ ა. ერთის პირობით, რომელშიაც მე უნდა დამარწმუნო პატიოსანის სიტყვით!

გ რ ი გ ო ლ. ეგ ხომ დაგპირდი და გათავებულა! როდის იყო, გრიგოლ თავის პირობას არ ასრულებდა?..

მ ა რ თ ა. არა, შენ რომ ჭფიქრობ, ის არ არის!..

გ რ ი გ ო ლ. აბა რაღაა კიდევ?!

მ ა რ თ ა. ის საქმე უნდა გაურიგო, რაზედაც მოსულა!.. ეგ არის თავი და ბოლო; მაგ ქალს ამ საქმისათვის შეუწირავს თავი... თოკ რემ შენი სიყვარულით კი არ გიყდება!.. შეიძლება მოსწონდე. — დიად!

გ რ ი გ ო ლ. საქმეს... ვეცდები, რაც შეიძლება!;

მ ა რ თ ა. არა, გრიგოლ, ამნაირი ლაპარაკი ჩემთან არ გავა... ხომ იცი! ეგ სხვებისთვის შეინახე! შენ მითხარი ან ჰო, ან არა!

გ რ ი გ ო ლ. შენ ნუ მომიყვდები, ვეცდები... ძალიან.

მ ა რ თ ა. არაფერს ღონისძიებას არ დაშურავ?

გ რ ი გ ო ლ. არაფერს ღონისძიებას? ეგ ბევრია! საპყრობილეს დავეცეში და გავტეხ-მეთქი, ამას ვერ დაგპირდები, თუმცა ესეც ერთი საშუალებაა, მაგრამ... და ისე... მოქალაქურის მოქმედობით ძლიერ მოვიწოდებ!..

მ ა რ თ ა. პატიოსანი სიტყვა?..

გ რ ი გ ო ლ. პატიოსანი სიტყვა!

მ ა რ თ ა. ყაბული მაქვს! ეხლა!.. ხომ კმაყოფილი ხარ სრული?

გ რ ი გ ო ლ. სრული... და არ ვიცი, როგორ დავიმადლო!

მ ა რ თ ა. თუ შენი გული სავსეა მადლობით, კი მიხედები, როგორ უნდა გარდახდა!..

გ რ ი გ ო ლ. განვიმეორებ ჩემს კითხვას, როდის იყო გრიგოლი პირობას არ ასრულებდა?!

მ ა რ თ ა (ამოიხენეშებს). ხა!.. ხა!.. ხა...

გ რ ი გ ო ლ. რა არის?.. მგონი არ გჯერა?..

მ ა რ თ ა. რატომ! არა გენაცვალე!.. ისე... ტყუილათ ამოვიხენე-შე... რაღაც მომაგონდა! (მივა საწერ სტოლთან, გააღებს კოლოფს და ამოიღებს ერთს კლიტეს, რომელსაც აჩვენებს გრიგოლს.)

გ რ ი გ ო ლ. ეს რაღაა?

მართა. ეს, მგონი, თქვენთვის დიდი საჭირო უნდა იყოს!..

გრიგოლ. ა... ა... ა?..

მართა. დიად... ეს არის ამ პატარა კარის გასაღები, რომელიც გადის პირდაპირ უკანა კიბეზედ, და უამისოდ ნაშუალამევს ამ სახლში... ვერ შემობრძანდები!

გრიგოლ (თავის-თავს). ო-ო! ეხლა კი გამძაგრა!.. (მობრუნდება მართასთან და ხმა-შეპარვით, ღიმილით). აწი... მერე... გინდა ეს კლიტე მიბოძო?..

მართა. რასაკვირველია. თქვენთვის ამოვიღე!..

გრიგოლ (ამოხენეშით). იშ, ლაზათიანი ფეშქეშია!

მართა. სამწუხაროდ ჩემდა... საფეშქეშო... არ გახლავს!

გრიგოლ. მაშ?

მართა. გასაყიდია!..

გრიგოლ. ეჰ... და... ფასი მისი... შეიძლება შევცტოთ?

მართა. არ არის ძვირი!

გრიგოლ. მაინც?

მართა. ერთი... უბრალო... პატარა ბარათი, რომელშიაც თქვენს მოგებულს ნაძლევს მოსთხოვთ წამგებს და, რადგან ასე მალე ვერ მოგართმევს... მოსთხოვთ მას ამავ წერილში, რომ ხვალ სალამოს, აქ ჩემსას, რამდენიმე მეგობართ ყრილობის შუა დასდვას პირობა, დამნიშნოს და დასდვას დრო, როდის დაიწერს ჩემზე ჯვარს.

გრიგოლ. ეს თხოვნა კი არა, ბრძანება გამოდის!

მართა. მე მსურს ეს შემთხვევა მოვიხმარო შენდა სასარგებლოდ და ეხლა... როგორც გენებოს!.. შენთვის, ხომ ჩემთვის ერკთია... (მეორე ოთახისკენ მიდის და კარებიდამ). იფიქრე კარგად, დამიჯერე მე... ჭკუიანი კაცი ხარ!.. (შედის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა IV

გრიგოლ მარტო.

გრიგოლ (მარტო). გამაჰამპულა... გამამასხარა!... მე რომ გუშინ ვუთხარი, იგივე სიტყვები ეხლა მე მითხრა!.. რალა გაეწყობა! მივწერო უნდა!.. მარა, როგორღაც თამაშობაში და ნაძლევში ამ ნაირი საქმის გარევა კი ახირებულა!.. რა ვუყოთ მერე!.. მე კი შევატყვე... ლუარსამიძეს უყვარს მართა!... და თუ არაფერი

გამოვიდა, რა ვუყოთ ეხლა... თავი მიატეხონ ერთმანეთს!!.. (დაჯდება წერილის საწერად.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა V

გრიგოლ და ვარდისახარ,

ვარდისახარ (შემოირბენს და ჩურჩულით). ბატონო!... ბატონო!..

გრიგოლ. აა!.. (მოიხედავს). შენ ხარ, ჩემო ლამაზო ვარლო!.. (ხვევს ხელს და კოცნის ლოყაზედ).

ვარდისახარ. ბატონო!.. წიგნი მიიღე?!

გრიგოლ (ყურს არ უგდებს, ჰკოცნის) წიგნი!.. რა წიგნი!.. კი... როგორ არა!!.. მპ!.. მპ!.. (ჰკოცნის; შემოდის მართა, გოგო იკივლებს და უკან დაიხევა.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა VI

ივინივე და მართა.

მართა. ოო!.. უკაცრავად, კარგს შექცევაში იყავი და დაგიშალეს! (გოგოს თითს უქნევს, გასვლას ანიშნებს; გოგო გადის, გრიგოლს). რა ჰქენი, დასწერე წიგნი?..

გრიგოლ. არა ჯერ.

მართა. არ აპირებ დაწერას?

გრიგოლ. ა, ბატონო, მზათა ვარ!.. მხოლოდ... როდის აპირებ ამ წეროლს გაგზავნას?..

მართა. ხვალ!.. შემდეგ მისა, როცა შენ ამაღამ აქედამ ბედნიერი გახვალ (გრიგოლ ჯდება საწერად). მაშ მე არ დაგიშლი წერას. (აპირებს გასვლას)

გრიგოლ. სალომეს არ მაჩვენებ?..

მართა. რატომ, თუ კი ვერ ითმენ დროდის... მარა ერთის პირობით... უზრდელად არ მოიქვე... ან მოხვევნა არ მოინდომო, ან რამე უკადრისი არ უთხრა!.. მორცხვია და შეწუხდება!.. რა გაჭირდა, მოითმინო!!...

გრიგოლ. არა, არა, პირობას გაძლევ; მინდა რამეები გამოეკითხო მისს საქმეზე!! (მართა გადის ვარდისახარისკენ)

გრიგოლ (მარტო, წერას დაიწყებს, შემდეგ გაჩერდება და
13. გ. შარვაშიძე

მოაგონდება). დასტურ... რა იყო, იმ გოგომ რომ სთქვა!.. წიგნი მიიღეო? რა იცის მაგან წიგნის საქმე!.. ეგება ქე იცის!.. მართასი დიდი მეთათბირეა!! (ჩაღუნავს თავს საწერად, მაგრამ ისევ შეჩერდება), რამე ცუდი ეშმაკობა არ იყოს ამაში!.. გამოვკითხო გოგოს?;. მარა მართა იქ შევიდა!.. (ამოიღებს ბარათს და დახედავს) რანაირი დაჯღაბნილია! სწორედ სოფლის ქალის ნაწერია!.. ვითომ; რას ვიწუხებ თავს, აგერ თითონ სალომე რომ გამოვა... შევიტყობ!.. ან რა ფიქრში მომდის!!.. როცა მივალ, ხომ დავინახავ ცრუობას. ასეა კაცი!.. როცა მთელს სიცოცხლეში ერთს მართალს ვერ გაიგონებს, ყოველიანფერზედ ექვს აიღებს!! (თავს დაუშვებს და სწერს ორიოდე წამს).

ბ ა მ ო ს ვ ლ ა VII

გამოდინ მართა და სალომე და მოდიან გრიგოლთან.

გ რ ი გ ო ლ (ათავეებს წერას, ხმამაღლა). „შენი უერთგულესი გრიგოლ, რომელსაც წრფელის გულით სურს შენი ბედნიერება“!.. (დაინახავს სალომეს და მართას; სალომეს ღრმად თავს დაუკრავს, ბარათს დაწერილს მისცემს მართას). აბა თუ მოგეწონოს! (მართა კითხულობს; მიუახლოვდება სალომეს).

მ ა რ თ ა (თავისთვის). ეხლა თუ არ დავიღუპე, მერე არაფერი მიკვირს!!

გ რ ი გ ო ლ (სალომეს). თქვენი... წერილი... გადმომცა მართამ, ბატონო!!

ს ა ლ ო მ ე. დიად, ბატონო, მე პირდაპირ ლაპარაკს ამ საგანზე... ვიწიწვი თქვენთან... და ესთხოვე მართას, რომელიც უთუოდ გადმოგცემდათ ყოველს ჩემს სიტყვას და ჩემს თხოვნას!

მ ა რ თ ა (თავისთვის). ძალიან კარგი... მშვენიერი!

გ რ ი გ ო ლ (თავისთვის). აღარაფერი ეჭვი აღარ შეიძლება!! (სალომეს). რაც შეეხება თქვენს თხოვნას, ვფიქრობ, სრული დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ცდას არ დავაკლებ, მარა ნება მიბოძეთ ერთი რამ გკითხოთ: რატომ თქვენ იკისრეთ ეგ მძიმე სასჯელი საქმის თაობაზედ მზრუნველობისა? თუმცა მე ერთობ დაჯილდოვებული ვარ ამ შემთხვევით, რომელმაც მომცა ლხენა თქვენის გაცნობისა. განა, ვინმე ვაჟს თქვენის გვარისას არ შეეძლო მიეღო თავის

თავზე?.. ბოდიშს ვიხდი კიდეც, რომ ეს ბაასი გაგიმართეთ, მარა... ჭერჯერობით საზოგადოებაში კაცს უფრო გავლენა აქვს საქმისათვის!..

ს ა ლ ო მ ე. მესმის, ბატონო, კარგად, რასაც ბრძანებ, მაგრამ, საუბედუროდ ჩემდა, ჩვენს ოჯახში არც კაცი და არც ქალი ჩემს გარდა არავინ დარჩენილა!!.. დედა ჩემი... მე არც კი მახსოვს!.. მამას ვყავდით ორი შვილი; მე და ჩემი უბედური ძმა — ბექირ!.. სანართლიანმა უფალმა, მიკვირს, რად არ ინება, — სანაცვლოდ და მსხვერპლად ჩემის ძმისა, შეეწირა ჩემი თავი!! (ცრემლები მოადგეუ ბა, ერთს წუთს დადუმდება და ისევ განაგრძობს) მამა ჩემი რომ დიკირეს შარშან, სამი თვის შემდეგ ჩემი ძმა ბექირ მოჰკლეს ჩხუბში!.. და მე დავრჩი მარტოკა ობოლი და უბედური!!.. (მართა შეწუხებუ ლად შეიკმუხნება.)

გ რ ი გ ო ლ (თავისთავის, მართლა შეწუხებულად). საცოდავი ქალი!.. (სალომეს) რა ჩხუბში მოჰკლეს თქვენი ძმა?..

ს ა ლ ო მ ე. მეზობლურს ჩხუბში, ბატონო!.. მთიულებმა ჯოგგ გაგვირეკეს... გამოუდგა იმათ, მოეწია, და მოგეხსენებათ, ატყდა ჩხუბი და მოჰკლეს!!..

გ რ ი გ ო ლ. ერთი უკანასკნელი კითხვა კიდეც. გაგონილი მაინც გექნებათ, რის თაობაზეა მამა თქვენი დაჭერილი!..

ს ა ლ ო მ ე. ბიძა ჩემი მტრობდა, ბატონო, ბიძა ჩემი გახლდათ და ახლაც გახლავს გავლენიანი კაცი პართებლობასთან, მარა მიუხედელად მისა, რომ ის დაჯილდოებული და კარგი გავლენიანი იყო, ხალხს მაინც არ უყვარდა და ხალხში უფრო პატივი და სახელი ჰქონდა მამა ჩემს, რადგან ეს უფროსი ძმა იყო... ჩვენში კიდეც უფროს-უმცროსობას დიდს მნიშვნელობას აძლევენ, თორემ... სხვაუფერ მე იმას რათ ვიტყვი, რომ მამა ჩემი რამეში სჯობდა მისს ძმას!! ამას ჭავრობდა ბიძა ჩემი... და ბარე ორჯელაც დაგვეცა თავზედ თავის კაცებით... დიდი ჩხუბი მოხდა... დიდი ამბავი... მარა, როცა ამით არაფერი გაუვიდა, მართებლობას შეასმინა მამა ჩემი, რომ სანდო კაცი არ არისო და დააჭირვინა!!.

გ რ ი გ ო ლ. ეს ამბავი სწორედ აგრეა, თუ გაგიგონიათ, რომ ასე ამბობენ?

ს ა ლ ო მ ე. გაგონებით და ჰორით მე ჩემს მკვიდრს ბიძაზედ, რომელსაც გაჭირვების დღეს მამის ადგილი უნდა ექიროს, ამრიგ საუბარს არ ვიკადრებდი... ეხლაც იმისთვის მხოლოდ მოგახსენეთ,

რომ მკითხეთ და ვიფიქრე საქმისათვის საჭიროა-მეთქი ამის გამკლავ-
ნება. — არა, ბატონო, რაც მოგახსენე, ნამდვილია, თვით უფროსმა
წარუდგინა მამა ჩემს ის შემსმენი ქალაღდი, რომლის მიზეზითაც
ლაიკირეს, და ეგ ამბავი თვით მამა ჩვენმა მოგვწერა!..

გ რ ი გ ო ლ. გმადლობთ... ეხლა ვიცი ყოველივე, რასაც საჭიროდ
ვრაცხდი — ეხლა კი ჩემს სახლში გაიხლები და დავწერ არზას გუ-
ბერნატორის სახელზედ, რომელსაც გაახლებ ეხლავ; გთხოვთ ხელი
მოაწეროთ და დამიბრუნოთ,

მ ა რ თ ა (ორ-აზროვნად შეხედავს გრიგოლს). გრიგოლ, არზა-
ზე ხელისმოწერა ხვალამდი დარჩეს, არა სჯობს?..

გ რ ი გ ო ლ (ცოტას დაფიქრდება). სწორეთ სჯობია! დიალ! ერთი
ფრანგული ანდაზა იტყვის: „ღამე კარგი მრჩეველია“.

მ ა რ თ ა (თავისთვის). მადლობა ღმერთს!

გ რ ი გ ო ლ (სამახსოვრო წიგნაკს ამოიღებს უბიღამ, ჰკითხავს
სალომეს და ჩასწერს). აბა, ეხლა მიბრძანეთ დაწვრილებით მამი-
თქვენის ღირსება, სახელი მისი და მამის მისის და გვაროვნობა მა-
თი!..

ს ა ლ ო მ ე. თავადი და ბატონი ქველთა და მთათ-შავთა, სო-
ლომონ გიორგის ძე დავდარიანთ-როქსანიძე!..

გ რ ი გ ო ლ (სწერს და ჩაიღებს ჯიბეში). არზას მაინც მოვამზა-
დებინებ!! (ქუდს აიღებს) მაშ ნახვამდის, ბატონებო!! (სალომეს
ჩახედავს სახეში) არ გეთხოვებით!! (ქალები თავს უკვრენ; გადის.
გასვლის დროს მართა კარებთან გასაღებს აძლევს.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა VIII

შემოდის ვარდისახარ, ხელში პაკეტი უკავია.

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ. ეს პაკეტი, ბატონო. ნაჩაღნიკმა გაახლოთ
(მართა გამოართმევს და ხსნის).

მ ა რ თ ა. აქ არის მომტანი?

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ. დიალ, ბატონო!

მ ა რ თ ა. უთხარი, მადლობა მოახსენოს. (გოგო გადის. მართა
ადგება და მიუახლოვდება სალომეს; სალომეც წამოდგება) ერთი
საქმე ვიფიქრე, სალომე. შენთვის და, მგონია, გაგიხარდება... შენმა
ცრემლებმა და მწუხარებამ იმდენზე დამიმონა, რომ ვიპოვე საშუა-

ლება — სანამდისაც რაიმე პასუხს არ მივიღებდეთ საქმის თაობაზე, — ნახო მაინც შენი საბრალო მამა, და იმედი მაინც მოჰკვარო!!.

ს ა ლ ო მ ე (ალტაცებით). ოჰ! შენ ხარ ღვთისაგან მოვლენილი ჩემი იმედი... ჩემი და და ჭირისუფალი!

მ ა რ თ ა. ერთი საქნეა მხოლოდ ძნელი ამაში; როგორც უნდა დამარწმუნო, რომ არავითარს ცოცხალს ადამიანს არ ეცოდინება, თუ შენ ამაღამ აქ არ იქნები და მამა შენს ნახავი!!.

ს ა ლ ო მ ე. რა რიგად დაგარწმუნო მე უბედურმა!! გეფიცები იმ ზონუცის თავს, როსელზედაც ვსასოებ!! გეფიცები წოგონებას ჩემის ერთის ძმისას... გეფიცები პატროსნებას და ღნერთს!!.

მ ა რ თ ა. კმარა! მოენზადე... ბევრი დრო აღარ რჩება... შუალამისას დარეკს თუ არა და, გახვალ აქედამ შალ-მოფარებული, კაცმა არ გიცნოს ისე!.. მე გაახლებ სანდო ბიჭს, რომელიც მიგიყვანს ციხის ზედამხედველის კარებთან!.. დარეკ რა, გაგიღებენ; ეს ქალაღი შეუგზავნე უფროსს, რომლის საშუალებით ნახავ მამას; დარჩები იქ ცისკრანდის და წამოხვალ ისევე იღუმალ; ბიჭი მოგიცდის ქუჩაში (სალონე ალტაცებით მივიარდება. ხელზე ჰკოცნის; მართა ვარჯხვევს ხელს და შუბლზედ აკოცებს, შემოდის გოგო).

ვ ა რ დ ი ს ა ხ ა რ. ბატონო, ვარდენ ასლანთარელი გეახლათ!

მ ა რ თ ა. აგრე გვიან რა ამბავია?... სთხოვე (გოგო გადის). აბა, მე თქვენ დაგტოვებთ; თქვენ მარტოკა უკეთ შეეჭყევით! გახსოვს ხომ სალომე! (ტუჩზე ხელს დაიდებს.) ერთი სიტყვა არ წამოგცდეს!! ნახევარი საათის მეტი დრო არა გვაქვს! (გადის ოთახში)

გ ა მ ო ს ვ ლ ა IX

ასლანთარელი და სალომე. შემოდის ასლანთარელი ნელის ნაბიჯით, მოწყენილის სახით; სალომე მიუშვერს ორივე ხელებს, ჩამოართმევს და მოისევამს გვერდით.

ს ა ლ ო მ ე. ოხ, ნეტავ იცოდე! რა დღე გავატარე დღეს... და რა რიგათ- დაქანცული ვარ!.. შენ აგრე გვიან! რა ამბავია?..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. შეიძლება მოსვენება გინდოდა... უდროვოთ შემექნა მოსელა!!.

ს ა ლ ო მ ე. შენ განა მიშლი მოსვენებას? როცა შენ ჩემთან ხარ, მაშინ ჰკუა და გული დასვენებული მაქვს!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. სალომე, მე მოსალაპარაკებლად მოვედი...

და რაც-ოდენ ჩემი რჩევა წინააღმდეგი დარჩეს შენის გულის ხმისა, მაინც უნდა გითხრა, რომ რამდენიც მე თითონ არ ვებრძოლე ამ ჩემს უსაფუძვლო გრძნობას, მე მაინც მოველი ამ დასკვნაზედ და გირჩევ, მივანდოთ ეგ საქმე ბედსა და შემთხვევას... და ჩვენ კი დავებრუნდეთ შინისაკენ!..

ს ა ლ ო მ ე (შეშინებულად). რას ამბობ?... რატომ? რა... მიზეზია ამისთანა უეცარის გარდაწყვეტილებისა?!

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. არ ვიცი, სალომე.. მიზეზს ნუ მკითხავ, რადგან არც მე ვაძლევ ჩემს თავს ამ გრძნობის განმარტებასა, მარა რა რომ აქ ჩამოველით, პირველ დღიდანვე რაღაც სიმძიმე მა-
წევს გულზედ! რაღაც შინაგანი მიხდომილება მეუბნება, რომ ჩვენისთანა ადამიანები აქ ვერას გაარიგებენ!!.. აქ თითქოს ყველანაირად მარადისეულს ზნეობითს ბრძოლაში; თითქო ხალხი ბევრია და ადგილი არ ყოფნისთ!.. აქაური კაცების სიტყვაში ისმის მუდამ მეორე ხმა... დაფარული, ორ-აზრიანი და ორ-პირი!.. თითქო სიცრუე არის მხოლოდ ერთი და იარაღი, რომლის ხმარებისათვის კანონი არა სჯის, და ამ იარაღს ხმარობენ თავის დასაცველად!!.. აქაურს სიტყვას არა აქვს ძალა სიმართლისა! აქაური ჰაერი მიმძიმს... მტვერი მახ-
რჩობს!.. არა, წავიდეთ, გვედრები... წავიდეთ!..

ს ა ლ ო მ ე. არ ვიცი, ვარდენ, რა გიპასუხო!.. დამშთენიხარ შენ ერთი და ჰირისუფლად, ერთი და... ძმად ჯერ, და მომავალში — ღვთის წინაშე მეუღლედ!!.. შენი რჩევა ჩემთვის ბრძანება უნდა იყოს და შენი გრძნობა საერთო ჩემთვის; განა... განსაჯე კიდევ კარგად, ვაი თუ... ორთავეს ყმაწვილობა მოგვერიოს!.. დავემონოთ უსაფუძვლო რამ გრძნობას და დავტიოთ... დავარღვიოთ ყველა ჩვენი იმედები... მაშინ, როდესაც ეხლა მე მაქვს უფრო საფუძველი რწმუნებისა და ნუგეშისა!!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. რისი რწმუნება?... ნახე მაინც ვინმე? რა შეიტყვე და რას გპირდებიან?..

ს ა ლ ო მ ე. ეს-ეს არის აქედამ გავიდა გრიგოლ ბატონიშვილი!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (მიაძახებს). გრიგოლ!!! (ხმა დამშვიდებით) ა... ა... ა... სალომე! შენ არ იცი, ვისთან იჭერ საქმეს!.. გრიგოლ ბატონიშვილი ბილწი და გარყვნილი კაცია; მე არ ვიცნობ, მაგრამ მისივე ხალხი მას უნდა იცნობდეს კარგათ და ხალხში

სახელ-გატეხილია!.. „ხმა ქვეყნისა, ხმა მართლისაო“, იტყვიან!.. რაც უნდა იყოს... შენი იმედი თუ მხოლოდ მაგაზედ არის დამყარებული... მე არ მემატება ნუგეში!

ს ა ლ ო მ ე. ვნახოთ რა მოხდეს, ვარდენ. ამ ორს დღეში! გრიგოლ ბატონიშვილი არზის დაწერას შემპირდა ლუბერნატორთან და ამ არზის პასუხს მაინც გამოიტანს, გინდ სიტყვიერად... ეს ისეთი მცირე რამ დავალებაა, რომელიც არასფერს კაცს არ უნდა უმძიმდეს! და ამაში დარწმუნებული ვარ, არ მომატყუებს (ისმის საათის რეკა, რომელიც სცემს 12 საათს. სალომე უნებლიეთ, უცებ წამოხტება ზეზე).

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (გაკვირვებით). რა არის! რა აზრია?!.

ს ა ლ ო მ ე (აშფოთებული). არა... არაფერი!! ისე!!.. გამახსენდა, რომ... ამაღამ თავის დაბანას ვაპირებდი!!.

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. აწი, რაი მერე?...

ს ა ლ ო მ ე. არაფერი... შენ რომ აქ იყავი... უნდა წავიდეს-მეთქი, ვიფიქრე... და... შევწუხდი!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. რარიგად ლაპარაკობ, სალომე! ამნაირკ უცხო სიტყვები შენგან ჩემს ყურს არ სმენია... თუ კი გსურს, მე აქედამ გავიდე... რათ არ მეუბნები პირდაპირ, რა მიზეზისათვის გინდა მარტოკა დარჩე?!..

ს ა ლ ო მ ე (ხელებს თვალებზედ მიიფარებს). არ შემძლია!!.

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. არ შეგიძლია მითხრა, რისთვის გინდა მართო დარჩე?!.

ს ა ლ ო მ ე. არა, ნუ მკითხავ!

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (ცოტა ფიქრის შემდეგ). ვერც შემდეგ მეტყვი?

ს ა ლ ო მ ე. შემდეგ კი... ოდესმე, როცა მექნება უფლება! (თითებს იტებს) ღმერთო! ნეტავი იცოდე, რარიგათ ვწუხვარ, რომ შენთან საიდუმლო უნდა მქონდეს!! ვარდენ, მენდვე ღვთის წინაშე!.. მეტს ვერას გეტყვი!!.

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ წამოდგება და ხმაშეკავებულად). ხიფათი რამ უნდა იყოს ამაღამ ამ სახლში, და თუ ოდესმე ვიყავი ანუ ვიქნებოდი შენთვის საჭირო... მგონი, ის უამი ეხლა მოღწეულია! მომცემდე უფლებას — კი შევი-

ტყობდი, რა ამბავია! (ხმა დაშვებით.) მარა, რადგან შენი ნება სწვა რიჯრა და გნებავს ჩემგან ეს მსხვერპლი, რომ დაგტოვო მარტოდ, რაცოდენ მიძიმდეს მე ამისი მორჩილება მაინც... ვიცნობ რა შენს გონიერებას და ხასიათის სიმტკიცეს, გტოვებ... (სალომე თვალებზედ ხელს მიიფარებს; ასლანთარელი დაგვიანებულად თავს უკრავს და გასვლას აპირებს.)

ს ა ლ ო მ ე (წამოდგება და მიაძახებს). ვარდენ!.. (ასლანთარელი კარებთან მობრუნდება). აგრე გადიხარ... უკმაყოფილოდ?!. გახსოვდეს... არა, გახსოვდეს რასა ჰქვია!.. დაივიწყე; გევედრები, ვარდენ, დაივიწყო მალე ეს პირველი და უკანასკნელი ჩვენს შორის უსიამოვნო ლაპარაკი!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. დიად; დიდ ბედნიერად ჩავთვლიდი... ეს ლაპარაკი რომ ჩვენ შორის არ მომხდარიყო, რადგან... ეს პირველი შემთხვევაა, სალომე, რომ შენ ტყუილის თქმა მოინდომე!.. მე აღარ გკითხავ ამის მიზეზს... და მაქვს ღეთისა და შენი იმედი, რომ ეს უკანასკნელი იქნება! ხვალ გნახავ!... (თავს უკრავს და გადის).

ს ა ლ ო მ ე (მარტო). რა ვქნა, ღმერთო!!

გ ა მ ო ს ვ ლ ა X

მანუჩარ და სალომე.

მ ა ნ უ ჩ ა რ. ბატონო! არ დავიგვიანოთ!!

ს ა ლ ო მ ე (შეკრთომით). აჰ!.. შენ ხარ?.. აი, მზათ ვარ, შალის მოხურვის მეტი არა მინდა რა. (შედის თავის ოთახში შალის მოსახურავად.)

მ ა ნ უ ჩ ა რ (მარტო, იმერული გამოთქმა). ათასი წელიწადი რომ გავძლო, ამ ბატონებს ვერაფერს ვერ გავუგებ!! ვერც თავს და ვერც ბოლოს! არა; შეჩვენებული ამ შუალამეში დაწვეს და დაიძინოს, არ ურჩევნია!!. მე გეტყვი შენ და ბუმბული და საბანი აქლია!.. არა!.. მიდის — მიეხეტება... სად და ტურმაში... თფუ!.. (აფურთხებს, სალომე გამოდის ჩაცმული; მანუჩარ გაუძღვება და გადიან გასავალ კარში. მანუჩარს თან გააქვს ლამპა).

სენა დაბნელებდა და დარჩება ერთ სსა ცხოველი. შეჭრეგ მოისმის კლიტის ხმა, რომელიც აღებს კარს; გაიღება წელს უყენა ბატონი კარი და შემოდის გრიგოლ მთვრალი, ცოტათი ბანდაღზე და ენაზე უხე დასაჯავს.

გ რ ი გ ო ლ. ცხვირ-პირი თუ შემჩნა უკონტრეველი, მეტი არა მინდა რა!.. (ამოიღებს სპიჩკას და უკიდებს სტოლზე სანთელს; ამოიღებს საათს და დასედავს. დაჭრება და წერს. ხმამალა.) „პირველი საათი ნაშუადამევისა სრულდება... სალომე მომელის მეორე ოთახში! მომიგია!“ (პეცეს ბარათს, ეძებს დასაბეჭდავს და ვერ პპოულობს, და შემდეგ შივა ფანჯარასთან, რომელსაც გააღებს და შიხედ-მოიხედავს.) ერთი ცოცხალი კატაც არ დადის ამ ქუჩაზედ!.. პა... კი გამოჩნდა ვილაცა. (ცოტა ღნის შემდეგ ძლიერ ხმამალა.) ეი!.. შენ, ძმაო!.. ეი!.. ნაბდიანო, რომელი ხარ!.. მოდი აქ, თუ ძმა ხარ!.. ეს ბარათი წაიღე ნაჩალიცთან... ძლიერ საპირით-თქო! აპა! (გადაუგდებს ქალაღს). გრიგოლ ბატონიშვილისაგანა-თქო! მოიცადე... ფულს მოგცემ! (თავისთვის) არ იცდის! ქე იყავ, ჩემო ძმაო, თუ არ გინდა! (შემობრუნდება! ფანჯარას ხურავს).

ზ ა მ ო ს ვ ლ ა X I I

ი გ ი ე ე და მ ა რ თ ა.

მ ა რ თ ა (გამოდის თავის ოთახითგან ხალათით). რა გაყვირებს, ყმაწვილო! ლმერთო მომკალი! საღ გგონია შენი თავი!! (შივა სანთელთან და აქრობს)

გ რ ი გ ო ლ. ბატონო, ბნელაში როგორ შეიძლება,

მ ა რ თ ა (არ აცლის ლაპარაკს). სსსუ!.. მეტი... გინდა ქვეყანაში ყველანი გავილანძლოთ!.. (ხელს მოჰკიდებს) წამოდი აქეთ... (გაუძღვება და შეაგდებს სალომეს ოთახში.) როცა გამოსვლის დრო იქნება, მე მოვარაკუნებ კარებზედ!! (კარს მიხურავს და შემობრუნდება; წამოწვება დივანზედ და თვალს ხუჭავს. ქუჩითგან ისმის ლოთების ხმა. მრავალყამიერს მღერიან.)

(ფარდა)

სტენა წარმოადგენს იმავე სასტუმრო ოთახს. სანთლებით და ლამპებით ძლიერ განათებულია; კარი ზალაში გაღებულია და მოჩანს სტუმრების ჯგუფები, ქალის და კაცის; სასტუმროში მარცხნით სხედან ქონიაშვილი და ერთი სტუმარი დე ნარდს თამაშობენ; მათ გვერდით ზის ერთი ქალი და თავს ადგასთ ერთი კაცი; ორივე თამაშს უქეპრენ. მარჯვნივ დივანზე სხედან ლუარსამიძე და მართა და მათთან სავარძელში გრიგოლ.

გ ა მ ო ს ც ლ ა I

ქ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი (აგორებს კამათელს). ჩარუ-სე!... ეს ჩა-რი... ეგეც სე...
 მ ო თ ა მ ა შ ვ ე (აგორებს). დუშაში!.. რას ჩამცივებია ეგ დუშაში!.

არ მინდა, ღმერთმა კი იცოდეს!.. (თამაშობს. მარჯვნივ ბაასობენ).

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე . არა... უნდა გითხრათ მართალი, რომ ცუდი საქმე გამოვიდა!... თუმცა მე არაფერი მაქვს სანალვლო (მართაც შეხედავს და გაუცინებს). მარა სწორეთ ურიგოთ გამოვიდა!... რო-გორ შეიძლება გალანძლო პატიოსანი ქალი... მთელი ქალაქი დღეს ამ ამბავშია!..

მ ა რ თ ა . არა... მე მხოლოდ ერთი საქმე მაკვირვებს!.. რა რიგათ შემოდგრა ეს შეჩვენებული, რომ ერთი ხმაც არ გამოიგონია!..

გ რ ი გ ო ლ . თქვენ ორს კი სანალვლო არაფერი გაქვსთ! ხანდა-ე ხან ანირებული საქმიდან კარგი რამ გამოდის!.. ღმერთმა ბედნი-ერი ქნას ეგ თქვენი კავშირის გაკანონიერება!.. მე რაც მოვახდინე, მაგაზედ სინიღისი არ მაწუნებს!.. რა გაეწყობა: „ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“! (ცოტა დუმილის შემ-დეგ). ეგ სულ იმ ოხერი წერილის მიზეზია. თორემ არავის ეცოდი-ნებოდა!!

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე . შენ დალოცვილო, როგორ შეიძლება, ვიღაც ნაბდიან კაცს გადავუგდეო: ნაბდიანი კაცი ათასი ვინმე დაღის... გა-მოკართვა, წაიკითხა. ქალაღი გარდააგდო და დღეს აუწევია დე ამბჳად გახადა!.. (ამ უკანასკნელი სიტყვების დროს შემოდის ას-ლანთარელი და მოვა ამათთან ისე, რომ ესღნი არ მოიხედავენ.)

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (ლუარსამიძეს და მართას). საღამო მშვი-დობის, ბატონებო, ნება მომეცით, სხვათა შორის მეც მოგილოცოთ.

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე (წამოდგება და ხელს აძლევს). მაღლობას

მოგახსენებთ, ჩემო ბატონო!.. როგორ მოგვეპარეთ ისე ნელა, რომ თქვენი მოსვლა არ გაგვიგია!!..

ასლანთარელი. არ ვიცი. ჰგავს, ისეთს რამ ბაასში იქნებოდით, რომ გარეშე რამეს არ უგდებდით ყურს!!

მართა. წულები აცვია და ფეხის ხმა არ ისმის!..

გრიგოლ გამიგონია: „წულები ქურდების გამოგონილიაო, რომ ფეხის ხმა ვერ გაიგონო“!!

ასლანთარელი. მე ვფიქრობ, ბატონიშვილო, ეს ჰაზრი ცრუობა უნდა იყოს, თვარემ უთუოდ თქვენ გეცმებოდათ წულები, თუ არ საქურდლად, ქურდობაზედ არა უმალლესის ხარისხის რაიმესათვის!! (ამ უკანასკნელი სიტყვებით ასლანთარელი მიდის მონარდებთან.)

გრიგოლ (დაცინვით). იშ-ს! რა ქართული ბრძანა! ჰა! ჰა!.. (იციინის, წამოდგება და ზალაში გადის.)

მართა (ლუარსამიძეს). ნიკოლოზ, მეშინია, გენაცვალე, ამ ორს შუა რამე ჩხუბი არ მოხდეს!..

ლუარსამიძე. არა!.. არაფერია... ამაღამ მაინც რა უნდა მოხდეს!.. ყოველს შემთხვევაში ვიქონიებ მათზე თვალ-ყურს! (მოსამაშეები ადგებიან და გადიან ზალაში; ასლანთარელი და ქონია, შვილი ხელს აძლევენ ერთმანეთს, რომლის შემდეგ მიახლოვდებიან ამ ჯგუფთან.)

ასლანთარელი (მართას). ბატონო, თუ შეიძლება შეგაწუხოთ ერთს წუთს... სიტყვა მაქვს თქვენთან!

მართა (ცოტა შეშინებულად). ჩემთან?

ასლანთარელი. დიალ, ბატონო!..

მართა (წამოდგება). ა... შენი ჭიკიძე!! (ხელს უყრის მკლავში და გადიან ზალაში.)

ქონიაშვილი (ლუარსამიძეს). მე წუხელი... ერთი საზიზღარი ამბავი მომივიდა... და... хотел вам рассказать и был у вас утром, მარა შინ არ იყავით!!..

ლუარსამიძე. რა ამბავია!?

ქონიაშვილი. Представьте себе რა მომივიდა! გუშინ საღამოს ივანე კარლოვიჩთან წავედი; Федор Федорович тоже там был! Зубека თავის ცოლითა... тоже იქ იყო! Спорили, толковали без конца, как всегда! Наконец... მეათე საათი რომ შესრულდა... Засадили нас в преферанс, черт бы его взял! Около первого часа ночи... წამოველი! წამოველი თუ არა და... ვნახოთ რომ страшно есть захотелось...

ლუარსამიძე. რაღაც დიდი მოთხრობა უნდა იყოს!!

ქონიაშვილი. რაღა გავაგრძელო, წაველი სასტუმროსაკენ... ვნახოთ... ჭეჩის წოსახვევთან... შენხედა ასლანთარელი! ოჰ! გამარჯობა, გავიმარჯოს!! საით-მეთქი, ვკითხე, — სასტუმროში მივდივარო. ვახშმათაო!.. Отлично... შევედით ერთად და დავსხედით... Я сел, знаете, და მან კი ქუდი დადო ჩემ გვერდით, და ქუდში ვნახოთ, რომ რაღაც ქაღალდი დევს. რა არის ეგ ქაღალდი-მეთქი, ვკითხე... знаете, просто, ხუმრობით!! ის კი შეუბნება, არზა არისო ნაჩაღნიეთანაო!.. Я, знаете, совершенно рассеянно... უფიქრელად ავიღე და წავეკითხე!! თურმე ყოფილა ზაპისკა გრიგოლისაგან თქვენთან მოწერილი რომა, აი მე სალომესთანა ვარო და ნაძღვევი მომიგიაო!!.

ლუარსამიძე. ეგ საკვირველია, საიღამ ჩავარდნია ხელში ასლანთარელს ეს წიგნი!!.

ქონიაშვილი. И что еще глупее, რომ ხმამაღლა წავეკითხე!..

ლუარსამიძე. ეგ, რა უშავს; თქვენზე წინათ წაკითხული ეჭნებოდა მას!!.

ქონიაშვილი. В том то и штука, რომ არა... არაფერი სცოდნია, ანდა ბნელაში როგორ წაიკითხავდა?!.. მე ეგ შევატყუე იმით რომ побледнел как полотно! Потом догадался, მარა რაღა დრო იყო! მერე თვითონ გამომართვა და ჩაიდვა ჭიბეში!

ლუარსამიძე. არა უთქვამს რა?

ქონიაშვილი. არა! მხოლოდ გაფითრდა, როგორც ქაღალდი!.. ადგა და წავიდა.

ლუარსამიძე (თავს აქნევს). რა მოგსვლია, კაცო! რა მოგსვლია!.. (შემოდინან ასლანთარელი, მართა და სალომე; სალომე ფერ-მიხდილია.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა II

მართა (ამათ). თუ შეიძლება, ცოტა ხანს ეგ ოთახი გვითავაზეთ, სალაპარაკო საქმე გვაქვს!..

ლუარსამიძე. ა, ბატონო, ინებეთ!... (ადგებიან და გადიან).

მართა (ასლანთარელს). მოსულხარ ამ დილას და ვითქვამს ამ საცოდავი ბავშვისათვის ისეთი საშინელი ეჭვი, რომ მთელი დღე

ლუკმა არ ჩასულა მის პირში და ცრემლით სკდება!.. მე რომ ეხლა გამიხმე და მითხარ... ეს ხომ კარგი... ამ დილასაც ევრე გექნა, რა გიჭირდა!.. რასთვის დატანჯე ეგ საბრალო!!

ასლანთარელი. ბატონო, მე ბევრი საუბარი არ ვიცი!! მე ისეთი კაცი ვახლავარ... ეგ ხასიათზეა დამოკიდებული, რომ ვრთხელ მომეველინება ანის სიმსხო უბედურება, მანვე თან უნდა წაპილოს... მეორეს აღარ ზოვუციდი! მე მყავდა ერთი ზეგობარი, ამისი ძმა, რომელმანაც სიკვდილის დროს ჩამაბარა ამისი თავი და შეგვეერთა... მას აქეთ ჩემს არსებობაში თუ რაიმე კეთილი დაწმინდა გრძნობა იყო, ამისათვის ვინახვიდი!! დღეს ჩვენ აქ სათამაშოთ არ ვიყავით ჩამოსულნი, მარა არც სტუმრობას სცეს პატივი, არც ქალიშვილის უბიწოებას და პატიოსნებას, არც ცრემლებს და მწუხარებას, და გაგვხადეს ქვეყნის სასაცილოდ და სამასხაროდ!.. არც ეს იკმარეს: მაშინ, როდესაც მგონია ზეცა ჩამოიმსხვრა ჩემთვის და თავზედ დამეცა, — ის სიამოვნებაც მაკლია, რომ ხელებით დავიჯარო თავი!! ხელები შეკრული მაქვს რკინის ჯაჭვით. მით რომ, — ეს საცოდავი (სალოპეზედ ანიშნებს) და დაღუპული შეთრეულია რაღაც სატანურს საიდუმლოში და მითი იმოდენზე მოჯადოსნულა, რომ ვერასგზით სიტყვა ვერ ვათქმევინე!! ხედავ, ბატონო, რომ არაერთარი მოთმინება ადამიანისა აღარ გაეწყობა!! მაგრამ სანამ მე შოვიძიებდე ჩემს უკანასკნელს საშუალებას, ამან მთხოვა თქვენთვის მომესმინა და მზათ ვარ, თუ რამეს მიბრძანებთ!!

სალომე (მტირალი ხელებს მიუშვერს მართას). შენ გენაცვალოს ჩემი თავი, შეაგონე, რომ მე ვერაფერს ვერ ვაუთმელავნებ, თუ შენ არ შეგეცოდები და რამეს არ იტყვი!..

მართა (თავისთვის). რა ვქნა, მე უბედურმა! გული მისკდება, მარა თქმა შეუძლებელია!.. (ასლანთარელს) რა გინდა, ყმაწვილო! და რაში უნდა დაგარწმუნოთ?... იმ საიდუმლოს, რომელზედაც შენ ლაპარაკობ, სალომე ვერ გაგიმელავნებს. მაგრამ ევ შენთვის სულ ერთი უნდა იყოს, რადგან — გეფიცები პატიოსნებას, რომ ის შენთვის სრულიად საწყენი არ არის!!

ასლანთარელი. საკვირველია, ბატონო, ევ თქვენი ფიცი!.. ჭკუა მიბნელდება და აღარ ვიცი, რა ვიფიქრო! ჩემი საწყენი და შესახები როგორ არ არის, რომ მე ამ საიდუმლოს მიზეზით წუხელი აქედამ გამაგდო და დღეს ქვეყანამ იცის, რომ გრიგოლ ბატონიშვილი წუხელი ნაშუალამევს აქ ბრძანებულა!.. ჩემს ადგილზედ ან-

გელოზიც დარწმუნდებოდა, რომ ეგ საიდუმლო იყო ღამის სტუმარი მართა. ცრუობა! გრიგოლ აქ არ ყოფილა!.

ასლანთარელი. ამას თქვენ ბრძანებთ, რომ გრიგოლ აქ არ ყოფილა?

მართა. გარწმუნებ სწორეთ!.

ასლანთარელი (ჩუმად ამოიღებს ჯიბიდან გრიგოლის დაწერილს ქაღალდსა და აძლევს მართას). ეს წაიკითხეთ!.

მართა (წაიკითხავს და ცოტა არეულათ). რა... მე-რე... რა გამოვიდა ამისაგან! ყმაწვილი ხარ! რა გარწმუნებს, რომ ეს გრიგოლის დაწერილია, განა ვისმეს არ შეეძლო მტრობით მოეხერხებია!..

ასლანთარელი (გაჯავრებული ხმა მომატებით). ნულარ მტანჯავთ და ნულარ მკლავთ, თუ ქრისტიანი ხართ! მე ვიცი, რომ გრიგოლი აქ იყო!..

მართა. ტყუილია!..

ასლანთარელი. (შეკავებული ღელვით). კმარა, ბატონო, კმარა, რაცოდენ დასცინეთ ჩემს პატიოსნებას და კაცობას!.. ეს წერილი გრიგოლ ბატონიშვილმა თვითონ გადმომიგდო მე; არ იცოდა ვინ ვიყავი! თქვენ ქალი ხართ და რა გითხრათ!.. ქალებთან გავათავე ჩემი სიტყვა!.. დანარჩენი აწი... ჩემი საქმეა!.. (გასვლას აპირებს).

მართა (აღტაცებული კილოთი). მოიცადე... ნუ მიდიხარ... გაიგონე!.. (ასლანთარელი მობრუნდება.) აბა... შენ მაიძულე და მალაპარაკე! არც ჩემს სიტყვას ენდევით... ჩემი სიტყვა რათ გინდა... არც ენდევით ნამუსსა შენგან აღრჩეულის მეგობრის ცხოვრებისას!.. მაიძულე!.. მარცხვინე და მალაპარაკე... მაშ იცოდე, რომ გრიგოლ იყო წუხელი აქ... ჩემთან!... მაშ იცოდე, რომ გრიგოლმა ლუარსამიძეს მიწერა ეგ წიგნი იმისთვის, რომ რამე ექვი მას არ შესვლიდა გულში... იცოდე ისეც — დაუმატებ ჩემდა სასირცხვოდ, რომ იმდენზედ დავეცით ჩვენ ზნეობით, რომ სალომეს სახელი ვინმარეთ საშუალებათ!.. ახლა ყოველივე იცი... წადი უამბე ყველასა და გამახიახე ქვეყანაში!

ასლანთარელი (გაოცებული). თქვენ?!.

მართა. დიად; მე, მე ვარ საყვარელი გრიგოლისა!..

(ზალიდან მოისმის ვალსის ხმა „სურდინა“)

ასლანთარელი. ღმერთო ჩემო!.. მომეცი გონების სინათ-

ლე!.. (მუბლს იფხანს დაფიქრებულად, თითქოს უცბად მოაგონდება რამე; მივა სტოლთან და რეკს; მანუჩარ შემოდის.) მოძებნე გრიგოლ ბატონიშვილი და მოახსენე, სალომემ გთხოვათ, ერთ წამს მობრძანდით-თქო. (ბიჭი გადის)

მ ა რ თ ა. რას აპირებ?!

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. ნახავთ რას... თქვენ გთხოვთ, ამ თქვენს ოთახში შებრძანდეთ!.. შენ, სალომე, ეს ქალაღი წარუდგინე და ჰკითხე: რათ ინებე ამის დაწერა-თქო?! მე ამ ფარდის უკან ვიქნები დამალული და მართალს შევიტყობ!

მ ა რ თ ა. ვარდენ, გთხოვთ და გვეედრები...

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (არ აცლის ლაპარაკს). არა, ბატონო! არა, ბატონო!.. აღარაფერი წინააღმდეგობა აღარ შეიძლება... შებრძანდით ოთახში!

მ ა რ თ ა (თავისთვის). უკანასკნელი საშუალებაც დაირღვა!.. (შედის ოთახში, ასლანთარელი იმალება ფარდის ქვეშ.)

ბ ა მ ო ს ვ ლ ა III

გრიგოლ და სალომე,

გ რ ი გ ო ლ (შემოდის, ხელ-სახოცით ოფლს იხოცავს პირზედ). დამიბარე?... ეგ რა ამბავია!.. ატირებული და შეწუხებული ხარ!.. (მიიხედ-მოიხედავს და რომ ვერავის დაინახავს, მიიწევა ხელზედ საკოცნელად.)

ს ა ლ ო მ ე (უკან დახევით). რა... რა სინდისმა მოგცათ ნება და რა უფლებით დაგიწერიათ წუხელი თქვენ ეგ ქალაღი?! (ქალაღს გაშლის და აჩვენებს.)

გ რ ი გ ო ლ (უეცრად იცნობს, ტუჩს აიკბენს და თავისთვის). საიდან უპოვნია ეგ!.. აბა!.. მაშ ეხლა... ნამდვილი სიმართლე უნდა აღვიარო თქვენთან, რადგანაც არაფერი გამამართლებელი საგანი არ მაქვს!.. ისევ შენდობასა ვთხოვ თქვენს სულგრძელობასა... მართალია, ეგ ბარათი ჩემი დაწერილია!.. ერთი ყმაწვილური, გიჟური ქცევა, რომელსაც, საუბედუროდ ჩვენდა, — ჩვენს ქალებთან და საზოგადოებაში დიდს მნიშვნელობას არ ვაძლევთ და რომელსაც... თქვენ... დამერწმუნეთ მე ამაში, თქვენ არ გყადრებდით, ფიქრში რომ მომსვლოდა და მცოდნოდა, რომ თქვენში ვიპოვიდი პირადობას, რაღაც უკეთესს სხვაზედ უმჯობესის გრძნობებით!..

სალომე. მითხარით ერთი... ეს წიგნი თქვენ წუხელი საიდან დასწერათ?

გრიგოლ. ამ ოთახიდან...

სალომე. რა დროს?

გრიგოლ. პირველ საათზედ, შემოსვლისთანავე!

სალომე. ახლა სთქვით მართალი, თუ კი რამ პატიოსნება არის თქვენში, — წუხელი აქ თქვენ ვისთან მოხვედით?..

გრიგოლ (თავისთვის). ა-ა!.. რას ამბობს!.. გაგიჟდა, მგონია! (სალომეს) მე არ მესმის, რათა მკითხავთ თქვენ ამას!..

სალომე. რასთვის გკითხავთ, იმას შემდეგ შეიტყობთ, ეხლა მიგეთ პასუხი!

გრიგოლ. ჰე-ჰე!.. მიხვდით!.. ყურობს ვინმე?!..

სალომე (მოთმინებისაგან გამოსული და ხმა მომატებით). არა!.. არავენ არ ყურობს; მხოლოდ მიგეთ პასუხი და განმათავისუფლეთ ამ ჯოჯოხეთისაგან!.. სთქვით, ვისთან იყავით... ვისთან იყავით წუხელი აქ თქვენ?

გრიგოლ. ვისთან და... თქვენთან!..

სალომე (წერილს, რომელიც ხელში უჭირავს, ესერის ცხვირპირში, გრიგოლ ამაყად აიცილებს). ოოო!... უნამუსო, ცრუ!.. ღმერთო ჩემო! მომეხმარე, ჭკუას ნუ შემეშლი! (თავზე ხელს იკიდებს.)

გრიგოლ (ამპარტავნულად). როცა ქალი ლანძღვას დაიწყებს, კეთილშობილი კაცი თავს უკრავს და გადის!.. (თავს უკრავს და წაიწევა გასასვლელად)

ასლანთარელი (გამოდის). მაგრე ნუ მიბრძანდებით, თუ შეიძლება!!

გრიგოლ (მობრუნდება, გულგრილად და დაცინებით). ოჰ!! თქვენ მანდ ბრძანდებოდით?.. მაგ ფარდას ქვეშ არ უნდა გრილოდეს დიდად!.. (ასლანთარელი ხელით ანიშნებს სალომეს, რომ შევიდეს თავის ოთახში; სალომე გულ-ამოსკენით ატირებული შედის, გრიგოლ დგას და ელის სიტყვას.)

ასლანთარელი (მიუახლოვდება გრიგოლს). ვფიქრობ, უნდა იცოდეთ, რა გვრჩება ჩვენ!!

გრიგოლ. დიალ!.. რომელ საათზე?... ..

ასლანთარელი. ეხლავე!.. ბალში.

გრიგოლ. ეხლავე?.. აგრე უმოწმოდ და უიარაღოდ!..

ასლანთარელი. მოწმე არ იქნება, ვინც გადარჩება!.. და

იარაღი!.. იარაღს ისინი ამზადებენ წინდაწინ, ვინც აღარ ატარებენ... და ჩვენ კი ხრმლები გვკვიდია!..

გ რ ი გ ო ლ. მე წინააღმდეგი არა ვარ... და ვალდებული ვარ, კეთილშობილს ეგ დაკმაყოფილება მივსცე!.. მხოლოდ სიბნელეში ბრძოლა... არ ჰპოვებთ, რომ ცოტა იაპონური ქცევა იქნება?!

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. გარეთ არ ბნელა! მთვარიანი ღამეა!..

გ რ ი გ ო ლ (გადაწყვეტით დაბრუნდება). ნება თქვენი იყოს... (მიდიან ორნივე გასასვლელად: კარები გაიღება და დახვდება ლუარსამიძე; ორნივე გაჩერდებიან.)

გ ა მ ო ს ე ლ ა IV

იგინევე და ღუარსამიძე. ნესიკის ხმა თავდება.

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე. მე თანამდებობა ჩემი მაიძულებს ვიხმარო ხშირად საშუალებანი, წინააღმდეგი რიგიანობისა... მე მქონდა ყურგ მოპყრობილი კარებზე და გავიგონე მთელი ლაპარაკი!..

გ რ ი გ ო ლ (დაცინებით). დაგელოცა გაზრდილობა!..

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე. შეუძლებელია ეგ დუელი მოხდეს!.. ვალდებული ვარ ვამცნო გუბერნატორს და იარაღი აგყაროთ!.. თუმც...
ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. თუმც!

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე. თუმც... არ დაგარწმუნებთ პატიოსანი სიტყვით, რომ ბრძოლა არ მოხდება!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (ცოტა ფიჭრის შემდეგ აიღებს სალომესაგან დაგდებულს ბარათს და ლუარსამიძეს). ეს წერილი თქვენთან იყო წუხელი გამოგზავნილი ჩემი ხელით; მომიტყვევთ, თუ ამოდენ ხანს ვერ მოგართვით... მარა უპირატესმა რამ მიზეზმა დამავიწყა ეგ!.. და ეხლა, როცა თქვენ სცნობთ, რა სწერია მაგაში... ვიმედობ, კაცობრივი გრძნობა თქვენი მოგაგონებსთ, რომ ბატონიშვილსა და ჩემ შუა აღარასტერი არ რჩება, სისხლის გარდა!..

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე (თვალს გადაავლებს ბარათს, შეინახავს). თუმცაღა მე ჭერ არ წამიკითხავს ეს ბარათი, მაგრამ შინაარსი მისი ვიცი და ვფიქრობ, ერთი დიდი წინააღმდეგი თქვენის ბრძოლისა უნდა იყოს ის, რომ ამაში ყმაწვილ-ქალის სახელი ურევია!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. ეს შეხედულება თქვენი მაშინ იქნებოდა შესაფერი, რომ სახელი და პატიოსნება იმ ქალის შებღალული არ

იყოს!.. რას უნდა ვერიდებოდეთ... და რას დაკარგავს კიდევ... როცა მისი სახელი დღეს ქუჩებში და ლაფში ისერება...

გ რ ი გ ო ლ (ლუარსამიძეს). ვითომ... რა უფლებით შეგიძლია შენ იარაღი ჩამოგვართვა?!₁

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე. იმ უფლებით, რომ კანონისაგან აღკრძალულია დუელი და პოლიცია ვალდებულია დაშალოს და არ მიუშვას დე უკიდურეს შემთხვევაში, აცნობებს რა უმალღესს მთავრობას, იარაღი ჩამოხადოს, და დაატყვევოს!.. დიდათ თანაუგრძნობ მე თქვენ მისწრაფებას როგორც კერძო კაცი; მაგრამ, როგორც თანამდებობისა — გთხოვო პასუხს, რა გზას მიჩვენებთ?.. თუ პირობას მომცემთ, ვენდობი თქვენს პირობას!.. (ასლანთარელს) თქვენზედაა პირველი სიტყვა!!

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (თავისთვის). რაღა საშველია აქ!.. (ლუარსამიძეს) მომიცია პირობა!!

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე (ხელს სთხოვს). პატიოსანის სიტყვით!!

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. სიტყვა ასლანთარელისა!.. (ლუარსამიძე მეორე ხელით გრიგოლს სთხოვს ხელს.)

გ რ ი გ ო ლ (ხელს აძლევს). პირობა მეგობრისა!..

გ ა მ ო ს ვ ლ ა V

იგინივე და ქონიაშვილი.

ისმის კადრილის ხმა; შემოიხედავს ქონიაშვილი,

ქ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი. ნიკოლოზ, მობრძანდი, თუ შეიძლება; მე კნეუნა მართასთან ვთამაშობ И НЕТ ВИЗАВН...₁

ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე. მაშ აგრე!!. (ხელს უპერს ორივეს და გადის ერთად ქონიაშვილთან; ასლანთარელი დაფიქრდება.)

გ რ ი გ ო ლ (ცოტა სიჩუმის შემდეგ დაცინვით). ეხლა მგონია კი ჩვენი კომედია გათავდა... ნებას მომცემთ გავიდე?.. მით უმეეტეს, რომ თქვენ... როგორც ერთობ მალე მიიღეთ და დაემონეთ კანონის მოთხოვნისა, ისე ყოველივე რიგიანათ მოხდა... ქალის ამბავი!.. და ამ ამბავში გარეული ორი ყმაწვილი კაცი, რომელნიც მზად არიან დაჩეხონ ერთმანეთი, მარა!!. კანონის ძალი მოდის დროზედ... ყმაწვილ-კაცებს რჩებათ უენებლად მათი მშვენიერი სიტყვები!.. ხომ კმაყოფილი ხართ!!

ასლანთარელი. დიად, მართალს ბრძანებთ!!.. დიად, კომე-
დია... უკიდურესი და პლუტური, მარა ამ კომედის შემთხვევლს რი-
სი უნდა ეწინოდეს!.. ყოველივე ემსახურება მას... პოლიციის ყუ-
რებიც წინ-და-წინ მომზადებული და აქ მოქედელი კარებთან, რომ
მისს ძვირფას თავს არაფერი შეეხოს!!.. სამართალი იცავს ავაზა-
კობას და სიმართლე რჩება უღონოდ და ამ კომედის... ამ ცულ-
ლუტობის შემთხვევლი თქვენ ხართ, ბატონო ჩემო!!.

გრიგოლ (გულმოსული). უფალო ჩემო!!.. ნუ გამომიყვანთ
მოთმინებისაგან და ნუ გამატეხინებთ ჩემს პირობას!..

ასლანთარელი (მწარის ღიმილით). ვითომ... ამოდენზე
ერიდებით თქვენს პირობის გატეხას, თუ... სასარგებლოთ ჰპოვებთ
თქვენდა ამ პირობის შენახვას?..

გრიგოლ (მოთმინებისაგან გამოსული). ახ!.. მქონდეს რამ სა-
შუალება, კი გაჩვენებდით, ყმაწვილო, რა ადვილია ჩემთან ამგვა-
რად ლაპარაკი!!.

ასლანთარელი (ფიქრის შეძღვევ). ამ საშუალებას მე მო-
გიძებნით... მაგრამ, სათქვენო არ იქნება!.. არ მოგეწონებათ!..

გრიგოლ. ყოველივეს მივიღებ, მე... რაც კი მომცემს საშუა-
ლებას პასუხი გიგოთ ჩემი შეურაცხებისა და გალანძღვისათვის!!.

ასლანთარელი. არ შედრკეთ!!.

გრიგოლ. დამიჩემებობხართ, მოვიფიქროთ ისეთი რამ, რომლის
წინა გრიგოლ ბატონიშვილი შედრკეს!!.

ასლანთარელი. აგრეც მქონდა იმედი... რადგან... შეუხებ-
ლად თქვენი პირადის ზნეობისა, ამპარტავანი სისხლი უნდა სცემდეს
თქვენს ძარღვებში!!.. თქვენვე ხედავთ... ჩვენ მივალწიეთ იქამდის,
რომ ჩვენ ორში ერთი უნდა დარჩეს მიწის ზურგზე!..

გრიგოლ. ჭეშმარიტია!..

ასლანთარელი. ხომ კი... მაშასადამე, რა საშუალებითაც
უნდა მოხდეს, ეგ სულერთია, ოღონდ კი არ გავტეხოთ მიცემული
სიტყვა; ამისთვის მომივიდა შემდეგი ჰაზრი: ავყაროთ კამათლები...
და ვისაც ნაკლები მოუვიდეს!.. (გაჩერდება.)

გრიგოლ. ვისაც ნაკლები მოუვიდეს?..

ასლანთარელი. ვერ მიხვდი?..

გრიგოლ. ვერა!

ასლანთარელი. თავისი ხელით დამბაჩა იქრას შებლში..

გრიგოლ (ცოტა შეკრთება და არ აძლევს პასუხს).

ასლანთარელი. არას ბრძანებთ?!. ნუ უკვე, ბატონიშვი-
ლო!!.

გრიგოლ (არ ათავებინებს სიტყვას). ჰა!!. არ გაბედოთ, არ
გაბედოთ შიშის შეწამება... ოღონდ... რაღაც უჩვეულებრივია ერ-
თობ... რაღაც მხეცური...

ასლანთარელი. არა, ბატონო ჩემო, შიშის შეწამებას რო-
გორ გკადრებდით... ოღონდ მეც აგრეთვე ვიფიქრებ, როგორც
თქვენ ბრძანებთ, რომ საშუალება ერთობ ტყიურია, და თქვენი,
ქალაქის ნაზი აგებულება მას ვერ აიტანს!!

გრიგოლ (ნამდვილის გრძნობით. წყნარის ხმით). კარგია!..
კმარა... ნულარ დამცინით!!. გარწმუნებთ, მე არ ვარ ღირსი დაც...
ნების და აგდებისა!! ამ უკანასკნელმა თქვენმა გამოწვევამ... რაღაც
უცნობი, საკვირველი გრძნობები... გაატარა ჩემს გულში!!. და
ამისათვის ცოტა შეეკრთი!.. ვინ იცის ღვთის მეტმა... ეგებ უნებ-
ლიეთად კეთილს საქმეს აკეთებდეთ! მობრძანდით, მზადა ვარ!!
(მიდის, სადაც ნარდი აწყვია და ჯდება; ასლანთარელი უკან გაყვე-
ბა და დაჯდება მის პირდაპირ)

ბ ა მ ო ს ვ ლ ა VI

გამოდინ ქონიაშვილი და ერთი სტუმარი,
ქონიაშვილს მარაო უპირავს ხელში და იქნევს,

ქონიაშვილი. ოჰ!.. მოვეკვდი, კაცო!.. Просто беда!..
(მოახლოვდებიან ამათთან.) მეორე ზალაში კიდევ ლეკურს თამაშო-
ბენ!.. (ისმის დაირის და ტაშის ხმა.) ასლანთარელს დაეძებენ, ძა-
ლიან თამაში იცისო, სთქვეს!..

ასლანთარელი. მე?!.. თუ ჩემ მაგიერ თქვენ ეთამაშებით
ბატონიშვილს... დიად გიახლებით!.

ქონიაშვილი (თავისთვის). Слава тебе, господи... შერიგე-
ბულან!..

გრიგოლ (საზოგადოდ). ასლანთარელმა უნდა ითამაშოსო?..
ძალიან კარგა ითამაშებს, მე მინახავს; მაგრამ ტაში ვინ-ღა დაუქ-
რას!.. (ასლანთარელს) აგორეთ!!.

ასლანთარელი (თავაზიანად). თქვენ დაიწყეთ, ბატონო!..
ტაშს... ისევ თქვენ დამიკრავთ, თუ ინებებთ!..

გრიგოლ (კამათლებს იღებს). სამი გზობა ვაგოროთ... არა?!..

ასლანთარელი. ბატონი ბრძანდები!!

გრიგოლ (აგორებს). შაშ-ფანჯი!! კი კამათელია!!

ასლანთარელი (იღებს კამათლებს და აგორებს). შაში-ფანჯი!..

სტუმარი. კი ბატონო, მარა... რა თამაშია ეს? ამ კამათლებს სულ ასე აგორებთ?!

ასლანთარელი. არა, ვინც მოიგებს, ის დიდხანს აგორებს და ვინც წააგებს, აღარ!..

სტუმარი. მე მაინც ვერ შევხვდი!..

გრიგოლ (აგორებს). დუ-ფანჯი! (სტუმარს) პეტრე ქონია-შვილს ჰკითხე, აგიხსნის... სწავლული კაცია...

ასლანთარელი (აგორებს). დუ-შაში! (ქონიაშვილი და სტუმარი მიდიან ზალის კარებისაკენ ცეკვის საყურებლად; დაირის, ხმა კიდევ ისმის.)

გრიგოლ (აიღებს კამათლებს). ..რა ჰქნას კარგმან მონარდემან, თუ დუშაში არ მოუვაა! (აგორებს) დუ-შაში!!

ასლანთარელი (აგორებს). დუ-ჩარი!.. წავაგე!! (წამოდგება, საათს დახედავს და გრიგოლს) ეხლა თერთმეტი საათია, ხვალ დილის თერთმეტ საათამდის ჩემი ვალი გარდახდილი იქნება! (თავს უკრავს გასასვლელად.)

გრიგოლ. ნება მომეცით, მე თვითონ მოგთხოვოთ ჩემი ვალი, როცა საჭიროდ დავინახავ!.. და მაქამდის კი ნურას ინებებთ...

ასლანთარელი. გამიგონია, თამაშის ვალს 24-ს საათში იხდიანო და ჩემთვის ამდენი დროც არ არის საჭირო. (მიდის.)

გრიგოლ. ასლანთარელო, მოიცადე!

ასლანთარელი (მობრუნდება). რას მიბრძანებთ?..

გრიგოლ (მრისხანედ). სად მიდიხარ და რას აპირებ, ყმაწვილო!.. ურჩა ხომ არა ხარ?!

ასლანთარელი. მე რომ მომეგო?.. თქვენ ხომ არ იხმარდით ამ ურიობას!?

გრიგოლ. არა სწორედ!..

ასლანთარელი. თქვენი პატიოსანი სიტყვა?! (გრიგოლ შეიკმუნებდა) ხომ ვერ მაძლევთ პასუხს! არა, ბატონო. ამაზედ ნუღარ ვლაპარაკობთ! (თავს უკრავს და მსწრაფლად გადის)

გრიგოლ. ოოხ!.. მომითმინე!.. რა კაცი ხარ, შენ ოჯახაშეკ

ნებულო!.. წავიდა! მე მაგნაირი ადამიანი ჩემს დღეში არ შემ-
ხვედრია! სალოსია ვილაც ოხერი!.. (დაფიქრდება) რასთვის, ღმერ-
თო, უნდა მოიკლას თავი ერთმა უკეთესმა, პატიოსნებით აღსავსემ
ჩვენებურმა ყმაწვილმა!.. ჩემის ბოროტებით და ჩემის სიავკაცით!.. ,
არ შეიძლება ეგ მოხდეს... მაგრამ რა ეშველება... რარიგად დაუ-
შალო!.. (ქონიაშვილს ჩქარის ენით) პეტრე... პეტრე... შენი ჭირიმე,
ერთი ასლანთარელს დაეწიე... ეს-ეს არის გავიდა და უთხარი, მართა
გთხოვს-თქო!... ლუარსამიძე გთხოვს-თქო... ყველანი გთხოვენ-
თქო!.. ერთი ლეკური ითამაშე-თქო!.. წადი ჩქარა, გეთაყვანე!
(ქონიაშვილი მიდის, გრიგოლ გასძახის უკან) მოაბრუნე უთუოდ!!
(სტუმარი გადის ზალაში.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა VII

მართა და გრიგოლ. გრიგოლ დაფიქრებულია; გამოდის მართა.

მ ა რ თ ა. რა ჰქენი, როგორ გათავდა ეს ოხერი ამბავი?!

გ რ ი გ ო ლ. როგორ და... ასლანთარელი თავს იკლავს!.. მომტე-
ხოდა ფეხები და კისერი!!

მ ა რ თ ა. უიმე!.. გენაცვალე, რას ამბობ?!

გ რ ი გ ო ლ (ვულმოსული მიაყვირებს). რას ვამბობ და მართალს!..
შენ გგონია, შენ და ჩემსავით ყოველი კაცი სულით მახინჯია!.. ის
იმნაირი ვინმეა, რომ რასაც იტყვის, შეასრულებს უთუოდ!

მ ა რ თ ა (შეშინებულად). დედავ ღვთისაო, დამიფარე!! რა,
გადარეულს კაცებს გადავეკიდე!!

გ რ ი გ ო ლ. მართა!.. ხომ იცი, მე მწამს შენი ჰკუა და მოფიქ-
რება! მომეხმარე!.. მოიფიქრე რამ იმისთანა, მოიგონე რამ ცრუო-
ბა, რომ გადავარჩინოთ ძალღურს ლიკვდილს ის ყმაწვილი კაცი!..
არ ვიცი... როგორღაც... შემეყვარდა ეს კაცი მე!! ერთობ კარგია...
და ცოდვია!!

მ ა რ თ ა. ცრუობა რომ არ მოვიგონო და მართალი გითხრა ისე-
თი, რომ შენ თითონ დარწმუნდე, რომ სალომე უმანკოა, გეწყინება
თუ არა!..

გ რ ი გ ო ლ (ჰეშმარიტის გრძნობით). ნეტავ აგრე იყოს, თორემ
ჩემს ყოფას მოგცემდი.

მ ა რ თ ა. ნუ გაჯავრდები და ნუ გეწყინება!.. მეტს არა გთხოვთ!..

გრიგოლ. რას ჰქვია, ქალო, გავჯავრდები!! ღმერთი გიწყობა?
ბა?! გეუბნები, კაცი კვდება-მეთქი!!.

მართა. რაც უნდა გითხრა?..

გრიგოლ. რაც უნდა მითხრა!.. შემს მანუჩარს ფეხზედ ვაკო-
ცებ, თუ კი რამეს უშველიდეს!!.

მართა. მაშ... წუხელი შენ აქ რო იყავი... სალომესთან კი არ
ყოფილხარ!..

გრიგოლ (განცვიფრებული). აბა?..

მართა. ვარდისახართან იყავი!..

გრიგოლ. ოოო!! ეხლა ჩემთვის ცხაღა ყოველისფერი!! რა
გქნია შენ უბედურო, რა გიქნია!! (მიეშურება კარისაკენ გასაჯარ-
დნად; შემოდის ქონიაშვილი.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა VIII

ივინეე და ქონიაშვილი.

ქონიაშვილი. ასლანთარელი ვერ ვნახე!.. წასულა!..

გრიგოლ. სად წასულა?

ქონიაშვილი. გასულა აქედამ თუ არა და შემჯდარა ცხენ-
ზედ და წასულა ქსანსა!..

გრიგოლ. ბიჭო, ასე მალე ცხენი როგორ შეუკაზმეს?!

ქონიაშვილი. აქ ცხენით მოსულა, ბიჭი და ცხენი დაბლა
ჰყავდა თურმე, გაჩერებული...

გრიგოლ. ქსანს წავიდაო, ვინა თქვა?!

ქონიაშვილი. მართა ივანოვნას დაენახა ფანჯრიდან და დაუ-
ძახნია... სად ეპირებითო, და მას მიუგია — ქსანს გეახლებით, იქ
ერთი მოყვარე კაცი მყავსო!..

გრიგოლ (რეკს, შემოდის მანუჩარი). გაიქეცი ერთი, შენსკ
გაზრდას, ჩემსას და პავლეს უთხარ — ეხლავ შემიკაზმოს ყარანგა-
ოზი და თითონ შავ ცხენზედ შეჯდეს, და მომგვაროს აქ!.. (მანუჩარ
გადის, გრიგოლ კარებში მიაძახებს) ჩქარა-თქო, მომეხმარე!! ახ!;
ღმერთო!.. ღმერთო... (მსწრაფლ გადის ზალაში.)

ქონიაშვილი (მართას). რა ამბავია?! რა დავიდარაბაა?!
მართა. ვინ მიხვდება მაგათ დავიდარაბას და თავის ტეხას!..
(შემოდის ვარდისახარ.)

ვარდისახარ. ჯახშამი მზათ გახლავს, ბატონო!

მართა. წავიდეთ ერთი... პური ვქამოთ! მოვკვდი, დავიქანცი!
(ხელს უყრის ქონიაშვილს მკლავში და გადიან.)

მ ო ქ მ ე ლ ე ბ ა IV

იგივე სასტუმრო ოთახი. მართა მარტოკა ზის და ჩაისა სვამს.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა I

მ ა რ თ ა. აგერ ათი საათი სრულდება... და ჭერ არაფერი ამბავი მოსულა!!.. მე მაკვირვებს, გრიგოლ სად დაიქარგა ამდენ ხანს!.. მართალია, რომ ქსანამდღი ხუთი საათის გზაა, მარა მაინც ამდენ ხანს კი უნდა მოსულიყო... ან და რაზე ამბავი შემოეთვალა!.. საზიზღარი რამ მოხდება, თუ მართლა იმ გიჟმა თავი მოიკლა!.. მე ეს ფიქრი მაწუხებს... ვაი თუ, ჩემი ბრალია ეგ ამბავი სულ!!.. სიყვარული ყველას კარგათ გვესმის, მოტყუებულნიც კი ხშირად დავრჩენილვართ, მარა ჭერ არავის თავი არ მოუკლავს!!.. არა... ერთხელ კი ვიფიქრე, რომ სწორეთ არ გადავრჩები-მეთქი, ო!!.. შარშან წინ, ინჟინერი რომ შემიყვარდა, მაშინ!! ღმერთო!!.. რა რიგათ დავიტანჯე!.. ღამით არ მეძინა და ღლით არაფერს ვკამდი... მაგრამ... მადლი შენდა, მაცხოვარო!!.. ჯარში წავიდა და სამი თვე რომ ვერ ვნახე... (ამოხვნეშით) დამავიწყდა!!.. ასეა კაცის ცხოვრება!.. არ უნდა ჩააცივდეს ადამიანი ერთს რამეს!.. ახალს დროს ახალი საგანი მოაქვს!.. (ამოიხვნეშებს.) ეჰ, ეჰ, ეჰ... მე ამ ჩემს ფიქრებს შევერჩი და სალომე რომ გამოვა, აღარ ვიცი რა ვუთხრა!.. (ამ უკანასკნელის სიტყვების დროს სალომე გამოდის და ისე დაუახლოვდება, რომ მართა ვერ შეხედავს.)

ბ ა მ ო ს ვ ლ ა II

მართა და სალომე.

ს ა ლ ო მ ე (ფერ-მიხდილი და მოწყენილი). რაზედ გენაცვალე?..

მ ა რ თ ა (ცოტა შერეულად). გაიგონე, რაცა ვთქვი?!

ს ა ლ ო მ ე. არა... ხო... დიად... ეს გავიგონე, რომ არ ვიცი რა ვუთხრა სალომესო.

მ ა რ თ ა (გადაკოცნის და მოისვამს გვერდზე). ჩაი დალიე?

ს ა ლ ო მ ე. არა, გენაცვალე... არ მინდა!

მ ა რ თ ა. ქალო, როგორ იქნება, შიმშილით გინდა თავი მოიკ-

ლა?! გუშინ სადილი არ გეკამია... არც წუხელი ვახშამი, და ამ დილას კიდევ ჩაის არა სვამს!..

სალომე. არ მინდა გენაცვალე... რა ვქნა!.. რა იყო, შენი ჭირიმე, — სალომეს არ ვიცო, რა ვუთხრაო?!

მართა. ჰო, სულ წუხანდელს ამბავზედ ვფიქრობდი და არ ვიცი რა მოვიფიქრო!..

სალომე. შენი ჭირიმე, ერთს წყალობასა გთხოვ... და თუ უარს არ მეტყვი, იმედი მაქვს ვარდენ დავარწმუნო!..

მართა. რასა, გენაცვალე?..

სალომე. რასა, ბატონო, და ნება მიბოძე ვუთხრა, რომ გუშინ ღამე ამ სახლში სულ არ ვყოფილვარ; თუ კი ამაზე დავარწმუნე, მეტი აღარაფერია საქირო... რასაკვირველია, რომ საცა ვიყავი, ის საიდუმლოდ დარჩება!..

მართა. ეგ მეც ვიფიქრე წუხელი, მარა გვიან იყო!.. რატომ არა... ეს ითქმებოდა, რომ შინ არ იყავი... ამით სრულიად ვერ მიხვდებოდა ის, სად იქნებოდა, მარა მას იქვი რადგან გრიგოლზედ ჰქონდა და თვითონვე იცის, რომ გრიგოლ აქ იყო, თუ კი დავარწმუნებდით, რომ შენ ღამე აქ არ გაგიტარებია, გათავებული იქნებოდა საქმე!.. მაგრამ ასეა, გენაცვალე, ცხოვრება!.. შენ ბავშვი ხარ: კარგი აზრები ყოველთვის გვიან მოდის!! ესეც ვთქვათ, როგორ დავაჯერებდით ამაჲ?

სალომე. დაიჯერებს თუ არა, მე მაინც ვეტყვი და ვეცდები კიდევ დავარწმუნო! მაშ, მომცემ ნებას დღეს ვუთხრა?!

მართა. დღეს?! დიად... გენაცვალე!! თუ კი მოვიდა!!

სალომე. როგორ, თუ კი მოვიდა?!

მართა. ხო, უნდა შეთქვა, როცა მოვა! ეხლა კი... მე ცოტახნით უნდა წავიდე ქალაქში... ვინმეები უნდა ვნახო!.. ერთს საათში მოვბრუნდები!! (აკოცებს სალომეს და გადის).

სალომე (ფიქრს მიეცემა). გაკვირვებული ვარ, როცა დავფიქრდები, თუ რა ნაირად ვითმენ მე ამ მდგომარეობას!.. ვარდენ მწამობს... მე... და რასა!! ღმერთო ჩემო!.. ამის მოფიქრებაც მაწითულებს და მკლავს სირცხვილით!!.. კი ვიცი, რა პასუხს ვუგებდი მე ამისთანა უკადრისი შეწამებისათვის... მაგრამ... საუბედუროდ ჩემდა... რაღაც საშინელის... მოულოდნელის შემთხვევით მიიღო მან სრული უფლება ამნაირი იქვისა! და ის უნამუსო და უღმერთო გრი-

გოლ პირში მეუბნება მე, რომ შენთან ვიყავიო!! რა ჰქნას კაცმა, რა მოიფიქროს!!.

ბ ა მ ო ს ვ ლ ა III

გივი და ასლანთარელი. შემოდის ასლანთარელი დაწყნარებული, მაგრამ ძლიერ ფერმიხდილი და უძილობით თვალებ გაწითლებული.

ს ა ლ ო მ ე (მოიხედავს და დაიკვირებს). ვარდენ!! (მივარდება, მარა ასლანთარელი ცივად და მოწყენილად დახვდება, და გაჩერდება.)

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. გთხოვ დაბრძანდე, სალომე, და სიტყვა მომისმინო უკანასკნელად!!.

ს ა ლ ო მ ე (მიძახებით, შეშინებული). უკანასკნელად!!.

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. დიად... უკანასკნელად-მეთქი... შეიძლება, საწყენი სიტყვა ვიხმარე... მაგრამ... დიდის ხნით მაინც, რადგან შორს გზას ვეპირები. (სხდებიან) საუბედუროდ ჩემდა, ძლივს ერთი საათი დრო მრჩება და ამისთვის მოკლედ მოგახსენებ, რაც სათქმელი მაქვს. გთხოვ ეს წერილი, როცა მიბრუნდები შინ, დედაჩემს ჩააბარო, და თუ რაიმე მიზეზით გვიანამდი არ მიბრუნდე, ვინმე სანდო კაცის ხელით გაუგზავნო!! (ამოიღებს წიგნს და სდებს სტოლზე.)

ს ა ლ ო მ ე. ვარდენ... ვარდენ... რას ნიშნავს ეს სიტყვები და რად მიდიხარ?... მე მარტოკა მტოვებ!! არა, უშენოთ მე არ შემიძლია... მე წაგყვები, სადაც წახვალ... შენ გენაცვალე... ვარდენ!.. ნუ მომკლავ... ცოდვა ვარ!.. (ამ სიტყვებს სულ ცრემლებით ლაპარაკობს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად.)

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. რა გითხრა, სალომე... რით განუგეშო! საიღამ მოვძებნო მე ის სიტყვა ძლიერი, რომელმანც გამოგიხატოს ჩემი მწუხარება!! მე მრწამს, რომ შენ შეწირული ხარ რაღაც ჯოჯოხეთურის ეშმაკობისაგან, მაგრამ ჩემი ჰკუა ვერ სწვდება!! მე მზათ ვარ ვირწმუნო, რომ შენ უმანკო ხარ... რადგან ვერც ეს იტვირთა ჩემმა ტვინმა, რომ შენ ბილწი იყო... მარა... სალომე, არის ცხოვრებაში ისეთი უბედური შემთხვევანი, როცა თვალის სინათლე სძლევეს გონების სინათლესა!! როცა... ერთს საათში... ერთს წამში

ირღვევა და მტვრად იქცევა ადამიანისაგან წელიწადობით გამაგრებული რწმუნებანი და სასოება!!.. ამისთანა შემთხვევაში ადამიანს რაღა რჩება?.. რის ნუგეშმა უნდა აცხოვროს!.. მარა, ესენი ყველაფერი ეხლა გვიანდაა!!.

ს ა ლ ო მ ე (აღტაცებით). არა!.. არ არის გვიან!!.. მე შემიძლია... მე მაქვს ახალი საშუალება, დაგიმტკიცო, რომ შენ შემცდარი ხარ!.. რომ შენი სიტყვები ჩემთვის ლანძღვაა!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (აღტაცებით). მაშ, თუ კი რაიმე მაქვს სათქმელი, რად არ ამბობ?.. ჩქარა, შენ საწყალო!..

ს ა ლ ო მ ე. ვარდენ... გუშინ-ლამ... შენ რომ გგონია... ის მთელი ღამე... მე არ ვყოფილვარ სულ ამ სახლში!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (განცვიფრებული). ა... აა?..

ს ა ლ ო მ ე. არა... არ ვყოფილვარ!.. გარწმუნებ სინდისით!.. გიფიცავ შენ... გეფიცები ჩემს სარწმუნოებას!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (აღტაცებით). მაშ აბა სად იყავი... შენ საცოდავო! სთქვი!!.

ს ა ლ ო მ ე. სად ვიყავი?.. ამის თქმა... არ შემიძლია... დაფიცებული ვარ! (ასლანთარელი ნწარედ გაიღიმებს და დაფიქრდება; სალომე დატანჯულის სახით ელის სიტყვას; შემდეგ, ასლანთარელს თითქოს რამე მოაგონდება და განგებ, თითქოს სწყენოდეს.)

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. ეს კარგი ნუგეში მეცი, მაღლობელი ვარ!.. ვითომ გგონია, ამით გამახარე. რომ ღამე... შუალამეს ქუჩებში თრეულხარ... მარტოკა?! (უკანასკნელის სიტყვებით სახეში ჩაუყვირდება მოუთმენლად.)

ს ა ლ ო მ ე. არა... მარტოკა როდი ვყოფილვარ!!.

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. მაშ?!

ს ა ლ ო მ ე. ბიჭი მახლდა თან!!.

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (სიამოვნებით აღტაცებული მიაკვივლებს; ხელზედ სტაცებს ხელს). ბიჭი!!.. ვინ ბიჭი!.. სალომე, სთქვი! შენ შემოგველე... სთქვი!

ს ა ლ ო მ ე (შეშინებულად). აა!.. ვარდენ!! რა ჰქენი ესა!.. რა მათქმევიანე!.. არ უნდა მეთქვა!.. ვარდენ, რად შემაცდინე!.. ჩემი ბედნიერებისათვის ჩემს პირადობას ნუ გამაყიდვინებ... ვარდენ, მეტს ნულარაფერს მკითხავ!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. კარგი, მეტს აღარას გკითხავ! ეგეც

კმარა (საათს დახედავს) რა ვქნა მე შავ-ბედიანმა, დრო აღარა მრჩება! (რეკს)

ს ა ლ ო მ ე . რა გინდა?..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი . ნახავ, რაც მინდა; შენ კი ხმა არ ამოიღო. აი. კიდევე უკეთესი — შედი შენს ოთახში... მალე!.. (სალომე მსწრაფლად შედის; ასლანთარელი რეკს.)

ბ ა მ ო ს ვ ლ ა IV

ასლანთარელი და მანუჩარ.

მ ა ნ უ ჩ ა რ (შემოდის). დარუკეთ, ბატონო?

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი . დიად, ჩემო მანუჩარ! (ერთ ხანს დაფიქრებული, შუბლს იფხანს, მანუჩარ ელის.) ბიჭო, შენ რომ გუშინ დამ სალომეს ახლდი და დაბარებული რომ გქონდა, არავისთან წამოგცდესო, როგორ მოხდა, რომ გაგიმეღავნებია?..

მ ა ნ უ ჩ ა რ . მე, ბატონო?!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი . ჰო, შენ მაშა!..

მ ა ნ უ ჩ ა რ . მე თქვეინ ნუ მომიკვდებით და ქალბატონი ნუ მომიკვდება, არაფერი ცოცხალი კაცისათვის არ მითქვამს!.. (ასლანთარელი სიხარულით შეკრთება და ისე განაგრძობს.)

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი . მაშ, კაცო... რა არის, რომ დღეს ეს ამბავი საყოველთაო გამხდარა და ლაპარაკობენ?!

მ ა ნ უ ჩ ა რ . არ ვიცი, ბატონო!.. მე როგორ ღმერთი გამიწყრებოდა... როგორ ვილაპარაკებდი!.. ქალბატონმა მიბრძანა, დამაფიცა... და არ ვიცი!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი . ეგებ, ბიჭო, ვინმე შეგხვდათ გზაში ფაეუტონით იყავით, თუ ქვევითად?..

მ ა ნ უ ჩ ა რ . არა, ბატონო, ქვევითად; ქალბატონმა ისე დამიმოწმა, ქვევითად წაბრძანდესო... ვინ იცისო, მეფაიტონე რამეს იტყვისო და შეიტყობინო!!

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი (თავისთვის). ვერ მივაწიე!.. (მანუჩარს) აწი; ბიჭო, არავინ შეგხვდომიათ გზაში... არავინ?..

მ ა ნ უ ჩ ა რ . არავინ, ბატონო. ისე ბარე-ორი ბიჭი ვინცდა მე-დუქნე თვარა, რიგიანი არვინ!

ასლანთარელი. არც გაჩერებულხართ არსად, ისე პირდაპირ მიხვედით კარებთან?!
მანუჩარ. არა, ბატონო, ჯერ იქ გაგვაჩერეს კედელთან!..

ასლანთარელი. რომელ კედელთან?

მანუჩარ. კედელთან... სადაც ყარაულები დგანა! და მერე იქ მივედით.

ასლანთარელი. მერე, კაცო, იქ რომ მიხვედით, ვინ გაგილოთ კარი!.. მითხარი დაწვრილებით... მინდა მივხვედე, საიღამ გავარდა ეგ ხმა!..

მანუჩარ. ახლა, ბატონო... იმ ყარაულებთან რომ გაგვაჩერეს, იქ მოვიდა ვინცღა მუნდერ-აფიცერიო... თუ რა ჰქვია... უფროსი მათი რაღა!.. სად მიდიხართ? ჩვენ ვუთხარით, რომ ასთე-ისთე... პომპოლიკთან... ციხის უმფროსთან ჭაღალდი მიგვაქ-თქო!.. წადითო, გვითხრეს და ჭაღალდიც გამოგვაყოლეს!.. მერე მივედით იქ და, ჯერ ბატონმა კნიჟნამ ჭაღალდი შეაგზავნა, მერე გამოვიდა კაცი და მობრძანდიო, პაუალუსტაო!.. მერე ის იყო — შებრძანდა და მე გარეთ მოვუცადე!

ასლანთარელი. რა დროზედ წამოხვედით შინა?!

მანუჩარ. შინ როცა მოვედით, კაი გათენებული იყო, ბატონო!..

ასლანთარელი (დიდათ ამოიხვნეშს). კარგი, ჩემო მანუჩარ, მადლობელი ვარ ძალიან!.. ესეც შენ (ამოიღებს და აძლევს ფულს) შენ არ იცი, რა რიგათ გამახარე, რომ საიჭვო არაფერი ყოფილა-რა!.. კარგი, წადი! (ბიჭი გადის; ასლანთარელი მივა სალომეს კარებთან, უძახის, სალომე! სალომე! გამოდის სალომე; ასლანთარელი ხელზედ ხელს მოჰკიდებს.) სალომე, მე აღარ ვიცი, რა გითხრა! ენა მშრალი მაქვს... ამდენი შენი მწუხარება და ცრემლები ჩემის მიზეზითაა!.. რას მოვიგონებ ისეთს, რომ ესენი დაგავიწყო!.. მე საფლავში ჩავიტან გულის სიმშვიდეს და იმ ბედნიერ შთაბეჭდილებას, რომ შენ ანგელოზი ყოფილხარ!.. (სალომე სიხარულით მიაკივლებს: აააჰ! და გარდაეხვევა კისერზედ) და მე ეხლა, როდესაც მზე ჩემთვის პირველ განათლდა მგონია... ამ საათში... როდესაც მთელი ჩემი არსება გრძნობს აღურაცხელს ნეტარებასა... მე კი ამ საათში უნდა გამოგეთხოვო საუკუნოდ!..

სალომე. (შეშლილად, გაცეებით). ხედავ... რას მეუბნები, ვარდენ!.. ეს რა მესმის კიდევ... საოცარია!.. აღარ გათავდა ჩემი

წამება... აღარ შეეცემა ბოლო ამ ჩემს ოხერ სიცოცხლეს!! რას ამბობ, ვარდენ... რას ამბობ?... (გარდაეხვევა მხარზედ, გულამოსკნით ტირის: ფეხის ბრაგუნი ისმის წინა კარში და ხმა)

გ რ ი გ ო ლ ი ს ხ მ ა. გააღე-მეთქი... მალე, შენ მამაძად... რას ჰქვია, დრო არ არის!.. (ამ უკანასკნელი სიტყვებით შემოვარდება გრიგოლ ტალახით დასვრილი და გრძელი წალებით. ასლანთარელი და სალომე შეკრთებიან.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა V

იგინივე და გრიგოლ.

გ რ ი გ ო ლ (ასლანთარელს). ჰა!.. ჰა!.. შე... ყაჩაღო! აწი სად წამიხვალ? დაგიძირე თუ არა?!..

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. რას ნიშნავს ამნაირი თქვენი შემოვარდნა და სიტყვები? ჯერ საათი ჩემი დანიშნული არ გასულა, და იმდენი დროც კიდევ მრჩება, რომ მოგთხოვოთ პასუხი: თქვენ გუშინ რად იცრუეთ, როგორც უკანასკნელმა ნაბიჭვარმა?!

გ რ ი გ ო ლ. ჩემი შემოვარდნა იმას ნიშნავს, რომ დაგლახვროს წმინდა გიორგიმ!.. მე თვითონ გავსკდი და ორი ცხენი გავხეთქე შენს ძებნაში!.. და რომ მე ვიცრუე გუშინ, როგორც კინტომ და გაბერილმა გუდამ, ეგ შევიტყვე მე მხოლოდ რამდენიმე საათით შენზე წინ!! მაგრამ მე გადარეულებთან სალაპარაკოთ არ მოსულვარ; მე მოვედი დავეუჩოქო ანგელოზს სალომეს, რომელსაც გაუბედვ და ვკადრე ჩემდა უნებლიეთად და უცოდინარად მიწიერი უწმინდურობა!.. დაჩოქებული ვითხოვ (დაიჩოქებს), მომიტევოს და შემინდოს!.. გამხადოს ბედნიერი და მიწოდოს იმად, რომლის ერთგულებას დავუმტკიცებ!.. ვაძლევ მაგაში... არა ძველს... ახალს... დღევანდელს პატიოსანს სიტყვას!.. (სალომე ხელს აძლევს და წამოაყენებს. გრიგოლ ჰკოცნის ხელზედ, ასლანთარელს) ეს ბარათი წაიკითხე და ეს გაამართლებს ჩემს ქცევას! (აძლევს ვარდისაზარის წეურჩილს. ასლანთარელი კითხულობს.)

ა ს ლ ა ნ თ ა რ ე ლ ი. შემეძლო მეფიქრა, რომ ამდენი ოინბაზობა იყო ამაში?! რა ამბავია ეს, და რა მომხდარა!.. გადვირევი!..

გ რ ი გ ო ლ. ვისი დაწერილია ეს ბარათი? ვისი და გოგოსი... დე

მე რა ვიცოდის!.. აბა, ახლა მართას უნდა მივმართო... მისი ბრალია ეს ყოველივე! მე ვიცი და მან!..

სალომე. თუ შეიძლება, მართას ნურას ეტყვი; წუხელი... ერთ დროს ისეთი მამაცობა და თავგანწირულობა გამოიჩინა, რომ... ეგ ამტკიცებს მის დიდს კეთილობას!;

გრიგოლ. ბატონი ხართ, არას ვეტყვი!.. დღეის აქეთ კარგის და ავის გასარჩევად თქვენ იქნებით ჩემი მოძღვარი! აბა, მოძღვარო, მითხოვე არქიელის (ასლანთარელზე ანიშნებს, სალომე გაიღიმებს),

ასლანთარელი. შემინდვია უწრფელესის გულით!!

გრიგოლ. თავს აღარ იკლავ?!;

ასლანთარელი. თუ მიბრძანებ, მზად ვარ!;

სალომე. უი, დედავ!.. ეს რას ნიშნავს?!

გრიგოლ. გიბრძანებ იცოცხლო და დამიმეგობრდე! მე ჯერ მეგობარი არ მყოლია და მგონია... კი ვართ ღირსნი ერთმანეთისა! (ხელს ართმევს და გადაკოცნიან ერთმანეთს) ახლა წავიდეთ მე და შენ, ნუ ვკარგავთ ნურც დღეს და ნურც ერთ საათს; სალომეს მალე მოვგვაროთ მამამისი!! ნახვამდის...

ასლანთარელი (სალომეს). ნახვამდის, აღარ გეთხოვები!... (სალომე ორთავეს თითო ხელს აძლევს.)

(ღარდა).

გ. შარვაშიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა სავალალო მდგომარეობაში იმყოფება დაცულობის მხრივ. ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა რიცხვი მცირეა, ისინიც გაფანტული არიან სხვადასხვა, ზოგჯერ იშვიათობად გადაქცეულ, ბეჭდვით გამოცემებში, და მათი ბიბლიოგრაფიის შედგენაც ჯერ არავის უტვირთავს. თავის დროზე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებთა ავტოგრაფები იშვიათად თუ შენახულა. მეტ-წილად მათ ჩვენ ვეცნობით ხელნაწერი პირების მიხედვით. ძალიან ხშირად, თუ ყოველთვის არა, ამ პირებზე ტექსტი მეტ-ჩაკლებად დამახინჯებულია. ამ გადამწერთა მწიგნობრული ჩვევები, სამწუხაროდ, არ იღვანა მათი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობის დონეზე თვით პოეტისადმი. არის შემთხვევები, როცა ტექსტი ისეა შერყენილი, რომ ჩვეულებრივი ფილოლოგიური მუშაობა მიზანს ვერ აღწევს. ჩვენ ვარჩიეთ, ეს ლექსები ამ გამოცემის ძირითად ნაწილში არ შეგვეტანა. მათ ვათავსებთ აქ, შენიშვნებში. ზოგ ლექსში კიდევ ჭრეჭერობით არ ხერხდება ცალკე ნაწილების აღდგენა. ამის ნიმუშად შეიძლება დასახელებულ იქნას „სიტყვა-პასუხი“, ეგრძოდ — მისი ბოლო. თქმა არ უნდა რომ პუნქტუაცია ყველაზე მეტად იყო დაზიანებული, და განსაკუთრებით აქ დავეჭვირდა რედაქტორის უფლების გამოყენება (მაგალითი; სათვის მიუთითებთ იმავე „სიტყვა-პასუხს“, რომელსაც, სხვა არა იყოს რა, წინწყლები სრულიად არ გააჩნდა, და „უსამართლობის ცხოვრების ზღვაში“-ს, სადაც სასვენნი ნიშნები უაზროდ იყო დასმული). ცხადია, ტექსტის რეკონსტრუქციას ჩვენ სავალდებულო სიფრთხილით ვაწარმოებდით, და ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების საფუძველს შენიშვნებში ვუჩვენებთ.

გიორგი შარვაშიძის პირადი არქივი, ჩანს, დაღუპულად უნდა ჩაითვალოს, ჩვენ მიერ გამოყენებული ხელნაწერი პირები ოთხ მთავარ ჯგუფად იყოფა, მათგან ყველაზე ვრცელი და მდიდარი ბაზო და დიან-შასხარაშვილის ეკუთვნის. ამ ხელნაწერ პირებს ჩვენ ქვემოთ ყველგან სიმოკლისათვის „დადიანისეულის“ სახელით აღვნიშნავთ. საყურადღებო მასალას შეიცავს ერთი მეტად საინტერესო ხელნაწერი კრებული, რომელიც თავის დროზე კეთივნებია პეტრე ანჩაბაძეს (ოტობაია, სამურზაყანო), ხოლო დაღუპვას ადაარჩინა და ჩვენ გადმოგვცა თომა ზანთარაია. ამ კრებულში, რომელიც ამ საუკუნის დამდეგს არის გადაწერილი და რომელსაც ანჩაბაძის ეულის ვეროდებთ, გ. შარვაშიძის ლექსებს გარდა მოთავსებულია აგრეთვე ლექსები კიდევ ორმოცამდე სხვა, ცნობილი (აკაკი, ილია, გრ. აბაშიძე, ვ. გუნია, ს. გუგუნავა, მამია გურიელი, გრ. დადიანი-კოლხიდელი, გრ. ვოლსკი, დ. მეგრელი, რეს-ჩერგლო, სილოვან) თუ უცნობი, ან ნაკლებად ცნობილი ავტორისა,

(ბათუ აფაქიძე, იასონ გელოვანი, ანეტა დადიანი-დადმეკელიანისა, დადიანებკ ალექსანდრე, ანტონ გიორგის-ძე, ბაჩა, გრიშა, დავით გიორგის-ძე, კოწია გიორგის-ძე და მისი შვილები, ლევან პეტრეს-ძე, ჭვებე, ქრისტინა დგებუაძე, ეინმე თემური, ვლადიმერ მიქელაძე, ფაჩუ მხეიძე, გიორგი ნიკოლაიშვილი, ტელემაკ გურიელი, ზურაბ ფლადა, „შემთხვევით პოეტი იეგერიიდან“, ნიკოლოზ ჩარკვიანი, ვლადიმერ ჩიქოვანი და სხვ.). რიგი ხელნაწერი პირები თავის დროზე სარგებლობისათვის დამითმეს განსვენებულმა კონსტანტინე (კოწია) ერისთავმა და მისმა შვილებმა — მარიამმა და გიორგიმ („ერისთავისეული“ პირები), რიგით, ამოღებული ჩვენთვის უცნობი წარმოშობის ორი საოჯახო ალბომიდან, რომლებიც, ჩანს, ძალიან ახლოს იდგა ერთმანეთთან, — სხვა ნაცნობებმა, კერძოდ — პაპუნა წერეთელმა (ქვემოთ აღნიშნულია, როგორც N ალბომი). ზოგი პირი დაცულია აგრეთვე საქ. სახ. ლიტერატურულ მუზეუმში და კირილე ლორთქიფანიძის არქივში.

გადავდივართ შენიშვნებზე გ. შარვაშიძის ცალკე ნაწარმოებთა შესახებ*.

საოხუნჯო შაირობის პირველი ნიმუში იბეჭდება დადიანისეული პირის მიჯნავით. მეორე გადმოცემულია მარიამ ბარათაშვილის მიერ; აქ იხსენიებიან თავისი სილამაზით ცნობილი ნინო წერეთლის ასული და მისი ქმარი ბიძინა ჩოლოყაშვილები, მარ. ბარათაშვილი, აგრაფინა იოსელიანის ასული, ბაბილინა წულუკიძის ასული, მარო მაჩაბელი.

შემდეგ, იმავე ცნობით, ეს პაექრობა გაგრძელდება. მამიას უთქვამს:

შენით მინდა ვილხინო, თავს გველო, გეთამაშო,
სოფლის ახლო ხილო, ჩემო ლამაზო მამო!
იყავ მშვენებით მრავალყამიერ,
არ თუ ოცნებით სხვებრივ (!) წაწიერ,
მე მსხვერპლად გიჩნდე სამარადისოდ
შენ სასიცოცხლოდ, დღიდან ამიერ!

გიორგის უპასუხნია (ვებეჭდეთ შემოკლები
ჩვენც დავინახეთ, ფანჯრიდან,
კაცს თავი გაუწევრია!
რა გაუხდება საბრალოს?
.....
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს,
რა ლექსი მოუწერია!

მესამე ნიმუში იბეჭდება ორი ზეპირი ცნობის თანხმად, ერთი მათგანი პ. მიქელაძეს ეკუთვნის, მეორე — ე. ბერიძეს. შეიძლება, ეს კჷონიები იველისხმებოდნენ გიორგი ბებურიშვილის ლექსში, რომელიც მას მიუძღვნია გ. ერისთავი სათვის (სხვა ხელნაწერით — „მამოსა და ლიზას“-თვის) და რომელსაც აქვე ვათავსებთ მისი სხვა ინტერესის გამოც (იბეჭდება N ალბომის მიხედვით):

* წინამდებარე წიგნში აღარ შევიტანეთ ორი ლექსი — „ლომი“ და „ობოლი“, რომლებიც ვ. იურკეიჩის (რუს-იმერელს) ეკუთვნის, აგრეთვე აკაკი წერეთლის ლექსი გიორგისადმი გადმოვიტანეთ განყოფილუკაში „შენიშვნები და დამატებანი“ (რედ.).

სუფსის ქალბებში ერთი რამ გორი
 ანბინივით აღმართულია,
 მრთელსა ქვეყანას უმზერს ვით ორბიკ
 თვით სამზერადვე მოკაზმულია.
 დიღსა და ძლიერს ბუნების ძალას
 კაცისა სწავლა და ხმარებია,
 რაკი უნახავს ნაყოფი სწავლის,
 თვით ბუნებასაც გახარებია.
 ზურგი, გვერდები ამა გორისა
 სხვადასხვა ფერად აყვავებულა,
 თვალთა საამო და საყნოსველი
 ბუჩქები ირგვლივ დალაგებულა,
 სითბოს მოყვარე ყვავილთ კრებანი
 აფრიკით, კანნით გორას სწვევიან,
 ზნისა არშით დაგრეხილს გზებზედ
 ერთი მეორეს გარდახვევიან.
 ყოვლად მშვენიერს ქალსა იპოვნით
 იქ, სადაც დგანან სამი ქყონია,
 მარჯვნივ გვერდს უზის ნიგოთელი
 არ უარესი ბერი ქყონია...

მე-4 — იბეჭდება მ. ბარათაშვილის ზეპირი თქმით.

მე-5 — გადმოგვცეს მ. ერისთავმა და ლ. ხუნდაძემ. პირველის ცნობაში, მიქელაძის მაგიერ კ. ერისთავია მოხსენებული.

მე-6 — დატულია საქ. სახ. ლიტერატურულ მუზეუმში. გამოქვეყნებულია ს. ცაიშვილის მიერ ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“-ში, № 41 (94), 5 XII, 1945 წ.

დაუკარგველობისათვის შემოგვაქვს კიდევ ორი ფაქტი. დადიანისეული ჩანაწერით, ერთხელ გ. შარვაშიძეს თამაშში ჰკითხეს: „ვინ ხარ შენ? მან ექსპრომტად უპასუხა:

მე ვარ ის, ვინცა კეთილს არ ეძებს,—
 კეთილი ჩემთვის ღმერთს ენაღვლება,—
 მე ვარ ის, ვისაც სულყველა სწყყევის
 და არვის ცოცხალს არ ებრალება!

ლერმონტოვის „დემონი“ სიტყვებია!
 მამია გურიელს ეს სტროფი ასე გადმოჰოლია:

მე ის ვარ, ვინცა იმედსა ღუბავს,
 რა რომ იმედი აღყვავილდება,
 მე ისა ვარ, ვინც არავის უყვარს
 და ყველა სწყველის, რაც კი იზრდება!

ზეპირად შენახულა (გ. ერისთავის გადმოცემით) ერთი ტაუში, რომელიც
 გ. შარვაშიძეს უთქვამს რალაც შემთხვევის გამო:

Настал последний час набата.
 Бедняжка, он жертвой пал!
 Кабан иль пуля виновата,—
 Никто сей правды не узнал.

ჩემსა ხალაშს, გლახსა სამოს დაბეჭდილია, პონტოქსელის ხელისმოწერით, ვაზ. „ღროება“-ში, 1869 წ. № 17. ჩვენი გამოცემა იმეორებს „ღროების“ ტექსტს. ანჩაბაძისეულ კრებულში ლექსს სათაურად აქვს „ჩემი ხალაშო“ და ხელმოწერილია „გ. შ.“, რაც საბოლოოდ არკვევს ფსევდონიმს. აქვე შენიშნულია: „1894 წელსა აპრილი (!) 7-ს. ახალ-სენაკი“. არ ჩანს, რისი თარიღია ეს. ლექსის ახალი რედაქციისა ხომ არა? ანჩაბაძისეული კრებულის განსხვავებული საკითხავებიდან მივუთითებთ უფრო მნიშვნელოვანზე. მე-7 სტროფის პირველი და მესამე სტრიქონები ასე იკითხება: „ერთომც მეტყვიან:.. პა, ძმაო ცდითა“... „მუღამის შრომით, გონების ხსნითა“..., რაც გადმოტანილია ჩვენს გამოცემაში. ნაცვლად „ღროების“ „ერთა“ და „ერთბაშად ცდითა“-სი. ჩვენ გვექონდა აგრეთვე ლექსის დადიანისეული პირი, რომელიც მისდევს ანჩაბაძისეული კრებულის საკითხავებს, იმ განსხვავებით რომ მე-10 სტროფის მესამე სტრიქონში სიტყვა „ბუნებით“ შეცვლილია სიტყვით „ბუხარსა“, რაც აშკარა შეცთობაა. N ალბომი მთლიანად მისდევს ანჩაბაძისეულ კრებულს. ფსევდონიმის გახსნისათვის საინტერესოა რომ N ალბომში ლექსს ქვეშ უზის „გ. გარდაბეჭდილი“. . . . ს (ხელთ ვიღებ ბოჯალს) დაბეჭდილია ვაზ. „ღროება“-ში, 1870 წ. № 2, 15 (27) იანვ., სადაც ხელმოწერილია „გარდაბეჭდილი“ და დათარიღებულია ისე, როგორც ჩვენს გამოცემაშია.

მოგონება იბეჭდება N ალბომის მიხედვით, სადაც ხელმოწერილია „გ. შარვაშიძე“. თარიღიც იმავე წყაროდან მომდინარეობს.

რომ და შაგარაშ გამოქვეყნებულია ვაზ. „ღროება“-ში (1882 წ., № 58), სადაც ლექსი ხელმოწერილია ფსევდონიმით „პონტოქსელი“, იბეჭდება „ღროების“ ტექსტთან ახლოს მდგომი დადიანისეული პირის მიხედვით, რომელსაც აქვს ცნობა მიძღვნის შესახებ და თარიღი („1879 წ. სოფ. წყეში“). „ღროების“ მნიშვნელოვანი სხვაობანია: „დავსდებდი“ (მე-2 სტრიქონში), „ამალად“, ნაცვლად „ვასალად“ (მე-4 სტრ.) და „მარად“ უკანასკნელ სტრიქონში. უფრო თვალსაჩინო სხვაობებს შეიცავს N ალბომი.

გასათხოვარს იბეჭდება ვაზ. „ღროება“-ში (1882 წ. № 42. ხელმოწერილია „პონტოქსელი“) გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

კოწია ერისთავს იბეჭდება სამი ხელნაწერი (ერისთვისეული, დადიანისეული და N ალბომის) პირის მიხედვით. ერისთვისეულ პირში ლექსს თარიღად უზის 1885 წ. — ზეპირი ტრადიციის მიხედვით, პასუხია კონსტანტინე (კოწია) ერისთავის შემდეგ ლექსზე (გადმოცემულია გ. კ. ერისთვის მიერ):

ბიორბი შარვაშიძის

მისთვის მიყვარხარ უსაზღვროდ, ძმაო,
რომ შენი ქცევა რაინდულია,
რომ შენი გული, წმინდა და მტკიცე
კეთილის გრძნობით აღვსებულია
რომ შენი ქაუა, გამოცდილება

შენში დაცული არის ღირსებით,
 და შენი სული დაუცემელი
 არის ბრწყინვალე შენის არსებით.
 ნისტეის მიყვარხარ, რომ შენ მაცთხრმა,
 ვერ გატრიალა თავის ქანკაჯხედ
 და ვერც დაგტანჯა უბედურებით,
 ვერც მიგიტყუა ბრწყინვალე ბედზედ!
 თავ-აღერილი ამაყად დახვალ,
 თავის უბედო მამულის ყმაო.
 შენ გსურს სამშობლოს თავი შესწიროს
 მისთვის მიყვარხარ უსაზღვროდ, ძმაო!

*(ოხ, რომ შცოდნოდა...) იბეჭდება ანჩაბაძისეული კრებულის მიხედვით, სადაც ხელმოწერილია „გიორგი შარვაშიძე“. სხვა ნუსხები ჩვენთვის უცნობია.

პუშკინიდან იბეჭდება ერთადერთი, დადიანისეული პირის მიხედვით; რომელსაც თავზე თარიღად უზის 1897 წ., თუმცა არ არსებობს სრული რწმენა, რომ თარიღი სწორედ ამ ლექსს ეკუთვნის და არა წინამორბედს.

კატო აბაშიძის ქალს იბეჭდება ერთადერთი, დადიანისეული პირის მიხედვით. ჩემი ჩანაწერი იბეჭდება ერთადერთი, დადიანისეული პირის მიხედვით, რომელსაც თავში შესაძლოა ერთი სტროფი აკლდეს, — აქ უადგილოდ ორი სიტყვა („მაშინ მხოლოდ“) ზის, თუ ეს გადაწერის შეცდომა არაა, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის. ხელმოწერილია „გ. შ.“. სათაური ჩვენია.

ვარადა იბეჭდება ერისთვისეული ხელნაწერის პირის მიხედვით, რომელიც, განსვენებული კ. ერისთავის რწმუნებით, ავტოგრაფიდან ყოფილა გადმოწერილი. ლექსი მოთავსებულია აგრეთვე ანჩაბაძისეულ ალბომში, სადაც მას მესამე სტროფი აკლია მთლიანად; ვარადა ამისა, აქ ეკითხულობთ: მეორე სტროფში: „ოგია“ „ის არის“-ის ნაცვლად და „გამგონის“ „გულისა“-ს მაგიერ; მესამე სტროფში: „ეტყვის თუ ვითა“; მეექვსე სტროფში: „მიკვირს ზენარის განგება“ და „უმზგავსო ბორბებასა“. N ალბომის პირი სავსებით ეთანხმება ერისთვისეულს, ხოლო დადიანისეული მესხიერებით აღდგენილ ტექსტს შეიცავს და ნაკლულია. უცნობ ავტორს დაუწერია, ლექსადვე, „ვარადას“ პასუხი, რომლის ავტოგრაფი ჩვენ ხელთ იმყოფება. აქ, სხვათა შორის, ნათქვამია:

„განგებას ბევრი რამ ძალუძს—
 მოკბეროს ქარი მძლავრადა,
 სულ გადაჰფანტოს ღრუბლები,
 რაც არის გასამწარადა“...

ფშაურ ხმაზედ იბეჭდება ორი ხელნაწერის, N ალბომისა და დადიანისეული პირის მიხედვით. უკანასკნელი ნაკლულია.

* (შენ იცნობ...) იბეჭდება ანჩაბაძისეული კრებულის მიხედვით. დადიანისეულ პირს აკლია მესამე და მეოთხე სტროფი; სამაგიეროდ, მისგან ამოგვექვს საკითხავი „უბედური“ ნაცვლად ანჩაბაძისეული კრებულის „საბრალოა“ — უკანასკნელ სტრიქონში.

ლექსი დაბეჭდილია, როგორც თავაზიანად მიკვიითით **ე. გრიშაშვილმა**, ეურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში (1914 წ. 17. VIII. №24). ამის სხვაობანიაც „ასულთ“, ნაცვლად „ქალებს“ (მე-2 სტროფის მე-2 სტრ.), „ენებოსას“, ნაცვლად „ნებისას“ (მე-3 სტროფის ბოლო), რაც ჩვენ გადმოგვავქს ჩვენს გამოცემაში, და, დასასრულს, „ის საბრალოა“. საყურადღებოა იქვე მოთავსებული რედაქციის შენიშვნა: „როგორც მკითხველთა მოეხსენებათ, უგ. თავ. გ. მ. შარვაშიძე 80-იან წლების ცნობილი მწერალია, აქვს რამდენიმე პიესა, ლექსები და სხვ. ეს ლექსი დიდი ხნის-დაწერილია, და თავ. შარვაშიძეს სხვა ლექსებთან ერთად ერთმა მისმა ნათესავმა გადმოგვცა დასაბეჭდად“. საღ არის ამჟამად ეს სხვა ლექსები?

მკითხველი ადვილად მოიგონებს პოეზიის სხვა ნაწარმოებთ, რომელნიც ამ ლექსთან ლიტერატურული ზემოქმედების ურთიერთობაში იმყოფებიან. **ი. გრიშაშვილი** ფიქრობს („ლიტ. საქართ.“, 1939 წ. № 31) რომ ლექსი წარმოადგენს ლერმონტოვის „Жалоба турка“-ს თავისუფალ თარგმანს. ასეთია, აგრეთვე, რუსი პოეტის ალექსი ტოლსტოის ლექსი „Ты знаешь край, где все обильем дышит“... აღსანიშნავია, რომ იდეურადაც და განწყობილებითაც ეს ლექსები 'თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

აბაჰის ლექსი, გიორგისადმი მიწერილი

შენი ტკბილი საუბარი
 მიყვარს, როგორც, „ქებათ-ქება“;
 შენი ნახვა ნერვებ-აშლილს
 სამკურნალოდ შეერგება!
 ეს შენც იცი, მაგრამ, ძმოვ,
 ცოტა მოიაფხაზურებ:
 ახალ-ახალს რომ მონახავ,
 ძველებს აღარც-კი უყურებ.
 ეს არ არის მოსაწონი,
 გეფიცები ზენა-არსსა,
 ნათქვამია: „ნუ დაადებ
 ძველ გზასა და მეგობარსა“,
 თათარხანი ჩამოსულა,
 მაგრამ ჩემთვის სად მოიცილს,
 დღე სძინავს და ღამე ლოთობს,
 თამაშობს და ყანწებსა სელის;
 ჩემთვის სადღა დაურჩებ?
 ან საღამო და ან დილა,
 ესეც კია, მეგობრობა
 სენის, არსად გაგონილა!

აკაჰის ლექსი, გიორგისადმი მიწერილი და გიორგის პასუხი აკაჰისადმი აქვე, გვ. 91. იბეჭდება დადიანისეული და N ალბომის ხელნაწერი პირების მიხედვით. N ალბომის პირი ნაკლულია: აკაჰის ლექსს აკლია ორი უკანასკნელი სტროფი, გიორგისას — უკანასკნელი.

* (ნეტამც ვინმე...) იბეჭდება დადიანისეული და N ალბომის ხელნაწერი პირების მიხედვით. N ალბომის ტექსტში ვკითხულობთ; „ტყის ნადირთა ვეფხეს და გველსა მკერდი ჩემი ალოკეინოს“... და „ორბს და ყოჩანს“;

სიმღერა. („შორი გზიდან...“) იბეჭდება დადიანისეული პირის მიხედვით. აქ, მეოთხე სტრიქონში ყურადღებას იქცევს სიბრჯგუვის საგანგებო ნიშანი ი ასოზე სიტყვაში იარა (ისეთი, როგორც ესლაც იხმარება მეცნიერულ ტრანსკრიფციაში ნახევარ-ხმოვნებისათვის). რაც გამოყენებული იყო უთუოდ ლექსის დარღვეული მეტრის აღსადგენად;

* (მზე გაღიხარა...) იბეჭდება დადიანისეული პირის მიხედვით. აქ მეტად საინტერესოა აფხაზური სიტყვის ლა შა-ნ ა თ ე ლ ი გამოყენება სინათლის მნიშვნელობით, ძველ-ქართული ლიტერატურული ტრადიციის საფუძველზე (ეს სიტყვა ძველ-ქართულ მწერლობაშივეა უკვე დადასტურებული. თამარ მეფის პირმშოს, გიორგის, მეტსახელის „ლაშა“-ს შესახებ თამარის ერთი ისტორიკოსთაგანი ამბობს: „განმანათლებლად სოფლისა ითარგმანების აფსართა ენითა“-ო. მართლაც. აფსართა ენაზე, ე. ი. აფხაზურად ლაშა ნათელს ნიშნავს.

* (ოდეს ღმერთმან...) იბეჭდება დადიანისეული ხელნაწერი პირის მიხედვით,

* (ელემის ბაღის ყვავილო...) იბეჭდება დადიანისეული ხელნაწერი პირის მიხედვით. მესამე სტრიქონში ბოლოდან ხელნაწერის „გაქვენ“ ჩვენ შევასწორეთ: იგქონდა“.

* (ერთხელ ვიხილე...) იბეჭდება დადიანისეული ხელნაწერი პირის მიხედვით.

* (ოჰ, ბუნებავ...) იბეჭდება დადიანისეული და N ალბომის პირების მიხედვით.

...ს (ჩემს გიჟურს ოხვრებს...) იბეჭდება დადიანისეული, ძველი ხელნაწერი პირის მიხედვით.

* (შენის შვენების...) იბეჭდება დადიანისეული პირის მიხედვით. დეფექტურ სტრიქონში, დაკლებულ სიტყვებში, გადაწერის გაურჩევია მხოლოდ ასოები: „მეგ... ცამან“.

მამულს იბეჭდება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კირილე ლორთქიფანიძის არქივში, დაცული ხელნაწერი პირის მიხედვით.

კითხვა-პასუხი იბეჭდება დადიანისეული ხელნაწერი პირის მიხედვით, რომელშიაც ტექსტი დიდად არის დამახინჯებული, პუნქტუაცია, კერძოდ — წინწყლები, რომელთაც აქ დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენია. მეორე სტროფში „როცა ქრება?“ ჩენი შესწორებაა, ნაცვლად ხელნაწერის: „როდის ქრება“. გარდა ამისა, ხელნაწერში მესამე სტროფის მეორე და მესამე სტრიქონები პირუკუ რიგითაა მოცეკებული, მეოთხე სტროფის მესამე სტრიქონში ვკითხულობთ: „მისაუბრებს“. აშკარაა, რომ ეს შესწორება ამ სტროფს მაინც ვერ შევლის და იგი კვლავ დეზიანებული რჩება.

სადღეგრძელო ქალებს იბეჭდება დადიანისეული ხელნაწერი პირის მიხედვით, მეშვიდე სტროფში ხელნაწერის „დამართა“ ჩვენ გავასწორეთ ისე, როგორც გამოცემაშია.

ამ ლექსთან იქნებ კავშირში იმყოფებოდეს კოწია გიორგის-ძე დადიანის (გიორგი შარვაშიძის ბიძის) „სადღეგრძელო“, მოთავსებული ანჩაბაძისეულ კრეუ

ბულში. ეს კავშირი იმით იქნებოდა საყურადღებო, რომ დადიანის ლექსი დათარიღებულია: „1872 წელი, ქეთისი“. დადიანის „სადღეგრძელო“-ში მოხსენებული არიან ქალები: ნინო, ქეთო, აგრაფინა, ფატი, მარია, კატო, ბაბილინა წულიკიძე (1), ძაძუნია, ციცინა, მართა, თამარი, ცაბუა, ნადია; დესპინე, პაშა.

ერთს მომღერალ ქალს, პასუხი გიორგი შარვაშიძეს, პასუხის პასუხი სამივე ლექსი იბეჭდება დადიანისეული და N ალბომის ხელნაწერი პირების მიხედვით. ორივე შეიცავს გაუგებარსა და შემეტარ საკითხავენს: „საღმებისოთ“, პირველ ლექსში, და იქვე: „რად ვარგა“ (ჩვენი შესწორებით: „რად მარგა“); მესამე ლექსში: „ჩემი“ (ჩვენი შესწორებით: „შენი“) და „ქვეყანაო“ (ჩვენი შესწორებით „ქვენაო“). გარდა ამისა, N ალბომის პირი მომღერალი ქალის პასუხში, პირველ სტრიქონში, სიტყვა „ახლო“-ს სცვლის სიტყვით „შზეო“.

* (უსამართლობის ცხოვრების ზღვაში...) მოღწეულია მხოლოდ ანჩაბაძისეულ კრებულში, სადაც ხელმოწერილია: „გ. შერვაშიძე“. ბუნებრივია ჩვენია. გარდა ამისა, მეორე სტროფის მეოთხე სტრიქონში ხელნაწერი პირის ფორმა „ის ინაუ თებდა“ ჩვენ შევასწორეთ ფორმით: „ის გაანათებს“, რაც ლექსის მეორე ნახევარის საერთო აზრისა და მომღვენო ფრაზების შემასწავლელთა („ოქმენები“, „დაღესვენება“, „დაღვევითება“) ფორმებს უფრო ეთანხმება. იმავე სტრიქონში ხელნაწერში ვკითხულობთ „წასრულსა“, რაც ჩვენ შევასწორეთ „წარსულსა“.

აკაკის დაბეჭდილია ეურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში, 1915 წ. № 10. დასასრულ, დაუკარგველობისათვის აქვე ვბეჭდავთ გ. შარვაშიძის კიდევ ერთს საალბომო ლექსს, ზეპირი გზით მოღწეულსა და ამიტომ კიდევ უფრო დაზიანებული:

მ. შ — ძმს

მუდამ კარგი ხარ, ჰკვიანი, ნაზი,
უშანკო, თეთრი, ვით ეს რვეული,
მასთან იქნები უცხო ლამაზი,
და... კეთილი გული.
გისურვებ ყოველ ბედნიერებას,
გწამდეს რომ ყველა ქალი კაცია;
ზედი წყალობდეს ყოველს შენს ნებას!
ასე გაიცხლოს. ჩემო კვანწია!
დიდი ხნის შემდეგ ცოცხალ ვერ ვიქნე,—
რაც ამ რვეულში გაღმომიძია,
და როს შენთანა ახლოს ვერ მნახე,—
ამით გახსოვდეს გლახა ბიძია!

რ უ ს უ ლ ი ლ ე მ ს ნ ა ბ ი

კიდევ უფრო ცუდად შენახულა ტექსტულურად.
*(Давно прошли...) იბეჭდება ორი ხელნაწერი პირის მიხედვით. ერთი მათ-

1 ზედმეტ სახელად ეძახდა თურმე ავტორი ლექსის ადრესატს.

განი ძალიან ძველია, მეორე საქ. სახ. ლიტერ. მუზეუმშია დაცული. უკანას-
კნელს ასეთი შენიშვნა აქვს სათაურად: „მიძღვნილია ეკატერინე ოტია დადიანის
ასულ ქოჩაიძისადმი (ალექს. ქოჩაიძის მეუღლისადმი)\", ხოლო ქვეშ მოწერილი
აქვს: «Георгий Михайлович Шервашидзе. Написанное 1890 г. даже рань-
ше» (!) ტექსტი ორივე პირში, ძლიერ არის დამახინჯებული. ასე, მაგ., მეორე
სტროფის პირველ სტრიქონში პირველ პირში, რომელსაც ჩვენ უფრო მივსდევთ,
ვკითხულობთ: „...вместе тѣмъ“, ხოლო მეორე პირში,—„место темъ“; დაბეჭდი-
ლი ჩვენი კონიექტურაა. გარდა ამისა, მუზეუმის პირში მეორე, ჩვენი გამოცემით,
სტროფი შესაშის ადგილზე დგას, შესაშე კი მეორისაზე. — ჩვენ აღარას ვამბობთ
სხვა (ენობრივ, გრამატიკულ და ორთოგრაფიულ) უფრო წვრილმანი ხასიათის
შეცოთებებზე.

7.-(Скажи мне, отчего...) იბეჭდება დადიანისეული, ძველი ხელნაწერი პირის მი-
ხედვით, რომელსაც ქვეშ მოწერილი აქვს; „Г. Ш. 1898 г.“ პოეტის ბიოგრაფიი-
სათვის საყურადღებოა, რომ ეს პირი ნინო ჩოლოყაშვილის ახლო ნათესაების
ოჯახში უნდა ყოფილიყო თავის დროზე დაცული.

* (В любви, как в ревности...) გადმოგვცა გიორგი კ. ერისთავმა.

Фердуси и ученик გადმოგვცა, თავის დროზე, განსვენებულმა კონსტანტინე
ერსთავმა. მეორე სტროფში ხელნაწერი პირის „мерзкой“ ჩვენ შევასწორეთ:
„мерзким“.

* (Прошло, прошло...) იბეჭდება ანჩაბაძისეული კრებულის მიხედვით, სადაც
მოწერილი აქვს პოეტის ინიციალები და თარიღი. დამოუკიდებლად მისგან, ლექ-
სი ზეპირად გვიყარნახა ექიმმა დავით ფაღავამ, რომელმაც აგრეთვე დაგვი-
დასტურა მისი კუთვნილება გ. შ.—ძისადმი.

* (Еще с душою...) იბეჭდება ანჩაბაძისეული კრებულის მიხედვით, სადაც ლექსს
თავში თითქოს (თუ წინამორბედ ნაწარმოებს არ ეკუთვნის) წარწერილი აქვს;
„1910 წ. 26 მაისი“, ხოლო ბოლოში მიწერილი: „Ш.—Из журнала „Волна“
ამ კრებულისაგან დამოუკიდებლად ლექსი ზეპირად გვიყარნახა (თუმცა ნაკლებ-
ლი საბით) და მისი კუთვნილება გ. შ.—ძისადმი დაგვიდასტურა ექიმმა დ. ფაღავამ.

* (Душа живая мне дана...) იბეჭდება დადიანისეული პირის მიხედვით, რომელ-
შიაც განსაუთრებით დამახინჯებულია პუნქტუაცია;

* (Я. как зверь степной...) იბეჭდება დადიანისეული პირის მიხედვით, სასვენ-
ნიშნებზე იგვე უნდა ითქვას.

Открытое письмо. იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით, რომელიც თავის დროზე
გადმოგვცა ბ. დადიან-მასხარაშვილმა. მისივე ცნობით, ლექსი მიძღვნილი ყოფილა
ნინო წერეთლის ასულ ჩოლოყაშვილისადმი.

Надежде Эристовой и др. იბეჭდება დადიანისეული, დაზიანებული პირის
მიხედვით. დამახინჯებული რჩება, აშკარაა. მეოთხე სტრიქონი.

Терезии Шервашидзе დაცულია ზეპირგადმოცემით. უკანასკნელ სტრი-
ქონში იკითხებოდა: при мгновении, რაც აშკარა შეცოთმაა და შესწორებულია
ჩვენს მიერ.

* К N (Три дня от Вас я ждал...) იბეჭდება დადიანისეული პირის მიხედვით. სი-

ტყვა поплясать მესამე სტრიქონში ბოლოდან აღდგენილია ზეპირად (ხელნაწერში ეს სიტყვა არ იკითხებოდა) და ექვს იწვევს.

Человек იბეჭდება საქ. სახ. ლიტერატ. მუზეუმში დატული ხელნაწერი პირის მიხედვით. მეხუთე სტრიქონში ბოლოდან ხელნაწერში ვკითხულობთ: „**ЧТО ТЫ ЧЕЛОВЕК**“. შესწორება ჩვენია.

აქვე ვაქვეყნებთ გ. შარვაშიძის რამდენიმე რუსულ ლექსს, რომელნიც განსაკუთრებით დამახინჯებულან დროთა ვითარებაში.

ПЕТЕРБУРГ 1909 г.

Прекрасным нимфам Петро-Града
В былые годы я писал:
Ты — моя жизнь, моя отрада...
Вот в этом духе продолжал.
Пыл страсти, дар любви и неги,
Все им всецело посвящал;
Я юность, время, деньги, деньги.
Друзьям бесцельно раздавал.
Прошли года, прошла и молодость.
Теперь лишь только я познал,
Какая жизнь, какая гадость!
Что в прошлом я не испытал
Ни дружбы искренней, словечка
Любви, ни капли теплоты,
И стал я жертвой, как овечка,
Своей невинной простоты!

იბეჭდება დადიანისეული პირის მიხედვით. გრამატიკული, ორთოგრაფიული და წერილობრივი ენობრივი შეცდომები, ისევე როგორც პუნქტუაცია, შესწორებულია ჩვენ მიერ.

• • •

Изменчив свет: не мудрено, что в нем
за счастьем летает и любовь.
Не разрешен вопрос: любовь ли счастье,
иль счастье ведет с собой любовь?
Падет великий человек — любимцы его бегут,
разбогатеет бедный — его враги вдруг
сделались друзьями.
Так, кажется, любовь бежит за счастьем.
Когда друзья ненужны — много их;
А обратись к кому-нибудь в нужде —
Он вдруг в врага преобразится.

იბეჭდება N ალბომის პირის მიხედვით.

• • •

Весенним днем душистую розу
Вы прикололи к сердцу (!) мне.
С тех пор как будто бы занозу
Я ощущаю в глубине.

К чему шутить пустым задором,
 Смушать отшельника покой,
 Цветок любви с коварным взором
 Давать изваянной рукой.
 Поверьте, молодость увянет,
 Как уж завяла роза та,
 Для шуток времени не станет,
 Настанет в жизни пустота.
 Тогда очнетесь и вздохнете,
 Возьмете в жизни новый тон,
 Но утешенья не найдете;
 И не спасет Вас ремингтон.

•ბეჭდება დადიანისეული პირის მიხედვით.

Т О С К А

Тоска, тоска немая, злая
 Мутит и жить мне не дает,
 И сны былого воскрешая,
 В душе лишь стоны создает.
 Хотел бы я забыть укоры,
 Забыть бы прошлые мечты,
 Стереть бы с сердца все узоры
 Коварства, лжи и суеты...
 Но в чем искать целебной силы?
 В молитве-ль? Увы, много лет,
 В душе усталой и унылой
 Святой уж веры больше нет.
 И так влачусь без цели в жизни,
 К концу ведет тяжелый путь,
 В тени могил моей отчизны
 Пора и мне лечь — отдохнуть!

ბეჭდება ანჩაბაძისეული კრებულის მიხედვით, სადაც ის ჩაწერილია ფანქ-
 რით; აქ მას მოწერილი აქვს: „Г. Ш. 3 Сент. 1902 г. С.-Петербург“. მესამე
 სტროფის უკანასკნელი სტრიქონის სიტყვებს „уж веры“ ხელნაწერში საწინააღ-
 მდეგო რიგი აქვს. ჩვენ გვქონდა აგრეთვე პროფ. შ. ჩხეტიასაგან გადმოცემული,
 მის მიერ ექიმ კ. ალშიბაიასაგან ჩაწერილი, პირი; აქ პირველი სტროფის მესამე
 სტრიქონში იკითხება **и дни**, მეორე სტროფის მეორე სტრიქონში—**прежние**,
 უკანასკნელი სტროფის პირველ სტრიქონში— **влачусь**, როგორც ჩვენს გამოც-
 ემაშია (სადაც იგი ამ პირიდანაა გადატანილი).

მესამე, დადიანისეული პირი ავტორის სამუშაო ეგზემპლარის შთაბეჭდი-
 ლებას სტოვებს (შეიცავს გადახაზულსა და შესწორებულ ადგილებს), მაგრამ,
 პატრონის განცხადებით, ხელი გ. შარვაშიძეს არ ეკუთვნის და ჩვენც, სხვადასხვა
 მოსაზრებით, ამ შესაძლებლობას გამოვირიცხავთ (ამას გეარწმუნებს, კერძოდ;
 დიდი რაოდენობა გრაბატიკული და ორთოგრაფიული შეცდომებისა). ეს პირი
 ბოლოვდება შემდეგი ახალი სტროფით:

А там, пусть вновь заблещет солнце,
И птицы хором пусть поют!
Ни луч единый, ни звуки в сердце
Уж больше мне не западут...

ეს გადანაწერი შეიცავს სხვა ვარიანტებსაც: 1 სტროფ. მეორე სტრ. — томит;
2 სტროფ. მეორე სტრიქონი — прежние; 3 სტროფ. მესამე სტრიქ. — в душе
пустынной ..; შემდეგ — влачусь, როგორც აღშობიას პირში. — გარდა ამისა,
ჩვენს განკარგულებაში იყო ლექსის კიდევ ერთი, ძველი ხელნაწერი პირი. მისი
საკითხავებია: прошлые, როგორც ჩვენს გამოცემაშია, იმავე სტროფის მეოთხე
სტრიქონში — клеветы (суеты-ს ნაცვლად), შემდეგ — в душе страдальной...,
კვლავ влачусь. ამ პირს აქვს მეხუთე სტროფიც, რომელშიაც მეორე სტრიქონის
хором пусть-ის მაგ. იკითხება радостно, ხოლო უკანასკნელი ორი სტრიქონი
შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ни луч единый ко мне в сердце, ни звук
единый не дойдут.

კოემა „გვადანის ციხე“

წარმოდგენილია მხოლოდ პირველი ნაწილის სახით. თავდაპირველად იგი
ავტორს გაუვრცელებია, ბექლური საშუალებით, მეგობრების ვიწრო წრეში,
როგორც ამას თვით გ. შარვაშიძე გვამცნობს ჩვენი გამოცემისათვის ავტოგრაფ-
ფად წამძღვარებულ ბარათში. ჩვენ ამ გამოცემის სამი ცალი გვექონდა ხელთა:
ერთი ჩვენ გვეკუთვნის, მეორე — ბ. დადიან-მასხარაშვილს, მესამე — სერგო
გერსამიას. თავდაპირველ ვარიანტში პოემას ჰქონია ეს მიძღვნა ტელემაკ გურ-
ელისადმი.

თ ე ლ ე მ ა კ ს

მოგიძღვნი, ძმაო, ჩემსა ნაჩაბსა!
- სუსტი მხატრობა ხშირათ ნახულა,
ხოლო თხრობილი ძველის-ძველ ეამსა
ზღაპარი რამე აქ შენახულა.¹
იგი ამბავი როგორც რომ ჯაღო,
ამა კუთხეში ჩანერგულია,
და მოვინდომე რომ მეცა ვცადო,
აეწერო, რაცა ძველათ თქმულია,
არ ვკადნიერობ, რომ, შენ, ჩვეულო,
დიდის მგოსნების, თვით შეკსპირისა,
ეს მოგეწონოს, ჩემი სეული,
ოლონდ გაწოდე ხმა მეგობრისა.

¹ სურათია ამასთან დახატული და მიძღვნილი (ავტორის შენიშვნა).

მოთხრობა ესე არ არის გრძელი,
ამითი ეგებ არ მოგეწყინოს,
და არც გერჩვენოს თლათ საქაგელი;
როცა გრიშასთან გადაკრავ ლენოს!

შემდეგ, როცა ავტორს გადაუწყვეტია პოემის საჯაროდ გამოქვეყნება, იგი მას გადაუმუშავებია და მიძღვნაც შეუცვლია „შესავალით“. ამ მუშაობის კვალი შეუნახავს ს. გერსამიას ცალს: აქ შესავალი, ავტორის ხელით ცალკე ფურცელზე დაწერილი, მიძღვნაზე ზემოდან არის დაწებებული; რომ ასეთი შეცვლა თვით ავტორის განზრახვას შეადგენდა, ამას მოწმობს მიძღვნიდან ერთი სტროფი („ამბავი მახედ, როგორც რომ ჯადო...“) მთლიანად (ერთი სიტყვის გარდა) გადატანა შესავალში. სხვა ცვლილებებიც ავტორის ხელითვეა ნაბეჭდ ტექსტში შემოტანილი და უმთავრესად ცალკე სიტყვების შეცვლაში გამოიხატება; ახლად არის ჩამატებული, აქვე, მეორე თავის მეორე სტროფი (აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ სიტყვა „ქვეყნისა“-ში უ ბრჭგუიანია. ეს იწერება 1913 წელს!). დასასრულ, შენიშვნა პოემის ბოლოს: „მეორე ნაწილი იქნება“-ო, აგრეთვე მხოლოდ გერსამიას ცალს მოეპოვება.

დ რ ა მ ა ტ ი უ ლ ი თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი

„გიორგი მესამე“

დაბეჭდილია ქუთაისის გაზეთ „სამშობლო“-ში, 1915 წლის №№ 48, 50, 51, 53, 58, 59, 60 და 62-ში. აქ მას სათაურად აქვს: „გიორგი მესამე. დრამატული ეტრული 4 მოქმედებად, უგან. თ-დ გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძისა“. ხოლო იქვე შენიშვნაში ნათქვამია: „ამ პიესის წარმოდგენა ავტორის ნებადართვლად აკრძალულია. პიესა ნებადართულია ქართულ სცენაზე წარმოსადგენად ცენზურისაგან 1909 წ. 20 ნოემბერს № 24595“.—ტექსტში ჩვენ მცირე ენობური და სტილისტიკური-ორთოგრაფიული ცვლილებები შევიტანეთ.

„მომავლადანი სურათნი“

იბეჭდება ცალკე წიგნად გამოცემული ტექსტის თანხმად. ამ გამოცემას გარეკანზე აწერია: „თ-დის გიორგი შარვაშიძე. მომავლადანი სურათნი, კომედია ოთხს მოქმედებად. მიბაძვა. ილ. კუონიასაგან გამოცემული. ქუთაისი, თ. პეტრე გ. წულუკიძის სტამბა. 1882“, ხოლო სატიტულო ფურცელზე; „მომავლადანი სურათნი, კომედია 4 მოქმედებად, თ. გიორგი შარვაშიძისა. პირველად წარმოდგენილია ტფილისის სცენაზედ 11 ნოემბერს, 1881 წელს. საწყობი ამ გამოცემისა არის ქუთაისის შპ. კილაძეთა წიგნის მაღაზიაში. ფ. 5 შ.“ (ე. ო. „ფასი ხუთი შური“. რედ.). სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე კი აღნიშნულია: «Дозволено цензурою, Тифлис, 10-го Августа 1882 года».

თეატრი გ. შარვაშიძეს, ჩანს, საგანგებოდ აინტერესებდა. ამას მოწმობს მისი

ძალიან საყურადღებო სათეატრო რეცენზიები (იხ., მაგ., გარდახვეწილის ფსევდონიმით ხელმოწერილი რეცენზიები: ა) ვ. გუნიას „და — ძმა“-სა და „რაც არ მერგება, — არ შემერგება“-ზე, ივერია“, 1893 წ., № 235. ბ) ა. ცაგარლის „ციმბირელ“-სა და ა. ჩეხოვის „დათე“-ზე, ივერია“, 1893 წ., № 238, უკანასკნელ რეცენზიაში ავტორი, სხვათა შორის, წერს: „წარმოდგენაზედ საზოგადოება ცოტა იყო, რაც ბრალად უნდა დაედოს ჩვენს არისტოკრატის, რომელმაც ამ ბოლოს დროს ძალიან აიტრუა გული ქართულს წარმოდგენაზედ, ქვა შიგდო და ქართულის თეატრისაკენ აღარ მიუხედნია. მდაბიო ხალხს, რომელიც უფრო თანაგრძნობით ეკიდება თეატრს, სამუშაო დღეებში არ შეუძლია თეატრში სიარული, მაგრამ ეს ჩვენი არისტოკრატია-ლა სადა ბრძანდება?“...).

•

წიგნი უკვე მთლიანად აწყობილი იყო, როცა შოთა გელოვანის ოჯახში აღმოჩნდა რომელიღაც ხელნაწერი კრებულის გარეკანი შემდგომი მიძღვნით:

„თ—დს
ი ა ნ ო ნ ბ ე ლ ო ვ ა ნ ს
; სახსოვრად

ივერთა გულის მოძღვარი, გიძღვენი ესე რვეული,
რვა-ასის წლისა ნაბრძოლი, ნაჯობნი, მჯობად რჩეული,
გონების მარგალიტები, ასბმული, შოთას სეული(!),
შიგ ნახავ, ძმავ, რა ვიყავთ და რად ვართ გადაქცეული.

1888 წ. იენისის 1-სა
ქ. ქუთაისი“.

სტროფი ხელმოწერილია ინიციალებით „გ. შ.“ შ. გელოვანის ოჯახში დაცული ტრადიციითა და ხელის მიხედვითაც, ლექსი გ. შარვაშიძეს ეკუთვნის.

კულტურულ-ისტორიული ნარკვევი „გ. შარვაშიძე“ მოხსენდა (თავისი ძირიყ თადი ნაწილის სახით), გ. შარვაშიძის გარდაცვალების ათი წლისთავის აღსა- ნიშნავად, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 1928 წლის 28 დეკემბერს (ჩვ. კრ. ოქმი № 272) და პირველად დაიბეჭდა, მომდევნო წელს, იმავე საზოგადოების ორგანოში, „მიმოძილველ“-ში (წ. II). რადგანაც „მიმოძილველ“-ის ეს წიგნი, ტექნიკური მიზეზით, არ გამოქვეყნებულა, ნარკ ვევი ხელახლა დაიბეჭდა „მასალებში საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა- თვის“, 1939 წ., ნაკვეთი III, სადაც მას გ. შარვაშიძის რამდენიმე ქართული და რუსული ლექსი და ერთი ისტორიული დოკუმენტი დაერთო. ამჟამად ნარკვევზე ზოგი ცვლილება და დამატება შეტანილი.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობით აღვნიშნავ, რომ გ. შარვაშიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შეყრებაში თავაზიანად მეხმარებოდნენ: ს. გერ- სამია (რომელმაც ნება დამართო აგრეთვე გამომეჭვეყნებინა პოეტის ავტო- გრაფი — წერილი რედაქტორს), მ. და გ. ერისთავები, თ. ზანთარაია, ექიმი დ. ფაღავა, ნ. შარვაშიძე (როელმაც კესარია შარვაშიძის პორტრეტი გადმომცა), პ. წერეთელი, ლ. ხუნდაძე და სხვა პატივცემული პირები, „შენიშვნებში“ თავ- თავის ადგილას მოხსენებულნი.

განსაკუთრებით დავალებული ვარ პოეტის დის — თამარის შვილიშვილის, ბაბო დადიან-მასხარაშვილისაგან, რომელიც სიყვარულით და გულმოდგინედ ეძებ- და გ. შარვაშიძის პოეტური მემკვიდრეობის გაფანტულ ფურცლებს. წიგნში მოთა- ვსებულ ლექსთა ხელნაწერებისა და ფოტოგრაფიების უმრავლესობაც მან დამით- მო გამოსაყენებლად. გულითად მადლობას ვწირავ მას, ისევე როგორც გიორგი ლომთათიძესა და თამარ ხაეშიას, რომელთაც კორექტურის ერთი ნაწილისკ ტვირთი შემომსუბუქეს.

ს. ჯანაშია.

გიორგი შარვაშიძე — ს. ჯანაშია	1	2	3	3
ქართული ლექსები				
ჩემსა საღამოს, გლახსა საღმოს	1	2	3	80
...ს	.	.	.	81
მოგონება	.	.	.	82
რომ და მაგრამ	.	.	.	83
გასათხოვარს	.	.	.	84
კოწია ერისთავს	.	.	.	85
... (ოხ, რომ მცოდნოდა...)	.	.	.	86
პუშკინიდან	.	.	.	86
ქატო აბაშიძის ქალს	.	.	2	87
ჩემი ჩანგი	.	.	.	87
ვარადა	.	.	.	88
ფშაურ ხმაზედ	.	.	.	89
... (შენ იცნობ, ძმაო...)	.	.	.	90
გიორგის პასუხი აკაისადმი	.	.	.	91
... (ნეტამც ვინმემ...)	.	.	.	92
სიმღერა	.	.	.	92
... (მზე გადიხარა...)	.	.	.	92
... (ოღეს ღმერთმან მოისურვა...)	.	.	.	93
... (ელემის ბალის ყვავილო...)	.	.	.	93
... (ერთხელ ვიხილე...)	.	.	.	94
... (ოჰ, ბუნებაუ...)	.	.	.	94
...ს	.	.	.	94
... (შენის შევნების...)	.	.	.	95
მამულს	.	.	.	96
კითხვა-პასუხი	.	.	.	97
სადღეგრძელო ქალებს	.	.	2	98
ერთს მომღერალ ქალს	.	.	.	99
პასუხი გიორგი შარვაშიძეს	.	.	.	100
პასუხის პასუხი	.	.	.	100
... (უსამართლობის ცხოვრების...)	.	.	.	100
აკაის	.	.	.	101

რუსულ ლექსები

... (Давно прошло...)	.	.	.	102
?... (Скажи мне, отчего...)	.	.	.	102
... (В любви, как в ревности...)	.	.	.	103
Фердуси и ученик	.	.	.	104
... (Прошло, прошло...)	.	.	.	104
... (Еще с душою...)	.	.	.	105
... (Душа живая...)	.	.	.	105
... (Я, как зверь степной...)	.	.	.	106
Открытое письмо	.	.	.	106
Надежде Эрнстовой, Любе Б., Вере Эрнстовой и Софье	.	.	.	107
Мачабели	.	.	.	107

Терезин Шерვაშიძე	.	107
К N	.	107
Человек	.	108
გვადანის ციხე (პოემა)	.	110
დ რ ა მ ა ტ ი უ ლ ი თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი		
გიორგი მესამე	.	127,
მომაკვდავნი სურათნი	.	174
შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი ღ ა დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი		224
ბოლოსიტყვაობა		238

რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი
მხატვარი რ. შაქარაშვილი
მხატვრული რედაქტორი ლ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორები: ლ. გულიაშვილი, გ. შალანია
გამომშეები ნ. მანაგაძე

ს. ბ. 2492.

გადაეცა წარმოებას 0.3.09.84 ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.06.85
უე 11820. საბეჭდი ქაღალდი № 3. 60X84¹/₁₆. გარნიტური ვენა.
ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13,95+ჩაყვრა 0,46.
პირ. სალ.-გატ. 14,41. საალ.-საგამომც. თაბახი 12,17
ტირაჟი 3000 შუკვ. № 9123

ახი 1 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ეპრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიულ
საწარმოო გაერთიანება ქ. ქუთაისი,
ი. ქვეკეაძის პროსპექტი, 33.

Кутанское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательств, полиграфии
и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутанси, пр. И. Чавчавадзе 33